1134
2002

1 5

# არილი

№4 (184) საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი 3 ოქტომბერი

ფასი 80 თეთრი

#4

2002



ამ არამზადამ, რომელსაც სახრჩობელას ყოველ გახსენებაზე აკანკალებს, როგორ გაბედა და შექმნა უმშვენიერესი ლექსი უბედური მარიონეტების სახელით, თოკზე ჩამოკიდებულებს ქარი რომ უმღერის ნანას.

პოლ ვალერი

ეროვნული ბიბლიოთეკა


# არილი

საზოგადოებრივ-ლიტერატურული ასოციაცია "არილის" გამოცემა

The Literary Magazine ARILI

---

არილი - დასასვენებელი სიწმინდეთა(ნი)
სულხან-საბა

არილი - მზის შუქი, რამეზე დამდგარი
ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი

---

მთავარი რედაქტორი
**შადიმან შამანაძე**

სარედაქციო საბჭო
მალხაზ ხარბედია
(მთ.რედაქტორის მოადგილე)
ლევან აბაშიძე
ია ანთაძე
ირმა არჩუაშვილი
შალვა ბაკურაძე
ანდრო ბუაჩიძე
ნოდარ ებრალიძე
თამაზ ვასაძე
ეთერ ვიბლიანი
ნინი ზურიაშვილი
ზაზა თვარაძე
ზურაბ კიკნაძე
ვახტანგ კომახიძე
ვასილ მაღლაფერიძე
დავით ნინიკაშვილი
ზვიად რატიანი
ირაკლი სამსონაძე
გულსუნდა სიხარულიძე
სოზარ სუბელიანი
ზაზა ფაჩუაშვილი
ზაზა ჭილაძე
ბესო ხვედელიძე

*მენეჯერი* - მიხეილ ჩიტაძე
*კომერციული დირექტორი* - გიორგი სუბარი

*კომპიუტერული უზრუნველყოფა*
თამაზ ჩხაიძე

ტელ: 93-37-43; 99-83-00
ფაქსი: 98-67-90;
e-mail: kharbedia@yahoo.com
მისამართი: ლესელიძის ქ. №4

ჟურნალი იბეჭდება გაზეთ "კავკასიონის" სარედაქციო ბაზაზე





**№4. 3 ოქტომბერი. 2002**


ბესიკ ხარანაული
წიგნი ამბა ბესარიონისა ..... 1

ირაკლი სამსონაძე
მოთხრობები ..... 12

სოფო კირვალიძე
მოთხრობები ..... 16

ჯუანშერ ტიკარაძე
ლექსები ..... 21

აქვსენტი კვირტია
მძინარე ციკლოპის ძახილი (მოთხრობა) ..... 24

თემურ ჩხეტიანი
ლექსები ..... 27

იზაბელ ალენდე
თუ ჩემი გულის სიმებს შეეხე (მოთხრობა) ..... 29

თადეუშ რუჟევიჩი
პოემა ..... 33

პოლ ვალერი
ვიიონი და ვერლენი ..... 36

**11 სექტემბერი**

გოლუეი კინელი
"პოეზია - უსაზღვრო ხოტბაა" ..... 43

ორჰან პამუკი
დამცირებულთა რისხვა ..... 49

იან მაკიუენი
მხოლოდ სიყვარული, შემდეგ კი - სიკვდილი ..... 51

სიუზენ სონტაგი
ნუ გავბრიყვდებით! ..... 52

ჯონ აპდაიკი
სიცოცხლე გრძელდება ..... 53

სალმან რუშდი
მაღლა ცისკენ ..... 54

ვ.ს. ნაიპოლი
მოქცეულთა ნევროზი ..... 55

**პუბლიცისტიკა**

გიუნთერ გრასი, პიერ ბურდიე
"რაღაც უნდა დავუპირისპიროთ გლობალურ ნეოლიბერალიზმს" ..... 57

ზაზა კვერცხიშვილი
ქარიზმატულობის შინაარსი და რაობა ..... 61

ბესიკ ხარანაული

# წიგნი ამბა ბესარიონისა



გაგრძელება

დასაწყისი იხილეთ "არილი",N3, 2002

- მაგას როგორ აკეთებ-მეთქი? - გადევნებულად მინდოდა მეკითხა ამბა ბესარიონისთვის - ვითომ როგორ მიდიხარ და მილაპარაკობო, მარტო პირის გაღება გკმარა და წამოვა ხოლმე სიტყვები - საფქვავივით, შენს ნებაზე, თუ უკითხავად მოგაწყდება და გამოგხეთქავს და ტუჩებს აღარ გამუწვინებს, მოდის და გთელავს, მოგქუხს და მოგანგრევს - მტერი სიტყვები, გულის რევასავით შეუჩერებელი, ვიდრე ქანცს არ გაგიწყვეტს, არ გაგაბრუებს გრდემლისა და ჩაქუჩის ხმები და გზის პირზე დაეგდები, სოფლიდან შორს, ხაწირის მთას მოფარებული - სადაც მხოლოდ მთოხვნელი ქალები დაგინახავენ - სირცხვილის შენახვაში რომ არიან დაოსტატებული...

- მაგას როგორ აკეთებ-მეთქი? - მინდოდა მეკითხა... სათქმელს ცოტა სიტყვა სჭირია, საფიქრალს - ბევრი. შენც საფიქრალსა ხარ აყოლილი და იმიტომაა რომ არც კი ჩანხარ, როგორც განიავებული ხორბლისა და ბზის კორიანტელში ნიჩბის ტრიალი, თუ ყველაფერს, რაც გიცხოვრია და რასაც ცხოვრობ, რაც გიგრძვნია და რასაც გრძნობ, რაც გინახავს და რასაც ამ წუთას ხედავ - სიტყვებს აყოლებ, ეხმიანები, ამელოდიებ და აშთაბეჭდილებ... ოო, მაშინ მართლა ბზეში გიტრიალია ნიჩაბივით და რას გაუძლებ... წერტილი არ იცი, ვიდრე რეტდასხმული არ დაეგდები სადმე. ერთხელ თურმე თოვლში ჩაყინულიც კი ამოგაძვრეს...

- ესენი როდის მოაგროვე მეთქი? - მინდოდა მეკითხა გალმასოფლელი ნათესავისთვის როცა სახლში მიმიყვანა, შემიძლვა თავის განმარტოებულ ოთახში და სკივრს ამიხადა.

- როცა ვხნავ, როცა ვფარცხავ და როცა ვთოხნიო...

- ესეიგი სულ-მეთქი? - ზამთრის გარდაო... - და გაეღიმა შვებიანივით.

ახალ დროებაში რამდენიმე ჰექტარი მიწა მისცეს, ზედ მთის ფერდზე, ტყის პირას, გაყამირებული ადგილი. პირველ წელს რომ მოხნა, უძველესი დროის ნივთების რაღაც-რაღაც ნატეხები იპოვა. აჩვენა სოფლის ისტორიის მასწავლებელს - თავისი ბალღებისას - ოო... ძალიან ძველიაო... მეორე წელსაც მოხნა და კიდევ მეტი იპოვნა. ახლა რაიონულ მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ჩაიტანა - ნარმის ნაჭერში გამოხვეული. - მანდაო, მაგ ადგილას სადაც შენა ხნავ, ჩვენს წელთაღრიცხვამდე ქალაქი იყოვო, ხალხი სახლობდაო...

უკვე ათი წელია ეს კაცი ხნავს და პოულობს და ამასობაში განისწავლა კიდევაც, უკვე "მეცნიერულად" უდგება საქმეს და ნელ-ნელა ახირებულიც შეიქნა... იმიტომაა ოჯახს რომ გაუნაპირდა და მარტუა იხარშავს ლობიოსა თუ კარტოფილს, გოგრასა თუ ხარშოსა... მოგროვებით კი აგროვებს, მაგრამ ორი ისეთი ნატეხი ვერ იპოვნა, რომ ერთმანეთს მიატოლ-მიამგვანოს, სულ თავთავადი ფრაგმენტებია... ბოქლომდადებულ სკივრში ინახავს, სახალხოდ აღარ აფრიალებს ნაპოვნ ნივთებს - იდუმალება შესძინა მათაც და თვითონაც გაიდუმალდა. იშვიათ სტუმრებს აუხდის სკივრის სახურავს, მსხვილ თითებს ამოურევს, ააჟღერებს, ააფერადებს, წიწილებივით ამოსხავს ნელ-ნელა და წინ დაგილაგებს. თვითონ ხომ ზედ დაჰკანკალებს და თრთის ასეთ დროს, შენც გამომცდელად გათვალიერებს - უნდა აღფრთოვანდე!.. ძალაუნებურად გინდება, ნაწილები მონახო და რაღაცა შეაკოწიწო. საწყალი ფრაგმენტები... ძველთაძველი შორისდებულები, ნაცვალსახელები, რეპლიკები... ერთმანეთს ვერ მისწებებიან, კაცის თვალი რომ გაახარონ, ზოგი ათასი წლითაა ერთურთს დაშორებული, ზოგი - ხუთასით, ზოგი აღმოსავლური კულტურისაა, ზოგი - დასავლურის...

დათესილი იყო კაცოო? - ჰკითხავენ ხოლმე. - დრომ დათესა, დრომ - ეტყვის ესეც... დროის ნათესია... მაგრამ ორი ერთნაირი ვერ გაიმეტა იმ დალოცვილმა. ყველას რაღაც ამბავი სტანია, რაღაც თავგადასავალი აქვს, ვინაობა-სადაურობა, ეგ არის, რომ მარტო ნამტვრევებია, ნაწყვეტები...

სხვებსაც ამასთან მოაქვთ, სადმე რამეს თუ იპოვნიან. - რა ვუყო ახალა ამეებსო? - რომ მკითხოს, პასუხს ვერ გავცემ, მუზეუმებს თავისიც ბევრი აქვთ, გადაყრასაც არავინ ურჩევს...

იყოს ასე და უყუროს, როგორც უდაბნოს ქვიშას, როგორც ზღვის სივრცეს, როგორც წარსულს... ყველაფერი უპასუხოა.

მეც ასე დამიგროვდა ათი-თხუთმეტი წელი რაღაც-რაღაც ჩანაწერები- შორისდებულიდან დაწყებული, გრძელ აბზაცებამდე - და ერთ დღესაც რომ დავხედე გაყვითლებულ ფურცლებს, ნაკვალევსა და ნავალს უფრო ჰგავდა ჩემი ნაწერი, ვიდრე ჩქარა-ჩქარა აღნიშნულ სიტყვებსა და წინადადებებს... დიახ, - "აღნიშნულს", რადგან როცა "იპოვნი" რამეს, გონებისთვის, ანუ მართლწერისა და მართლაზროვნებისთვის არა გცალია, იმის მოსწრებაზე ხარ, რომ აღნიშნო როგორმე ის წამოცდენილი თუ აღმოხდენილი. როცა ფეხს წამოკრავ "რამეს", მაშინ "გადარჩენა" ერთადერთი "გამორჩენაა".

მეც ამოვამხე სქელი საქაღალდიდან ჩემი ფრაგმენტები, რადგან რომ გავხსენი და ჩავხედე, შემეშინდა, დროჟამს ისე დამგვანებოდნენ. თავბრუ დამახვია ამ სიჭრელემ და უთავბოლობამ: ერთი მეორეს არა ჰგავდა, არც ებმოდა, არც წინ უსწრებდა... მაგრამ

22574

საქართველოს

ყველა ერთად - საქაღალდეში - დრო-ჟამივით იყო შედედებული და მიწაც ერთი ჰქონდათ და ცაც დაჰყურებდათ...

მეც არ გადავყარე ჩემი ჩანაწერები, თუმც კი სულ მესმოდა დაცინვა - "არ დაგეკარგოსო"... არ დავკარგე. არც ცეცხლში დავწვი, რომ კვამლად იმისთვის მიმებრუნებინა, რისგანაც იშვა - ანუ ქარისთვის. პირიქით, ერთერთ ამორჩეულ ფრაგმენტს, უფრო თავგანწირული რომელიც ჩანდა, ხელში ჯოხი დავაჭერინე და ვუთხარი გადაწყვეტილად: -წადი, სხვები თვითონ გამოგყვებიან- მეთქი!

წადით და იარეთ, თქვენ გაჭერით თქვენი გზა და თქვენი კალაპოტი, თქვენ იფიქრეთ თქვენივე თავზე.

ნაწყვეტ-ნაწყვეტი და ცალ-ცალი შორიდან ერთად ჩანს. -აკი იტყვიან - "წყალი მიდის", "ქარავანი მიედინება"... - ვის ახსოვს შემხტარი ჩქერი, ანდა კოჭლი აქლემი - შორიდან არც ბორძიკი ჩანს, არც ღელვა და არც ეჭვები, და წინ მიმავალიც მხოლოდ ბოლოს წინ მიმავალია...

- მაგას როგორ აკეთებ-მეთქი, როგორ მიბუტბუტებ და მილაპარაკობ? - ბავშვს მინდოდა, მეკითხა ამბასთვის, მაგრამ ვერ ვკითხე...

- არავინ უნდა იყო, არაფერი უნდა იყო, თვითონ გაბუტბუტებს და გაფიქრებს შენი თავი, შენი თვალები და ყველა გრძნობა, თუ წმინდა იქნები, უბრალო, თუ ყველაფერს აუტირდებ-აუმღერდები, აირეკლავ, აუჟღერდები და ერთად იდგები სამივე დროში.

ამ წიგნში მკითხველის მისატყუებლად საკენკი არ ჰყრია, არც მხსნელი ძაფია სადმე გამობმული, არც თავსატეხია ამოსახსნელი. მასში მხოლოდდამხოლოდ გულწრფელობაა, კაცის უაზრო, ძალდაუტანებელი თავგადასავალი, როცა იგი - არავინაა, როცა იგი - არაფერია, როცა - თვითონაა.

მთელის მოყვარემ დაე იმკითხავოს - ამთელოს ნატეხები, ნაწყვეტები გააგრძელოს, გინდა გადაყაროს, გინდა სკივრივით ჩახედოს ხოლმე, გინდა შეინახოს და... გინდა ითამაშოს. ყველაზე საშინელია დამწყვდეული და დაჟამებული დრო, დრო, რომელიც ფრაგმენტებით შემორჩენილა. მთელს შეავსებს კაცი, შეძლებისდაგვარად მოერევა კიდევაც - ფრაგმენტებს - ვერა! ფრაგმენტები მოუხელთებელია შეფასებისთვისაც, ისევე როგორც ანდაზა ან იდიომა, რომლებსაც მხოლოდ გრძნობით ეხმიანები, - ან უცხოა, ან შენიანი. ფრაგმენტები მარადიულია. სკივრს უნდა აჰხადო. საქაღალდეს უნდა გაუხსნა საკინძე, რაც მიწაზე ვერ დარჩება ცაში აინაცვლებს.

მაგრამ რატომ აგვესვეტება ხოლმე ცხვირწინ სერიოზულობა, როგორც კი ფრთებს ოდნავ ავიქნევთ?

მაინც რა არის სერიოზულობა?

მისსავე სიტყვებით რომ ვთქვათ, სერიოზულობა არის შეგნებული და ადექვატური აღქმა სამყაროსი და ბუნების მოვლენებისა, მათთან შეგუება და ერთხელ და სამუდამოდ დაცვა ამ პირობებით ნაკარნახევი საცხოვრებელი წესებისა, გაზიარება მათ მიერ შემოთავაზებული სიტუაციებისა, არსებობა ჯერ საერთო და შემდეგ კერძო გარემოებების მიხედვით, მათ დაკრულზე ცეკვა-თამაში. მაგრამ ადამიანს, მისჯილი არსებობის სანაცვლოდ, ასეთი სამაგიერო არ აკმაყოფილებს და ვერც წარმოუდგენია, რითი შეიძლება აუნაზღაურდეს ის დამამცირებელი შეგრძნება, რომ იგი - მარტოოდენ ადამიანია. არ ავიწყდება, რომ დევნილია - ჯერ სამოთხიდან და მერე და მერე თავის თავისგანაც - და სამუდამოდ მისჯილი აქვს ცოდვის ტარება...

უაზრო და აბდაუბდა ფიქრი, ეტყობა, ადამმა მაშინვე იწყო, როგორც კი ეს იგრძნო და სამოთხის ზღრუბლს გადმოაბიჯა. ეტყობა ამან უშველა დათრგუნულსა და უცნობ გზაზე შემდგარს. სხვა ვერაფერი იხსნიდა ახლადჩასახული სინდისის წინაშე. ძალზე გამოადგა ალბათ თავისი ჭროლა თვალებიც და აქამდე უცნობ გრძნობებს აყოლა, ისევე, როგორც განსწავლა ბუნების სხვა პირმშოთა შორის... და როგორც კი პირველი არასერიოზული ფიქრი ეწვია, იგრძნო რომ გადარჩებოდა. იგრძნო გონებაც. შეისუნთქა თავისი არსი, გაიხარა დიდად, და ფიქრებით, შეძახილებით, ბუტბუტითა და ლაპარაკ-ლაპარაკით - ახლადშობილმა, ერთი დღის ადამმა - ხელში ჯოხი იპყრა და გზა განაგრძო... ასე რომ, ადამი იყო ის, ვინც პირველმა დაარღვია სერიოზულობა... და, ვინც, ახლაც მოდის და მოლაპარაკობს...

ოდესღაც ადამიანები ჯოხით დაიარებოდნენ. კაცი გზას ისე არ დაადგებოდა, ხელში ჯოხი რომ არ სჭეროდა. სტუმრად მისული ჯოხს მასპინძლის კართან მიაყუდებდა და სახლში ისე შევიდოდა, ასევე იქცეოდა, შინდაბრუნებული. ჯოხი კაცს არასოდეს შორდებოდა, არც იკარგებოდა; ხანდახან ხეს და ქვას თუ მიეფარებოდა, მალევე გამოჩნდებოდა და გაახარებდა პატრონს. ყველას საკუთარი ჯოხი ჰქონდა - იღბალივით... სხვა სხვის ჯოხით არ გაივლიდა. ერთს მეორისნაირი ჯოხი არ ეპყრა, განუმეორებელი იყო ყველა - სიგრძითა თუ სიმოკლით, სიმსუბუქითა თუ სიმძიმით, ფერითა თუ კიდევ იმით, რომელი ხისგან იყო გამოჭრილი: თხილისა იყო თუ შინდისა, კაკლისა თუ პანტის ხისა...

თვალწინ სულ ასეთი ს'ურათი მიდგას: მზე, გზა და არგნით მიმავალი კაცი. ეს სურათი შესაძლოა ბავშვობაში მქონდეს ნანახი - რეალური ადგილი, რეალური გზა, რეალური კაცი - ალბათ შემდეგ იქცა იგი ჩემთვის კაცთა მოდგმის სიმბოლოდ, რომელსაც შეუძლია არა მარტო შორეული წარსული დაგანახოს - ბიბლიური პატრიარქთა სახეები, ახლადმოშინაურებული ცხვარ-ძროხა, არამედ გაგახსენოს - ახლო და შორეული აღმართები, ნინევია, ქანაანი, ეგვიპტე, შუამდინარეთი, ჩინეთი, დედამიწის სიმრგვალეც - უშველებელი კულტურულ-ისტორიული გლობუსი რომელზეც სხივივით დაიარება ჯოხი და ადამიანის განვლილ გზას უჩვენებს როგორ დაიღალა ეს ადამიანი, მაგრამ ამის წამალიც იცის - ძველის სიკვდილი და ახლის დაბადება. სად არის ჰომეროსის არგანი - იგი ხომ ჰომეროსს და მის სიბრმავეს - ერთად აღნიშნავდა. კვერთხი, რომელსაც მიწას დაჰკრავდნენ ხოლმე და წყალს ამოადენდნენ, იგივე არგანია, მაგრამ კურთხეული. ამბა ბესარიონიც დაჰკრავდა ხოლმე გამეტებით არგანს დედამიწას მაგრამ წყალს ვერ ამოადენდა!

96.

და თქვა ამბა ბესარიონმა:

ერთი პიროვნება მილიონჯერ მნიშვნელოვანია ათას საზოგადოებაზე.

97.

ადამიანს უფრო მეტი მტვერი შეუძლია მოაგროვოს თავის ფილტვებში, ვიდრე აზრი - თავის გონებაში.

98.

თქვა კვლავ ამბა ბესარიონმა:

რომელმან გაგზავნოს ჩვილი ქალიშვილი სასმლის მოსატანად
და მიიღოს იმისი ხელით მოტანილი,
და სვას და დათვრეს,
ჯოჯოხეთს შთაინთქას!

რადგან თან არ ახლდა ქარში და ღამეში,
უბეში დამალულლს როს მოუზიდავდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცრემლიან თვალებით

და ერჩია კი, ლეკვი რომ ჰყოლოდა
გულს ჩახუტებული
და იგი გაეთბო.

დედა იქნებოდა მაშინ,
დედასავით...
და არსად სირცხვილი
და შიში აღარსად.

99.
თქვა კვლავ ამბა ბესარიონმა:
ისევ ისა სჯობს,
კაცი ღმერთმა შეინახოს,
ვიდრე კაცმა შეინახოს თავისი თავი.

100.
შესაშურის სუყველასა შურს,
იმიტომ, რომ შესაშურია!

ხალხს უნდა მისცე იმის შანსი,
რომ რაღაცით გადაგიხადოს -
გიმტროს, მოგპაროს, გაგაჭოროს,
გადაგიყაროს...

შესაშურის სუყველასა შურს,
იმიტომ რომ შესაშურია,
და მხოლოდ ღმერთი ფიქრობს გულში -
უფრო რატომ არ აღავსე შესაშურიო!
რატომ ცეცხლით არ შევმოსეო...

რაც თვალსა გვწვავს, იმაზე ხომ აზრიც არა გვაქვს,
შესაშურის კი ყველასა შურს,
ყველასა შურს და ეჯიბრება.

101.
შეხედე, ყველგან რაღაცაა დაუმთავრებელი.

მშენებლობა.
დიდი, დიდი... გრანდიოზული.
ფაშვებგადმოყრილი და აჩაჩხული.
ეს არის მომავლის გოლიათის სახლი.
მაგრამ თუ დავითის გოლიათი ძლივს ეტეოდა
თავის სამყოფელში,
ამ მომავლის გოლიათის სახლი უშველებელგრანდიოზულია,
სადაც იჩეკება ყველა ჯურის ხალხი,
მკვლელიც და მცველიც
როგორც მთისხელა კრუხის თბილ ფრთებქვეშ.
და თუ დავითის საწყალი გოლიათი
იყო დროით მკაცრად განსაზღვრული,
ეს გოლიათი ისე არის აღმატებული,
რომ პრიმიტიული ცხრათავა და ცხრაკამეჩა კი არაა,
არამედ ყველაფერი.
ჰაერიც კი მისი სახლის წინ
გაჟღენთილია მშვიდი სისასტიკით
და ერთ ნამწვსაც ვერ იპოვნი იმის ფანჯრებქვეშ.
დათვლა შეიძლება დღის, საათის, წელიწადისა,
მაგრამ რის დათვლაც არ შეიძლება, ესაა ყველაფერი
და მომავლის გოლიათიც არის ყველაფერი.
გოლიათს გააჩნია მაგიური გავლენა:
იმის გარშემო
ზამთარს ზაფხულში ნატრობს ყველა
და ზაფხულს ზამთარში.
და კიდევ ერთი მარტივი ტყუილი აქვს გადანახული,
რომლის გამოც თავის მოკვლა ითვლება ცოდვად
და ვერგაძლება სულმოკლეობად...

და ცხოვრობდა გოლიათის სახლის წინ ქალი.
დაგვალული, ზრდაშეჩერებული,
როგორც დიდი სოკოს ჩრდილის ქვეშ...
გარშემო ათასნაირი თესლით მოფუთფუთე წუმპე
შემორტყმოდა,
მგრძნობიარე და ცოცხალი, მსუნთქავი, ორთქლიანი,
სადაც იყო ყოველი, რითაც კი ეს დედაკაცი აქამდე
ცხოვრობდა.
ჩაცუცქულიყო და დუნდულებს არიდებდა
წუმპის სიგრილეს,
თუმცა უკვე შიგ ჩამბალიყო...
ის დრო წავიდა,
დედის კარნახით რომ იცვლიდა
პერანგსა და პერანგის ამხანაგს,
იბანდა და ივარცხნებოდა...
ახლა ფეხებზე ფრჩხილები რომ დაიჭრას,
რაღაც უნდა მოხდეს,
ტანი რომ დაიბანოს, დღესასწაული უნდა დგებოდეს.

102.
ნუ იტრიალებ ნურც სხვის ტანჯვაში,
ნურც სხვის ზეიმში ნუ იტრიალებ.

103.
ეს მე გამიმარჯოს, რომელმაც
რამდენიც არ უნდა ვიყურო პირდაპირ,
ყველაფერი მაინც მინათდება ზურგიდან.
ამიტომაც ვერასდროს მივადგები იმ ნაპირს,
ნაპირს, რომელიც თითქოსდა გულს უნდა...
რომ არ იყოს ეს "თითქოს",
მაშინ, აუცილებლად, რამეს შევასკდებოდი,
მაგრამ "თითქოს" მშველის.
"თითქოს" ნაბიჯია, ან ნახევარნაბიჯი...
რომ არ გადაიქცეს ნდომა სინამდვილედ.
ნდომა საშინელი და გამტყუებელი
თვალისა გალმეებში...
რას ვხედავ პირდაპირ?.. წინასწარმეტყველებას,
რომ რაც უფრო მკვიდრად შენდება სახლები,
მით უფრო საშინელი ძალით დაინგრევა.
შეერთდებიან ძველი მოძულენი,
ძველი მტრები - ცეცხლი და წყალი
და ყველაფერს ერთიან ჩანთქავენ...
და ჩემი ქოხიც, სულ ცალკე რომ მეგონა მუდამ,
მათ შეეწირება.

104.
როცა შენს სახეს დაკარგავ,
მაშინ იპოვნი სხვას.

105.
ჯერ ქვეყნად არ გაჩენილა ისეთი წუმპე,
კაცი შიგ არ ჩაწოლილიყო.
ჩიხიდან უცებ ვერ გამოიმტვრევი,
შეიძლება ხმაური და უნდობლობა გამოიწვიო.

106.
კაცი საკუთარ თავს იმიტომ ვერ ხედავს,
სხვებზე რომ აქვს თავისი აზრი.
"მე" იწყება თავის თავის ვერშემჩნევიდან.

107.
ეს ისეთი მშვენიერი რამაა,
ბატონობდე შენს თავს, საგნებს, სურვილებს
და ტკბებოდე ჭვრეტით,
თუ როგორ ჩამოდიან ისინი მაგიერს...

108.
აი, რა ეშმაკობა შემიძლია გასწავლო,
ტირილი რომ მოგეძალება:
კბილი კბილს დააჭირე
და ის, რამაც გული გატკინა,
ენით სასას მაგრად მიისრისე
და ასე გალიე და ნელნელა ნერწყვს ჩააყოლე...

109.
შენი ფიქრები არის არეული, უალვირო, უფორმო...
მაგრამ დრო დადგება,
როცა იმ ფიქრების უკუგებას იგრძნობ რეალურად,
როცა შენი ფიქრები განსხეულდებიან
(არა კოცნად და არა ვარდებად),
სიტყვად იქცევიან, სილად ან ნაჯახად...
შენი ფიქრები იქცევიან ცხოვრების წაგებად,
დაცინვად, ლალატად და ფეხის წამოკვრად.
როცა შენი ფიქრები სისხლად დაგდინდება,
შერცხვენად გექცევა, ინსულტად, ინფარქტად...
რადგან ასეა:
ხეში შეპარული გაზაფხული
აღძრავს კვირტებს შემთბარ ტოტებზე,
ტოტები კი ნაყოფებით დაფასდებიან.
ნაყოფი კი ხისთვის არის ტოტების მსხვრევა,
სიმძიმე, ტვირთი... და, რაც მთავარია,
იმისი არ არის.
ასე რომ, ნუ ფიქრობ. ერიდე ფიქრებს.

110.
- ის ბოთლი რა იქნა,
გადადუღებელ წყალს რომ ვინახავდით?
- მე გამოვცვალე.
- ის რით დაიწუნე?
- არაფრით, გასკდა.
- აკი არ სკდებოდა!
- რა ვიცი, პირველივე მდუღარე რომ მოხვდა,
მაშინვე გაიპო. დაიღალა, ეტყობა.
ყოველთვის, როცა მდუღარეს ვასხამდი,
ვგრძნობდი, მხრები როგორ უვიწროვდებოდა,
როგორც ჩვენ ცხელ შხაპქვეშ.
შეიძლება, ადამიანს ჰქონდეს ერთი თხოვნა?
ოღონდ ჯოჯოხეთში მდუღარეს ნუ დამასხამენ,
ამას ვიხვეწები...
სოფლის აბანოში, ჩემს ბავშვობაში,
სადაც ერთ შხაპზე სამი ჭუჭყიანი მაინც მოდიოდა,
წყალქვეშ რომ ვდგებოდი სახეგასაპნული,
სულ იმისი შიში მქონდა, არავის ჩაერტყა
ცივი დანა ცხელი სისხლისთვის...
კიდევ ერთი - აბანოზე, რომ არ დამავიწყდეს,
რომ არ დავუკარგო სამყაროს თავისი
წამი, გადაგდებულ წამწამივით ძვირფასი:
სოფლის აბანოში, სადაც ერთადერთი საშხაპე იყო
და ერთიც "ნომერი",
და სადაც ქალებიც და კაცებიც დარჩეულად,
ცალ-ცალკე ისხდნენ
და თავის რიგს პატიოსნად ელოდებოდნენ,
კომისარი და მისი ცოლი მოვიდოდნენ
და... "ნომერში" შებრძანდებოდნენ.
და ეს მაშინ, როცა მომლოდინე ცოლ-ქმარიც კი
ცალ-ცალკე იჯდა.

111.
საუბარია ეშმაკზე და ეშმაკეულზე.
მაგრამ ჩვენ არ გვესმის, უფრო სწორად,
დიდი ხანია, დაკარგული გვაქვს
ეშმაკის გაგება.
საჭირო იყო ახალი სიტყვა და ისიც გამოჩნდა:
ინტერესი!
ყველა შეკრთება, გამოცოცხლდება და... შემოგხედავს...
ინტერესი...
როგორც სიტყვა, დაწერილი ასომთავრულით,
როგორც სიმართლე და დადასტურება,
როგორც პირმშო სიტყვა ჩვენი დროის,
ჩვენი ცხოვრების...
ეშმაკი კი ისე დაბერდა,
რომ ძლივს მიათრევს დამჭკნარ სხეულს
აღმოსავლური აბანოს დაღვინებულორთქლიან ჰაერში,
ვარსკვლავებიან იატაკზე მიაჩოჩებს ულონო ფეხებს
და პეშვად შეკრულ ხელების ხონჩით
მიაქვს ოდესღაც მთელს აღმოსავლეთში სახელგანთქმული
და არაკივით მოარული თავისი ასო,
ამჯერად ზედმეტი და გაუქმებული.
პატარა ჩაჩუნა ეშმაკის სხეულში,
რომელსაც არ გააჩნია მომავალი და... ინტერესი,
ჩვენი სიტყვა, ახალი სიტყვა...
რადგან სადაც არ არის ინტერესი,
იქ არ არის პროგრესი,
იქ არ არის აზრი და მომავალი.
ხოლო:
სადაც არის ინტერესი,
იქ ახალგაზრდავდება ბებერი ეშმაკი.

112.
წითელი ძაფი დასრიალებს თავებზე...
წითელი ძაფი ათასნაირ თავებზე.
ქუჩიდან მოფრენილი, ვინმესგან აწყვეტილი,
დასრიალებს და არ უნდა ვინმეზე დაფრენა.
არაფერი იზიდავს ამ ცარიელ თავებში,
არც ამ თმიანებში, არც იმ უთმოებში,
არც შეუღებავებში, არც შეღებილებში...
დასრიალებს, ბოინობს ზიზღიანი ქორივით.

რიგი ყველაფრისა, რიგი არაფრისა,
ყველგან ჩამძვრომია ამ ხალხის თვალები
და ყველაფერია ამათი გონება...
სახლში დაეტოვებინა კვნესა, აქ რომ კვნესის,
უჯრაში ჩაეკეტა, ანდა ჩაერეცხა,
ჩაეყოლებინა, გაეყოლებინა,
სახლში დაეტოვებინა კვნესა, აქ რომ კვნესის...
რიგი ყველაფრისა, რიგი არაფრისა,
და რიგის ძაფებში გახლართული ხალხები..
სახლში დაეტოვებინა კვნესა, აქ რომ კვნესის,
რომ მოჰხადა სარქველი აქ თავის სატკივარს.
და ყველას შეერყა თავისი შიგანი,
შეირხნენ, შეტოკდნენ, შეირყნენ, შექანდნენ,
ერთურთს მიეხალნენ, მიემხრნენ, მიეკვრნენ
და მიეიდაყვნენ...
თვალები, ყურები, ცხვირები, კბილები,
ხელები, ჩანთები და ჩანთის შიგთავსი.
სუყველა შეირხა. "მე" ყველამ ამოთქვა,
კინაღამ ამოუდუღდათ, რაც კი რამ უდუღდათ
და ისევ დაყუჩდნენ, დალაგდნენ, დატყვევდნენ...
ამ კაცს რაც კი რამა აქვს გულში და ჩანთაში
ყველაფერი მოუჩანს,
არც რაი იმალვის,
იმ ქალის ჩანთა კი ღამესავით ბნელია:
რა აქვს, რა იშოვა
და როცა იშოვა,
რად მიჰკარგ-მოჰკარგა ჩანთაში ბნელურად.
ისე ვნერვიულობ, ისე მაჟრიალებს,
რომ ერთი სული მაქვს კივილი დავიწყო,
მაგრამ რაც ძალა მე კივილს მათმენინებს,
იგივე მეორეს ხმას დააძვრევინებს
და ვგრძნობ, რომ სჯობია ყოველთვის ელოდო.

ან იქნებ ეს ჩვენი ტანჯვა კი არ არის,
მხიარულებაა, ამ ხალხგარეულის...
და თუკი ვიღაცა გიჟი მხიარულობს,
ჩვენც ვიმხიარულოთ ერთურთის კეფაში.
და რომ მოიხედავს წინა უკანასკენ,
ყველა წინა უკანასკენ თავს რომ მოაბრუნებს,
მაშინ წინანი უკან დარჩებიან...
მზე აქ თავებს აჩენს, ამხელს ყველა წვრილმანს,
ყველა ბეწვს და ბუწუნს, ყველა ქუცს და მაქუცს.

113.
ვნახე მეძებელი, ნაგავს ქექავდა
და, თითქოს ეპოვნოს, რაც დაეძადნა,
მარგალიტების მთელი აცმა არ გაახარებდა,
პრობლემა ათასი არ დაახანებდა,
ახლა კი სიხარულით სანაგვეში ჩაეყუდა,
სადაც კვერცხით სავსე იდო დიდი ყუთი.
კვერცხი კი მეზობელ მარკეტს გაულაყდა,
ბევრი შემოზიდეს და არ გაუსაღდათ,
გაუფრთხილდნენ მომხმარებელს და მარკეტის სახელს
და კვერცხს სანაგვეში გადაუძახეს.
ამასობაში კი მძებელი სინჯავდა პროდუქტსა,
გემოც მოსწონდა და სურნელმაც მონუსხა,
და ჩქარად აწყობდა ჩანთაში საუნჯეს,
შიშობდა, ვაითუ ვაგლახად დაურჩეს,
რადგანაც სხვის კუთვნილ სანაგვეს ძარცვავდა
და აკი არც გაუმართლეს ხრიკებმა ნაცადმა,
რადგანაც გამოჩნდა მძებელი მეორე,
და დასცხეს ერთმანეთს... ვინ ვის მოერევა,
იარაღიც იხმარეს - გრძელი შამფურები,
აივსო ქუჩა მადლიერ მაყურებლით,
მომხვდურმა მიიღო ჩხვლეტები მიჯრითა
და ბრძოლას შეეშვა, რა საქმე მიჭირდა.
გამარჯვებული მენაგვე, ეროვნებით ქართველი,
სანაგვეზე შემოჯდა, სახითა ნათელით,
მამულის დამცველ გმირს თავსაც ადარებდა,
ლაყე კვერცხები კი, ისე, რა, ახარებდა...
და გაცხადდა არაკი მრავალჭირნახული:
მთავარია პოვნა და პოვნის სიხარული,
მაგრამ უპირველესი მაინც არის მამული.

და თქვა ამბა ბესარიონმა: ვნახე, მე ეს. სხვა უარესიც მინახავს მე ჩემს ატლას-გზებზე, ვთქვათ ნაგვის მცირე ზვინთან მძებელი კაცისა და ძაღლისორთაბრძოლა, როცა კაცმა ძაღლი არა მარტო გააქცია, გააგიჟა კიდევაც: მტვერში რომ გორავდნენ, კაცი ძაღლს კბილებით დააცხრა ქეჩოში და მაღლა შემართა, გააქანა-გამოაქანა და ტომარასავით მოისროლა ქუჩის სავალზე. ძაღლს ასეთ რამ სიზმარშიაც არ წარმოედგინა, თავზარი დაეცა და ცხოვრების აზრიც კი შეეცვალა, გაიქცა, გაიქცა, შესაძლოა უნდოდა, რომ დედამიწას - სადაც ასეთი რამე არის შესაძლებელი - სულ გამცდარიყო... დიახ, ვნახე მე ეს, მაგრამ ცუდი ისაა, რომ ეს ხალხმა ნახა.

114.
მდიდარი თავის სიხარულით და ღარიბი თავისი ბრაზით, ორივენი გამოვიდნენ სხვადასხვა წერტილიდან. ერთი მანქანით და მეორე ბარგაკიდებული და ორივე აცდუნა თავისმა გრძნობამ. ერთს სიხარულმა გამოუდო ფეხი, მეორეს ბრაზმა და დასცა ორივე თავაყოლამა, რადგან ერთმანეთს შეეყარნენ გადასასვლელთან, მდიდარი თავის სიხარულით, ღარიბი ბრაზით და ამ გრძნობებს აყოლილებმა, ვერ მოასწრეს დამუხრუჭება და ერთურთს შეასკდნენ. ჭახო!.. მანქანამ... და გადავიდა მდიდარში ბრაზი და ღარიბში კი სიხარულმა დაისადგურა, რადგან იგრძნო, რომ ბოლოსდაბოლოს, მნიშვნელობა შეიძინა მისმა არსებამ და თან არც ისე იყო დამტვრეული.

დღე იყო და ღამე არ იყო და ხევში ვერ გადააგდებდნენ.

115.
კარგი წიგნი ხშირად გზადაკარგულსა და უმწეოს გტოვებს, მაშინ, როცა ცხოვრება - როგორ ეწოდოს მას "კარგი" ან "ცუდი"- ხშირად ფრთას გასხამს და გზას გიჩვენებს.

116.
ერთ მშვენიერ დღეს ჩვენ გავიგებთ სუყველა იმ ტკივილის გემოს, რომლისგანაც თავს ვიბრუნებდით. ერთ მშვენიერ დღეს. მეგობრების, ნათესავების, მთელი ქვეყნის ტკივილის გემოს, რომლისგანაც თავს ვიბრუნებდით. ერთ მშვენიერ დღეს ჩვენ ყველაფრის გემოს გავიგებთ და ისე წავალთ. ასე არა, არა, არა!.. ისე წავალთ ერთ მშვენიერ დღეს.

117.
"შენ თვითონ"... არაფერია ამქვეყნად ისეთი, ადამიანი თვითონ რომ არ იყოს.
რასაც გეტყვიან, ყველაფერზე უთხარ "შენ თვითონ," არაფერია ისეთი, რომ "თვითონ" არ იყონ.

118.
ძაღლი კაცის მეგობარია,
განა ძაღლისა,
კინაღამ დაახრჩო ქუჩის ძაღლმა
ძაღლი სახლისა.
ისე დაძონძა მისი ტანი,
მიწას აგლისა,
რომ ირგვლივ ყველა გაახარა,
გაახალისა.
თანაც რომ ძაღლი იყო ერთი
ლამაზ ქალისა
ქუჩას რომ თვალში ჩავარდნოდა
ნაპერწკალისად..

119.
მუნჯი მახარობელი

120.
მათში მჟღავნდება ჩემი წესრიგი, ისინი ჩემი გაქვავებული ნერვები არიან, ზოგს ჭიქა ჰქვია, ზოგს კალამი, ზოგს საყვავილე... მე იმ სულელებს როდი ვეკუთვნი, ვინც ნერვიულობს "დაიგვიანა," არც იმ სულელებს, ვინც დილიდან დაღამებამდე ესაუბრება იგივეს ან სხვა ვიღაცეებს. ჩემი მეგობრები ესენი არიან, სხვამ არავინ არ ისურვა ჩემი წესრიგი.

121.
პირველები იგებენ სვავები. ესაა მათი საკუთარი ნიჭი და ცოდვა... იმან, ვისაც თითებში ძალა ეყო და ლომი დაახრჩო, ვერაფერს მოუხერხებს არქილოქეს ერთ მცირე ფრაგმენტს, მაჯაზეც რომ არ შემოსწვდება. პირველები იგებენ სვავები და ეს არის მათი საკუთარი ნიჭი და ცოდვა.

122.
ისევე, როგორც წყალია ჩვენში, ალბათ, ცეცხლიცაა. თუ ყოველი წერტილიდან იწმინდება აუგიანი კაცის სხეული, ჩვენი სულის გამწმენდი ცეცხლია.

123.
რაღაც ნიჭია, რაც საზრდოა სიმღერისათვის და პოეტისთვის არას შემრგები

124.
მე იმათი კი არ მშურს, თავის ცხვირწინ ვინც იფურთხება, ასეთი ხომ მე თვითონაც ვარ. მე იმისი მშურს, საკუთარ ფურთხს შურდულივით ვინც რომ მოიხმარს, ან გაწვრთნილი ჰყავს მიმინოსავით.

125.
ცხოვრება გაიჟღინთა ლიტერატურული ირონიის შაბლონით, ცხოვრება აღარა ჰგავს ჭიანჭველების ბუდეს.

126.
ადამიანი სულ ადვილად დაგეთანხმება, რომ ცოდვილია, მაგრამ ნაკლზე გიჟად გახდება.

127.
ცხოვრება არ არის "წუთისოფელი". ეს იცოდნენ მოგზაურებმა, რომელთა თვალებშიც ჩაძირული იყო უთვალავი ლანდშაფტი. განა ერთი ჩაძინებით იძინებდა ულისე? მის თვალებში იბუდებდნენ სივრცეები, განთიადები, ნისლები, სვავები და ზღვის ფარდაგები.

128.
წამოდგომა და ასადუღებლად შემოდგმული
ჩაიდნის დახედვა
რა თქმა უნდა, სულ არ არის იმის ბადალი,
რომ ღამის ფარდა გადასწიო
და სიბნელეში სცადო გარკვევა,
ჩადგა თუ არა ქარიშხალი, რომ გაემგზავრო.
ეს, რა თქმა უნდა, იმას უფრო ჰგავს,
როცა დროს აჩქარებ, როცა ერეკები
და არ იცი რატომ და რისთვის...
რადგანაც დრო, რასაც არ უნდა ნიშნავდეს იგი,
ყოველთვის ზურგით დგას.

129.
მე წამოვდექი და წავედი,
რათა მომენახა ერთი უცხო სიტყვის განმარტება,
წიგნში რომ შემხვდა.
გზად, უცნობიდან უცნობისაკენ,
უცებ ჩემად გადავიქეცი.

130.
ერთი აზრი ისე აბათილებს ხოლმე მეორეს,
რომ ძნელია ტანზე ჯავშნად შემოიგრაგნო.
მათი დენა არ არის რაიმეს ამვსები ნაკადი,
რომ შეიძლებოდეს თავზედგომით თვალიერება...
ისინი ჩნდებიან და იკარგებიან ჩვენივე არსში
და მტკიცდება, რომ ადამიანში
არის ერთი სახლშეურქმეველი დარაჯი,
რომელიც წონის მარტოდენ ნამდვილს
და ყველა სხვა დანარჩენისადმი ულმობელია...
რაღაცა არის ადამიანში,
რაც იბადება მასთან ერთად და არ იცვლება.

131.
რომ შემეძლოს ისე ცქერა, ისე ყურება,
რომ ჩვენს შორის
ო, სამყაროვ, ფრინველებო, ადამიანო,
არ იყოს ჩემი ცხოვრების კვალი...

132.
თავისი რიტმით ვერსად ცხოვრობს ადამიანი,
თავის ღიმილით, თავის ბრაზით
ვერსად ვერ არის...
ბაზრობაზე მიმავალი სოფლელი ქალი
მდინარის პირას,
ხიდის ძირში ფეხსაცმელის წმენდას შეუდგა.
წყალს არ ამღვრევდა, არ აჩქამებდა,
წყალობასავით იღებდა პეშვით და ამიტომაც
მის ზედაპირზე თავის სახე გამოეცხადა.
არც ერთ სარკეს არ უთქვამს მისთვის
ასეთი რამე:
ყველა სარკეში ის ხედავდა იმ წუთის სახეს,
აქ კი თავისი მარადიული სახე იხილა -
რაც იყო თურმე დაბადებამდე
და რაც სიკვდილის შემდეგ იქნება.
და ქალმა ამჯობინა, რომ წყალს გაჰყოლოდა.

133.
რამდენჯერ მხოლოდ წამწამებით თუ დაძლეულა
უფსკრულები ქალს და კაცს შორის...
არა, კედელი ნამდვილად არ გამოხატავს ჭეშმარიტებას,
არც ორი კიდე, თუ სინონიმად არ ექნებათ სიცარიელე,
როცა კედელი ჰქვია უფსკრულს
ყველა ორს და ყველა სამს შორის,
ყველა საგანს და ყველა არსს შორის.
განა კედელია ქალს და კაცს შორის,
როცა ისინი ერთურთს ვერ უგებენ? სიცარიელე.
ადამიანები თავთავიანთი სიცარიელეებით ადგილდებიან,
კედლებით ისინი ვერ იმოძრავებდნენ...
განა შესძლებდნენ ალერსს, კედლები რომ ერტყათ?
სიცარიელე. ამიტომაა ასე პლასტიური მათი სხეული
ხელფეხის მოძრაობა ასე გამიზნული...
ერთადერთი მტერი სიცარიელისა სიტყვაა მხოლოდ
და ისიც ხან ბევრია და ხან კიდევ ცოტა.

134.
ჩემი სახე არის შემოღობილი სივრცეში ტილო,
რომელზეც უნდა ხატონ და წერონ -
უცხოებმა, უხამსებმა, შეტოლებულ-შეთვისებულებმა,
ცამ, ხემ, მთვარემ, კაცმა და... ქალმა.
მიყურებს მე
ჩემთან ჯდომა ედამსახურება,
მიყურებს მე,
მთელი ჩემი სახე იმის თვალებშია
და მძულს მეც ამიტომ.
მინდა მოვიშორო და სიმართლეც
მინდა რომ ვუთხრა,
მაგრამ მეშინია, ვაითუ, ამ გულწრფელობამ
უფრო მეტად დამაკავშიროს.
თვალს ხან მივლულავ, ხან გავახელ...
ის კი მიყურებს
უნუგეშოდ მიგდებულს საწოლზე
და რაკი არ მივიპატიჟე ჩემს "მკლავებში"
გარდაცვლილად მხედავს.
მე კი ვფიქრობ გულში, რომ საწოლი თუკი გეამა,
მაშინ ქალი ზედმეტი არის.
მიცვალებული... რომელმაც თავისი სიკვდილით
რაღაცა ასცინცლა და გააწბილა,
სულ იმედით რომ შესცქეროდა,
რომ ეგონა, აი, ახლა, აი, ახლაო.
და ამასობაში, აგერ არ წევს, მიცვალებულივით!
ეს მე ვწევარ მიცვალებულივით,
ამას კი თურმე იმედი ჰქონია...
არაფერი არ მინდა ამისი
და არც იმისი, ვისი შეცვლაც ამას საწადია.

ადრე, თურმე თავს ვიტყუებდი,
როცა მეგონა,
რომ არაფერს მაკარგვინებდა ეს საათები,
რომ ნულის ტოლი იყო ჩემი დანაკარგები -
იჯდე შენთვის და უყურებდე, აი, ასე,
მერე რა მოხდა...
თან წრუპავდე, თან ჭორებს ისმენდე,

ესწრებოდე ცხოვრებას შენს იქით და
შენს ფიქრებს იქით,
თან სხეულის კონტურებზე დაგდიოდნენ ქათინაურები,
დაგდიოდნენ ფეხაკრეფით, მონურად
და თვალი ფარულად, რომ გულისკენ უჭირავთ,
ამას არ ამჩნევდე...
მაგრამ შენ ხომ იცოდი, მაგრამ შენ ხომ გჯეროდა,
და იჯექი მოგვურად, მხოლოდ კარგის მიმთვლელი.
მხოლოდ ახლაღა ხვდები, ახლა, როცა შორსა ხარ,
თუ იმისი ნართის გორგალივით თვალებით
როგორ იწოვებოდა შენი ენერგია.
მიდიოდი დაღლილი, იქვე გამოფიტული,
გულუბრყვილოდ გიკვირდა შენი უილაჯობა,
ის კი, ხარბად გავსილი გრძნობებით, ენერგიით,
შენი ნერვების ძაფით დამრგვალებულ თვალებით,
(როგორც ხარის ფაშვები...)
იმდენად იყო სავსე შენი ძალით და სისხლით,
რომ ერთსა და იმავე დროს ორივ საქმე შეეძლო:
შეეჭამე კიდევაც და ეტირა კიდევაც.
განა ოქროს ოქროზე ახურდავებ?
ნახშირში ცვლი, იცოდე...
შენი ღვინო, იმისი წყალი,
შენი ჭრილობა, იმისი საფენი,
შენ ზიარჭურჭელივით იმღვრევი და წყალდები
და აღარ გაგაჩნია არც სახე, არც სახელი.

135.
ჩვეულებრივ, ადამიანი,
როგორც კი თვალს გაახელს და ცხოვრებას იწყებს
თავიდან, დაახლოებით ათ დარტყმას იღებს
(გაუთვალისწინებელს).
არც იმისი უნარი აქვს, რომ დაუკვირდეს,
თორემ დილის რომელიღაც წამში ყოველთვის არის
მთელი დღის განგაში.
ამიტომაცაა,ალბათ, ხიფათი რომ არ უკვირს ხოლმე.

136.
სუყველაფერი, რაც კი რამ მახსოვს,
ყველა წამი ბეწვზე ეკიდა.
ის დროც და ის წამიც კი, როდესაც თითქოს
გარს სიმშვიდე ისადგურებდა,
გამოჯავრება იყო მისი, მასთან თამაში,
გზად შეყოვნება...
როგორც ღილების შეკვრის წამი,
არსადყოფნით არაფერს რომ არა მორჩილებ.
სამაგიეროდ ყოველი შენი დაყოვნება
გულს უნდა ეზლო
და კიდევ თითებს,
რომლებიც სულ უფრო ყოყმანით სცდებოდნენ
ღილების შეკვრაში...
რომ არ გათავდე,
ყოველი მეორე განცდა უნდა გამოტოვო,
ყოველ მეორე ფიქრს უნდა გადაევლო
და ფეხზე დადგე
და... ღიმილი შეინარჩუნო.
ო, ღიმილი, კაცთა შორის, სათნოებისა...
მაგრამ ღიმილი მაინც ფეთქდება,
ღიმილსა და პასუხს გააქვს შენგან შენი დრო
და წამი კვლავ ბეწვზე ჰკიდია.

137.
ხანდახან მარტო დარჩენა რომ გაბედნიერებს
და გგონია, რომ სიამით გამოსუტავ იმის ყოველ წამს
და საქმედ აქცევ
და დრო რომ გავა და გაირკვევა,
რომ პალოზე დაბმულ ვირივით
მხოლოდ შენს თავს უტრიალებდი
და ეს იყო ისეთი ტკბილი -
შენი თავის გარშემო ბრუნვა...

138.
საქმე უნდა ეძიო ხალხში,
სიმარტოვეში შენი თავით უნდა იუქმო.

139.
ყველაფერს სჯობია, გასცე, გასცე და მიუხურო.

140.
სიკვდილამდე გაეცი და იყავ გულმოწყალე, მაგრამ სიმშვიდე არ შეიმატო.

141.
როგორ მახინჯდება საზოგადოება, როგორც კი ვი-ღაც გამოჩნდება ხოლმე.

142.
სჩანს, სიავეს უფრო სუფთა გულით ჩაიდენს კაცი, ვიდრე სიკეთეს, ამიტომაა, ავს რომ მალავს და სიკეთეს კი გამოაჩენს.

143.
პატიოსანი, "ჰო"- სა და "არა"- ს რომ გასცდება, დაბ-ნეულია.

144.
დუმილი ღმერთის სურვილია, სიტყვა კაცისა.

145.
როგორ უყვართ ადამიანებს გამხელა, და როგორ ვოცნებობ მე საიდუმლოზე.

146.
ვინც მდინარესთან ერთად მიცურავს, უფრო მეტს ნახავს, ვიდრე ის, ვინც აღმა მიაპობს.

147.
ტრაგიზმი იმისა კი არა, რაც დაინგრა,
ტრაგიზმი იმისა, რაც დგას.
რადგანაც დანგრეულმა უკვე აღასრულა თავის საწადელი.
ტრაგიზმი მშობიარე ქალისა კი არა,
ტრაგიზმი ნაყოფისა,
რომელიც ბედის გზაზე შემდგარა
და არაფრის შეცვლა უკვე არ შეუძლია.

148.
კვლავ ყურება ფანჯრიდან ოთახში,
სადაც წეღან ვიმყოფებოდი,
შესვლა კვლავ და გადაქცევა იმ ნაყურებლად
და კვლავ გამოსვლა და ყურება იმ მაყურებლის...
რომელია რომლისგან რომელი?
რომელია, რომ შევიდა და რომელი რომ გამოვიდა?..
ბებერი კიტრი, მარტოდ შთენილი,
შემოდგომის გადამწვარ მიწაზე,
ყუნწდამშრალი, საზრდოს უკვე რომ აღარ იღებს,
გასანთლულბაწარწაჭერილი
დასაკოდი ულაყის მრგვალ ნაყოფებივით,
სიცოცხლე რომ აღარ დაუდის...
მზით სავსე და მზით მოხატული ბებერი კიტრი,
უკვე საქონლისთვის მოღებულ ეზოში,
სავსე მზით და სიცოცხლის მარცვლით,
რომელიც ფეთქდება გაჯავრებულ ცხენის ფლოქვებქვეშ.

149.
არის ერთი უწყვეტელი, მარადიული "არასოდეს".

ყველა დროს და ყველგან მყოფი.
დაერქვას მას თუნდაც ტანჯვა, თუნდ სიხარული,
თუნდაც დაიყოს საათებად, დროებად, წლებად,
არსად არ არის, რასაც ჩვენგან შერქმეული სახელი ჰქვია...
უწყვეტელი, მარადიული,
ყველა დროს და ყველგან მყოფი "არასოდეს",
რომელსაც ვერ წაისწრებ, ვერ იხილავ და ვერ გაიგებ...
ვერც ფურთხით მისწვდები და ვერც შთაგონებით,
არც თოფის სასროლზეა, არც ვარდის მიწვდაზე.

150.
1991 წლის აგვისტოს ხუთში,
შუაღამისას,
მე დამაფრთხო ჩემი შიშველი სხეულის ხილვამ.
როცა დასიცხული და გაოგნებული,
რაღაც წინათგრძნობამ მძლავრად შემანჯღრია
და გამომაღვიძა.
როცა შუქი ავანთე და მოულოდნელად მას გადავეყარე,
უცნობის სხეულს.
უცხო გვამი იდო ჩემი თვალების გასწვრივ,
ჩავარდნილი მუცლითა და გრძელი ბარკლებით,
წარმოსახვით ახდენილი რაღაცა ხსოვნიდან,
რომელიღაც წიგნიდან, ფილმიდან, მორგიდან...
არც კი ვიცოდი თუ რამ გამაშიშვლა,
თვალებმა დაასწრეს ჩემს ტვინს გაღვიძება
და, აი, ვიხილე ჩემი მკვდარი სხეული,
ისე კარგად მკვდარი, რომ ღირდა სიკვდილი...
და ვიდრე მხოლოდ თვალები ვიყავი,
სიძულვილით ვსვამდი საზიზღარ საწამლავს
გონებისას, რომელსაც უნდა დავეხსენი.
- ფუი, წავიხურე საჩქაროდ ზეწარი,
თვალები დავხუჭე და ძილს მივეყრდენი,
მაგრამ ჩემი საძინებლის ღია კარისაკენ
დაიწყეს მოდენა მახინჯმა ჩვენებებმა.
წყალი დავლიე, ცარიელი ჭიქა ხელში
ჩავიბღუჯე
და ასე ვდარაჯობდი ჩემს თავს ძილ-ღვიძილში.

151.
სუყველანი წვილდებიან საკუთარი ნევროზის მიხედვით:
თაფლი და ფუტკარი, ქალი და სარეცხი,
გიჟი და რომანი...
თუ დღეში ათი გვერდი დავწერე,
მაშინ თვეში სამას გვერდს დავწერ.

152.
უხვალავ გზებში ერთია ბედის,
ის კაცს მიუძღვის ანდა მისდევს,
უსიერ ტყეში, როგორც მეგზური...
რა ვიცით ჩვენ სიკვდილის შესახებ?
სიმარტოვეში, თბილ ბუხართან,
როცა ვსხედვართ ერთ ჩვენ კუთვნილ მიწის ნაჭერზე,
ერთი ჩვენი ცხოვრების ძლივს გამტარებელნი,
ერთი ჩვენი გამოცდილების ძლივსღა პატრონნი,
რასაც ცოდნაც ზედ ემატება,
ანუ ჩვენნაირ ერთმცოდნეთა გამოცდილება,
და თუნდაც ყველა გამოცდილებაც
ერთად ჩვენში რომ ჩუხჩუხებდეს,
ჩვენს ქონებას მაინც ვერას მოუმატებდა
და ჩვენ კი მაინც,
იმ ერთი გამოცდილების ძლივსღა პატრონნი,
ვბედავთ და ვფიქრობთ იმ რაღაცა მარადიულზე,
რომელიც ჩაუდენელ გმირობის მსგავსად,
მუდამ ებრძვის ჩვენს მეხსიერებას..
და ზღვის ქაფიდან ამოიზრდება
ახალგაზრდა ქალწულის ჩვენება.

153.
არამატერიალური "ის", სიმბოლოდ ქცეული,
სიცოცხლის ბოლოს, ბოლო თვეში, ბოლო დღეებში,
როცა შეჯამება და წყურვილი ნამდვილის თქმისა
რამედ კი არ წარმოდინდება,
ჰაერში ხელის სავსავით მთავრდება,
როცა უკვე ვერც ბოლო ქვას შესდებ კედელზე
და ვერც ბოლო ნაყოფს მისწვდები,
და სცენაზე უკვე სულ სხვა ვინმე გამოდის,
სხვა სახით და აღკაზმულობით.

154.
განა შეიძლება ქარის მიჩემება?
განა შეიძლება თქვა "ჩემია" თოვლზე, წვიმაზე?
ისინი ხომ მხოლოდ თავის თავს ეკუთვნიან.
შვილმა დედაზე რომ შეიტყოს, რომ ის თვითონ არის,
ვერ გაიზრდებოდა,
რადგან სიყვარულის პირველი სიტყვა მუდამ "ჩემი" არის.
ამიტომაა, ალბათ, ქარს რომ სხვა მეორე სიტყვა
ასე არ აბოროტებს.
ეს კარგად იცოდნენ ძველი დროის მეზღვაურებმა
და მაშინაც კი, როცა ქარი მიაქანებდათ,
ჩუმად ხარობდნენ.
ადამიანი თავის თავის "ჩემი" არ არის,
ადამიანი არის "რაღაც" ქარში, წვიმაში,
სიძულვილში, სიყვარულში,
თავის თავის ტარებაში და მის ხარჯვაში.

155.
განათება... ნელი, მდორე
და მძიმე-მძიმედ შენსკენ წამოსული
ნისლის შეგუბებად
და უცებ ჩქარა... ჩქარა შენი კარის გამღები
და იქ დამამწყვდეველი, კარგამოხურულში,
რომ იქ იტრიალოს სრულ განათებაში,
როგორც უნაპირო, უფსკერო ზღვაში,
სადაც რომ ფეხს ვერაფერს მოსდებ
და ხელს ვერ ჩასჭიდებ,
სადაც ფრთას ვერ გაშლი, მტვერს ვერ დააყენებ,
ჯეჯილს ვერ გათელავ...
განათება, რომელიც სიბნელის ღამეა.
არც მზე, არც მთვარე.

რა იქნებოდა,
რომ არ იყოს ღამის ტეხვა თავის თავის უარყოფაში,
რა იქნებოდა,
რომ არ იყოს შემთხვევა და გადაწყდომა?
ნუთუ მხოლოდ სარკე დარჩებოდა?
(ნუთუ მხოლოდ სარკე არ იქნებოდა?)
ჩვენ ერთგულნი ვართ ჩვენი თავისა,
ჩვენ ვივიწყებთ იმას, რაშიც არ ვმეორდებით.
იდეები და სახეები, რომლებზეც ფიქრობ,
რომ სადღაცა გაქვს დაწერილი,
მიდიან და მოდიან...
ასე არ გვიყვარს თავის გამეორება
იმათ, ვინაც სულ ვმეორდებით.
განა შეიძლება იდეისთვის ხელის შეხება,
მათი ხილვა და მათი განცდა,
როცა ადამიანის უმეტეს საქმეებში
არც გული და არც გონება არ ურევია.
და აი, სწორედ აქ იბადება ერთი იდეა,
რომლის პატრონიც ვიღაც მომავლის კაცი გახდება,
რადგან აწმყოში გამოჩეკილი ყველა იდეა,
ჩასახულია უსახელოდ გადაგებულ წინაპრისაგან.
ამ იდეის არსი ისაა,
რომ ადამიანს შეუძლია მხოლოდ თავის იმიტირება.
არაფერში, რაშიც კი მას გადავაწყდებით,

ის რაღაცა არ ურევია,
და მაინც კი, როცა იგი სულელია და როცა ბრძენი,
ცვალებადობაა ყველაზე მეტი ერთგულება ამ იდეისა.
სიბრძნე ის არის, რაც უკვე ამოკვეთილი
და რაც უკვე დროით იშლება,
რადგან რაც იცი, შენი არ არის,
ვიდრე ყველასი არ შეიქმნება.
და ყველაზე ნამდვილი ფლობა თავის თავისა
ცვალებადობაა.

156.
მე მივცურავდი მღვრიე წყლებში
განა მხარულით და განა ნებით,
უბრალოდ სხვა რამ იქ არ იყო,
მარტოდენ წყალი,
წყალი და წყალი...
მე, მხვნელ-მთესველთა ნაშიერი,
მიწის გარდა არაფერი რომ არ მცნობია,
ფეხის თითებით დავეძებდი ნახსოვარ მიწას...

157.
სიბნელეში უფრო უკეთ იკვეთება ღამეც და მკვიდრიც.

158.
ნუ გადასხვასაგნდები.
განა შენ ხედ იქცევი ხოლმე, როცა ხეს უმზერ?
აკი ხის გვერდით უფრო ნამდვილი ხარ...
ადამიანებში კი იკარგები.
იდაყვისას დაუთმობ და... შენ უკვე გელაპარაკებიან.

159.
თუ მიუდგები ცხოვრებას, დაბადებ გულისგატეხვას,
თუ მიუდგები ქალს, დაბადებ ძველ, დაბინდულ სარკეს,
თუ მიუდგები შენს თავს, დაბადებ... ტყუპს,
აი, ასეთ ცალ-ცალ ფეხსაცმელს.

160.
სიმშვიდის პოვნა რომ შესაძლებელი ყოფილიყო,
მე მას ვიპოვნიდი,
მაგრამ ცხოვრება
ბავშვის ლურსმნულივით ამოუცნობია.

161.
დილაა, მინდა ბედნიერება!

აი, ყველაზე დამღუპველი
კითხვა-სურვილი.
განა ყოფნაარყოფნის კითხვა, ფრთებდალაგებული,
ეს ციმციმი ნიავისა, ნამშეუმშრალ დილის რტოებზე,
ბარტყის ბუმბულზე, ველის ყვავილზე,
ეს საყელოს გამხსნელი და ხელით შემრხევი,
ეს მბიძგებელ-გამღვიძებელი... და რისთვის, რისკენ?..

162.
როდესაც ამყუდროებ შენს სხეულს ლოგინში,
რომელიც თავის მხრივ
თავშესაფარი გგონია სულისა,
როდესაც იხურავ, ტანს ირგებ, ტრიალებ
და ხვდები, როგორ აწევს შენს სულს ეგ სხეული,
რომელსაც გარედან ქვეყანა იძულებს
და შიგნით სული...
ძალიან მონა და ძალიან თავისუფალი _
როგორც ჰგვანან ისინი ერთმანეთს...
ძაღლი, რომელიც გადაურჩა ქუჩის სიანცეს,
ყველაზე მეტ სიყვარულს იწვევს
და თანაგრძნობას...
და დალოცვილი ბოლო მოძრაობა
და ბალიში უკვე შენია...
მოეწყობი, თითქოს საუკუნო განსვენებისთვის,
მაშინ როცა ყველა საგანი შენს გარშემო,
გრძნობს, რომ მხოლოდ წუთით ისვენებ...
ჩვენ, ერთმანეთის მაშინებლები
და მარადის ერთგულები... ამ შიშის გამო.

163.
ეტყობა ასეთი დაცემაა საჭირო,
რომ განთავისუფლდე
და ადამიანების ტყუილების ნაცვლად
ისმინო ბუნების...
ო, როგორ მყლაპავები არიან კვირტები...
ისინი მე შემახსენებენ საშინელ ზამთარს
და ჩემს ცხოვრებას.

164.
ქვა, რომლითაც ველური თავის ურთიერთობებს
ამჟღავნებდა
და სახელებს შეარქმევდა თავის სურვილებს,
ჩვენ გვაქვს ყელში დღეს გაჩხერილი
და სუნთქვასთან ერთად ვატარებთ.
ამიტომაც, სჯობს იყო წესიერი, ვიდრე ზნეობრივი.

165.
პირველსაწყისი მოდელები არის ისეთი,
სტიქიები, ვთქვათ, ქარი, წვიმა,
მიწისძვრა, ყინვა, ზამთარები, გაზაფხულები,
რომ ქვეყნად მშვიდობა არასოდეს ჩამოვარდება...
ისინი ხომ მერეც, როცა გაქრებიან,
კვლავ აგრძელებენ თავიანთ ყოფნას
გულებში, რომლებიც ჩვენზეა მტოვარი
და ტვინში, რომელიც უსარგებლოდ აგრეთვე ჩვენია.

166.
ის ხელი, სალმად რომ აფრიალდა, მე არ მეკუთვნის,
ჩემია ქარი, რომელსაც უნდა თვალი დავუხუჭო...
ქალბატონ ენდო-მენდოს აივანზე
მტრედები სვავებივით დამსხდარან...
ბოზი მტრედები.. ნოეს შემდეგ პენსიით ცხოვრობენ:
მოყვასის სიყვარული საშუალოს ხვედრია...
რას მოვითხოვ მე ჩემი ფეხებისგან?
რომ იდგნენ მზადყოფნაში სახედრებივით.
ჩემი თავისგან?
დღესვე!
დაუმთავრებელს დააკვდეს შემოქმედი თუ დამთავრებულს,
რა უმჯობეა?
რას გვასწავლის ველურობაში გაზრდილი ვარდი?
იმას, რომ სილამაზეც კი არაფერია, თუ არ შეასწორე.

167.
სილამაზეს არ უყვარს ფეხის უკან წადგმა,
გენიოსები დედის საშოში არ იღუპებიან.

168.
მოვა ხოლმე დიდი, შავი კლდე-ყინული,
შემოცურდება და ტანად მექცევა
და მე, თხელი, მოცახცახე აბრეშუმის წყლის საფანელით
აღვნიშნავ მხოლოდ მის პირქუშ კონტურებს...
ეს არის დარდი, დარდის გარეპირი,
რომელსაც შეუძლია აგრეთვე იციმციმოს.
და რჩება ერთი:
თავი დაუთმო გარემოებებს, მიენდო, მინებდე,
ისინი რომ არა, შენი ცხოვრება ცარიელი იქნებოდა.
ეს აზრი ღამის აზრი არის, ძილის გასაფრთხობი,
როდესაც მთლიანად ჩემი მატერიალური "მე",
მთლიანად ჩემი ცხოველურ არსება,
აუღრინდება ჩემს სულს და მაშინ...
ვცდილობ გავიაზრო,

როგორ უნდა ვიცხოვრო,
ადამიანების მიხედვით თუ ჩემი თავის მიხედვით...

169.
თითქოსდა დაგვიანებულმა მაყურებელმა,
ფარდა გადასწიე და დაინახე:
წვიმა!
და თუმცა მხოლოდ მის ნაწილს შეესწარი,
შენ იცი დასაწყისების შესახებ.

170.
შენს გარშემო ტრიალებს სამყარო
და კაცს კი არ აგონდები,
რადგანაც აქ
ყველასა აქვს ყველაფრის უფლება,
იმის გარდა, ვისაც შეუძლია.
შენ დაგიტოვეს ერთადერთი მხოლოდ უფლება:
საღი სიბნელე, საღი ტანჯვა, საღი სიკვდილი...

171.
სიტუაციები თვითონ მოდიან,
უხერხულია მათი დასწრება...
გენიალურობაზე მაღლა ჩვეულებრივობა იდგა ყოველთვის,
თავისი ღობის დარაჯობა პატიოსნების მწარე ხვედრია...
თუ შექსპირის მთელი ნაწერები არის ვილაც ანონიმისა,
ეს ყველა ანონიმის ღირსება როდია.
თუ შექსპირი იყო თერძი ანდა მევახშე,
ესეც არ არის იმათ ღირსება
ვინც მევახშე, ანდა თერძია.
მენანება შექსპირი ასეთი რამეებისთვის..
შექსპირი, რომელიც სამჯერ კინაღამ დაახრჩო
საკუთარით აღფროვანების ნერწყვმა.

172.
ძველად მოქმედი პირები იყვნენ სულის ნიღბები,
შენ გევალებოდა შენი სული სახეზე გხატვოდა,
რა თქმა უნდა, დაფნის ჭალაც და ქვის გროვაც
სუყველგან იყო.
დღეს კი...
რა სიხალისეა და რა სიამოვნება,
და კიდევ რა შურისძიება...
კალენდრის ფურცლის ჩამოხევა.
ცოტა ადრეც კი, ვიდრე ახალი დღე დაიწყებოდეს
და შემოგხედავდეს ძველი ფანჯრებიდან.

173.
უნდა გეგონოს, რომ ზოგიერთი რამ ნამდვილად იცი.
როგორც გიჟს ვერ ამოაცლი თავიდან სიგიჟეს.

174.
მე ვიცი, რომ ქენჯნები ისეთი ადამიანების სპორტია,
რომლებიც ვერასოდეს ეთხოვებიან ქენჯნის მიზეზებს.

175.
მე მინდა ცხოვრება უენო არსებებთან,
რომელთა სიტყვაც ისე ღრმადაა დაფლული მიწაში,
რომ როდესაც კვირტებად ამეტყველდებიან,
შენსკენ კი არ უჭირავთ ბაგე,
არამედ ღმერთისკენ.
შენ კი მხოლოდ ის შეგიძლია,
რომ უამრავ ავადმყოფობებიდან
(რადგანაც ყველა ავადმყოფობიდან
შენ დასძვრები ხოლმე მარტოდენ ცოცხალი)
მხოლოდ ერთი, უკანასკნელი, მიუღძვნა ღმერთს...

176.
ახლა რაც გინდა ისა ჰქმენ, ღმერთო,
გინდ მომკალი და გინდ დამარჩინე,
მე უკვე მოვრჩი ჩემს სიყვარულს და ჩემს სურვილებს.

177.
მზე რომ ჩავიდა, გზას გავუდექი.
წუნარი არის ღამე ქალაქში,
ჩუმად იზომებს დაღლილ-დაქანცულთ,
რა დააკლდათ, რა მოემატათ
ან რა დააკლდათ იმ მომატებით...
მე კი ვტრიალებ, მე არ ვისვენებ,
და როგორც მთვარე მერიდიანებს,
ვიცვლი საწოლებს, ვბრუნავ ლოგინში
და განთიადის ხმას ველოდები...
რაღა ღამით გვეწვევა ხოლმე
ეს სულის ქენჯნა,
კატის თათები რომა აქვს და ყორნის ნისკარტი...
ცხოვრება კი ლოგინივითაა,
ვინ საპყარივითაა მასზე მიჯაჭვული,
ვინ თავისუფლად გაშლის და ალაგებს
და კიდევ, სად არის ისეთი რამ,
გაზაფხულივით, ყველასთვის რომ იქცევა ხოლმე.

178.
ბავშვს რომ დედის ძუძუს ჩრდილი დაეცემა.

179.
ჩემია სახე, გული მძორისა...

180.
რამდენი ხანია აქა ვარ და აქ არ ვყოფილვარ,
რამდენ რამეს შევტოტებივარ,
რამდენ რამეზე დამრჩა ფრჩხილები...
ეს ცხოვრება და ეს ყველაფერი ხომ მე არა ვარ
და ის არსებაც ხომ არა ვარ,
ვისაც შეუძლია მიუხვიოს, მოუხვიოს,
გაძვრეს გამოძვრეს,
მე ხომ ისა ვარ, ვინც პირიქით, იმას ცდილობს
რომ ყველაფერს შეეზარდოს და დაუზავდეს.

181.
ჩვენ ვკითხულობთ ჩვენს ცხოვრებას, ჩვენს წიგნს
ვკითხულობთ.
მივალთ, მივყვებით, რომელიც არ დაგვიწერია
და ვკრთებით, ღმერთო, ამოდენა კატასტროფები!
და მივყვებით და ვკითხულობთ კვლავ ჩვენს ცხოვრებას,
რომელიც ჩვენ არასოდეს დაგვიწერია,
და რაღაცა დანიშნულ გზას ვაბიჯებთ მხოლოდ...
მაშ დაე, იმან დაასრულოს ჩვენში ყოველი,
რაკი ყველაფერი წინასწარვე დაუწერია.

182.
ჩვენ ამოსავლად გვაქვს აღებული
სიბერე და არა დაბადება,
მოხუცი და არა ბავშვი.
ბავშვი გამოტოვებს
თავის ზრდაში და
ფრენაში სამყაროს,
მოხუცი კი მას იზეპირებს...
მაშ წამიყვანე, ღმერთო, შენთან უღირსი მონა,
ცხოვრებისთვის ვისაც თავი არ ემეტება
და შენთვის კი ეცოტავება.

183.
არ მიყვარს მოუტყუებადი ადამიანები...
როდესაც მთვარე ფოთლებიდან დაბლა იყურება,
ტირილი მინდება...

184.
ო, ღამის სარკევ, შენ მოგაქვს ზიზლი,
სიმახინჯე, ჩემი ცხოვრება.
დღისით მენახვე, მომაშორე ეს ღამის სარკე.

185.
ამ ცხოვრებას უნდა დიდი პატარა ჭკუა...

186.
ყველა ოქრო მიწისკენ მიილტვის.

187.
როგორ უნდა დაიხატოს ხე,
რომ ის ხეც იყოს და ხეობის მატარებელიც...
როგორ უნდა დაიხატოს შენი თავი?
ო, თავო ჩემო მერმისისავ, თავო წარსულის...

188.
ადამიანს, რომელსაც თავისი თავის
ორად გაყოფაც კი არ შეუძლია,
რა უნდა მოსთხოვო...

189.
როგორც თივადადებულ ურმიდან ცვარი,
ერთი ნამცეციც ცოდვისა არ გადმოგვვარდება,
ისე შევალთ საიქიოში .

190.
მე მინდა ვიდგე შიშველი და ყველაფრისთვის მპასუხებელი:
არც ჯვარი გულზე და არც სახელი,
რადგანაც მახსოვს:
ყველაზე ლამაზს, მე მეწერა მარტოს მეთია.

191.
ნუ აღვიძებ!.. მძინარენი კი არ არიან,
არამედ მკვდრები.

192.
რომ ელოდო ნამდვილ სიხარულს-
ამას კი არა, ზედაპირს რომ ქაფივით მოსდევს,
ყოველდღიურ გადარჩენას რომ ზეიმობენ..
იმას, რომელსაც ჯერ სახელი არც კი გვიქვიან.

193
ეს სცენა, სცენა ცხოვრებისა... წაქცევის მნდომი...
და მე სცენაზე.
ისე რომ არც აზრი ვიცი და არც დასასრული
წარმოდგენისა, უთვალავი კამერის წინაშე
უთვალავებს ვეთამაშები.
და მინდა მითხრან თუ რა მელის
თუ რა იქნება,
მაგრამ მაბრალებენ სულმოკლეობას...
მინდა მითხრან დასასრულის შესახებ რამე,
მაგრამ მეუბნებიან, საინტერესო აღარ იქნებაო...
განა შეიძლება გაურკვევლისთვის ამდენი ლოდინი
და ცხოვრება დროის გასაყვანად?

194.
ღმერთო, რა სამძიმო რამე არის
სიკვდილის წინ სიცოცხლის ნარჩენი,
ფარდა იგვიანებს... მზეც კი ერთი წუთით მეტი
მოსაწყენი არის.
სიცოცხლის ნარჩენი, ყელში გაჩხერილი,
რომელიც გაიძულებს იხრიალო, იკრუნჩხო,
სიცოცხლისთვის სამყოფი რომ არ არის
და სიკვდილისთვის სასაცილოა.

195.
რა შორი რამე არის ცხოვრება,
მიჰყვები და ვერ ეწევი,
იყურები და ვერა ხედავ...
ასე იციან დიდმა სინათლემ და დიდმა სიბნელემ.

196.
თუ ჩემში არსებობს დიადი სამყაროს რაიმე ნიშანი,
მაშინ არც გაქცევა და გარიდებაა
ჩემი მოგონილი
და გამოდის, რომ
სამყაროსაც ვილაცეები ჰყავს დაკარგული,
რომლებსაც ეძებს, მაგრამ ვეღარ ცნობს,
რადგან ყველა გამოვიცვალეთ...
მე იმდენად გამოვიცვალე,
რომ სიკვდილიც კი ვეღარაფრით შემიცვლის სახეს,
რადგანაც მუდამ წარმოსახვა მყავდა მეგზურად

და, აი ჩემი დარიგება
ახალგაზრდას,
ან ჩემი როლის შემსრულებელს
ასი წლის შემდეგ:

ენდე შენს წარმოსახვას,
სინამდვილე თვითონ დაემსგავსება.

197.
როგორა ვართ გაბმულ-გახლართულ-დაბორკილები.
ბოლო შემოხედვა უცნობისა, ბოლო ხლართია...
რითი შეიძლება თავის დაღწევა
სინამდვილის ბორკილებისგან?
ლოთობა ცოდვაა, შენ რომ არაფერ შუაში ხარ.
და შენი ბრალი რომ არაფერია,
თავის მოტყუება.
ხოლო იმის ცდა, რომ რამე შეცვალო
გულუბრყვილობა.
და ვფიქრობ, რა მაკლია:
ძალა, რომელიც ჩემს ხალხში არ არის.

## დასასრული შემდეგ ნომერში






ირაკლი სამსონაძე

# ხმა მიწიდან

თბილისის გარეუბანი. უთოვლო ზამთარი. რახანია უთოვლო. ღრუბლიანი დღეების ამარა დარჩენილი. ახლა მე არ მცივა და ვერც ღრუბლებს ვხედავ, რადგან მეზობლის ლოჯიაში, ფანჯრისგან ზურგშექცევით ვზივარ და შეშის ღუმელს ვეფიცხები, მაგრამ ვიცი, რაც მოსჩანს ფანჯრის მიღმა - მაღალსართულიანი, მოწყენილი კორპუსები და მოღრუბლული დღე. ღუმელში შეშა ტკაცუნობს, ველოდები ფინჯან ყავას. მე და ჩემი ცოლი ხშირად ვართ ამ მეზობლებთან. ისინი ჩვენთვის ახლობელ ადამიანებად იქცნენ და მათთან სითბოა. ჯორკოზე ვზივარ. არ მცივა, თუმცა ხელები მაინც ახლოს მიმაქვს ღუმელთან. მივუახლოვებ ხოლმე, მერე, როცა დამეწვება, გამოვარიდებ, მივიფშვნეტ და ისევ ღუმელთან მივიტან. ჩემს ცოლს ფინჯანი გამოაქვს სამზარეულოდან. ცხელი ყავა და ცხელი ღუმელი. გარეთ უთოვლო ზამთრის მოღრუბლული დღე. ჩემი ცოლი მეზობლის ქალთან მეგობრობს. მე ამ ქალის ქმართან ვმეგობრობ. კაცი ახლა შინ არ არის, თუმცა მე მაინც ამ ოჯახის სტუმარი ვარ, რადგან მეზობელი ქალი ყავაზე მკითხაობს. მკითხაობს კი არა, უბრალოდ ჭიქაში იხედება და რაც მთავარია, მუდამ სასიკეთო ფიგურებს ხედავს - დათვებს. დათვი ფულია. ძაღლებს - ერთგული მეგობარი. სპილოებს - ისიც ფულია. დოლარებსაც ხედავს. ლარებს არა, პირდაპირ დოლარებს. კიდევ რას ხედავს? არწივებს - რაღაც კარგს ნიშნავს. გზებს. ჰო. შორეულ გზებს, რომელიც ახალ, საინტერესო ცვლილებებს მოასწავებს ჩემთვის. გარდა იმისა, რომ ამ მეზობლებთან ვახლობლობთ და მათთან სითბოა, მე ჩემთვის სასიკეთო წინასწარმეტყველებასაც მივეჩვიე. თუნდ ცრუ წინასწარმეტყველება თქვი, თუნდ სინამდვილისგან მოწყვეტა, მაინც მივეჩვიე და გარკვეულწილად დამოკიდებულიც გავხდი მასზე. შინიდან გასვლის წინ რიტუალივით დავაწესე ფინჯანი ყავის დალევა, შემდეგ კი მკითხაობა. მართალია, შინიდან საკმაოდ იშვიათად გავდივარ, რადგან ჩემი საქმე ისტორიების თხზვაა, მაგრამ სანამ ქუჩას მივცემდე თავს, აუცილებლად ავიყოლიებ მეუღლეს, და მეზობელ ქალს ვესტუმრები, რათა სასიკეთო და იმედისმომცემი სიტყვა გავიგო. დღეს კი სწორედ ასეთი დღეა. დღეს მე ზამთრის მოსაწყენ წიაღში უნდა გავაბიჯო. ამიტომაც ვართ ახლა აქ მე და ჩემი ცოლი. ვიცი, სისულელეა ეს ყველაფერი. ამას პირდაპირ მეუბნება მეზობელი ქალიც, მაგრამ ჩემზე დამთრგუნველად მოქმედებს ზამთარი, რომელიც უთოვლო, ღრუბლიან დღეებად მიბორძიკობს და ამიტომ მეც მოვიგონე ჩემთვის საშველი, გამოსავალი, თამაში თუ თავდაცვის იარაღი. ზამთარს ხაკისფერქურთუკიანი მოხუცის რიტმი აქვს, რომელიც ტაჩკაში შებმული ვირით დაატარებს შეშას. ვერ ააჩქარებ. არ აჩქარდება. ივლის ასე, ნავთის ჯიხურებსა და მაღალსართულიან, გამჭვარტლულ კორპუსებს შორის. ნავთის სუნი. ყველაფერს ნავთის სუნი ასდის ზამთარში - ხელებს, ტანისამოსს, სახეებს, საუბრებს. დღეებსა და ღამეებს. მთელ უბანს, ქალაქს. იქნებ სამყაროსაც, რადგან ჩემი სამყარო ეს გარეუბანია. მე ვეღარ ვთხზავ ისტორიებს, იმიტომ რომ ზამთარმა შემისრუტა და მომნუსხა. თუმცა, მაინც გამოვძებნე ჩემთვის საშველი - ფინჯანის ფსკერზე გამოსახული დათვები. სპილოები. ძაღლები. არწივები და შორეული გზები, რომელთაც აუცილებლად კეთილი ბოლო აქვთ. მე არ მჯერა მკითხაობისა, მაგრამ შესაძლოა, მჯერა კიდეც, რადგან ყავის სმის დროს ცოტათი ვღელავ. მე მაშფოთებს ის დღე, როდესაც ჩემს ჭიქაში აღარ გამოჩნდებიან ნაცნობი ფიგურები. თუმცა, მეზობელი ქალი მართლა მკითხავი კი არ არის, უბრალოდ, ჩვენი ოჯახის მახლობელი ადამიანია და იმას ხედავს, რისი დანახვაც თავად სურს. მე ეს გამოსავალი მოვძებნე ჩემთვის. სხვამ სხვა მოძებნა. არც მე ვარ სხვისი გასაკითხი და არც ჩემი გასაკითხია ვინმე. ვართ, როგორც ვართ. ყველა ჩვენებურად ვებრძვით ზამთარს. თბილისური ზამთარი - ნესტიანი და ჭინჭყლი. ულვთოდ გაწელილი. ცუდ წინათგრძნობად ატუზული



ცხვირწინ. ყველგან თანმდევი. ზამთარმა სიჯანსაღე დაკარგა, რადგან თოვლი სანატრელი გახდა. უთოვლო ზამთარს ცუდი წინათგრძნობის მოჩერება ეთქმის ვიდრე ზამთარი. ჰო. ცუდი წინათგრძნობის მოჩერება უარყოფითი ემოციები კოლბაში. შენც იქ ხარ. დაპატარავებული. თავადაც გაოცებული შენი სიპატარავითა და ამ თვალუწვდენელი მოღრუბლული დღის უსასრულობით. ამ ამინდს ხედავ. ამ ჰაერს სუნთქავ. აქაურობის მოქუფრული ფერი გედება სახეზე. შენ და გარემოცვა ერთმანეთზე ზემოქმედებთ და საბოლოო ჯამში ერთმანეთს ემსგავსებით. არა, ის გიმსგავსებს, რადგან ის დიდია, თვალუწვდენელი და ყოველდღიური. შენ კი პატარა ხარ, იმდენად პატარა, რომ კოლბაში ეტევი. ვერ გაანგრევ ამ მყიფე და მაგარ მინას. აღარ ფიქრობ ამაზე; შეეგუე კიდეც, რომ აზრი არა აქვს ბრძოლას და შეგუებაც დამთრგუნველად მოქმედებს შენზე. ეს აღარ არის ზამთარი. ზამთარი სხვაა. ზამთარი ლოყებს უნდა გწვავდეს სიჯანსაღით. ახლა კი მხოლოდ ცუდს ელი და ამ შეგრძნებას რომ აერიდო, ამიტომ სვამ სასმელს, ან ამიტომ სვამ ფინჯან ყავას, რომელსაც მერე გადმოატრიალებ და იმის იმედით აიცეტებ გულს, რომ ჭიქის ფსკერზე კვლავ გამოჩნდნენ შენთვის ასე კარგად ნაცნობი დათვები, სპილოები, არწივები, ძაღლები, დოლარები და გზები, რომელთაც კეთილი ბოლო ექნებათ. დღეს მე ქუჩას უნდა მოვედო. თუმცა, სანამ ნაბიჯს გავდგამდე თვალუწვდენელ ზამთარში, იქამდე ღუმელს ვუზივარ, შიშის ტკაცუნი ცოტათი მთენთავს თუ მამშვიდებს. ყავას ვსვამ. იქნებ არც წავიდე. ჰო. იქნებ. თუმცა არა, წავალ, რადგან წინასწარ ვიცი, რომ მეზობელი ქალი აუცილებლად აღმოაჩენს ჩემს ჭიქაში დათვსა თუ სპილოს, და მეც იმის იმედით გავიყოჩაღებ თავს, რომ ჰონორარი იქნება. ჰოდა, წავალ. გადავკვეთ ქუჩას. გავაღწევ ტრასამდე, რომელსაც დიდი ველი ესაზღვრება და სამარშრუტო ტაქსს დაველოდები. დიდი ველი. გუნდ-გუნდად აყრანტალებული ჭილყვავები ველზე. იქით სულ მიწაა. აქეთ ასფალტი. ადრე აქეთაც მიწა იყო და იქითაც. მერე გზები გაიყვანეს. მოარახრახეს ტრაქტორები და ამწეები. ამწეებმა მაღლა აზიდეს დიდრონი ბლოკები და თვალსა და ხელს შუა წამოჩონჩხეს ჩვენი მიკრორაიონი. მიკრორაიონები. კვარტლები. კვარტლები. მიკრორაიონები, ასფალტმიტაცებულ მიწაზე კვარტლებსა და მიკრორაიონებში გაზაფხულობით რგავენ ხეებს. თუ არადა, აშენებენ გარაჟებს. თუ არადა, ხეებსაც რგავენ და გარაჟებსაც აშენებენ. ხეები იზრდებიან. როცა უბანში მაღალი ხეებია, იმ უბანს ახალშენი აღარ ეთქმის. მე მომენატრა კვირტის ნახვა, რადგან ამ უთოვლო ზამთარს ბოლო არ უჩანს. მე ვიცი, პირველ კვირტამდე თუ მივიტანე თავი, მერე არა მიშავს, რადგან გაზაფხული მომეშველება და ეს სულელური მკითხაობაც აღარ დამჭირდება. ეზოში ჩავალ ხოლმე. ხეებს ხელს შევახებ და დაბერილ კვირტს მივაჩერდები. აფეთქებული კვირტი. აფეთქება. რა მოხდა. აფეთქება. ხმა მიწიდან. დაგუბული. მიწისძვრა. არა. დაგუბული. მძიმე. ხმა მიწიდან. ჩემი ცოლი და მეზობელი ქალი ფანჯარასთან. უიმე. უიმე. მეშვიდედან გადმომხტარა. კაცი ქვაფენილზე. უიმე. უიმე. ორივეს ერთნაირად მიუდია ხელი პირზე. უიმე. უიმე. მეშვიდე სართულიდან გადმომხტარა. ასფალტს დაასკდა. ხმა, რომელმაც ფეხის ძირებიდან დამიარა. ახლა აღარ ისმის, მაგრამ ვიხსენებ. ხმა მიწიდან. გატკტვილი. ასფალტი დაბზარა ალბათ. მარტო იქ კი არა, საერთოდ, უბანში. მთელ ქალაქში. სრულიად სამყაროში. ჩემს ტანშიც დაბზარა რაღაცა. თითქოს გაიტკტა. დაბზარა. იქნებ იმიტომ, რომ თიხისგან ვარ შექმნილი. ვინ იცის, მაგრამ დაბზარა კი. ხმა მიწიდან. მძიმედ დაძრული ხმა მიწიდან.

# შვება

ქალი საკმაოდ ხანდაზმულია, მაგრამ ჯერ კიდევ ყოჩაღად უჭირავს თავი. ამ ამბავსაც ღიმილით უყვება შვილთან და რძალთან.

- არა, - ამბობს ქალი, - არასოდეს აღარ უნდა ვიფიქრო ამაზე. ამასწინათ ვიოცნებე, ქუჩაში დოლარების შეკვრას რომ გადავაწყდე რა კარგი იქნება-მეთქი და ლარიანი დავკარგე.

- ადრეც ასე არ დაკარგეთ ფული? - კითხავს ქალს რძალი.

- ჰო, დავკარგე, - ეთანხმება ქალი, - მაშინაც ვიოცნებე და ღმერთმა დამსაჯა.

- მერე, თქვენც ნუღარ ფიქრობთ, - მიუგებს რძალი.

- რომ მეფიქრება, რა ვქნა? - ამბობს ქალი, - ოცნებას სად წაუხვალ, თუ აგეტორღიალა თავისით გაოცნებებს. ის კი არა, ვანაწილებ კიდეც იმ ფულს. მაინც რომ არ მყოფნის ოხერი...

- უი, უი... - იცინის რძალი.

- აბა, აბა... - იცინის ქალი.

ამ ქალის ვაჟიშვილიც იცინის, მაგრამ რაღაცნაირი უგერგილო, გულდამძიმებული სიცილით. ორი დღის წინ ხუთლარიანი მიაწოდა მოხუც დედას, ახლა სამი ლარი უდევს ჯიბეში, ხვალისთვის კი სადილია გასაკეთებელი, ორი კოლოფი სიგარეტი და კბილის პასტაა საყიდელი. თუმცა, იხტიბარს არ გაიტეხს, რადგან კაცია და თავისი გაღეჭილი სიცილი თავადვე აწუხებს.

- დედა, მე მოგცემ ლარიანს, - ეტყვის ქალს.

- არა, შვილო, - შეწუხდა ქალი, - ფული მაქვს, განა არა მაქვს, ისე მოვყევი, ამბად.

ისაუბრებენ ერთხანს. მერე შინ წასასვლელად აიკრიფება ქალი. შორს არ ცხოვრობს; იქვე, მოპირდაპირე კორპუსში. რძალი კარამდე მიაცილებს დედამთილს. დედა-შვილი ლიფტით დაეშვებიან. სადარბაზოდან გამოსვლის შემდეგ შვილი ხელს გადახვევს დედას:

- აბა, მაინც არ გყოფნის არა, ის ფული? - გაიცინებს და თავზე ემბორება.

- არა, არანაირად არ მყოფნის; ვანაწილებ, ვანაწილებ და არ მყოფნის.

- რამდენს პოულობ, რომ არ გყოფნის?

- რა ვიცი, - იცინის ქალი, - ხუთი ათას დოლარს. ათი ათასს. რა ვიცი.

- შენც ცოტა მეტი იპოვნე და გეყოფა, - ამბობს ვაჟი.

- მაგაზე რატომღაც არ მიფიქრია, - ამოხედავს ფიქრგამკრთალი მზერით ქალი, - მაინც რამდენი

ვიპოვნო?

- რამდენიც გინდა; თუნდაც ასი ათასი.

- არაა, - სიტყვას გაწელავს ქალი, - ამდენს რა მაპოვნინებს.

სადარბაზოს მიუახლოვდებიან. წინასწარ მომზადებულ ლარიანს ამოიღებს ჯიბიდან.

- ვითომ მე ვიპოვნე შენი ლარიანი, - ეტყვის დედას და საკოცნელად მიეტანება.

- შენ თავს ვფიცავარ, არ მინდა... - შეკრთება ქალი.

- მაქვს ფული, - დაიჟინებს შვილი.

- მეც მაქვს, შენ თავს ვფიცავარ, მაქვს... - ხელებს გაასავსავებს ქალი.

- ოო, ნერვებს ნუ მიშლი... - გაცხარდება და ლარიანს ჩაუდებს ძველი, გაქექილი პალტოს ჯიბეში.

- კარგი რა, შვილო, მაგიტომ კი არ მივყევი...

- დედა... - ეტყვის ვაჟი, - ნერვებს ნუ მიშლი-მეთქი.

- ეჰ... - დამნაშავე მზერა ამოსცდება ქალს, - აღარ უნდა ვიფიქრო ამაზე. მაინც რომ მეფიქრება...

- მეტი სადარდებელი ღმერთმა არ მოგცეს, - მიუგებს შვილი და ახლა მართლაც აკოცებს უეცრად მოტეხილი, უეცრად დაპატარავებული, საკუთარი დანაშაულის შეგრძნებით გაბავშვებული დედას.

- ეჰ, ეჰ... - იტყვის ქალი და სადარბაზოს კიბეზე შეაბიჯებს.

- ნუ გეშინია, ველოდები რაღაცას... - მიადევნებს სიტყვას.

ქალი გამოხედავს, გაუღიმებს და წავა.

გამოტრიალდება. შინისკენ გამოსწევს. თუმცა, თავისი კორპუსის წინ განლაგებულ გარაჟებთან შეჩერდება და სიგარეტს მოიძიებს. ზამთრის საღამოა. მაღალ კორპუსებს შორის ცის იასამნისფერი ნაგლეჯი მომწყვდეულა, რომელზეც ორიოდე ვარსკვლავი იცრიცება. დგას. სიგარეტს ეწევა. ლარიანი ცხოვრება - ფიქრობს. ლარიანი. ერთლარიანი. გალარებული. გაერთიანებული. დედამისის დამნაშავე მზერა. ოცნება, რომელიც ხუთ თუ ათ ათასს ვერ სცდება. წარმოუდგენელია გასცდეს. ხუთი თუ ათიც წარმოუდგენელია და იმიტომ. ლარიანი. ერთლარიანი. გალარებული. გაერთლარებული. დღიდან დღემდე გაერთლარებული. საკუთარი დანაშაულის შეგრძნებით გაბავშვებული დედა. უეცრად დაპატარავებული. დამნაშავე მზერა ამოსცდა. ერთი ლარი. გაერთლარებული. ლარი ქაღალდის ფულად და ლარი ხურდებით. დახურდავებული. დახურდავებული. მაღალ კორპუსებს შორის. გარაჟებთან. სიგარეტის კვამლი ფილტვებში. სიგარეტის წითლად ღუილი იასამნისფერ ღამეში. მარტო. მაღალ კორპუსებს შორის ჩაკარგული. ფანჯრებიდან შუქი. მისი ფანჯრიდანაც. უცნაურია, რა სითბოს ასხივებს გარედან დანახული შუქი ფანჯრებში. ხვალინდელი დღე. ცივი. გაუგებარი. ცუდის მოლოდინში გათენებული. რატომ, არ იცის რატომ. გარედან მისი ფანჯარაც ისეთივე სითბოს ასხივებს, როგორც სხვა ფანჯრები ასხივებენ. როგორ ახერხებენ ცხოვრებას? ალბათ ისე, როგორც თვითონ ახერხებს. მეტ-ნაკლებად ისე, ჰო. მეტ-ნაკლებად. ლარიანი. ერთლარიანი. გალარებული. გაერთლარიანებული. ლარი ქაღალდის ფულად და ლარი ხურდებით. დახურდავებული. დახურდავებული. დედამისის დამნაშავე მზერა. ამით გულდამძიმებული. მძიმე გული. მძიმეა. მაინც მიაწოდა ლარიანი. ჰო. მიაწოდა. მერე რაღაც იქნება. რა იქნება? არავინ იცის რა იქნება, მაგრამ მაინც იქნება რაღაც. ჰო. იქნება. მაღალ კორპუსებს შორის იასამნისფერი ცა მომწყვდეულა, რომელზეც ორიოდე ვარსკვლავი იცრიცება. ერთი დედაჩემია, მეორე მე ვარო - ფიქრობს. ეცინება. დედამისის გაბავშვება ახლა სითბოდ ელვრება სულში. ჰო, - ფიქრობს, ერთი დედაა, მეორე მე ვარ... შვება. ტკივილში გამოტარებული შვება. თუმცა, შვება მაინც შვებაა. რაღაც იქნება. არ შეიძლება, არ იყოს. გადავიზამთრებთ. გადავიზამთრებთ. ჰო, იმიტომ რომ იმიტომ. სიგარეტი თითებს მოუწვავს. წკიპურტით მოისვრის. ერთხელაც ახედავს კორპუსებს შორის მომწყვდეული ცის ნაგლეჯს. გვერდიგვერდ მიცრეცილი ორი ვარსკლავი სევდას აგრძნობინებს, მაგრამ, როგორღაც, იმ სევდასთან შვებაც მოვა. სხვანაირი შვებაა. ცოტა გულდარდიანი, ცოტა მძიმე, მაგრამ ამით უფრო სათუთიც. ტკივილში გამოტარებული შვება. თუმცა, შვებაც იმისაა, რომ ტკივილშია გამოტარებული. სხვანაირად წარმოუდგენელია. მაგრამ ამაზე არ ფიქრობს. არც არაფერზე არ ფიქრობს, კაცმა რომ თქვას. შვება იგრძნო, სიგარეტი მოისროლა და თავისი სადარბაზოსკენ გაეშურა, ესაა და ეს.

# ზეზო, ეჰ, ზეზო

არც თოვლია. არც წვიმაა. არც ქარია. ადრეული შემოდგომის ნათელი დღე ერთ ადგილას დგას და ძალიან შეუმჩნევლად ყვითლდება. ალექსანდროვის ბაღში მივდივარ. სასიამოვნო შეგრძნებაა, როცა არაფრის ყიდვის სურვილი არა გაქვს, გასაყიდიც არაფერი გაქვს, უბრალოდ მიდიხარ, ადრეული შემოდგომის ნათელ დღეს არაფრით აშფოთებ. ჩემთვის მივდივარ. კი მივდივარ ჩემთვის, მაგრამ ამ დღის ნაწილი ვარ მაინც. მაღალი ხეები. წითელი ხრეში. სკამები. მიწაზე აქა-იქ გაფენილი ფოთლები. დიადი საიდუმლოს შორიდან დაძრული ხმა. იმ ხმის პირველი ანარეკლი გაფენილა ფოთლებად მიწაზე, მშვიდად გაფენილა, რადგან ხმას ჯერ არ მიუღწევია. მერე გაცხადდება. ჯერ კი მშვიდად მოვიდა. ამიტომაც ყველაფერი მშვიდია - მშვიდად დაღლილი მზეც მშვიდია. ფოთლებიც. სკამებიც. ამინდიც. დღეც. მე ამ დღის ნაწილი ვარ და ამიტომ მეც სიმშვიდეს ვგრძნობ. მივდივარ ჩემთვის. არც არაფრის ყიდვის სურვილი არა მაქვს, არც გასაყიდი მაქვს არაფერი. შემიძლია სკამზე ჩამოვჯდე, საზურგეს მივეყრდნო და ასე ვუცქირო ამვლელ-ჩამვლელს, შეყვარებულთა ყრუ განმარტოებას და მზის უშფოთველ ლაქებს ალექსანდროვის ბაღის შეწითლებულ მიწაზე. შემიძლია, მაგრამ არ მინდა. ასე უფრო ერთ რიტმში ვართ მე და ადრეული შემოდგომის ნათელი დღე. ნელა ვმოძრაობთ. აუჩქარებლად. თითქოს ვდგავართ კიდეც და თანაც ვმოძრაობთ. გარეშე თვა-

ლი, ბუნებრივია, ჩემს მოძრაობას იოლად შენიშნავს, დღისას კი ვერა, რადგან დღე ძალიან დიდია, მე ძალიან პატარა ვარ და ამიტომაც, სწორედ ჩემი მოძრაობაა იოლად შესამჩნევი. სინამდვილეში - მე და დღე ერთ რიტმში ვმოძრაობთ. ეს მანიჭებს სიამოვნებას. მისი ჩუმი ტალღა ვიგრძენი და ტალღას მივყვები. მივდივართ ასე - ერთად და ერთმანეთში. მე ამ დღის ნაწილი ვარ. ეს დღე ჩემშია. ჰოდა, მივდივართ. იქამდე მივდივართ ერთად, სანამ სამანქანო გზას მივაღწევდე. ჩემს სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება, მაგრამ მაინც ვუჩქარებ ნაბიჯს. სამანქანო გზა საფრთხეს ნიშნავს, ხიფათია თითქოს. გავცდი ხიფათს. ისევ შევანელე სვლა. არც თოვლია, არც წვიმაა. არც ქარია. სად უნდა მეჩქარებოდეს. არა. გასაყიდი რომ მქონდეს რამე, ან რაიმეს შეძენის სურვილით რომ ვიყო ალტკინებული, მაშინ სხვა საქმეა. არაფერი მაწუხებს ამჟამად. მივდივარ, ამ დღის რიტმს მივყვები. ადრე სკამზე ვიჯექი. დიდხანს. დიდხანს. იქამდე ვიჯექი, სანამ ცხადად არ ვიგრძნობდი, რომ დღე ერთ ადგილას იდგა და ძალიან შეუმჩნევლად ყვითლდებოდა. დღის ძლივსშესამჩნევი სვლა გაყვითლებისკენ - ესეც ხომ მოძრაობაა. რაღაცისკენ სვლაა. ნელი. აუჩქარებელი. მართლაც ძლივსშესამჩნევი, მაგრამ მაინც მოძრაობა. ჰოდა, იმას ავყევი. ავყევი და მივდივარ. მხოლოდ თვალთვალი რომ მდომებოდა, ახლაც ალექსანდროვის ბაღის ერთ-ერთ სკამზე ვიჯდებოდი. არა, მე ამ დღის ჩუმ ტალღას ავყევი. სადაც ის მიდის, მეც იქ მივყავარ. მშრალ ხიდზე მივდივარ. წამიყვანა და წავყევი. არაფერი მესაქმება აქ, მაგრამ წამიყვანა. მეც წავყევი. ერთ რიტმში მივდივართ. გაქუცული მაკლერები, ხეებზე აკრული განცხადებები. ის ხეებიც გაქუცული მეჩვენება. რატომ? ალბათ იმიტომ, რომ ხეებიც მაკლერებად ქცეულან. ვმშვიდდები. კარგია, როცა შემოდგომის ნათელ დღეში მიდიხარ და უეცრად თავსდამტყდარ კითხვაზე პასუხს პოულობ. გინდა მცდარი პასუხი იყოს. კითხვაზე მოძებნილი პასუხი სიმშვიდეს განიჭებს. ისიც კარგია, რომ შენს ტვინში გაჩენილი სულელური კითხვით შემოდგომის ამ ლამაზ დღეს არ აკრთობ. გულწრფელად რომ ვთქვა, ხეებზე აკრულ განცხადებებს სულაც ვერ ვამჩნევ, რადგან ალექსანდროვის ბაღის მხრიდან მივუახლოვდი მშრალ ხიდს; მაგრამ როგორც კი მშრალ ხიდზე ფეხი შევდგი, ჩემს ცნობიერებაში ხეები გაჩნდნენ. რა მნიშვნელობა აქვს ხეზე გაკრულ განცხადებას ხედავ, თუ ერთად შეჯგუფული მაკლერები გახსენებენ გაქუცულ ხეებს. რაც მთავარია, კითხვა უპასუხოდ არ დამრჩენია. მოძებნილმა პასუხმა სიმშვიდე მომანიჭა. იმის რწმენაც, რომ ცხოვრებაშიც ასე იოლად და მარტივად გადავწყვეტ გადასაწყვეტს. არ ვიცი. ამაზე ფიქრი შორს წამიყვანს. მე არ მინდა ეს დღე ფიქრით დავამძიმო. მივდივარ. მაკლერები. ადრე მაკლერი საჭირო ადამიანი იყო და თავისი ღირსება ჰქონდა. ახლა, როდესაც ერთი-მეორის მიყოლებით გაიხსნა სამაკლერო ფირმები, სადაც ინფორმაციაც მეტი აქვთ და თანაც კეთილმოწყობილ ოფისში ხვდებიან კლიენტს, ბუნებრივია, ბირჟაზე მდგომი მაკლერი თვალსა და ხელსშუა გაიქუცა. გაქუცულ მაკლერებთან და გაქუცულ ხეებთან ერთად ბირჟაზე საკუთარი ბინის თავადვე გაყიდვის მსურველთა გაქუცული საზოგადოებაცაა შეკრებილი. ისინი იმით გამოირჩევიან მაკლერებისგან, რომ გულისპირზე ქინძისთავით მიმაგრებული ფურცლის ნაგლეჯზე მხოლოდ ერთი მისამართი აქვთ დაწერილი. მაშფოთებს. გულისპირზე ქინძისთავით მიმაგრებულ ფურცელზე დაწერილი ერთი მისამართი მაშფოთებს. თუმცა, უნდა მოვერიო ამ შეგრძნებას. ვერევი კიდეც, რადგან დღეს მე არაფერს ვყიდი, არც არაფერს ვყიდულობ და ალბათ მოვიპოვე იმის უფლება, რომ არაფერი მაშფოთებდეს. ვიარო ასე. ჩემთვის. მშვიდად და აუჩქარებლად ვიარო. რაც მთავარია, დღის რიტმი არ დავკარგო. მის ჩუმ ტალღას მივყვე. მივყვები. მის რიტმში მივდივარ. მშრალი ხიდის ქვემოთ მხატვრები და ხელოვნები თავის ნამუშევრებს ყიდიან. მე თვალმოკვრით ვხედავ მათ, რადგან ხიდზე ხალხია და თუკი მხატვრების ცქერით გავერთე, ვიღაცას დავეჯახები. ეს კი მართლაც მეტისმეტი იქნება. ჰო, მეტისმეტი, რადგან გულის სიღრმეში ვნანობ კიდეც ჩემს არჩევანს. თუმცა, მე არ წამოვსულვარ აქეთ. ტალღას წამოვყევი. იმან წამომიყვანა და მეც მივდივარ. შემიძლია გავჩერდე, ხიდის მოაჯირს დავეყრდნო და ასე დავაკვირდე ხელოსნებსა და მხატვრებს, მაგრამ ისიც ვიცი, რომ არ გავჩერდები. გაყუჩება და გარინდება რომ მდომებოდა, ალექსანდროვის ბაღში ვიქნებოდი ახლაც. ის სხვა მდგომარეობა იყო. ეს სხვა მდგომარეობაა, და ამიტომაც ვერ გავჩერდები. ჰო. ვერ გავჩერდები, რადგან მივდივარ. არც თოვლია. არც წვიმაა. არც ქარია. ადრეული შემოდგომის ნათელი დღე ერთ ადგილას დგას და ძალიან შეუმჩნევლად ყვითლდება. მე მის რიტმს მივყვები. აუჩქარებლად მივდივარ. ჩვენს სინამდვილეში აუჩქარებელი სიარული დიდი იშვიათობაა. ან დგანან. ან სხედან. ან დარბიან. დადიან კიდეც, როგორ არ დადიან, მაგრამ იმ სიარულს ვერც კი დაარქმევ სიარულს, რაღაცნაირად გაუცხოებულები დადიან. მზერაგაფანტულები. მე ზურგსუკანა მაქვს შემოწყობილი ხელები. დინჯი ნაბიჯით მივდივარ. ჩემი მზერა ჯიბის სარკეში დაჭერილი კურდღელივით არ დახტის. ასე მივდივარ. რატომ უნდა დამირბოდეს მზერა, როცა არც ვყიდი არაფერს და არც არაფრის ყიდვის სურვილი არ მტანჯავს. თანაც შესანიშნავი ამინდია. არც თოვს. არც წვიმს. არც ქარია. მართალია, ერთსახედ მდგომმა გაქუცულმა მაკლერებმა და განცხადებააკრულმა ხეებმა ცოტათი დამამძიმეს, მაგრამ მე მოვერიე ამას და ახლა უფრო თავდაჯერებული მივდივარ. რითი აკრავენ ხეებზე განცხადებებს? ჭიკარტით. ჰო. ჭიკარტი. ჭიკარტი გაჭიკარტებულა, საჭიკარტეში ჩაჭიკარტებულა. საჭიკარტე. სკოლა. ბათქაშშელახულ კედელზე ჭიკარტებით მიკრული მენდელეევის სისტემა. ჭიკარტი და სკოლა განუყოფელია. ჭიკარტი მშრალი ხიდისთვისაც განუყოფელია. საკუთარი ბინის თავადვე გაყიდვის მსურველები ჭიკარტმომარაგებულები მიდიან ბირჟაზე. დგანან. დგანან. ნაძვებივით დიდხანს დგანან. მერე, ჭიკარტით მიაკრავენ თავისი ბინის მისამართს ხეზე და მიდიან. მაშფოთებს. ხეზე ჭიკარტით მიკრული საკუთარი ბინის მისამართი მაშფოთებს. ალბათ ამიტომაც გაიქუცნენ ხეები, რადგან ჭიკარტით მიკრული განცხადება მხოლოდ განცხადება ხომ არ არის. უამრავი ისტორიებია. ამბები. დაძაბული სახეები. თეთრად გათენებული ღამეები. იმედი. სასოწარკვეთა. ბავშვის ფიქრი. არა, არ მინდა, ნათელი დღეა. მე მივდივარ. ეს დღე ფიქრისთვის არ განმაწყობს. არა. იქნებ განმაწყობს კიდეც ფიქრისთვის, მაგრამ ისეთი ფიქრისთვის, სიმძიმეს რომ არ ამკიდებს ტვირთად. არ შეიძლება

ეს დღე და ტვირთი. მშვიდი დღეა. ნათელი. ერთ ადგილას დგას და ძალიან შეუმჩნევლად ყვითლდება. არც თოვლია. არც წვიმაა. არც ქარია. ძალიან შემჩნევლად ყვითლდება. დღე. ყვითლდება. ძალიან შეუმჩნევლად. მე მივდივარ. ნელა, აუჩქარებლად მივდივარ. აუჩქარებლობაში - აუჩქარებელი. სინელთბილეში - ნელთბილი. მშვიდად დაღლილი მზის უშფოთველ გაფენაში - უშფოთველი. მივდივარ. მერე ვხედავ. მოხუცი ქალი. შინიდან წამოღებულ ჯორკოზე ზის. თმათეთრი. გამხდარი. მხრით ხეს ეყრდნობა. დაღლილი. ჰო, პლასტიკა - დაღლილი. ხეს მინდობილი. მის წინ, მიწაზევე, თავშალია გაშლილი. თავშალზე წიგნები. იქნებ მოპირდაპირე მხარეს გადავიდე? არა. უფრო შემაწუხებს. მივდივარ, ვუახლოვდები. მივდივარ. ვაჩერდები. ძველი წიგნები. მათ გამოქექილ სიგრილეში უფრო საგრძნობია სული. ძირითადად საბავშვო ლიტერატურა - სამი მუშკეტერი. ქართული ხალხური ზღაპრები. ჩეხური ზღაპრები ქართულ ენაზე. სახურავის ბინადარი კარლსონი და პეპი - გრძელი წინდა ერთ წიგნად. ლურსმანა, მაუგლი. ბროშურა - ქართული ფუტკარი. ძველისძველი სახელმძღვანელო ფიზიკაში. კიდევ იყო რაღაც წიგნები. ბევრი არა, მაგრამ იყო. სიყვითლედაკრული. სინესტისგან ფურცლებაპრეხილი. აქა-იქ ყდაშემოცლილი. კალმისტრით გახაზულიც. ყველა წიგნს ერთი ფასი ედო. ორმოცდაათი თეთრი. ერთი პური. მე ბროშურა ვიყიდე. თხელი ბროშურა იყო. ქართული ფუტკარი. ვიყიდე და წავედი. წავედი და მივდივარ. საიდან მოვიდა ეს - ეჰ! მოვიდა. ჩამისახლდა. იმ საბავშვო წიგნებს თავისი მკითხველი ჰყავდა და აღარა ჰყავს არა, ბებო?! ჰო, ჰყავდა. აღარა ჰყავს. ეჰ! მოვიდა ეს - ეჰ! მე მივდივარ. ახლა მართლაც ჩემთვის მივდივარ. მე ვარ ამ დღის მიღმა თუ ეს დღე დარჩა ჩემს მიღმა, არ ვიცი. ცუდია, როცა ადრეული შემოდგომის ნათელ დღეში მიდიხარ და მის მიღმა გრძნობ თავს. თუმცა, ხან ისე იქნება, ხანაც ასე. ახლა მართლაც ჩემთვის მივდივარ. ამ დღის მიღმა და ჩემთვის. საიდან მოვიდა ეს - ეჰ! მოვიდა. ჩამისახლდა. მივდივარ. ვფიქრობ. - ეჰ! ბებო, ბებო, ეჰ! ეჰ, ბებო! მივდივარ. ვფიქრობ. მივდივარ - ბებო, ეჰ, ბებო!



არილი



სოფო კირვალიძე

# შემოდგომა და საყვარელი კაცი

დღე გადის და შარი რჩება
სომხური ანდაზა

წინა საღამოს გვიან მომიწია ჩასვლა. მეტრო დაკეტილი დამხვდა, მერე მდინარე და არხი ერთმანეთში ამერია და აღმოვჩნდი ებრაელების უბანში, სადაც არაფერი მესაქმებოდა, მერე ზურგჩანთას ღვედი გაუწყდა და მხარი მეტკინა და გავმწარდი და დავსველდი და საერთოდ, პატარა გოგო ვარ, სულ რაღაც ოცდაათს გადაცილებული და, ამდენი აღარ შემიძლია. დილით ტელეფონმა რომ გამაღვიძა, გამხეცებული გავქანდი შესასვლელში, რატომ, კაცმა არ იცის, იმ სახლში ნამდვილად არავინ დამირეკავდა, ეტყობა, გამოგლეჯას და გადაგდებას ვუპირებდი. აი, მანდ დაიწყო ყველაფერი.

დერეფანში იდგა დედიშობილა ნიკოლიკო, ანუ ნიკოლი, ანუ ნიკი, ანუ ნიკიფორე. ახლავე განვმარტავ: ნიკოლი ფემინისტია, ყოველ შემთხვევაში, თვითონ ასე თვლის, ისე, მე რომ მკითხო, უბრალოდ დარტყმულია, და სახელ ნიკოლს ნიკი ამჯობინა, როგორც ჩანს, უფრო უსქესო და მაგარი ჰგონია; მე, ჩემის მხრივ, ქართველი ვარ, ამიტომ ვამჯობინე კნინობით-ალერსობითი ნიკოლიკო, ხოლო თუ მაჯავრებს - რაც ხშირად ხდება - ნიკიფორე, ვირისთავი მაიმუნი.

ნოემბრის ბოლო იყო, გათბობას კი პრინციპულად არ ვრთავდით, რატომ, კაცმა არ იცის, ამიტომ შემოსასვლელში ციოდა, თან ძალიან.

ნიკოლიკო თავის ჟონგლიორ დაქალს ესაუბრებოდა, უფრო სწორად, ის ქაქანებდა, თან ისეთ ხმაზე, მე გავიგონე, რომ ცუდი სიზმარი ნახა და, საერთოდ, ყველაფერი ცუდია. ვიფიქრე, ამ უბედურს ქურთუკს მივაწვდი-თქო, მაგრამ მერე მივხვდი, თვითონაც მშვენივრად მიწვდებოდა და კვლავ დასაძინებლად წავჩანჩალდი.

ცხადია, ისევ გამაღვიძეს. ამჯერად ნიკიფორეს ჩხუბი ისმოდა: თურმე, ნუ იტყვი, მობილური გამოურთეს, ააა! კაი. სამზარეულოში იჯდა თავის კაცთან ერთად, ის - საკუბოედ გამოწყობილი, ჩემი ოქროს ხელებით დაუთოებულ პერანგში, ეს - ტიტველი.

იცით, რა განსხვავებაა შიშველსა და ტიტველს შორის? შიშველი კარგია, ტიტველი - სირცხვილი. ტიტვლები დატანტალებენ ჭრელ აბანოში, ან საგიჟეთში, ან ცივ სამზარეულოში ყავას სვამენ ორ მთლიანად ჩაცმულ ადამიანთან ერთად. ტიტველს სცივა და გალურჯებულია, ტერფს წვივზე ითბობს და მისი არსებობა სრულიად არაეროტიულია.

უბედური კაცი ყავის ხვრეპას რომ მორჩა - მეტს იქ მაინც ვერაფრით იხეირებდა - და თავის გზაზე წავიდა ხიდების გადასაღებად (დიდე-

ბული საქმეა, ღმერთმანი, განსაკუთრებით მშიერ კუჭზე და თოვლ-ჭყაპში), ნიკოლიკოს ვუთხარი, მორჩა ეროტიკ-შოუ, ჩაიცვი, თორემ მე დამემართა ცისტიტი-თქო. ნიკოლიკომ ამაყად ამიხსნა, რომ ეროტიკა არაფერ შუაშია, რომ მას სულ არ ადარდებს, რა გრძნობებს უღვიძებს მისი სხეული ვიღაც ჭუჭყიან მამრს, და საერთოდ (crescendo), ვისაც არ მოსწონს, შეუძლია წაეთრეს მისი სახლიდან, იმიტომ, რომ ამ სახლის ქირას ის იხდის, და რომ ყველა კაცი დეგენერატია და, როგორც ჩანს, ზოგი ქალიც, იმიტომ, რომ მე (სიცივითა და რისხვით აკანკალებული თითი მომიშვირა) არაფერი მესმის გენდერული ფილოსოფიისა და ნიკის სულის ძახილისა (შიშველი ფეხი სკამს მიარტყა, ეტკინა და დაწყნარდა). მერე ნიკოლიკომ ცოტა წაუტირა, თავის ოთახში გავიდა, ჩაცმული დამიბრუნდა, ჩითებიც კი წამოიცვა ჩემს პატივსაცემად, და მიამბო, რომ მას არ მოსწონს საკუთარი თავი, სძულს (crescendo), და იდიოტმა ფსიქოლოგმა უთხრა, გახდილმა იარეო, მას კი სცივა! და საკუთარი თავი კვლავ სძულს! თან მობილური გამოურთეს!

ერთი საათით ადრე გავედი სახლიდან და ვუყურე, როგორ დარბოდნენ მდინარის პირას ჯანმრთელი კაცები. ნახევარი კოლოფი მოვწიე, მომშივდა, პიტა ჩავცეცხლე და კუჭ და გულდამძიმებული წავედი საშოვარზე, ლიტერატურულ საზოგადოებაში, ჩემი დიდი ინტელექტის, ძირძველი ფესვებისა და ხალასი ნიჭის წარმოსაჩენად.

იმ კარგ მხარეში მგონი სულ ბნელა. მერე უფრო მაგრად დაბნელდა, დაღამდა. ანრისთან შეხვედრაზე დავიგვიანე. გზად ისევ პიტა ვიყიდე, იმიტომ რომ მშიოდა, ჰოდა, როცა ვღეჭავ, საწრაფად სიარული მიჭირს. ანრი ანგელოზი ყოველ საღამოს მიმასპინძლდება, ოღონდ არ მაჭმევს, მასმევს ხოლმე. ბევრს მახარჯავს, წუწურაქი ნამდვილად არ ეთქმის, უბრალოდ ალბათ ჰგონია, რომ მე საერთოდ არ ვჭამ. პირველ-ორ ჯერზე მშიერმა დავლიე და ერთხელაც ისე დავთვერი, ჯერ ქართულ რესტორანში ვიცეკვე აიშა და მერე მდინარის პირას - გოპაკი. ანრის ასეთებზე გული უჩუყდება ხოლმე და უხარია, მაგრამ მე სულ არ მსიამოვნებს.

ანრის ჩემი გაცილებაც მოსწონს, ფეხით, მე - არა. მაგრამ ეგ არაფერი, ოც წუთში სახლთან ვიყავით. სადარბაზოსთან დაგვხვდნენ ნიკოლიკოს ჟონგლიორი დაქალი და მარგო, გამწარებულები რეკავდნენ და ნიკი კარს არ უღებდა. აღელვებულებმა მომახსენეს, რომ ნახევარი საათის წინ შეუთანხმდნენ, მოვალთო, ის კი - აი! კარს არ აღებს. თავი მოიკლა, დაასკვნა ჟონგლიორმა.



კარი გავაღე და ვინაიდან ანრი მაინც ძალიან კარგი კაცია, ჩამომხრჩვალი ნიკოლის მარტო საყურებლად არ გამწირა და თან ცნობისმოყვარეობა კლავდა, სად ვცხოვრობდი და რატომ, ისიც ამოგვყვა. ფხაჭა-გლეჯით ავრბოდით კიბეზე.

ბინის კარი ღია დაგვხვდა და ჟონგლიორმა თქვა, მე ვერ შემოვალო. მარგო მის დასაწყნარებლად დარჩა და შევედით ანრი და მე, მამაცი და თავდადებული.

ნიკიფორე "ნაუშნიკებით" იდგა მაგნიტოფონის წინ და ვინაიდან შნური მოკლე იყო და გასაქანს არ აძლევდა, იქვე იქნევდა გავას. იმ გავაში ისეთი ამოვარტყი, ალბათ არავის ამოურტყამს და ალბათ ისეთი გამხეცებული სახე მქონდა, ვერც კი მეჩხუბა. საცოდავად ამიხსნა, 11-ის მერე მუსიკის ხმამაღლა მოსმენა არ შეიძლება, მე მეცეკვებოდა და კარი ღია დავტოვე, რომ შემოსულიყვნენ, უბრალოდ, სადარბაზოს არსებობა დამავიწყდაო. ძალიან შეწუხდა ნიკოლი.

ჟონგლიორ გოგოს რაღაცა იმედის გაცრუების მსგავსი ეწერა სახეზე. მას საერთოდ თვითმკვლელობა რაღაცად მიაჩნდა, რად, არ ვიცი, - რაღაცად. თვითონ ძალიან მდიდარი იყო, მისი პაპა ებრაელებზე გამდიდრებულა მეორე მსოფლიო ომის დროს, შვეიცარიაში გზავნიდა და მათ ქონებას იტოვებდა. გზავნიდა რა, ისინი მიდიოდნენ და ან უმართლებდათ, ან - არა. როგორც ჩანს, ბოლოსკენ პაპილო სინდისმა შეაწუხა და ცენტრალურ პარკში თავი ჩამოიხრჩო. საყვარელი პაპის კვალდაკვალ თავი მოიკლა ბებიამ - არა მისმა ცოლმა, არამედ მეორე ბებიამ, იმას რაღა ჭირდა, არ ვიცი, მერე - ჟონგლიორის მამამ, მერე - ძმამ. დედამ ვერ მოასწრო, კიბოთი მოკვდა და შავი ლაქა იყო ოჯახის სახეზე. ჟონგლიორი გოგო ღირსეული წინაპრების ხაზის გაგრძელებას ლამობდა, ოღონდ უჭირდა, იმიტომ რომ ახალგაზრდა, ლამაზი, მდიდარი და ნიჭიერი იყო - რამდენი რამ უშლიდა ხელს მის ბედნიერებას!

როცა გავიცანი, მიამბო, რომ მისი იმჟამინდელი საყვარელი კი კარგი ბიჭი იყო, მაგრამ ვერ იყო კარგი ბიჭი. აი, იანი... ო, იანი, თქვენ არ გინახავთ, მე ვნახე და ლუდიც ვსვი ოთხფეხთან: ჭუჭყიანი ფრჩხილები, ზეთიანი თმა, ცხვირს თითებით იხოცავდა და უსაშინლესი აქცენტით მადამ ბოვარიზე მელაპარაკებოდა ის ოთხკლასდამთავრებული. თურმე ამ ქვეადამიანთან სექსის ფასი არაფერი ყოფილა: აი, აქ, ყვებოდა ჟონგლიორი და მკერდს იღელავდა, სულ ნაკაწრები მქონდა! ცოტა ცუდად გავხდი.

ახლა ეს გოგო ჩუმად კრუსუნებდა რაღაცას სამზარეულოში. მარგო ამშვიდებდა. ანრიმ მაცივარში ამაოდ ეძება რამე დასალევი და თურქებთან წავიდა საშოვარზე. ნიკი ბოლთას სცემდა და მოთქვამდა, რომ არის უვარგისი, მახინჯი, უნიჭო და თხლე. თავის გასამართლებლად იძახა, რომ ასეთ ოჯახში გაზრდილი კიდევ კარგადაა, და ყველაფერი დამპალი, ო, დამპალზე დამპალი ბაბუის ბრალია, და რომ ბაბუა ორჯერ კი არ უნდა დაემარხათ, საერთოდ არ უნდა დაემარხათ, უნდა გადაეგდოთ, ძაღლი მიაკვდა სულში.

მე, სულელმა, ვიფიქრე, სიტუაციას განვმუხტავ-თქო და კრეჭით ვიკითხე, რაის ორჯერ დამარხული ბაბუა-თქო. მაგრად მივქარე. ნიკოლიკო იმისთანას აკივლდა, მტერს და ავს, ისევ მუსიკის მოსმენა არ ერჩივნათ საცოდავ მეზობლებს? ჟონგლიორს თვალები გაუბრწყინდა და მაშინ გამახსენდა ის სიტყვა - ნეკროფილი.

ბაბუა, პატიოსანი კათოლიკე, ექიმი და ერის იმედი, უკვე დაოჯახებული ყოფილა, როცა ნიკის ბე-

ბია შეუყვარდა, ასევე მართლმორწმუნე და მაღალზნეობრივი. ამ ამაღლებული სიყვარულის შედეგი ყოფილა ნიკის დედა, რომელსაც კარგად ვიცნობ, შტერია და ეგოისტი. გოგონა გადამალეს უყრუეს პროვინციაში, რათა ექიმის უბიწო სახელი არ შებღალულიყო და ქალსაც არაფერი დაკლებოდა. ძალიან მორწმუნე ყოფილა ეს ქალი, თორემ რა უნდოდა ბავშვის მოშორებას?! არა, მან სიცოცხლე არ წაართვა და ისეთი ყურადღებიანი დედა იყო, რომ შვილს საშობაოდ და სააღდგომოდ საჩუქრებსაც კი უგზავნიდა: დათუნიებს, ბაფთებს, თოჯინებს, კამფეტებს, მოკლედ, ყველაფერს, რაც პატარა გოგოს სჭირდება. მერე მისი შვილის მამა მოკვდა - ვიმეორებ: ძაღლი მიაკვდა სულში, - და ისე დაკრძალეს, როგორც კეთილ კათოლიკეს შეეფერება. დაკრძალეს, დამარხეს, მიწა მიაყარეს. მორჩა? არა. საყვარელმა, რომელიც ასევე ღვთისმოშიში იყო, მღვდელსა და მესაფლავეს ქრთამი მისცა. კაცი ამოთხარეს, საყდარში დაასვენეს, ქალმა დაიტირა და კვლავ დაამარხინა. აი, ასე. ახლა მორჩა.

ამბის ფინალს გაჭირვებული ანრიც შეესწრო, ლუდი ამოიტანა. ჩემი სიხარული, ჯანმრთელი, მაღალი, 25%-იანი სპარსი ანრი! ვიფიქრე, ჯანდაბას, ამაღამ ამას გავყვები, ვიყიდი ტეკილას და იმდენს დავლევთ, აიშა და მსგავსები უკან მომრჩება-თქო. მშვენიერი კატები ჰყავს ანრის, მაცივარში პამიდორიც დევს... მომშივდა.

ანრიმ გოგოების გამხიარულება გადაწყვიტა, ვენაცვალე, არ დამტოვა გასაჭირში. წამო, დისკოტეკაზე წავიდეთო. მარგომ უთხრა, რა დროის დისკოტეკაა, სტრესი მივიღეთ და სიბნელე და სიჩუმე გვჭირდებაო. ჟონგლიორი ანრის უყურებდა, როგორც ტალახიან ღორს, რომელსაც არაფერი ესმის, ნიკოლიკო ამბობდა, რომ სიცოცხლე გამიმწარა და ამას საკუთარ თავს ვერასოდეს აპატიებს, ვერასოდეს! თხლაშ - ლუდის ქილა. ვერასოდეს. ანრი გაღიზიანდა და თავისი მომხიბვლელი ხმით მოახსენა ნიკის, ტრაკი დააყენე, გოგო, თორემ გადაგაგდებო. ნიკის, როგორც გიჟს, არაადეკვატური რეაქცია ჰქონდა: დაწყნარდა. ჟონგლიორი უკვე ინტერესით შეჰყურებდა ჩემს ანგელოზს. მზეო, მზეო ანრი!

გოგოების გაცილების დროს ანრი მოყვა ამბავს, რომ ერთხელ ორ ღარიბ სტუდენტს ერთმანეთი შეუყვარდა. ისინი დაქორწინდნენ, გოგონა გაუჩნდათ, საზღვარი არ ჰქონდა მათ ბედნიერებას. ამ სიხარულის აღსანიშნავად ახალგაზრდა ცოლ-ქმარს მშობლებმა ფული გამოუგზავნეს. გადაწყდა, რომ პატარა გოგოსთვის ეტლი უნდა ეყიდათ. ბავშვი კეთილ მეზობელ ბაბოს დაუტოვეს, ცოლ-ქმარი მოტოციკლეტს მოახტა, გაქროლდა, პირველსავე მოსახვევში დაეტაკა სატვირთო მანქანას და დაიხოცა. პატარა ობოლი გოგო გაიზარდა, დაქალდა, ანრი გაიცნო, შეიყვარა და ერთხელაც დიდად წარმატებული სექსაობის შემდეგ (ჩემს ანგელოზს თვალები აენთო) ისე გააჯავრა საყვარელი, რომ მან ფანჯრიდან გადააგდო, მეოთხე სართულიდან. შენ ხომ იცი ჩემი სახლიო, მომიტრიალდა მე.

- მერე? - იკითხა სიხარულით ხმააკანკალებულმა ჟონგლიორმა. - მოკვდა?

- არა, ცოცხალია. სასამართლოზე თქვა, მე თვითონ გადავხტიო.

- როგორ ყვარებიხარ...

- არა, უბრალოდ იცოდა, რომ მოვკლავდი.

იმ ღამეს მე და ნიკოლიკო ერთ ტახტზე ვიწექით. ნიკი მთელი ღამე ტიროდა და ამბობდა, რომ არაადამიანია. გოგოები წავიდნენ. ანრის ძალიან მოეწონა ჩემი ლოგინი, ტკბილად გამოიძინა და დილით ნიკიც დაპატიჟა ჩვენს ტრადიციულ ვახშამზე. ნიკი არ წამოვა, მე კი წავალ. აბა, რომ დაბნელდება, რა ვაკეთო.

# ივეტა

ამ ქალაქის სახელს ვერ ვიმახსოვრებდი, სანამ არ ამიხსნეს, რომ მლაშე ტბის ქალაქს ნიშნავს. ციდა ქალაქია, ორი საშუალოდ განვითარებული სახელმწიფოს საზღვარზე, ხან ერთ ქვეყანას ეკუთვნოდა, ხან - მეორეს. ერთი ქვეყნის ენა ცოტა მეყურებოდა, მიმაჩნდა, რომ ვლაპარაკობდი კიდეც, და ვინაიდან იმ ქვეყნის შვილები კულტურული ხალხია, არავის უთქვამს, გაჩუმდიო, შენს გაზრდასო. ამ ენაზე ტარდებოდა წირვა-ლოცვა წითელი აგურის დიდ ვიტრაჟებიან ტაძარში, რომელიც მინერალურ წყლებთან ერთად ქალაქის ღირსშესანიშნაობას წარმოადგენდა. ეტყობა, ამ მინერალური წყლების გამო გადაირია ორი სახელმწიფო, თორემ ვის რად უნდა მლაშე ტბის ქალაქი.

ქალაქის ცენტრში მლაშე ტბაა, რომელშიც გედები და ბატები ცურავენ, და როცა კლიმატოთერაპიის პარკში მდებარე მატარებელივით სახლში სადილს მოვრჩებოდი ხოლმე - უსაშინლესი ადგილი იყო - ამ პატივსაცემ საზოგადოებას ვუმასპინძლდებოდი ვიკა-ვიქტორიას გამომცხვარი პურით, თავად პურს ვერ გეახლებოდით, რადგან პირში კბილი არ მქონდა.

საერთოდ უკბილო არა ვარ, უბრალოდ ვმკურნალობდი, კისტა თუ რაღაც უბედურება აღმომაჩნდა და ფლეგმატურმა დანტისტმა (откройте — закройте — сплюньте) ერთი თვე კბილებდაქლიბული მატარა. ცხადია, ვერ ვჭამდი და ჭავძვალტყავდი, და ბრაზისაგან თავი სამართებლით გადავიპარსე. ერთის მხრივ, ურიგო არ იყო, ასეთ ადამიანს ყველაფერი ეპატიება, სულ ქუჩაში რომ მომესაქმებინა, ვინ ამოიღებდა ხმას, მაგრამ მტკიოდა და აღარ მქონდა მაგის ნერვები.

იმხანად ქალაქის ცენტრში ტბისა და ტაძრის გარდა იყო მაღაზია, რომელშიც მთელი იქ ყოფნის განმავლობაში ფეხსაცმლის ყიდვა მინდოდა, მაგრამ ვერაფრით ვიგონებ, რა ფეხსაცმელი იყო ამისთანა ან იმ მაღაზიაში საერთოდ რატომ შევდიოდი; იყო ასევე კინოთეატრი, ერთხელ მოვხვდი, რაღაც უაღრესად სულელური ფილმი ვნახე, რომელიღაცა ემანუელა, და კაფე, დამსვენებლები ბავშვებს ნაყინს აჭმევდნენ ხოლმე. ეგ იყო და ეგ.

დანარჩენი ქალაქი იყო კოხტა სახლები, ანგელოზებყვავილებიანი სასაფლაო, მდინარე, პარკი, მეორე ტბა, სადაც ბანაობაც შეიძლებოდა, და ტყე, ტყის მერე კი იწყებოდა ჭაობები, უზარმაზარი ჭაობი. მწყინს, როგორ არავინ გამომყვა, მარტოს კი მეშინოდასავით ტყეში სიარული, თან ჭაობს არ ვიცნობ, რა ვიცი... მოკლედ, ჭაობის ამბავი დღემდე მწარედ მაქვს ჩარჩენილი - იმ ქალაქში მოხვედრა აღარ მიწერია და საერთოდ, რაღა მეჭაობება, არადა, აფსუსია, მენახა.

ზაფხულში ტყე ჩემი კულტურული ყოფის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა. ძალიან ლამაზი ტყე იყო, იყო რა, ალბათ არის, უბრალოდ, მე აღარაფერ შუაში ვარ. წიწვნარი, რაღაცნაირი გამჭვირვალე. სამი ბილიკი იყო ველოსიპედისტებისთვის - 5, 10 და 25-კილომეტრიანი, ერთ-ერთი მდინარის პირსაც მიუყვებოდა, იმ მდინარეში არეკლილი ცისარტყელაც მაქვს ნანახი. წვიმამ მომისწრო, დასცხო და აღარ მორჩა, სრულიად გავილუმპე, ახლა გამახსენდა, რეფლექტორზე დამწვარი სვიტრი მეცვა გაგანია ზაფხულში, მაინც რა დამპალი ჰავა იყო... გამაგიჟა იმ წვიმამ, ერთი საათი მიკაკუნა თავზე, ნელა მივდიოდი, ველოსიპედი არ ვარგოდა, როგორც ივეტამ უწოდა, "Говно без тормозов".

ესეც ივეტა. გმირი. მლაშე ტბის ქალაქში რომ ჩავედი, მეორე დღეს დამადგა თავზე. ისიც ჩემსავით ნაადრევად გაჭაღარავებული იყო და გადახოტრილი. რაღაც იდიოტური შარვალი ეცვა, ნაწლავივით ვიწრო. ივეტასაც უჭირდა პარკში ციყვებთან ცხოვრება და საღამოს მოციონები. მოკლედ, ვიპოვნეთ ერთმანეთი. თუმცა ყველაფერში მაინც არ ამყვა: სძულდა ველოსიპედი, აბანოში პრინციპულად არ დადიოდა და არც ტბა უყვარდა დიდად, ყარსო. მართალიც იყო.

სამაგიეროდ, აღმოაჩინა ბაღის საფორტეპიანო კონცერტები. კარგი იყო. მშვენიერი მუსიკოსები უკრავდნენ, საკვირაოდ გამოპრანჭული ბებოები ნაზად გვიღიმოდნენ, ხიდან ვაშლები ცვიოდა. კარგი იყო. უბრალოდ, აგვისტოში გაწვიმდა და მას მერე სულ წვიმდა, სულ, მზე დალპა და ოთახში სოკო ამოვიდა. ტყე, კონცერტები და ტბა დავივიწყე, დამრჩა აბანო და ივეტა.

ივეტას წესით ორი შვილი ჰყავდა და უაღრესად სასიამოვნო ქმარი, მაგრამ ისინი სხვა ქვეყანაში ცხოვრობდნენ და მხოლოდ ტელეფონით მეგობრობდნენ. არა, გაყრილები და ნაჩხუბრები არ ყოფილან, უბრალოდ ასე იყო, კაცმა არ იცის, რატომ. "ჩემი საწყალი ქმარი, რა, გოგო..." ასე იწყებდა ხოლმე ოჯახური ისტორიების მოყოლას. სევდიანი ამბები იყო, ცუდი კი არაფერი ხდებოდა, მაგრამ კარგისაც რა მოგახსენოთ. მასთან შედარებით მე ვარდის ბუჩქში ვიჯექი, არავის დარდი არ მტანჯავდა და არც უჩემობა უკლავდა ვინმეს გულს. ასე ვისხედით ხოლმე ნესტიან საღამოს მე და ვერმახტის ოფიცრის ასული, ლურჯთვალა ივეტა, ვჭამდით რალფის სამზარეულოდან მოპარულ ბანანებს და ვყვებოდით ამ მთისას და იმ ბარისას, სანამ კლიმატოთერაპიის პარკში ყველა ფოთოლი არ ჩამოცვივდა და ყველა ტურისტმა არ დატოვა მლაშე ტბის ქალაქი.

დაზამთრდა და მეც შესაბამისად გავგიჟდი. აბა, ამდენი მე სად შემიძლია? ზამთარს ათასგვარი უბედურება მოყვა: უფროსს ვეჩხუბე, გაჯავრებული დედაქალაქში წავედი და ყველაფერი ვქენი, რისი გაკეთებაც არ ღირდა, იქ, ცხადია, უკაპიკოდ დავრჩი და კათოლიკური ეკლესიის წინ აგროვებული ფულით ჩამოვაღწიე სახლში, ივეტასთან. მიღებული შხამების გამო ერთი კვირა კიდევ მაკანკალებდა და დღეში სამჯერ მივბობღავდი ხოლმე სველ თოვლში მინერალური წყლების ჩასაცეცხლად. ამ ტანჯვას დიდხანს ვერ გავუძელი, უფროსს შუათითი ვაჩვენე, დავემშვიდობე ივეტას და წამოვედი მლაშე ტბის ქალაქიდან. ალბათ, სამუდამოდ.

ნამდვილად მივიწყებული მქონდა ეს ამბავი, უბრალოდ, გავიგე, რომ ივეტა კვლავ ცოცხალია, ქმარ-შვილი მიუტოვებია, ამჟამად უკვე იდეური მოსაზრებების გამო და, კვლავ გათხოვდა. ეს ამბავი ჩემმა ex-მა მომახსენა, დამირეკა, არ დაეზარა და ფული არ დაენანა. ვენაცვალე. ძალიან გამიხარდა, რომ მომიკითხა. მითხრა, შენი პადრუგა ვითხოვე ცოლად, ივეტა, გახსოვსო? მხსომებია, თან კარგად. ალბათ ივეტასაც ახსოვდა, რაც მაქვს ვაჟკაცის შესახებ მოყოლილი. თავის დროზე ჩინებული რეკომენდაციები მივეცი, მაგრამ იმედი მაქვს, რომ ივეტა მოყოლისაგან მაინც შეიკავებდა თავს. თვითონ არ დამლაპარაკებია, ალბათ მერე ეჩხუბა კიდეც, რას ურეკავდიო. ყოველთვის უაზროდ ეჭვიანი ბრძანდებოდა ჩემი ლამაზმანი. ჩემსავით.

# სიყვარულით ყველაზე საყვარელს

ჩემგან დაიმახსოვრე: კარგი არაფერი ხდება
და აღარც მოხდება.
ლაშა ბ., თბილისი, 1999

... а может такая и есть твоя на картах
нагаданная, кармическая любовь?
მაია კ., ბერლინი, 2000

ამ ხნის ქალებთან მიმართებაში იხმარება ერთობ ნიშანდობლივი სიტყვა - ნაბოზარი. ან ნაბოზვარი. როგორც გერჩიოთ. გარკვეულწილად მართალია: 30 წლის შემდეგ ზნეობრივ სახეზე საუბარი სიბრიყვეა, ჰოდა, ჩემი ერის მამაკაცებიც ბურუსით მოცულ წარსულს თუ გადაწვდებიან ხოლმე.

ოცდაათს გადაცილებულს შეგიძლია თამამად განაცხადო: "Моя жизнь, как хочу, так и эксперимен–тирую". ოცდაათს რომ გადააბიჯებ, ყველაზე მეტი გინდა და შეგიძლია, მაგრამ ალბათობა იმისა, რომ ვინმეს მართლა მოუნდება და შეეძლება შენი ატანა, იმდენად უმნიშვნელოა, რომ ფიქრადაც არ ღირს. ტყუილად ნუ დაიძაბები, საყვარელო.

ჩემი ხნის ქალების მამრებთან ურთიერთობას - გამონაკლისი თითო-ოროლა თუ დარბის სადღაც და ყოფნის იმის ჭკუა, რომ ჩემისთანებთან საქმე არ დაიჭიროს - ხელჩართული ბრძოლის სახე აქვს. სრული უაზრობაა მათთვის მტკიცება იმისა, რომ არაფერი გინდა. რა ფული - იქით უნდა აჭამო და ასვა და სახლში ტაქსით გაუშვა, რომ რამე არ დაემართოს; არც ბინა - ასი კაცი ერთადაა შეყუჟული (მამამ გადაწყვიტა, რომ მაინცდამაინც ოთხოთახიანიდან უნდა გაასვენონ), რძალს ტოქსიკოზი აქვს და სანამ არ ჩაიფსამ, ტუალეტიდან არ გამოაღწევს, ლოჯში - იქაა მაგის ადგილი! - ფსევდოინტელიგენტი ჩეკას ბოზი ბებო ახველებს, ნაპროვინციალარ დედას სძულხარ - რა უნდა ამას ჩემს ვარსკვლავბიჭუნასთან?! ღმერთო ჩემო!

ბიჭო, ვის რად უნდიხარ, შე უხასიათო და უბედურო? მაგრამ დედამ დაგარიგა და ალბათ ნაძველბიჭარმა გონებაჩამორჩენილმა უფროსმა ძმამაც - კი ძნელი წარმოსადგენია, მისი ლექსიკური მარაგი წესით ამდენს ვერ უნდა წვდებოდეს - რომ ქალი, თანაც 30-ს გადაცილებული(!), საშიშია, შეგაჯდება. ჩვენი ბიჭი თანაბარი წარმატებით შეიძლება 25-საც იყოს და 45-საც, მერე რა, მაინც სათუთი არსებაა, ქალი კი, თან 30-ს გადაცილებული! ნაბოზ(ვ)არია, битый და, შესაბამისად, ძალიან საშიში.

ცხადია, არსებობენ არასაშიში ქალებიც. გოგოები. გოგოები არ ტყნაურობენ. გოგოები უბრალოდ იძლევიან, თუ დიდხანს შეეხვეწები და ცოლობას დაპირდები. როგორი გოგოები მოგწონს? მაღალი, გამხდარი და რა ვიცი. მოკლედ, კარგი ოჯახის შვილი გოგოები ცოლად უნდა შეირთო და ამის შემდეგ მდედრობი-

თი სქესის წარმომადგენლები სამ ჯგუფად იყოფიან: ცოლი, დაქალები (ეს არიან მდედრები, რომლებიც სხვადასხვა მიზეზების, ძირითადად სიმახინჯის გამო, არ მოიტყუნებიან) და ქალები, რომელთაც სახმარი ღირებულება არ გააჩნიათ. ეს უკანასკნელები შეიძლება სატანცაოდ წაიყვანო ან შინდისში ხინკალზე დაპატიჟო. რაც მთავარია, მათთან შეგიძლია შენს საშინლად გასაიდუმლოებულ სექსუალურ ფანტაზიებს შეასხა ხორცი - უბანი, ბიჭები! მაგ პირით მერე დედაჩემს უნდა აკოცო?! ეს ქალები ძირითადად ზაფხულში წამოტივტივდებიან ხოლმე.

როცა ცოლებს დასასვენებლად უშვებენ. აქვე, ახლომახლო: წყნეთი, კოჯორი, კიკეთი, მანგლისი. მშვენიერი ადგილებია, სუფთა ჰაერი, ნახევარ საათში თბილისში ხარ (მე ერთ ძაან მაგარ ვადილასაც კი ვიცნობ, 7 წუთში ჩამოვიდა ბაგებში!), სამ დღეში ერთხელ წყალიც მოდის და ყველაფერი. შაბათ-კვირას მამაც ამოვა, საზამთროთი და ძმაკაცებით, დალევს და კდემამოსილად გარუჯულ ცოლს - მაისური და შორტი უნდა ეტყობოდეს, აბა, ბოზი ხომ არაა, რომ სულ გაიხადოს? - შეძლებისდაგვარად მთლიანად მოიხმარს, რომ ემანდ რამე არ შეეშალოს. მსგავსი არაჯანსაღი და, ცხადია, უსაფუძვლო ეჭვებისგან თავის დასაცავად, სასურველია, რომ იმავე კოტეჯში ძმაკაცმა თავისი ნაშიერები და ცოლი აუშვას, ეს ცოლი შენს ცოლს გოიმად მიაჩნია, მაგრამ მერე რა? აბა, რა, პადრუგასთან ერთად ხომ არ გაუშვებ, იმ ნაბოზვართან, მთელ ევრაზიაზე რომა აქვს ტრაკი გადებული?! იმას თბილისში ესტუმრები, სამშაბათს ან ოთხშაბათს, ჯანზე როცა მოხვალ, და რომ არ მოგცემს, კიდევ ერთხელ დარწმუნდები, რომ ნაბოზვარია და მინეტჩიცა, მაგის დედას შევეცი.

მაგრამ კაცი, რომლის შესახებაც გიამბობთ, ამ არაჩვეულებრივ ყოფას ჯერ არ ზიარებია. ნუ იჩქარებ, საყვარელო! ცხადია, ყველაფერი წინაა, საამისოდ ყველა წინაპირობა გაგვაჩნია: გარეგნობასა და მამაკაცურ მონაცემებს წუნს ვერ დაუდებ; პროფესიაც საპატიო და პერსპექტივაში ფულიანი გვაქვს, უბრალოდ, სულ ერთი თვეა, რაც სამსახური დავიწყეთ, ჯერჯერობით სათანადოდ არ გავთახსირდით, ადამიანობა შეგვრჩა და დადებული ფიცის შინაარსი ალკოჰოლსა თუ წამალს არ ჩაურეცხავს; ძმაცა გვყავს, სიმპატიჩნი, განათლებული, წარმატებული, ზრდილობიანად და სათანადო ეჭვითაც კითხულობს: რა გადავცე? არაფერი, გენაცვალე, что я, сам себе враг?

კარგი რამაა კაცობა, განსაკუთრებით, როცა ასეთი ახალგაზრდა ხარ და ჯერ კიდევ გჯერა, გენაცვალე, რომ ყველაფერი კარგადაა და კარგად იქნება. აი, ნახე: ამ ქალისთვის ორი სიტყვაც არ გითქვამს, სახელიც გერევა, და ეგრევე დაგიწვა, თან გითხრა, არაჩვეულებრივი კაცი ხარო. მართალია, მთლად ის არ უგულისხმია, რაც გინდოდა, იროშა რაღაცა, დიდი და თბილიო. შენ ხომ არ იცი, საყვარელო, რომ იმ ქალს წინა ღამე წყალში აქვს გატარებული - ცივი ყოფილა, ჰერკულესო, შენი სამარე! რომ ალიონზე ძლივს გათბა, რომ შენამდე ასი წელი გათავება არ ღირსებია და ახლა კმაყოფილი ლამის ამღერდეს: "დედი, დედი და день победы!"

აბა, მაგას შენ ვინ გეტყვის, საყვარელო.

მერე ეს ქალი კვლავაც გხვდება, შემთხვევით, აბა, ხომ არ დაურეკავდი? ვინაა, რო? მოკლედ, გხვდება და სახლში მიჰყავხარ, ჰოდა, Сделали — покурили. ცხადია, შარვალს არ გაიხდი, ჩაიწევ, შენ ხომ არ აძლევ, ბოლოს და ბოლოს! Сделали — покурили. ეს ქალი საეჭვო ჩანს. თავზე ხელი რატომ გადაგისვა? რამე ხომ არ ელანდება? საშიში ამბავია. ამიტომ სასწრაფოდ უყვები, რომ გოგჩო - ჰა, რა სიტყვაა! - რომ გოგჩო გყავს, ლამაზი და ახალგაზრდა, ჰა, ხომ გამწარდი, რამე არ გეგონოს, შე ნაბოზვარი. ეს ნაბოზვარი ბევრს ბედავს, ნახე, რა თქვა? გაატყანი აქედანო! არ გააბლატავო, знай, баба, место! გინებას აზრი არა აქვს, ნაბოზვარია, ამიტომ ერთ-ორს მოსდებ, დარწმუნებული ხარ - ей не впервой, გადაიტანს, ცხადია შეგრჩება და კვლავაც Сделали — покурили. Сделали — покурили.

იქნებ ასეც გაგრძელებულიყო, უბრალოდ, ზაფხულია და ის ნაბოზვარი შარაზეა გადებული, ფულს აკეთებს რაღაც საეჭვო მოგზაურობებით საეჭვო კაცებთან ერთად - მაგას ხომ არც ქმარი ჰყავს, ვერც კიკეთში ისვენებს და ვერც ვერაფერი, - და კაცმა არ იცის, როდის მიდიმოდის, აბა, ხომ არ დაურეკავ?! სექტემბერში კი გოგოც ჩამოვა შეკვეთილიდან, ზაგარი, ტატუ (სამდღიანი) და რამე, და პრინციპში ცოლის მოყვანის დროცაა. ცოლიც გეყოლება და ყველაფერიც.

ხოლო როცა ცოლი მეორედ იქნება ორსულად - რომ ბავშვი ეგოისტი არ გაიზარდოს - ფანჯარაში შუქს დაინახავ და ნებრეჟნად მიუკაკუნებ იმ ქალს, იმხანად უკვე ბიბლიურ ასაკში მყოფს, და რომ მოგცემს, კიდევ ერთხელ დარწმუნდები, რომ ნაბოზვარია.

არილი



ეროვნული ბიბლიოთეკა



## ჯუანშერ ტიკარაძე

* * *

ჩემო უუფლებო ტკივილო,
შხამიან ღამეში გამომღვიძებელო -
მკვეთრად, ბიძგით, მოულოდნელად,
როცა იღვიძებ და არ იცი, რომ გღვიძავს.
როცა გღვიძავს და არ იცი, სად ხარ,
როცა სიბნელეში ხარ და არ იცი, ცოცხალი ხარ თუ არა,
როცა ცოცხალი ხარ
და გტკივა რაღაც სიბნელეში, ღვიძილში, სიცოცხლეში
და გელანდება სიცარიელე -
სახელო, უდროო და უსხეულო მოლანდებები
და გტკივა, გტკივა სიბნელეში, ღვიძილში, სიცოცხლეში
და გტკივა, გტკივა სიცარიელეში, დუმილში, გარინდებაში...
შენ ხარ ეს, ჩემო უუფლებო ტკივილო,
შენზე ფიქრიც კი ცოდვაა და მე რა მოგიხერხო?
სხვა სახელი დაგარქვა?
ვთქვა: არ მტკივიხარ-მეთქი?
მაგრამ მე ხომ ვიცი, რომ შენ - შენ ხარ.
შენც იცი ჩემზე ყველაფერი.
ამიტომ ვზივარ მერე ჩაბნელებულ სამზარეულოში
და ვეწევი სიგარეტს
და გავიყურები სიცარიელეში დაცლილი, გაოგნებული,
ჩაბნელებული თვალებით.
თვალები სიბნელეში დუმან.
თვალები არაფერს ამბობენ სიცარიელეში.
თვალები არ არიან თვალები სიბნელეში, სიცარიელეში,
სიცარიელეში.
არც მე ვარ მე.
და არის სიგარეტი.
და არის სამზარეულო.
მერე სამზარეულოა მარტო.
და ვდევარ, ვდევარ სკამზე
და გავიყურები სიცარიელეში
და ვირეკლავ სიცარიელეს
და არ ვჩანვარ სიცარიელეში
და არ იცის არავინ დედამიწაზე,
რომ ჩააქრო კაცმა სიგარეტი
და დაცლილი, გაოგნებული, ჩაბნელებული თვალები
გამოუხურა დედამიწას.
ო, ასე კინოში ხდება მხოლოდ:
ზის მარტო ადამიანი
და შეჰყურებს იმას სუყველა...
ან კი რად მინდა თქვენი შემოხედვა?
სიბრალულისთვის?
ჰა-ჰა-ჰა!
როგორ გაიგებს ადამიანი ადამიანის სიმარტოვეს?
როგორ გაიგებს ტკივილს ტკივილი?
თვალი თვალს როგორ დაინახავს სიბნელეში?
თითები იპოვნიან კედლებს
და კედლები იქნება ცივი, ნესტიანი...
და იქნება სამზარეულო.
და იქნება მოწეული სიგარეტი.
და დავლევ მერე მეც ანალგინს
და დავრჩები კიდევ ცოტა ხანს სამზარეულოში.
შენც კი აღარ შემაწუხებ, ტკივილო, ისე ვიქნები დაღლილი.
ვიდები, ვიდები სკამზე
და შემდეგ ფეხაკრეფით შევწვები ლოგინში.
და მოვიკუნტები,
წავიხურავ საბანს თვალებზე,
თვალებს დავუხუჭავ სამყაროს...
და აღარ მომინდება დღის გათენება,
რადგანაც დღეში იქ შენ ხარ.
ასე ვიყო, ასე, ასე, ასე:
მოკუნტული.
თვალდახუჭული.
დავიწყებული.



* * *

სანამ გავქრები - ღამის პეპელა -
სანამ მცხუნვარე ცეცხლს შევეხლები,
რა იქნებოდა წამით მეხილა
ცა - გადახსნილი ღვთიურ შეხებით.
ცის ქვეშ ქალაქი - თეთრი და მშვიდი,
გაბრწყინებული უცხო ნათელით,
წმინდა და სუფთა - თოთო ბავშვივით
და ჯერაც სახელდაუნათლელი.
ო, ღმერთო, როგორ მინდოდა მალე,
სანამ ატყდება ქაჯთა მარულა,
სანამდე ფრთების ფაქიზი კვალი
კვლავ ბნელ ჰაერში არ შემალულა,
რომ მეთქვა, აი, ახალი მხარე,
შავი მითები სადაც ქრებიან,
ტრთოლვანარევი მისი სიმყარე
ასრულებული ოცნებებია;
რომ მზის დღეობა წამით მეხილა,
ის წამი მეგრძნო ღვთიურ არსებით,
სანამ გავქრები - ღამის პეპელა -
სანამ მხურვალე ალს შევასკდები.

### ეგოისტის ერთ-ერთი მე-ს აღსარება

მე მომწონს, როცა ჩემს მე-ზე გესაუბრებით.
მე ვაფასებ, როცა პატივს სცემთ ჩემს მე-ს ან, კიდევ უკეთესი -
როცა მას ემსახურებით.
მე მიყვარს, როცა თქვენც გიყვართ ჩემი მე.
მე კმაყოფილი ვარ, რომ ასეთი კარგი ჩემი მე მყავს.
ო, ჩემი მე ბედნიერი კაცია!
მე ასეც ვეუბნები ხოლმე მას, როცა ხასიათზე ვარ:
შენ ნამდვილად ბედნიერი კაცი ხარ-მეთქი...
და ჩემი მე მართლაც ბედნიერია.
იგი ბედნიერია,
რადგან, ჯერ ერთი, ჩემი მე-ა და არა შენი შენ ან სხვისი სხვა;
იგი ბედნიერია,
რადგან ის თქვენს დასანახად არის შექმნილი
და ამიტომ მუდამდღე სცენაზეა და თქვენს ტაშისცემას
ელოდება;
იგი ბედნიერია,
რადგან სამყაროს ცენტრში დგას,
ხოლო მის გარშემო პლანეტები და ადამიანები ტრიალებენ;
იგი ბედნიერია,
რადგან თავი შეუმცდარი ჰგონია



და მისი სიმართლე - ამქვეყნად ერთადერთი სიმართლეა;
იგი ბედნიერია,
რადგან ყოველთვის იცის, რას იფიქრებს, როცა შეიტყობს ამას თუ იმას,
რას იტყვის, როცა შეემთხვევა ესა თუ ის,
რას გააკეთებს, როცა უნდა გააკეთოს, რასაც მისგან მოელიან;
იგი ბედნიერია,
რადგან უფრო ფიქრობს, ვიდრე აკეთებს,
უფრო ლაპარაკობს, ვიდრე ფიქრობს
და რასაც ლაპარაკობს, იმას არასოდეს არ აკეთებს;
იგი ბედნიერია,
რადგან არ შეუძლია, არ იყოს ბედნიერი
და ბედნიერია მაშინაც კი, როცა ამბობს - ყველაზე უბედური ვარო,
რადგან, როცა ამას ამბობს, მაშინ არის იგი ყველაზე ბედნიერი,
ისეთი ბედნიერი,
რომ თვალები (ჩემი თვალები) ბედნიერებისგან უციმციმებს;
იგი ბედნიერია,
რადგან მას არ აწუხებს ღამეებში შეგრძნობილი უსუსურობა,
არც მახსოვრობის ჯიუტი შეხსენება, რომ მტვერი ხარ
და სხვა არაფერი,
არც ეს უბადრუკი, გულისამრევი ცოდვები

და სინდისის ასევე უბადრუკი და გულისამრევი გაპასუხება,
არც საკუთარი სიბინძურისა და უწმინდურების გაფანტული ნაწილაკები -
სიზმრებში კოშმარებად შემკვრივებული,
არც შვება -
იმავე სიზმრებში წამიერად მოლანდებული და სიზმრებშივე მიუწვდომელი,
არც დილისთვის მოგროვებული შხამი,
რომელიც უნდა ანთხიო მთელი დღე, სანამ ღამისთვის არ დაიცლები,
არც ეჭვები ღმერთზე და სამყაროზე,
არც სიცოცხლე, არც არარსებობა, არც სიმარტოვე;
იგი ბედნიერია,
რადგან მან საერთოდ არ იცის, რას ნიშნავს სიტყვა მარტოობა,
რადგანაც როცა მარტოა, მაშინ ის, უბრალოდ, არ არსებობს;
იგი ბედნიერია,
რადგან მას არ სჭირდება გადაწყვეტილებების მიღება;
იგი ბედნიერია,
რადგან ვერ ხედავს, როგორ იმსხვრევიან ეს გადაწყვეტილებები
და როგორ სრულდება ის,
რაც უშენოდაც იყო გადაწყვეტილი შენს დაბადებამდე;
იგი ბედნიერია,
რადგან მას არ სჭირდება თავის მოტყუება,
რომ, მართალია, ახლა დამარცხდა,
მაგრამ მერე უსიკვდილოდ გაიმარჯვებს;
იგი ბედნიერია,
რადგანაც, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამქვეყნად არსებობს
და, რაც მთავარია, იგი ბედნიერია,
რადგან არ იცის, რომ აღარ იარსებებს,
რომ მე ერთხელაც სწორედ მას მივუგდებ საჯიჯგნად ქვეყნიერებას
და, დაე, ჯიჯგნეთ იგი,
როგორც სვავები ჯიჯგნიან მძორს
ან როგორც ადამიანები ჯიჯგნით ერთმანეთს,
მე კი ახალ ჩემს მე-ს შევეფარები და მას შევიყვარებ
და იმდენს გესაუბრებით მასზე, რომ თქვენც შეგაყვარებთ
და გაიძულებთ, ახლა იმას მოემსახუროთ.

* * *

ნისლში შევიდნენ ბავშვები სათამაშოდ.
ბავშვებმა ნისლში ერთმანეთს მიაცალეს პლასტმასის ავტომატები.
უფროსებს გაახსენდათ,
რომ მარტონი დარჩნენ დედამიწაზე.
ამიტომ მშვიდად მიირთვეს ნივრით შეზავებული ცხელ-ცხელი სურვილები.
ვიღაც ლანდმა სარკიდან შემოიხედა ოთახებში.
ერთ-ერთი ბავშვი ნისლში ჩარჩა, ტყვიით დაჭრილი.
მთელი ღამე ტიროდა ის საბრალო
და მისი ტირილი
დამაშვრალ ადამიანებს სიზმრებს უფრთხობდა.

* * *

სახიფათო სიტყვების ზღვარზე -
როგორც უფსკრულზე გაბმულ ხის ხიდზე -
მე გადავდივარ
და გადამაქვს ნებისყოფა, შიში, სურვილი
და ხის ჭრიალში შეღვიძებული მომავალი -
მისი ცივი და ულმობელი ალტერნატივა:
ან იმ მეორე სანაპიროს ჩვეული ლანდი
და ცოდვილი სიმყარე ფეხქვეშ,
ანდა გაფრენა უფსკრულისკენ
და დაღუპვა სიტყვებიდან ამოჩრილ ქვებზე.

## ჩაი ზამთრის ღამეში

მოგონებების ჩაისა ვსვამ,
შავ, მწკლარტე ჩაის
და დათრგუნული ტკივილების შაქარით
ვატკბობ.
და მათბობს ჩაი ზამთრის ღამეში.
და ეს ღამეც იმ ღამესა ჰგავს...
ოღონდ მაშინ მე სხვა ვიყავი.
არა, კარგი არა.
არც უკეთესი.
უბრალოდ, სხვანაირი ვიყავი, სხვანაირი
და მე მომწონდა ისე ყოფნა,
როგორც ვიყავი.
ახლა თავი მძულს.
და თქვენაც მძულხართ,
ზამთრის ღამეებო, ზამთრის ღამეებო,

გასათენებელო ღამეებო,
დამვიწყებელო ღამეებო...
საით წავიდა ის ჯუანშერი?..
ალბათ ჩალღვა ის ჩემს შიგნითვე,
ისე ჩალღვა,
როგორც შაქარი ლღვება ჩაიში
ან როგორც დროში ლღვება ტკივილი -
შეუმჩნევლად,
თანდათანობით
და მე დროიდან მარტო სახელი გამოვიტანე...
ან ნაწილ-ნაწილ შეიტოვა ყველა ეკალმა,
ყველა მავთულხლართს სუვენირად თითო-თითო
ნაფლეთი შეხვდა
და ყველა ცოდვამ ნაჭერ-ნაჭერ მიუგდო სინდისს
და ჯიჯგნა იმან შეუბრალებლად
და ყველა სარკემ თითო მზერა მიისაკუთრა,
თითო ღიმილი -
ხან უზრუნველი,
ხან მწუხარე,
ხანაც გაკვირვებული...
ახლა სარკეში თავს ვეღარა ვცნობ.
ჰო, მე ვარ, მე ვარ
და ეს თითებიც ჩემს ტანს ეკუთვნის,
რომ გავიშვირე ახლა
და სარკეს რომ შევახე...
ოღონდ მაინც სხვა ჩანს სარკეში:
სხვა, სხვა, სხვა, სხვა შებუდებულა ამ ჩემს სახელში,
ამ ჩემს თვალებში,
ამ ჩემს სხეულში...
არა,
სხვა ის იყო, ის ჯუანშერი,
თორემ, მე ვიცი, ნახშირი ვარ - მკვდარი ნაკვერჩხალი
და ჩემგან ცეცხლიც აღარ აინთება,
რაც არ უნდა მიბეროთ სული
ზამთრის ღამეებში, ზამთრის ღამეებში,
გასათენებელ ღამეებში,
დამვიწყებელ ღამეებში, ჩემო შეცივებულო ტკივილებო.
ჩემო საბრალო ტკივილებო,
მე მოგატყუეთ თქვენ
და დროს შეგატოვეთ
და მეც ჩემს სახელს ამოვეფარე
და წაველი, წაველი, გამოვიპარე...
ახლა, ხომ ხედავთ, ჩაის ვატკბობ თქვენით,
მოგონებების ჩაისა ვსვამ ზამთრის ღამეში
და მათბობს ჩაი
და გულ-გვამს მიმღვრევს...
მაინც მწკლარტეა, ეს ოხერი
და შავი, შავი...
და მინდა დავთვრე...
არაყი მინდა, არაყი, არაყი, არაყი,
არაყი მინდა - აკანკალებული თითებით გადასაკრავი,
არაყი მინდა - ყელის ჩამწვავი,
ყველაფრის შიგნით ჩამტანი,
შიგნით ჩამფხრეწი,
ჩამაბრუნებელი...
ო, რას გავილეშებოდი, ღმერთო ჩემო...
ზამთრის ღამეში, ზამთრის ღამეში,
გასათენებელ ღამეში,
დამვიწყებელ ღამეში დაგილევიათ მარტოს არაყი?
მე კი დავლევდი...
და გამოვიდოდი გარეთ
და ვიყვირებდი, ვიყვირებდი, ვიღრიალებდი:
ჯუანშერ, სად ხარ?!
ჯუანშერ-მეთქი, - ვიყვირებდი, -
სად დაიკარგე
და გაგინებდით ყველას ბინძური სიტყვებით
და გეტყოდით ყველაფერს,
რასაც თქენზე ვფიქრობ, სიბინძურეში მაცხოვრებლებო...
და მოვეკალი თუნდაც მერე
პირველსავე შემხვედრ თავმოყვარე მოქალაქეს
ან მოქალაქეთა ჯგუფს:
დავეცემოდი გაყინულ თოვლზე
და გასაყინი თითებით
მოვფხოჭნიდი გაყინულ ასფალტს...
მაგრამ მე ხომ ის აღარა ვარ...
სახელსამოფარებული, სახელსამოფარებული გამოვეპარე
ჩემს დაპირებებს
და მოვედი თქვენთან
და თქვენნაირი გავხდი მეც -
დაბანილი ინტელიგენტი,
სისხლით, სისხლით, სისხლით დაბანილი,
ცოდვით გასპეტაკებული,
მატყუარა სარკეში არეკლილი...
და ვსვამ ჩაის, არყის მაგივრად,
მოგონებების ჩაისა ვსვამ ზამთრის ღამეში,
შავ, მწკლარტე ჩაის
და ზედაც კიდევ
გასაძლები მოლოდინის ნამცხვარს ვაყოლებ.

არილი



აქვსენტი კვირტია

# მძინარე ციკლოპის ძახილი

- დღეს მორიგე ხარ? გამარჯობა...

მოხუცი ხარატი დამახინჯებულ ხელს მიწვდის.

- ხო, მორიგე ვარ. გაგიმარჯოს...

ხელს ვართმევ.

ქუჩაში ვდგავართ. რვას რომ ოცი დააკლდება, სამსახურის ავტობუსი ჩამოივლის.

ველოდებით.

ნელ-ნელა სხვებიც მოდიან - ქალები, კაცები. ზოგს გაზეთში გაუხვევია სადილი, ზოგს - ცელოფანში. მეც ცელოფანი მიჭირავს. მოხარშული კვერცხი, პური, ცოტა ყველი, შაქარი და ჩაი მიმაქვს.

ქალაქგარეთ, ქარხანაში ვმუშაობ. დარაჯი ვარ. დღისით შემოსასვლელ ჭიშკართან ვდგავარ. რომ მოსაღამოვდება, პროჟექტორებს და ლამპიონებს ავანთებ ხოლმე.

სამ დღეში ერთხელ, ოცდაოთხი საათი ვმორიგეობ.

ხელფასი ცოტა მაქვს, მაგრამ სულ არაფერს მირჩევნია.

მოხუც ხარატს ჩემზე მეტი აქვს ხელფასი.

ჩალისფერი, დალაქული კეპი ახურავს. მარჯვენა ხელზე ცერი და საჩვენებელი თითი აკლია. პერანგის ჯიბეში ნომრიანი სათვალე უდევს. სათვალეს ყურების მაგივრად, რეზინის ზონარი აქვს გამობმული. რომ გაიკეთებს, დიდი, გაკვირვებული თვალები მოუჩანს ხოლმე.

ჩუმი, სიტყვაძუნწი კაცია.

წელიწადზე მეტია, რაც ქარხანაში ვმუშაობ და მასზე რიგიანად არაფერი ვიცი.

დიდებული ოსტატია, და როგორც ყველა ნამდვილ ხარატს, ხელობისთვის მასაც გაუღია მსხვერპლი - თითები.

საათზე ვიხედები - რვის ნახევარია.

აი, მეგიც გამოჩნდა.

ჩემსავით, უმაღლესი განათლება აქვს. ქარხანაში კი შემფუთველად მუშაობს.

ხანდახან ასეთ რამეს წარმოვიდგენ ხოლმე:

რა იქნებოდა, მეგი რომ ცოლად შემერთო... როგორ ვიცხოვრებდით?

ისიც ღარიბია და მეც. ამიტომ უბრალო, მოკრძალებულ ქორწილს გადავიხდიდით.

ბავშვს დიდხანს ვერ გააჩენდა - სამსახურის დაკარგვის შიშით.

მერე, ალბათ ჩემი დაჟინებული თხოვნით, დარჩებოდა ფეხმძიმედ და გამოიკეტებოდა შინ.

მე თავდაუზოგავად, ვირივით ვიმუშავებდი.

მერე ბავშვი გაჩნდებოდა.

მე უფრო თავდაუზოგავად, უფრო ვირივით ვიმუშავებდი.

ერთ ბავშვს მეორე მოყვებოდა. ნელ-ნელა წაგვიხდებოდა ჯანმრთელობა, ნერვები. მეგი ნამდვილ დიასახლისად იქცეოდა, მე - ნამდვილ ვირად...

აგერ, ისიც. მოგვიახლოვდა, ხმადაბლა მოგვესალმა და ქალებთან დადგა.

მხარზე კაპრონის ძაფისგან მოქსოვილი, გაყვითლებული ხელჩანთა აქვს გადაკიდული.

ასეც რომ ყოფილიყო, ვინანებდი თუ არა?

ალბათ არ ვინანებდი.

მე ვიმუშავებდი ვირივით და ვიქნებოდი ბედნიერი, იმიტომ, რომ მეგი მეყვარებოდა...

ვინ იცის, იქნებ უფრო კარგად გვეცხოვრა...

მეგი ქალებთან დგას და თითებით ჩანთის ღილს "აწვალებს". ზოგჯერ ჩემსკენაც აპარებს თვალს. მე ვამჩნევ და ძალიან მსიამოვნებს.

მეცოდება...

კარგი, ჭკვიანი გოგო, რომელიც ქალაქგარეთ, ქარხანაში მუშაობს შემფუთველად.

ჩანთის გამოც მეცოდება.

კაპრონის ძაფისგან მოქსოვილი ჩანთის გამო...

"ნეტავ მეგის თუ ვეცოდები... შენ რას იტყვის, ხარატო..?"

მოხუცი ჩუმად დგას. ბეჭებში მოხრილა. მუნდშტუკით ისე გემრიელად აბოლებს, რომ მეც მინდება მოწევა, მაგრამ გვიანღაა - სამსახურის ავტობუსი მოდის.

ხარატი სიგარეტს აგდებს, მუნდშტუკს რამდენჯერმე ჩაბერავს და გვერდზე აწიტებს.

ქარხნის ჭიშკართან დარაჯების პატარა შენობაა.

ოთახში მაგიდა, ორი სკამი, ტანსაცმლის კარადა, ძველებური ელექტროღუმელი და ერთი გაბრიგინებული, თვითნაკეთი დივანი დგას. დივანზე გათლილი, მუთაქას მიმსგავსებული კუნძი დევს. ტანსაცმლის კარადაში ჟურნალიდან ამოჭრილი, შიშველი ქალის სურათია გაკრული. ბეტონის იატაკზე ლინოლეუმია დაგებული. კედელზე ქანქარიანი საათია ჩამოკიდული. მაგიდაზე ტელეფონის გაუქმებული აპარატი, ჭიშკრის ელექტროპულტი და შუშის ოთხკუთხედი ნაჭერი დევს. შუშის ქვეშ მორიგეობის განრიგი და კელენდარი მოჩანს. მაგიდის ერთ-ერთ უჯრაში რამდენიმე თეფში, ჭიქა, ჩანგალი და მუყაოს კოლოფით მარილია შენახული.

ამ ოთახში მე ვიზივარ.

დღეს მარტო ვმორიგეობ - ჩემი მეწყვილე რთველში წავიდა. სამაგიეროდ ორ ვედრო ყურძენს შემპირდა. საახალწლოდ - ცოტა ღვინოს.

ელექტროპულტის ღილაკებს ვაწვები - დილაობით ბევრი მანქანა შემოდის, გადის.

მე მგონი გავცივდი - ცუდად მაჟრჟოლებს ტანში. რომ მოსაღამოვდება, ქურას ჩავრთავ და ცხელ ჩაის დავლევ.

ქარხნის ირგვლივ ინდუსტრიული ჩონჩხია - მოტოვებული საამქროები, პატარა ქარხნები. ცაში აზიდული, გაქვავებული ამწეები, რკინის კარკასები. გაძარცვული ექსკალატორები, ბულდოზერები.

ჭიშკარს მდიდრული ავტომობილი უახლოვდება.

ელექტროპულტის ღილაკს ვაწვები.

ავტომობილი ეზოში შემოდის. სწრაფად, უხმაუროდ.

ჭიშკარს ვკეტავ და გარეთ გამოვდივარ.

მანქანიდან მაღალი, ზონზროხა კაცი გადმოდის. პიჯაკს და ჰალსტუხს ისწორებს.

ვიღაცეები ეგებებიან, ხელს ართმევენ. თავაზიანად უღიმიან, სასაცილოს ეუბნებიან და ისევ თვითონ იცინიან. ის არ იცინის. გოროზად იყურება და ნელა დააბიჯებს. ჩემსკენაც იხედება. ისეთი სახე აქვს, გეგონება ცოტაც და დასჭექავსო, მაგრამ ჯერჯერობით ჩუმადაა. ალბათ ამის დროც მოვა...

იგი ქარხნის ახალი მფლობელია.

დანახვისთანავე მეტსახელი - "ცხრათავიანი დევი" შევარქვი...

ისე, ჩემთვის.

ჩვენი ცვლის უფროსი გახარებულია.

ამბობს - აწი გვეშველებაო. ქარხანა სრული დატვირთვით იმუშავებს, დიდი სიმკაცრე და დიდი ხელფასები გვექნებაო. შეიძლება უფასოდაც გვასადილოსო...

შუადღეა.

ჭიშკართან ვზივარ და მზეზე ვთბები. მაინც მაციებს - ნამდვილად სიცხე მაქვს.

გვერდით, ქარხანას შემოკედლებული, მაწანწალა ძაღლი - "ზორია" გაწოლილა და ბუზებს კბილების კაკუნით იგერიებს.

ჭიშკრისკენ გუდიანი დედაბერი მოდის.

ჭაღარაა - სულმთლად თეთრი. ფეხზე გაცვეთილი კალოშები აცვია. ბალახით გამოტენილი გუდა ზურგზე მო-

უგდია.

დედაბერი ქარხანას ყოველდღე აკითხავს.

ორი თითით, გაბმულად დააკაკუნებს ხოლმე დარაჯების ფანჯარაზე.

შემოუშვებენ.

ზევით, ძველი საქვაბეების უკან კრეფს ხოლმე ბალახს.

კაციშვილმა არ იცის, სად ცხოვრობს ან ბალახს რისთვის ეზიდება.

ვისაც მისი გამოჩენა უხარია, ყველა "თეთრ ბაბოს" ეძახის.

- "თეთრი ბაბო" ბალახისთვის მოსულა..!"

- "თეთრი ბაბო" ბალახს იპარავს..!"

- "თეთრი ბაბო", შენი ბაბო გავათხოვე..!"

გაჰყვირიან ხოლმე მუშები და იცინიან.

დედაბერს არაფერი ესმის - ყრუ-მუნჯია.

"თეთრი ბაბოს" მოსვლა მეც მახარებს.

გაცვეთილი კალოშები, წელზე შემოხვეული შალი, ბალახით სავსე გუდა - ამაზე კარგი რა უნდა ნახო აქ, ქარხანაში.

სახით სკანდინაველ ბებიას - ზღაპრის გმირს მაგონებს.

ჭიშკარს ვაღებ.

- ჰაე! აე! აე!

"თეთრი ბაბო" მადლობას "მეუბნება" და მიფრატუნობს.

ახლადმოკრეფილი ბალახის სურნელი მცემს.

ჭიშკარს არ ვკეტავ, სანამ დედაბერი თვალს არ მიეფარება.

ვზივარ და ისევ მაციებს.

"ზორიას" მობეზრდა წოლა და ადგა, წაძუნძულდა.

ყვავმა დაიყრანტალა ცაში.

კრაზანა მოფრინდა. ცოტა ხანს მიბზუილა და გამშორდა.

- დღეს მორიგე ხარ?

მეგი ღია ჭიშკართან დგას. ჩანთის ღილს ისევ "აწვალებს".

- არა. ისე მოვედი...

არაფერს მპასუხობს. მიღიმის.

- თვალებზე რა გჭირს?

- რა მჭირს?

- ჩაწითლებული გაქვს.

- არ ვიცი. გავცივდი მე მგონი...

შუბლზე ხელუკულმა მეხება.

- მე მგონი კი არა, სიცხე გაქვს. შინ რომ წახვიდე?

- ვერა, დღეს მარტო ვმორიგეობ.

- მეწყვილე რა უყავი?



- სოფელში გავუშვი, რთველში...

მეგის ეცინება.

- რა გაცინებს?

- მაგარი ხარ...

- სამაგიეროდ, ორ ვედრო ყურძენს შემპირდა...

- რას შეგპირდა?!

ორივენი ვიცინით.

- გინდა, წამალს მოგცემ...

ჩანთიდან წამლის შუშას იღებს.

- ეს ხომ ტკივილგამაყუჩებელია...

- სიცხესაც შველის. გამომართვი...

- დიდი მადლობა, მეგი...

- არაფრის. ყურძენი შენზეა..!

- ოღონდაც არავისთან წამოგცდეს...

- ნუ გეშინია, არ წამომცდება.

იცინის. უცებ ისევ წარმოვიდგენ.

"რა კარგი იქნებოდა, ღმერთო.."

- წამალი ახლავე დალიე, გესმის?

- ხო, მესმის...

"მე ვიმუშავებდი ვირივით და ვიქნებოდი ბედნიერი..."

- ყოჩაღად იყავი. ხვალამდე..!

- ხვალამდე, მეგი...

სამსახურის ავტობუსში ადის.

საღამოა.

ავტობუსი ხალხით ნელ-ნელა ივსება. ქარხანაც თანდათანობით ყუჩდება.

წამალს ვსვამ და ფანჯრიდან მალულად ვიყურები. მეგი ავტობუსში არ ჩანს.

"მეგისაც ვეცოდები... კი, ნამდვილად ასეა.."

ელექტროქურაზე ალუმინის ჭიქას ვდგამ. სანამ ტერიტორიას გავანათებ, წყალიც ადუღდება. წამალმა ვერ მიშველა და ცხელი ჩაის იმედი მაქვს. თუ არადა, მეორე აბიც უნდა მივიღო - ძალიან ცუდად ვარ.

ეზოში ჩამიჩუმი არ ისმის.

ძველი შადრევნიდან წყალი მოჩხრიალებს.

შადრევანს პატარა, ნახევრადდანგრეული აუზი აქვს. იქვე მორკალული, დაბალი გალავანია. გალავანს მოზაიკით შესრულებული ნახატი ამშვენებს - ღონიერი, მსხვილფეხება და ფეხშიშველა ქალ-ვაჟი.

ქალს ყურძნის მტევნები უჭირავს, ვაჟს - ხორბლის პატარა ძნა და ნამგალი.

შადრევანს დილაობით ვაკითხავ.

ოთახს რომ დავალაგებ და გამოვგვი, ტილო და იატაკის ჯოხი მომაქვს და აუზში ვასველებ ხოლმე.

ძველი დარაჯებისგან ვისწავლე.

მაგათგან ისიც ვიცი, სად არის დამალული ძირგავარდნილი ვედრო და ფიცრის ნაჭერი. ეს იმისთვისაა საჭირო, რომ ერთ-ერთი პროჟექტორი აანთო - ჩამრთველი ძალიან მაღლაა დამონტაჟებული.

ბოლო ლამპიონს ვანთებ და ოთახისკენ ვბრუნდები. გზადაგზა საამქროების ბოქლომებს, საკეტებს ვამოწმებ. "ზორია" ერთგულად მომდევს. ზოგჯერ გამისწრებს. ხეს ან ბოძს მივარდება - იყნოსება, იქექება. მერე უცებ მიაშარდავს და "გახარებული" მორბის ჩემსკენ.

ქარხანაში ახლა სამნი ვართ: მე, მორიგე ელექტრიკოსი და მორიგე ზეინკალი. ელექტრიკოსებიდან დღეს ილო მორიგეობს, ზეინკლებიდან - ვანო. ილო მაგარი ლოთია, მაგრამ კარგი, საწყალი კაცია. ავადმყოფი შვილი ჰყავს - თხუთმეტი წლის გოგო.

ვანოს რიგიანად არც ვიცნობ. მორიგეობისას სულ თავისთანაა გამოკეტილი, ერთხელ არ შეგეხმიანება.

წელან, ძირგავარდნილ ვედროზე რომ ვიდექი, ილომ დამინახა და გაეხარდა.

ცოტა ხანში გადმოვალ და ერთად ვივახშმოთო.

დაკეტილ ჭიშკართან ვდგავარ.

გაუქმებული ქარხნების მხრიდან ღმუილის მსგავსი, მურდალი ხმა მოისმის.

ღამით რომ დაიწყება, დილამდე გრძელდება - ყოველ საათში ერთხელ. ხან უფრო ადრე.

დარაჯებმა მითხრეს - მოშორებით გაჯის გამოსაწ-

ვავი ქარხანაა და ხმაც იქიდან მოდისო.

არ მინდა დავიჯერო.

ჩემი წარმოსახვა უბრალოვდება და იმიტომ.

საოცარი მოსასმენია.

მოულოდნელობისგან გულიც კი შემიხტება ხოლმე ზოგჯერ.

მაგრამ ისეთი იდუმალი, დამთრგუნველი ხმაა, რომ მხიბლავს, მომწონს.

"მძინარე ციკლოპის ძახილი" დავარქვი...

"მძინარე ციკლოპის ძახილი" - დაღამებიდან გათენებამდე...

სხეულით ვგრძნობ - მაღალი სიცხე მაქვს.

მეორე აბიც გადავყლაპე, ცხელი ჩაიც დავლიე - არაფერმა მიშველა.

მობუზული მაგიდას ვუზივარ და "ზორიას" უაზრო ყეფა ტვინს მიხვრეტს.

ისე დავსუსტდი, რომ ფეხზე ადგომაც მიჭირს.

"არადა, უაზროდ რომ არ ყეფდეს..?"

როგორღაც ვდგები და გარეთ გავდივარ. ეზოს ვათვალიერებ - არაფერია. შორიდან ძაღლების ყეფა მოისმის და "ზორიაც" თურმე იმათ "ეხმიანებოდა".

ვუწყრები.

ჩუმდება. კუდის ქიცინით და გვერდების ქნევით მოდის.

ოთახში შევდივარ. მოწყვეტით ვეშვები სკამზე. დივანზე ვერ ვწვები - ფეხები ერყევა.

"ღმერთო, ნუ მომკლავ.."

წელან ილო იყო.

ვივახშმეთ, იმასაც თუ ვახშამი ერქვა. ორი ლუკმა გავღეჭეთ და მორჩა.

დილის აქეთ მშიერმა, ხეირიანად ვერაფერი შევჭამე. არც ილოს უჭამია.

ვახშამი გაზეთში შეხვეული მოიტანა.

როგორა ხარ, ჯეელო - არყის სუნით ქოთდა. შენ თვითონ როგორა ხარ-მეთქი. კარგად, კარგადო და ხელი ჩაიქნია. მერე დაჯდა, მოყვა და მოყვა - მთელი გული ამოიღო.

გოგო ჰყოლია ძალიან მძიმედ.

გართულებული ეპილეფსია სჭირსო. უკვე ლოგინიდანაც ველარ დგება და მხედველობასაც უჩივისო. დღეში რამდენჯერმე ისველებს და ძალიან ნერვიულობსო. დედამისს საერთოდ არ იკარებს და საცვლებს მე ვუცვლიო.

ექიმები რას გეუბნებიან-მეთქი - ვკითხე.

არაფერს. მალე მოკვდებაო - და ცრემლები წამოუვიდა.

გულამომჯდარმა ისე იტირა, რომ მეც მომაწვა ცრემლები, მაგრამ თავი შევიკავე.

ძალიან კი გამიჭირდა.

კაცთან რომ კაცი იტირებს... სულ სხვაა...

ცრემლები ქურთუკის საყელოზე შეიმშრალა, ბოდიში მომიხადა.

მერე ხმადაბლა, თითქმის ჩურჩულით მკითხა - რამე დასალევი ხომ არ გაქვსო?

არა-მეთქი - გამეღიმა.

ცოტა ხანს ეჭვის თვალით მიყურა. ეგონა, მქონდა და ვუმალავდი.

მართლა არა მაქვს-მეთქი და დედა დავიფიცე. თან მაგიდის უჯრები გამოვაღე, რომ დაენახა.

კარგი, კარგიო - შეიცხადა. არ არის და ნუ არისო.

უცებ ვანო გამახსენდა - გავიქცევი, იქნებ იმას ჰქონდეს დასალევი-მეთქი.

იმ დამპლისა არაფერი მინდაო და შეაგინა.

სკამი მაგიდასთან მიაჩოჩა და გაზეთი გახსნა - მოდი, კაცო, მოდიო...

მე ჩემი ცელოფანი გავხსენი და სუფრა გავაწყვეთ. ილოს უფრო კარგი რაღაცეები ჰქონდა: ლორის პატარა ნაჭერი, მჭადი, გუდის ყველი, ნივრის მწნილი და ნახევარი ლავაში.

ლორი დასაკეცი დანით გულმოდგინედ დაჭრა.

ცერა თითში რაღაც ჩაერჭყა - ფრჩხილი ჰქონდა ჩაშავებული.

თვალის კუთხეებში კიდევ შერჩენოდა სისველე.

მოხარშული კვერცხი აიღო და გატეხა, გაფცქვნა. რაღას უზიხარო - გამომაფხიზლა. დილიდანვე მადაწართმეულს, გული არაფერზე მიმსვლია. ცოტა მჭადი მოვიტეხე და ეგ იყო.

ილომ - ცარიელი საჭმელი ყელში არ გადადისო და წამოდგა. შენ მაინც გეჭამაო.

მეც ეგრე ვარ-მეთქი.

შენც ეგრე ხარო? აი, ხომ ხედავო - და გაეხარდა, რომ "ეგეთი" აღმოვჩნდი.

წავალო, იქნებ ცოტა დავიძინოო და გასვლა დააპირა. საჭმელი ისევ გაზეთში შევუხვიე. არ მიჰქონდა. მეც არ მოვეშვი და ვახშამი მაინც გავატანე.

ცოცხალ-მკვდარივით ვარ.

თავი მაგიდაზე მიდევს და თვალები მებლიტება.

ძილს ვერ ვბედავ - მეშინია.

"მძინარე ციკლოპმა წამოიძახა..."

ფეხის ხმა მესმის. ჭიშკრისკენ ვიღაც მოფრატუნობს.

გარეთ არავინ ჩანს.

უცებ შუშაზე აბრახუნებენ. გაბმულად, ორი თითით.

ფანჯარაში ვიხედები და რას ვხედავ - ჭიშკართან "თეთრი ბაბო" ატუზულა.

ღილაკს თითს ვაჭერ და გაოცებული ეზოში გამოვდივარ.

"თეთრი ბაბო" ღია ჭიშკართან დგას, არ შემოდის.

არც კი ვიცი, რა ვკითხო. ან რა უნდა გავაგებინო.

- გამარჯობა, შვილო. შემომიშვებ..?

გაოგნებული, პირდაღებული ვუყურებ. ხმა ვერ ამომიღია.

- ნუ გეშინია, გენაცვალე. ბალახს დავკრეფ და წავალ. ამქვეყნად რაც ბალახია, სულ მე უნდა დავკრიფო... სულ...

ოთახში გაუქმებული ტელეფონი რეკს. სულმთლად ვიბნევი.

- წადი, უპასუხე. მეგი გირეკავს...

დედაბერი გაბრუნდება და მიდის.

გამშრალი, შეშინებული ვდგავარ. ოთახიდან ტელეფონის ზარი მოისმის.

ყურმილს გაუბედავად ვიღებ.

- გისმენ...

- მეგი ვარ, მიცანი?

- როგორ ვერ გიცანი. აქ როგორ დარეკე?

- იცი, ძალიან გამიჭირდა...

- საოცარია... მაინც როგორ დარეკე, მეგი..?

- ახლა ამის დრო არ არის. შენი დახმარება მჭირდება...

- რა მოხდა?

- მინდა, რომ დამაიმედო... თუ გამიჭირდა, ხომ შემეწევი..?

- რას ამბობ, მეგი..?

- ავად თუ გავხდი, ხომ დამეხმარები..?

- რატომ უნდა გახდე ავად..!

- ლოგინიდან თუ ვერ ავდექი, ხომ მომივლი, ხომ მომხედავ...

- რა სისულელეს ლაპარაკობ, გაგიჟდი?!

- არ მინდა, არ მინდა ავადმყოფობა..!

- მეგი, რა გატირებს..!

- არ მინდა ლოგინი..! არ მინდა ავადმყოფობა..! არ მინდა სიკვდილი..! არ მინდა..!

უეცრად მეგის ხმა წყდება და ყურმილიდან "მძინარე ციკლოპის ძახილი" მოისმის.

დაფეთებული ვიღვიძებ. მთელი სხეული მიკანკალებს.

მაგიდის შუშა აგერ-აგერ გადავარდება.

აკანკალებული ხელებით ვასწორებ და ფანჯარაში ვიხედები. არავინ არ ჩანს. ჭიშკარი დაკეტილია. ტელეფონის ყურმილს ვიღებ - არ მუშაობს.

გული ყელში მიცემს.

სულმთლად სველი ვარ.

კარადაში ძველი "ტელეგრეიკა" ჰკიდია. ვიცვამ და გარეთ გავდივარ.

ეზოში არავინაა. "ზორიაც" არსად ჩანს.

საათზე ვიხედები - ექვსის ნახევარია.

"ტელეგრეიკას" ბოლომდე ვიკრავ და არეული ნაბიჯე-

ბით მივდივარ შემოვლაზე.

თავს უკეთ ვგრძნობ. ცოტა ძილმა, ცოტა ოფლდენამ, მგონი მიშველა.

ბავშვობა მახსენდება.

შვიდი წლის ვიყავი. დიდი სიცხე მომცა და მთელი ღამე ვბოდავდი.

მახსოვს ტორშერით განათებული ოთახი. კედლები. მშობლების ჩრდილები კედლებზე.

ძილ-ღვიძილში მამის ნაძალადევად მშვიდი ხმა ჩამესმოდა.

ბუნდოვნად ვლანდავდი უმცროს ძმას, სასთუმალთან იდგა და შემკრთალი სახით დამყურებდა.

დედას ვერ ვხედავდი. მხოლოდ მისი ხელების შეხება მახსენდება ფეხებზე. ძმრის სუნი, სველი წინდები და ოფლი, ბევრი ოფლი.

კედელზე ძველებური, ქანქარიანი საათი ეკიდა.

– "საათი დაახრჩვეთ..! საათი დაახრჩვეთ..! საათი დაახრჩვეთ..!

ვბოდავდი და ვიწვოდი სიცხისგან.

თენდება.

მე ვზივარ დარაჯების ოთახში და ელექტროქურასთან ვთბები.

სიცხემ დამიწია. მაინც ავად ვარ - ტანში მტეხს.

ფანჯარაში შეწითლებული ცა მოჩანს.

ნიავი ფოთოლს მოახოხებს და მგონია, ვიღაც მოდის.

ისმის ქანქარიანი საათის ნელი რიტმი.

ფოთოლი მიხოხავს.

ელექტროქურა ღუღუნებს და კედელზე მიკრულ აბლაბუდას ცხელი "ამონასუნთქით" აფრიალებს.

ვზივარ და ველოდები, როდის დამთავრდება ჩემი სამუშაო დღე.

ცვლის უფროსის ნათქვამი მახსენდება - დიდი სიმკაცრე და დიდი ხელფასები.

მალე აქ ბევრი რამ შეიცვლება.

სამსახური უფრო ხანგრძლივი, მძიმე იქნება. "ცხრათავიანი დევი" ალბათ არავის დაინდობს.

"ბორიას" გარეთ გააგდებენ.

აღარც "თეთრ ბაბოს" შემოუშვებენ ბალახის მოსაკრეფად.

მერე ალბათ მეც წავალ. აქ გული აღარ გამიჩერდება.

მეგი..? ნეტავ მეგი როგორ მოიქცევა?

მე თუ წავედი, ალბათ ისიც მომბაძავს.

"აი, მაშინ კი..."

ვინ იცის, რა იქნება...

ჯერ ხვალინდელი დღე უნდა გათენდეს...

ჯერ ჩემი ცვლა უნდა მოვიდეს, რომ შინ წავიდე და ლოგინში ჩავწვე.

ჯერ არაფერი ვიცი, ჯერ ვერაფერს ვფიქრობ...

ჯერჯერობით ავად ვარ...






## თემურ ჩხეტიანი

# ორეპიგრაფიანი ტექსტი

"მე არ დავტოვებ გამოსათხოვარ წერილს"
**შოთა ჩანტლაძე**

"იქნებ მოიძებნოს მისი უკანასკნელი ლექსი".
**თეონა ბექიშვილი**

"აქ ვიღაც უნდა იყოს,
აუცილებლად უნდა იყოს ვინმე აქ, რადგან
ეს ადგილი თავისთავად გულისხმობს ადამიანს,
მას, ვინც შემოგხედავს და ხელს გამოგიწვდის,
ვინც გეტყვის რამეს და გაგიღიმებს.



არ ვიცი, აქ საიდან აღმოვჩნდი,
არ ვიცი - რატომ,
მაგრამ მე აქ ვარ
და გარემოს ვათვალიერებ
და თვალებით ვეძებ ვიღაცას.

ერთი უბრალო შარაგზაა.
გზის ერთ მხარეს ბუჩქნარი გასდევს
ხელმარცხნივ კი რამდენიმე კვიპაროსი დგას.
ხეების მიღმა - ღობე და ჭიშკარი,
შიგნით - მწვანეში ჩაფლული ეზო
და პატარა სახლი,
ქვიტკირისა, კრამიტით დახურული.

არავინაა.
მდინარის ხმა კი ისმის საიდანღაც,
მაგრამ მდინარეც არ ჩანს.
არადა, აქ ვიღაც უნდა იყოს,
აუცილებლად უნდა იყოს ვინმე ამ სივრცეში,
უნდა გამოჩნდეს ვინმე ხმის გამცემი,
რომ დრო შეირხეს და ამოძრავდეს.
გზაზე ვიღაცა მოაბიჯებს,
მიახლოვდება,
მალე მის სახესაც დავინახავ,
მაგრამ... არა! -
სილუეტი უეცრად ქრება...
არა, ამ გზით არავინ მოდის!..

იქნებ სახლში შევსულიყავი?..
ვუახლოვდები ჭიშკარს და ვიძახი
არავინ მპასუხობს,
ჭიშკარი კი ღიაა - უნდა შევიდე.

რამდენიმესაფეხურიან კიბეზე ავდივარ,
ვჩერდები და კარზე ვაკაკუნებ -
სახლის კარიც ღია ყოფილა!..
შევდივარ. თვალს უჭირს საგნების გარჩევა.
ოთახში ნესტია და სიჩუმეა:
მაგიდა, სკამები, ჩამქრალი ბუხარი,

კედელზე წიგნების თარო და... უკაცრავად!..

სარკმელთან ვიღაც დგას ჩემსკენ ზურგშექცევით.
არც შეტოკებულა - გარეთ იყურება.
მინდა მივიდე და მხარზე შევეხო,
მაგრამ... არა! - თურმე მომეჩვენა.
დიახ, მომეჩვენა - არავინ ყოფილა.
სარკმელთან კი უკვე მე ვდგავარ
და ერთხანს გარეთ ვიყურები...
კარისკენ ვტრიალდები და მზერას იტაცებს.
მაგიდაზე თიხის დოქი და სასმისი
და ვიღაცის მიერ მტვრიან ზედაპირზე
თითით მიწერილი: ᲐᲦᲐᲠ ᲓᲐᲒᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲘ.
ვტოვებ სახლს, ჭიშკარში გავდივარ
და ისევ მე -მივდივარ შარაზე.
მერე გზიდან ვუხვევ და დამრეც ბილიკით
ჩავდივარ - გამოჩნდა მდინარე.
მდინარე: წყალი და ქვიანი ნაპირი...
მოიცა, მგონი, აქ ვიღაცაა!..
ლოდზე ზის, დინებას ჩაჰყურებს.
ძახილი არ ესმის. ვუახლოვდები,
სულ რამდენიმე ნაბიჯი გვაშორებს,
მაგრამ... არა! - არავინ ყოფილა,
მხოლოდ ქვა - უტყვი და მძიმე...

მერე იმ ლოდზე მე თვითონ ვზივარ.
ვზივარ და დინებას ჩავყურებ.
ჩემს სახეს ჩავყურებ - გრილია წყალი -
და ჩემს თავს ჩავყურებ თვალებში.
და ჩემი სახეც თანდათან მეკარგება,
და სადღაც ქრებიან ჩემი თვალები.

*17 მაისი, 2002 წელი.*



## ᲘᲥᲛᲔᲜᲘᲜ ᲜᲐᲗᲔᲚᲘ

ქაოსი სუფევს ქვეყანაში
და ჩემს სულშიც
ქაოსია ენით უთქმელი.

ჯერაც ვერაფერს ვერ არჩევს თვალი
დასანახავს
და შვების მომგვრელს.

ქაოსს მოუცავს ყოველივე
და ქაოსშია დანთქმული -
ყველა!..

რა ხდება ჩვენს თავს?
ამ წყვდიადის მიღმა, იქ, ზემოთ
რა იძვრის, რა მიმოიქცევა?..

ბრძანე, უფალო,
ერთხელ კიდევ ბრძანე
იქმენინ.

## ᲜᲐᲛᲡᲮᲕᲠᲔᲕᲔᲑᲘ

რასაც ვეხები,
ყველაფერი ბასრია და მტკივნეულია:

პურის ნატეხი, ვერცხლის კოვზი, ყავის ფინჯანი;
ეს მაგიდაც, წერილებიც და სურათებიც;
ეს კალამიც
და ეს შენი
ნაჩუქარი საფერფლეც, დღემდე
რომ შემომრჩა თილისმასავით...

ბასრია ეს რბილი ბალიშიც,
რომ მჩხვლეტავს და რომ არ მაძინებს!..

რასაც ვეხები,
ყველაფერი ბასრია და მტკივნეულია,
თითქოს მუხლებზე დაცემული
შიშველი ხელით ვკრეფ ნამსხვრევებს
იმ ძვირფასი ნივთისას, მე რომ
ძალიან მიყვარდა.

*10 მარტი, 2002 წელი.*

## ᲔᲠᲗᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ

ჩემს სიბრმავეს ღიმილი ახლდა -
ფაქიზი, თბილი
და ეს ღიმილი დაგყვებოდა შენ ასე დიდხანს.
დაგყვებოდა დღისით თუ ღამით,
დარშიც, ავდარშიც...
და, იქნებ, კიდეც გიხაროდა ჩემი სიბრმავე.

მაგრამ როდემდე?..
დადგა დრო და მეც ვახელ თვალებს,
და ერთი წიგნის პერსონაჟივით
უკვე ვიხსნი შავ სათვალეს,
ბრმის როლისთვის რომ მომაჩეჩეს;
ვიხსნი და წყნარად გეუბნები:
- ყველაფერს ვხედავ!..
და შენც, ძვირფასო, გხედავ ისეთს,
როგორიც იყავ,
როგორიც ხარ -
სინამდვილეში!..

დიახ, მთავრდება ეს თამაში,
მთავრდება და ისიც ცხადია,
რომ არაფერი არ იცვლება ამ ქვეყანაზე -
ეს ამბავი არც არავის არ ეხებია.
მხოლოდ ჩემში დაინგრა რაღაც,
ერთადერთი - მე შევიცვალე!..

დიახ, ძვირფასო, შემომხედე - მე მართლა გხედავ.
შემომხედე და დაინახე:
ჩემი სახე - შემცბარი და გამტკნარებული;
სახე, რომელზეც, ნიშნად მკაცრი დასასრულისა,
უკვე მკაფიოდ იხატება მწარე ღიმილი.

*აპრილი-მაისი, 2002 წელი.*

არილი

## იზაბელ ალენდე

# თუ ჩემი გულის სიმებს შეეხე



იზაბელ ალენდეს ეს მოთხრობა შესულია კრებულში, „ევა ლუნას ამბებიდან“ (1991)

ამადეო პერალტა მამის ბანდაში გაიზარდა და როგორც მათი ოჯახის ყველა მამაკაცი, არამზადად იწვრთნებოდა. მამამისი თვლიდა, რომ სკოლა დედიკოს ბიჭებისთვის იყო მოგონილი. ცხოვრებაში თავი რომ გაიტანო, წიგნი სულაც არ გჭირდება, მთავარია მაგარი მუშტი გქონდეს და სწრაფად აზროვნებდეო, - ასე სჯეროდა და თავის ბიჭებსაც მხოლოდ უხეშობასა და დარტყმისათვის მზადყოფნას ასწავლიდა. მაგრამ მერე მიხვდა, რომ დროსთან ერთად ქვეყანაც სწრაფად იცვლებოდა და შავბნელ საქმეებსაც უკეთესი საფარველი სჭირდებოდა. უნილბოდ ყაჩაღობის ხანა კორუფციის დრომ შეცვალა; ესე იგი, ქონება თვითონაც თანამედროვე კრიტერიუმებით უნდა ემართა და იმიჯის გამოსწორებაზეც უნდა ეზრუნა. ჰოდა, მოუხმო თავის ვაჟებს და გავლენიან ხალხთან დამეგობრება და იმ კანონიერი ფანდების სწავლა დაავალა, სასჯელის საფრთხის გარეშე სიმდიდრის შემდგომი დაგროვების შესაძლებლობას რომ მისცემდათ. ისიც ურჩია, საცოლეები ძველ გვარიშვილებს შორის ეძებნათ და ამ გზით პერალტას გვარისთვის სისხლი და ტალახი ჩამოერეცხათ. ამ დროისათვის ამადეო ოცდათორმეტი წლის იყო; გოგოების ცდუნება და მიტოვება ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი. ქორწინების იდეა არაფრად ეპიტნავებოდა, მაგრამ მამის ურჩობა ვერ გაბედა. ექვსი თაობის მკვიდრი მდიდარი მიწათმფლობელის ქალიშვილს სთხოვა ხელი. ქალიშვილმა, რომელიც არცთუ ისე მიმზიდველი იყო და შინაბერად დარჩენის ეშინოდა, თაყვანისმცემელის საეჭვო რეპუტაციის მიუხედავად, პერალტას წინადადება მიიღო. მერე დაიწყო პროვინციული ნიშნობის მომაბეზრებელი ფუსფუსი. თეთრი ტილოს პერანგსა და პრიალა ფეხსაცმელში გამოწყობილი ამადეო ყოველ დღე ქორისთვალება სასიდედროს, ან რომელიმე დეიდის ზედამხედველობით ხვდებოდა თავის საცოლეს; და ვიდრე ახალგაზრდა ლედი ყავითა და ტკბილეულით უმასპინძლდებოდა, ამადეოს წარამარა საათისკენ გაურბოდა თვალი, რომ პირველივე მოხერხებულ წუთს წასასვლელად ბოდიში მოეხადა.

ქორწილამდე რამდენიმე დღე რჩებოდა, როცა ამადეო პერალტას საქმიანი მოგზაურობა მოუხდა პროვინციებში და გზად ერთ-ერთ ნახევრად ცარიელ და მივიწყებულ პატარა ქალაქში, აგუა სანტაშიც მოხვდა. ნასადილევს, როცა ქალაქის ვიწრო ქუჩას მიუყვებოდა და სიცხე და ჰაერი მანგოს მწკლარტე სუნს აგონებდა, მის სმენას ქვებზე მორაკრაკე ნაკადულს ხმასავით წკრიალა ბგერები მისწვდა. ხმა ერთი ღარიბული სახლიდან გამოდიოდა. რკინის ორნამენტებიან გისოსებს მიღმა, ეზოს სიღრმეში, მიწაზე ფეხმოკეცილი ყმაწვილი გოგონას მშვენიერი სილუეტი მოჩანდა. მუხლებზე ხის პაწია არფა ედო და სიმებს არხევდა. ამადეომ კარგა ხანს ვერ მოწყვიტა თვალი.

„აქეთ მოდი, ძვირფასო არსებავ“, - ბოლოს ასე დაუძახა. გოგონამ თავი ასწია და ამადეომ ბავშვურ სახეზე შეცბუნებული თვალები და დაბნეული ღიმილი შენიშნა. „ჩემთან წამოდი“, - ჩახლეწილი ხმით შეევედრა.

გოგონა შეყოვნდა. უკანასკნელმა ბგერამ კითხვასავით გაიწკრიალა. პერალტამ კიდევ დაუძახა. გოგონა წამოდგა და მისკენ წამოვიდა; ამადეომ რკინის გისოსში შეაცურა ხელი, საკეტი ასწია, კარი გააღო და მის ხელს მიწვდა; და მერე თავისი ცდუნებათა მთელ რეპერტუარს მოხსნა პირი: დაიფიცა, რომ ოცნებებში ხედავდა ამ გოგოს, რომ მთელი ცხოვრება სწორედ მას ეძებდა, რომ ველარსად გაუშვებს, ვერავინ დაუთმობს, რადგან მისი ბედისწერაა. შეეძლო უამყველაფროდაც იოლად გასულიყო. გოგონას, უბრალოს და ალალს, კაცის სიტყვების მნიშვნელობა არც კი ესმოდა. თუმცა, ნათქვამის ტონმა საბოლოოდ მოაჯადოვა. ჰორტენზია ერქვა და ის-ის იყო თხუთმეტი შესრულებოდა. სხეული პირველი გრძნობებისთვის უკვე მოწეოდა, თუმცა სხეულში ჩაბუდებულ მღელვარებას ჯერ სახელს ვერ უძებნიდა. ამადეოსთვის იოლი იყო მისი მანქანაში ჩასმა, მყუდრო ადგილის გამოძებნა და ერთ საათში სულაც გადავიწყება. ვერც კი იცნო, როცა ერთი კვირის შემდეგ გოგონა მოულოდნელად სახლში მიადგა. ას ორმოცი კილომეტრი გამოევლო. ბამბის უბრალო ყვითელი კაბა და ტილოს ესპადრელები ეცვა, მკლავი არფასათვის მოეხვია და მთლიანად სიყვარულის ალმური ასდიოდა.

ორმოცდაშვიდი წლის შემდეგ, როდესაც ცოცხლად ჩამარხული ჰორტენზია ორმოდან ამოიყვანეს, როცა ჟურნალისტები ქვეყნის ყველა კუთხიდან დაეხვიენ ფოტოების გადასაღებად,

აღარც საკუთარი სახელი ახსოვდა და არც ის, იქ როგორ მოხვდა.

რეპორტიორები ამადეო პერალტას მიაწყდნენ: "რატომ გყავდათ ასე, საბრალო მხეცივით გამომწყვდეული"?

"იმიტომ რომ ასე მინდოდა", - მშვიდად უპასუხა მან. ამ დროისათვის ოთხმოცის იყო და ჯერ კიდევ ძველებურად ბრწყინავდა; ვერ გაეგო, ამდენი წლის წინანდელი ამბის გამო რა საჭირო იყო მთელი ეს აურზაური.

ახსნა-განმარტებებს არასოდეს იძლეოდა. ავტორიტეტული კაცი იყო, პატრიარქი, ოჯახის დიდი პაპა; ვერავინ ბედავდა მისთვის თვალის გასწორებას, მღვდლებიც კი თავდახრით ესალმებოდნენ. თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე მამისგან მემკვიდრეობით მიღებული ქონება ერთი-ასად აქცია; უდიდესი მიწების მფლობელი გახდა; მერე პოლიტიკური კარიერაც აიწყო და იმ მიდამოებში ყველაზე გავლენიან კაცად იქცა. ცოლად შეირთო მიწათმფლობელის უშნო ქალიშვილი და მასთან ერთად ქვეყნად ცხრა კანონიერი მემკვიდრე მოავლინა; ყავდა უთვალავი ნაბიჭვარიც, სხვა ქალებისაგან, რომელთაგან ერთიც არ ახსოვდა. სიყვარულისთვის გული მეტისმეტად დაკოჟრებოდა. ერთადერთი ქალი, რომლის სრული გადავიწყებაც ვერ მოახერხა, ჰორტენზია იყო; ეს ქალი გამუდმებული კოშმარივით უტრიალებდა გონებაში. მიტოვებული ნაკვეთის მაღალ ბალახში ხანმოკლე ალერსის შემდეგ, ის თავის სახლს, საქმეს და მოსაწყენ საცოლეს დაუბრუნდა. ჰორტენზიამ თვითონ დაუწყო ძებნა, ვიდრე არ მიაგნო; და პერანგის სახელოზეც თვითონ ჩაებღაუჭა შემაშფოთებელი მონური მორჩილებით. "სახუმარო ამბავს არ ჰგავსო", - გაიფიქრა. დღე-დღეზე ზარზეიმით ქორწილი უნდა გაემართა და ეს იდიოტი გოგო კი კარზე მოსდგომოდა. თავიდან უნდა მოეშორებინა. და მაინც, იმ ყვითელ კაბაში გამოწყობილს, თვალებში ვედრებაჩამდგარს რომ შეხედა, იფიქრა, სულელი ვიქნები შემთხვევა არ გამოვიყენოო. გადაწყვიტა, ცოტა ხნით, ვიდრე გამოსავალს იპოვნიდა, სადმე დაემალა.

და აი, ასე უბრალოდ, უცაბედად აღმოჩნდა ჰორტენზია ძველი შაქრის წისქვილის სარდაფში, რომელიც პერალტების გვარს ეკუთვნოდა და რომელშიც ჰორტენზიამ მთელი ცხოვრება გაატარა. ეს იყო დიდი ოთახი, ბნელი და ნესტიანი; ზაფხულში სულის შემხუთველი და ღამღამობით ცივი; ძველი ავეჯის ნარჩენებითა და თივით სავსე. ამადეოს მისთვის მეტი კომფორტის შექმნაზე არც უზრუნია, თუ არ ჩავთვლით იმ ფანტაზიებს, რომლებითაც გოგონას დროდადრო კვებავდა; რომლებშიც მას აღმოსავლური ზღაპრიდან გადმოყვანილ სატრფოდ აქცევდა, გამჭვირვალე მოსასხამებსა და ფარშევანგის ფრთებში ახვევდა; იქაურობას დაკიდული ჭერით, ფერადშუშიანი ლამპებით, მოოქროვილი ავეჯითა და სქელი ხალიჩებით რთავდა. ჰორტენზიას რომ შეეხსენებინა, შეიძლება დაპირებები მართლა შეესრულებინა; მაგრამ გოგონა ველური ჩიტივით იყო; გალიის სიღრმეში შეყუჟულ ბრმა ფრინველს ჰგავდა. მხოლოდ ცოტაოდენი საკვები და წყალი სჭირდებოდა. ყვითელი კაბაც შემოეხა და სულმთლად შიშველი დარჩა.

"ვუყვარვარ. მე მას ყოველთვის ვუყვარდი", - აი, ეს თქვა, როცა მეზობლებმა იქიდან იხსნეს. ამდენი წლის ტყვეობაში სიტყვების გამოთქმას გადაჩვეოდა და ბაგიდან სასიკვდილო სარეცელზე მწოლიარე ქალის ხროტინივით ხმა ამოუვიდა.

რამდენიმე კვირის მანძილზე ამადეო ძირითადად მასთან სარდაფში იყო. იმ მადას იოკებდა, დაუოკებელი რომ ეგონა. ეშინოდა, რომ ჰორტენზიას ვინმე აღმოაჩენდა; საკუთარი თავისაც კი შურდა; სარდაფში დღის სინათლესაც არ უშვებდა; მხოლოდ სავენტილაციო ხვრელიდან შემოსული პატარა სხივი ანათებდა იქაურობას. სიბნელეში ერთმანეთს გიჟებივით ეწაფებოდნენ; კანი ეწვოდათ, გულები კიბორჩხალებივით ეკრუნჩხებოდათ. იმ ჯურღმულში ყველა სურნელი და გემო უკიდურესად მძაფრი ჩანდა. ერთმანეთს ეხვეოდნენ, ერთად იყვნენ, ერთმანეთის ყველაზე ფარულ ვნებებში იძირებოდნენ. მათი ხმები ექოებად გრძელდებოდა. კედლები ერთი-ასად გაძლიერებულ სულთქმასა და ოხვრას უკან უბრუნებდათ. სარდაფი საცობიან ფლაკონს დაემსგავსა, რომლის ჯადოსნურ სითხეშიც მოელვარე, ტყუპისცალი ემბრიონებივით დალივლივებდნენ. ეს აბსოლუტური სიახლოვე თითქოს სიყვარულშიც აერიათ.

როცა ჰორტენზიას ეძინებოდა, მისი სატრფო საჭმლის მოსატანად მიდიოდა და გოგონას გაღვიძებამდე ბრუნდებოდა, სასიყვარულოდ ძალამოკრებილი, ალერსის ტალღების გასაახლებლად. მათ შეეძლოთ მანამდე ყვარებოდათ ერთმანეთი, ვიდრე ვნებისაგან სული არ ამოხდებოდათ; შეეძლოთ ერთმანეთი შთაენთქათ, ჩირაღდნებივით აალებულიყვნენ; მაგრამ ასე არ მომხდარა. ის, რაც მოხდა, იყო უფრო ჩვეულებრივი, მოსალოდნელი და ნაკლებად გრანდიოზული. ერთი თვეც არ გასულა და ამადეო პერალტა დაიღალა ერთსა და იმავეს თამაშით; ნესტისაგან სახსრებში ტკივილი იგრძნო და ამ ჯურღმულის გარეთ არსებულისადმი ლტოლვა დაუბრუნდა. დრო დადგა, ცოცხლების სამყაროს დაბრუნებოდა და ხელში მისთვის განკუთვნილი სკიპტრა აეღო.

"შენ აქ დამელოდე, მე გარეთ მივდივარ და ძალიან მდიდარი გავხდები. ისეთ საჩუქრებს, კაბებს და სამკაულებს მოგიტან, დედოფალს რომ ეკადრება", - ასე უთხრა და გამოემშვიდობა.

"ბავშვები მინდა", - თქვა ჰორტენზიამ.

"ბავშვები არა, მაგრამ თოჯინები გეყოლება".

თვეები გადიოდა და პერალტას დაავიწყდა კაბების, სამკაულების და თოჯინების შესახებ. ჰორტენზიასთან მაშინ მიდიოდა, როცა ახსენდებოდა. ყოველთვის საალერსოდ არა. ზოგჯერ, უბრალოდ, უნდოდა მისი არფისათვის მოესმინა. მოსწონდა, ინსტრუმენტთან დახრილს, სიმებით გართულს რომ უცქეროდა. ზოგჯერ ისე ეჩქარებოდა, სიტყვას არ ეტყოდა. წყლის თასებს უვსებდა, პროდუქტით სავსე ტომარას უტოვებდა და მიდიოდა. ერთხელ მთელი ცხრა დღის განმავლობაში არ გახსენებია და

რომ მიაკითხა, სიკვდილის პირას მისულს მიუსწრო. მიხვდა, ვინმე უნდა ეპოვნა, ვინც მის ტყვეს მოუვლიდა, რადგან უკვე აღარც ეცალა, მთელი დრო ოჯახს, მოგზაურობას და საქმეებს მიჰქონდა. ამ როლისათვის სიტყვაძვირი ინდიელი ქალი აირჩია. ბოქლომის გასაღებს ის ინახავდა და რეგულარულად მოდიოდა, რომ სარდაფი დაესუფთავებინა და სირსველი მოეცილებინა ჰორტენზიას სხეულიდან, თვალისთვის თითქმის უხილავი, ბაცი, ნაზი ყვავილებით რომ დაფარულიყო და მოხნული მიწისა და მიტოვებული საგნების სუნი რომ ჰქონოდა.

“ნუთუ არასოდეს გიგრძვნიათ სიბრალული ამ ქალის მიმართ“, - ჰკითხეს ინდიელს, როცა ისიც დააპატიმრეს ადამიანის მოტაცებაში თანამზრახველობის ბრალდებით. ქალმა პასუხი არ გასცა; არაფრისმეტყველი თვალებით იცქირებოდა და თამბაქოს შავ კვამლს აბოლებდა.

არა, მას არ უგრძვნია სიბრალული ამ ქალის გამო; სჯეროდა, რომ ამ ქალის მოწოდება მონობა იყო და რომ ამ მონობაში თავს ბედნიერადაც კი გრძნობდა; ან კიდევ, იდიოტად იყო დაბადებული და როგორც სხვა მისნაირებს, ერჩია გამომწყვდეული ყოფილიყო, ვიდრე ქუჩის დაცინვა და საფრთხე აეტანა. ჰორტენზიას არაფერი გაუკეთებია ისეთი, რომ თავისი მეტუსაღის აზრი შეეცვალა. არასოდეს გამოუხატავს ინტერესი სამყაროსადმი; არასოდეს უცდია გარეთ გამოსვლა და სუფთა ჰაერის ჩასუნთქვა; და არასოდეს, არაფრის გამო არ დაუჩივლია. მოწყენილსაც არასდროს ჰგავდა. მისი გონება ბავშვობის რომელიღაც საფეხურზე გაჩერდა; მარტოობა არანაირად არ აწუხებდა. მიწისქვეშა არსებად იქცა. იქ, იმ სამარეში გრძნობები გაუმძაფრდა და უხილავის დანახვა ისწავლა; ის გარშემორტყმული იყო ჰალუცინაციური სულებით, რომლებსაც ხელჩაკიდული მიჰყავდათ სხვა სამყაროებისაკენ. უკან ტოვებდა კუთხეში მიკუნჭულ სხეულს და ვარსკვლავებით მოჭედილ სივრცეში მოგზაურობდა, როგორც მტვრის ნაწილაკი, ბნელ სამყაროში ყოველგვარი მიზეზისა და მიზნის გარეშე მოხეტიალე. სარკე რომ ჰქონოდა, საკუთარი გამოსახულება შეაძრწუნებდა. ახლა კი, რადგან არ შეეძლო თავის დანახვა, ის არ იყო საკუთარი ხრწნის მოწმე: ვერ ხედავდა კანზე ჩამოკიდულ ქერცლს, ვერც აბრეშუმის ჭიებს, გრძელ, აბურდულ თმაში რომ ჩახვეოდნენ; ვერც ჩრდილების ჭვრეტისაგან დაბრმავებულ თვალებში დაწოლილ ტყვიისფერ ღრუბლებს. ვერ გრძნობდა, როგორ ეზრდებოდა ყურები, ვიდრე სმენა გარე სამყაროს ბგერებზე, უსუსტეს და უშორეს ხმებზე, - სკოლის შენობაში ბავშვების სიცილზე, ნაყინის გამყიდველის ზარის წკარუნზე, ჩიტების ფრენაზე, მდინარის ბუტბუტზე გამახვილებოდა. ვერც იმას ხვდებოდა, რომ მისი ერთდროს ლამაზი და ძლიერი ფეხები, ამ შეზღუდულ სივრცეში ხოხვისაგან სულმთლად დაიგრიხა; რომ ფეხის თითებზე ფრჩხილები ნადირის ჩლიქებივით გაუსქელდა; რომ ძვლები მინის მილებად ექცა, მუცელი ნეკნებს შორის ჩაუვარდა, ზურგზე კუზი დააწვა. მხოლოდ მისი ხელები, მუდამ არფაზე შემოხვეულები, ინარჩუნებდნენ ფორმას და სიმეტრიას. თუმცა, თითებს დაავიწყდათ ყველა ძველი მელოდია და ახლა ინსტრუმენტი მხოლოდ მის მკერდში დაგუბებულ ამოუთქმელ კვნესას გამოსცემდა. შორიდან ჰორტენზია ცირკის ტრაგიკულ მაიმუნს ჰგავდა; უფრო ახლოდან ის უსაზღვრო სიბრალულის გრძნობას აღძრავდა. თავსდატეხილი საზარელი ცვლილებისა აბსოლუტურად ვერაფერი გაეგო. გონებაში უცვლელად ჩარჩენოდა საკუთარი გამოსახულება, გოგონას სახე, ამადეო პერალტას მანქანამ იმ დღეს რომ აირეკლა, როდესაც ამ ჯურღმულში მოჰყავდა. სჯეროდა, რომ ისეთივე ლამაზი იყო, როგორც ყოველთვის და ისე იქცეოდა, თითქოს მართლა ლამაზი იყო. სილამაზის ხსოვნა მის არესებაში ღრმად შეყუჟულიყო და თუ ძალიან მიუახლოვდებოდი, პრეისტორიული ჯუჯის ფასადის მიღმა ამ ხიბლისათვის შეიძლებოდა თვალიც მოგეკრა.

ამასობაში კი, ამადეო პერალტამ, მდიდარმა და საშიშმა, მთელი რეგიონი დაიპყრო. კვირაობით თავში უჯდა უზარმაზარ მაგიდას, რომელსაც გარს მისი ვაჟები და ძმისშვილები, მეგობრები და ხელქვეითები, განსაკუთრებული სტუმრები, პოლიტიკოსები და გენერლები შემოსხდომოდნენ. ყველას გულითადად, მაგრამ გარკვეული ქედმაღლობით ექცეოდა. ყველას უნდა ხსომებოდა, თუ ვინ იყო აქ მთავარი. ზურგსუკან ხალხი ჭორაობდა, თუ რამდენს დაუნგრია ცხოვრება, რამდენი გააქრო, მთავრობას როგორ ქრთამავდა. ამბობდნენ, ქონების ნახევარი კონტრაბანდით იშოვაო, მაგრამ არავის უცდია მისი უკანონო ქმედებებისათვის სამხილის მოძებნა. იმასაც ამბობდნენ, სარდაფში ტყვე ქალი ჰყავსო. ამაზე კიდევ უფრო მეტი დარწმუნებით ყვებოდნენ, ვიდრე პერალტას სხვა შავ-ბნელი საქმეების შესახებ. ბევრმა იცოდა ეს ამბავი. ცნობილი საიდუმლოსავით იყო.

ერთ ძალიან ცხელ შუადღეს სამი პატარა ბიჭი სკოლიდან გაიპარა მდინარეზე საბანაოდ. რამდენიმე საათი იჭყუმპალავეს და მერე პერალტების ძველი შაქრის წისქვილისკენ გაეშურნენ. ეს წისქვილი ჯერ კიდევ მათი პაპების დროს დაიხურა, როცა შაქრის ჭარხლის ბიზნესმა სარფი დაკარგა. ამბობდნენ, წისქვილი გათვალულიაო. იქიდან დემონების ხმა გამოდიოდა და ბევრს დაუნახავს კიდეც, როგორ უხმობდა ბებერი, გაწეწილი ალქაჯი მკვდარი მონების სულებს. თავგადასავლის მაძიებელი ბიჭები პერალტების მამულში გადაძვრნენ და წისქვილს მიუახლოვდნენ. მალე ნანგრევებში შესვლაც გაბედეს. ალიზის კედლებიანი და ტერმიტების სატერონი გრძელი ოთახები გაირბინეს; გზას იატაკიდან მოხეთქილ მცენარეებში, ნაგვისა და ცურცლის გროვაში, დამტვრეული კრამიტებისა და გველების ბუდეებს შორის მიიკვლევდნენ. თავის გასამხნევებლად ხუმრობდნენ და ერთმანეთს აქეზებდნენ. ასე მიაღწიეს უზარმაზარ ჭერჩამონგრეულ ოთახს. აქ წვიმას და მზეს შაქრის დაჟანგული საფქვავი მცენარეებში გაეხვია. ბიჭებმა თითქოს შაქრისა და ოფლის ძველისძველი სუნიც იყნოსეს. გაბედულება სულ უფრო ემატებოდათ, როცა მოუ-

ლოდნელად, ზარის წკრიალივით მკაფიოდ, რაღაც შემზარავი სიმღერის ბგერები შემოესმათ. კანკალი აუვარდათ; ლამის უკან გამოიქცნენ, მაგრამ ფეხი ვერ გადადგეს. იქვე მიიკუნტნენ და მოჯადოებულებივით უსმენდნენ კოშმარულ მელოდიას, ვიდრე სმენა უკანასკნელმა ბგერამ არ გაბურღა. თანდათან გონს მოვიდნენ; შიშმა გაუარათ და ძებნა დაუწყეს ამ არამიწიერი ბგერების წყაროს. იატაკში პატარა, ბოქლომით დაკეტილი კარი იპოვეს. ბოქლომი ვერ გაალღეს და ფიცრების ამომტვრევა დაიწყეს. ცხვირში გალიაში დამწყვდეული მხეცის სუნივით სიმყრალე ეცათ. დაიძახეს, მაგრამ არავინ უპასუხათ. მეორე მხარეს მხოლოდ მძიმე ქშინვა ისმოდა. ბიჭებიც ყვირილით გამოიქცნენ და ყველას მოსდეს ამბავი, რომ ჯოჯოხეთის კარიბჭეს მიაგნეს.

ბავშვების ღელვა ვერაფრით დააცხრეს. სწორედ ეს გახდა იმის მიზეზი, რომ მეზობლებმა თვალნათლივ იხილეს, რასაც ათწლეულების მანძილზე ეჭვობდნენ. ჯერ ბიჭების დედები მოვიდნენ კარის ჭუჭრუტანაში ჩასახედად, მათაც არფას იგივე საზარელი ხმა მოესმათ, - ასე განსხვავებული იმ ბანალური მელოდიისგან, დიდი ხნის წინათ, აგუა სანტას ქუჩაში ოფლის მოსაწმენდად შეჩერებული ამადეო პერალტას ყურადღება რომ მიიპყრო. დედებს ფეხდაფეხ მოჰყვა ცნობისმოყვარეთა მთელი ნაკადი და უკვე მთელი ბრბო იყო შეგროვილი, როცა პოლიციამ და სახანძრომაც მოაღწია. კარი ჩაამტვრიეს და ღრმულში ფარნებითა და მთელი აღჭურვილობით ჩაეშვნენ. ორმოში რაღაც შიშველი არსება დახვდათ. კანი ძვლებზე ჩამოჰკიდებოდა, გაწეწილი ჭაღარა თმა მიწამდე სცემდა და ხმაურითა და სინათლით შეშინებული ღმუოდა. ეს ჰორტენზია იყო, - მეხანძრეების ფარნების თვალისმომჭრელ შუქზე მარგალიტის ნიჟარასავით ფოსფორისფრად მოელვარე. თითქმის ბრმა იყო, კბილები სულმთლად დალპობოდა და ფეხზე ძლივს იდგა. მის ადამიანურ წარმომავლობაზე მხოლოდ ძველისძველი, მკერდზე მიკრული არფა მეტყველებდა.

ამბავმა მთელი ქვეყანა შეძრა. ტელეეკრანი და გაზეთები აჭრელდა - ნახევარი საუკუნის შემდეგ ორმოდან ამოყვანილი, მიწოდებულ მოსასხამში გახვეული, ნახევრადშიშველი ქალის სურათებით. გულგრილობა, რომლითაც სამყარო გარს ერტყა ათწლეულების მანძილზე, სულ რამდენიმე საათში შურისძიებისა და ჰორტენზიასათვის დახმარების გაწევის დაუცხრომელ სურვილად იქცა. მეზობლებმა ამადეო პერალტას ლინჩის წესით გასამართლება გადაწყვიტეს; სახლი დაურბიეს, გამოათრიეს და გვარდია დროულად რომ არ მოსულიყო, მოედანზე, ნაკუწ-ნაკუწ დაგლეჯდნენ. თითქოს ყველა დამნაშავედ გრძნობდა თავს ჰორტენზიას წინაშე, ყველას რაღაცის გაკეთება სურდა. დაიწყეს ფულის შეგროვება მისთვის პენსიის დასანიშნად; ტონობით ტანსაცმელი და წამლები შეაგროვეს, - მას რომ არც სჭირდებოდა. რამდენიმე საქველმოქმედო ორგანიზაციას დაევალა სხეულიდან ჭუჭყის მოცილება, თმის შეჭრა და თავიდან-ფეხებამდე შემოსვა, რომ ბოლოს და ბოლოს ჩვეულებრივ მოხუც ქალს დამსგავსებოდა. მოწყალების დებმა ღარიბთა თავშესაფარში საწოლი შესთავაზეს და რამდენიმე თვის განმავლობაში დაბმული ჰყავდათ, რომ უკან, სარდაფში არ გაქცეოდათ. დღის სინათლეს და ადამიანებს შორის ცხოვრებას ძლივს შეაჩვიეს.

პრესის მიერ გაღვივებული სახალხო მღელვარებით ამადეო პერალტას ურიცხვმა მტრებმაც ისარგებლეს და შეუტიეს. მთავრობამ, რომელსაც წლების მანძილზე არ გადაუხედავს მისი კანონდარღვევებისათვის, ახლა თავს დაატეხა მართლმსაჯულების მთელი რისხვა. სკანდალი იმდენ ხანს გაგრძელდა, ვიდრე ციხეში არ ჩასვეს. მერე ამბავი ნელ-ნელა მიყუჩდა და დავიწყებას მიეცა. ოჯახისა და მეგობრების მიერ უარყოფილმა, ყოველგვარი სიმდაბლისა და სისაძაგლის სიმბოლოდ ქცეულმა, ციხის მეთვალყურეებისა და პატიმრების მიერ ერთნაირად აძულებულმა პერალტამ დარჩენილი სიცოცხლე ციხეში გაატარა. მუდამ თავის საკანში რჩებოდა; არასოდეს გადიოდა სხვა ტუსაღებთან ერთად ციხის ეზოში სასეირნოდ. აქედან მხოლოდ ქუჩიდან შემოსული ხმებისათვის შეეძლო ესმინა.

ყოველდღე, დილის ათ საათზე, ჰორტენზია შეშლილი ქალის არეული ნაბიჯებით მობარბაცებდა ციხისაკენ და გუშაგს კარიბჭეში ტუსაღისათვის თბილ ქვაბს აწვდიდა.

"მშიერი თითქმის არასდროს დავუტოვებივარ", - თავის მართლებასავით ეტყოდა ხოლმე გუშაგს. მერე ქუჩაში იჯდა და არფაზე უკრავდა. სიმებს აუტანელი ტანჯვის კვნესას აგლეჯდა. მისი ყურადღება რომ სხვა რამეზე გადაეტანათ, ან გაეჩერებინათ, გამვლელები ფულს სთავაზობდნენ.

კედლის მეორე მხარეს მოკუნტულ ამადეო პერალტას ესმოდა ეს ბგერები, რომლებიც თითქოს დედამიწის სიღრმიდან მოიწევდნენ და მისი სხეულის ყოველ ნერვში, ძარღვში აღწევდნენ. ეს ყოველდღიური წამება რაღაცაზე მიანიშნებდა, მაგრამ არაფერი აღარ ახსოვდა. დროდადრო სინდისის ქენჯნა კრუნჩხავდა; მაგრამ მერე გონება ისევ ებინდებოდა და წარსულის აჩრდილებიც სქელი ნისლით იფარებოდა. არ იცოდა, რას აკეთებდა ამ სამარეში; და თანდათან ქვეყნის ნათელიც დაავიწყდა და მთლიანად თავის ტანჯვას მიეცა.

ინგლისურიდან თარგმნა
ლელა სამნიაშვილმა

თადეუშ რუჟევიჩი

# მუდმივი ვარდნა



ადრე
ძალიან დიდი ხნის წინათ
არსებობდა უღრმესი ფსკერი
მასზე დაშვება
ყველას შეეძლო
იმას ვინც ფსკერზე აღმოჩნდებოდა
სხვათა წყალობით
ან თავისივე ქარაფშუტობით
უმზერდნენ ზიზღით
ცნობისწადილით
ხალისიანი დაუდევრობით
ან შიშნეულად
ის კი საწყალი ადამიანი
ცდილობდა ფეხზე დადგომას
და ზეაღმოსწრაფვას
თუმცა უკანვე ენარცხებოდა
პირმოთხუპნული.

ეს იყო მართლაც
უღრმესი ფსკერი
სულწაწყმედილი
და მეშჩანური

ფსკერი ორგვარი
ორსახოვანი
ფსკერი ქალთათვის
ფსკერი კაცთათვის

იმხანად იყვნენ
ქვე-დაცემულნი
ქალბატონები
და ბანკროტები
ვაჭარს, მამაოს,
ოფიცერს, სწავლულს
ყველას თავისი ფსკერი ებადა.

სხვა ფსკერიც იყო თურმე
სხვა სიღრმეც
უკვე წარხოცა მეხსიერებამ
და მისკენ კაცი
და ვერც ქალი
ვერ დაქანდება

ფსკერი ხომ იყო
ჩვენს მშობელთათვის
უცხადესი რამ

და ამ ფსკერზე ხომ
ყველას კუთვნილი
ჰქონდა ადგილი
გზასაცდენილებს
და ნირწამხდარებს

იმ ფსკერიდან
ხომ შეიძლებოდა
ზეაღმართული ხელების აჩრდილს
ჩემი ძახილიც ამოჰყოლოდა

ახლა კი უკვე
ამნაირ ჟესტებს
ყავლი გასვლია
და ფსკერიც
უკვე გაუქმებულა

ვარდნას კი ვარდნას
ამ განუწყვეტელს
სულ არ სჭირდება
რაღაც პოზები
კომპოზიცია
ფერწერული
სტატიკურობა

La Chute
დაცემა
კი შეიძლება
ლიტერატურის
და ოცნების მხურვალ წიაღში

ეს მოთხრობა
თქვენც გეხსომებათ
მეტად ზნეკეთილ ადამიანზე
ამ გულახდილმა
აღიარებამ
ჩვენს უდიდეს თანამედროვეს
იქნებ სულ ბოლო
ფრანგ მორალისტს
ჯილდო არგუნა.

იყო უმანკო დაცემები
მეტად უმანკო
თქვენ გეხსომებათ
ჰიპო რეკვისი
ეპისკოპოსი
და მისი მწარე
აღსარებანი.

ჩვენი ვენახის სიახლოვეს მსხლის ხე ჰყვაოდა, ნაყოფებით დამძიმებული. ეს ნაყოფები არც შესახედაობით იტყუებდა მნახველს და არც გემოთი. ჩვენ, უზრუნველმა ყმაწვილებმა, გადავწყვიტეთ მსხლის ხე დაგვებერტყა. და ამ მიზნის აღსასრულებლად გავეშურეთ გვიან ღამით, მოედანზე თამაშს რომ მოვრჩით. შევაგროვეთ უამრავი მსხალი, არა საჩვენოდ, არამედ ტახებისთვის დასაყრელად. გზაში ცოტას გეახელით კიდეც, თუმცაღა აკრძალული გვქონდა.

აი, ჩემი გული, უფალო, აი, ჩემი გული, რომლის მიმართაც წყალობა ჰყავ, მაშინ, როცა იგი უფსკრულის ფსკერზე აღმოჩნდა...

"უფსკრულის ფსკერზე"

ცოდვილნო და მონანიენო
წამებულნო მწერლობისანო
დღეგრძელო სამწყსოვ
თქვენ ხომ ყრმები ხართ
ღვთის სასუფევლის მომლოდინენი
(სად არის ნეტავ სასუფეველი)

- გწამთ ღმერთი? - წამოისროლა უეცრად ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩმა.

- მწამს.

- აკი ნათქვამია, თუკი გწამს და უბრძანებ მთას, დაიძარიო, ის დაიძრება... თუმცა მაპატიეთ, ამ მიდებ-მოდების გამო, მე მინდა გკითხოთ ერთი რამ: შეგიძლიათ თქვენ დაძრათ მთა?

ამგვარ შეკითხვებს სვამდა
"მტარვალი" სტავროგინი
გახსოვთ მისი სიზმარი
და კლოდ ლორენის სურათი
"აქ ცხოვრობდნენ მშვენიერი
ადამიანები"
დრეზდენის გალერეაში

კამიუ
La Chute დაცემა
აჰ, ჩემო კარგო, მარტოსულისთვის ულმერთოდ და უშემოქმედოდ დღეთა სიმძიმე საშინელია.

ამ შემართულმა
უხინჯო გულის
პატრონმა კაცმა
ამსტერდამის კონცენტრულ არხებს
უცნაური თვალით შეხედა
ჯოჯოხეთის წრეებიაო
წამოსცდენია
და ერთ მთლად უცნობ მეინახეს
ისიც კი უთხრა
სულ ბოლო წრეში
ვიმყოფებითო

უკანასკნელი
უკანასკნელი მორალისტი
ფრანგული ლიტერატურისა
რომელსაც
ბავშვობიდანვე სწამდა
ფსკერის
მას სჯეროდა ადამიანის
და ძალიან უყვარდა დოსტოევსკი
იტანჯებოდა
რადგან არსად ეგულებოდა
ჯოჯოხეთი
სამოთხე
კრავი
ტყუილი
მას ეგონა
რომ ფსკერს მიაგნო
რომ დაეცა
რომ იწვა ფსკერზე

არადა
ფსკერი სადღა იყო
უფსკერობა
დაგვბედებოდა

და ამას მიხვდა
პარიზელი ერთი გოგონა
და დაწერა მოთხრობა
სიკვდილზე
სალამი სევდავ
მადლიერი მკითხველები
რკინის ფარდის
ორივე მხარეს
კითხულობდნენ
ამ ნაწარმოებს

ამ გოგონამ
მწყაზარმა ქალმა
იგუმანა
არარსებობა
იმავ ფსკერისა
და ჯოჯოხეთის წრეებისა
ამაღლებისა
და ქვედამხობისა

ყველაფერი თამაშდება
არცთუ გაშლილ
მჭიდრო სივრცეში

ის რაც ოდესღაც
ჯოჯოხეთის კარიბჭე იყო
მწერალმა ქალმა
ვაგინათი შეცვალა
და ვესტიბიულით
მშობლებს ჰკითხეთ
მათ ახლაც ახსოვთ
რეალური
ცხოვრების ფსკერი
სიღარიბის, ხელმოკლეობის
და მორალური
მორალური ფსკერი ყოფნისა

"Dolce vita"
კრისტინა ვილერი
ცხოვრების ფსკერზე იმყოფებოდა
ლორდ დენინგის
რაპორტი
საპირისპიროს ამტკიცებს
Mons pubis
ამ მწვერვალიდან
მოუხილველი
ჰორიზონტები გადაიშლება

სად არის ფსკერი
მწვერვალები
ან უფსკრულები

დროდადრო ვფიქრობ
რომ ყოფნის ფსკერი
ზედ ცხოვრების ზედაპირიდან
არცთუ შორს არის
ეს გახლავთ ფსკერი
თანამედროვე ადამიანთა
მაგრამ ესეც ცდომილებაა
იქნებ "ჩვენს დროში"
უნდა შევქმნათ ახალი ფსკერი
ფსკერი რომელიც

ჩვენს მოთხოვნებს ესადაგება

Mondo Cane
რად მოახდინა
ამ ფილმმა ჩემზე
წარუშლელი შთაბეჭდილება
Mondo Cane ein
ein Faustschlag ins
Gcsicht
Mondo Cane
უვარსკვლავებო ფილმი
Mondo Cane
ადამიანები ამ ფილმში
ჭამენ ცეკვავენ
კლავენ ცხოველებს
ლოცულობენ კვდებიან

ფერადი რეპორტაჟი
ბებერი ადამიანების აგონიაზე
ჩინურ სამზარეულოზე
სანელებლებზე
ძველი მანქანების
მოკვდინებაზე
ფორმების გაბრტყელება
მეტალის კეცვა
განადგურებული საბარგულის
ხრჭიალი
მანქანის მეტალისმიერი
შიგნეულობა
მანქანების სასაფლაო
ფერწერა
არამიწიერი მუსიკის ფონზე

პარიზში თეთრ ტილოებზე
აღბეჭდავენ სხეულს
წმინდა ვერონიკა
ხელოვნების სახე
მილიონერების პირები
მათი ცოლების ტუჩი
და პირი
შემწვარი ჭიანჭველები
მატლები, მწერები
შავი ნამუსრევი
ვერცხლის თეფშებზე
ალისფერი ბაგენი
Mondo Cane-დან
უზარმაზარი ალისფერი
ბაგეები Mondo Cane-დან
და მათი მოძრაობა

შემდეგ გაიმართა დისკუსია
სქემის მესამე ნაწილზე
რომელიც ეხებოდა ეკლესიას
და ღვთის ხალხს
კარდინალმა რუფინიმ
თქვა
რომ ღვთის ხალხის ცნება
ძალზე მიახლოებითია
ვინაიდან მესამე ნაწილმა
ვერ მიიღო
ხმათა უმრავლესობა
გადაეგზავნა
დასახვეწად
ლიტურგიკულ კომისიას

ჩვენი ვენახის სიახლოვეს მსხლის ხე ჰყვაოდა, ნაყოფებით დამძიმებული. ეს ნაყოფები არც შესახედაობით იტყუებდა მნახველს და არც გემოთი□ გამოტყდა ავგუსტინე

მიგიქცევიათ ყურადღება
ინტერიერი
თანამედროვე ეკლესიების
ძალზე წააგავს
აეროპორტის
ან სადგურის
მოსაცდელ ოთახს

ფსკერზე ვარდნისას
ჩვენ გზადაგზა
ვერ ვიძენთ ფორმას
ძალაუფლების ატრიბუტიკა
ხელიდან გვისხლტის

ვარდნისას ბოსტანს ვამუშავებთ
ბავშვებს ვზრდით
და ვაკვალიანებთ
კლასიკოსების თხზულებებს
ვფურცლავთ
გულმოდგინედ ვშლით
ზედსართავ სახელს

ვარდნა სიტყვაა
არცთუ ბოლომდე
შესატყვისი
ის ვერ გადმოსცემს
სულისა და სხეულის
სწრაფვას
მათ მოძრაობას
ადამიანში.

მეამბოხენი
და დაცემულნი
ანგელოზები
თავქვე ცვიოდნენ
სულ სხვა არის
თანამედროვე
ადამიანი
ის ვარდება
ერთდროულად
სხვადასხვა მხარეს
ზემოდან ქვემოთ
და აქეთ-იქით

ეს იყო ადრე
რომ ცვიოდნენ
ვერტიკალურად
ახლა ყველანი
ვარდებიან
ჰორიზონტალზე.

*თარგმნა ანდრო ბუაჩიძემ*

პოლ ვალერი

# ვიიონი და ვერლენი



თითქოსდა იმაზე ადვილი, ბუნებრივი არაფერია, ვიდრე გვერდიგვერდ დააყენო ფრანსუა ვიიონისა და პოლ ვერლენის სახელები. ისტორიული, ანუ წარმოსახვითი პარალელების მოყვარული მკითხველი იოლად აღმოაჩენს ლიტერატურული სამყაროს ამ ორ ფიგურას შორის მსგავსებას. ორივე საუცხოო პოეტია, ორივე - ცნობილი უწესოა, ორივე თავის ლექსებში უაღრესად ღვთისმოსავ გრძნობებს უხამებს ფრიად თავისუფალ შენიშვნებსა და ხასიათებს, და ამ ერთი ტონალობიდან მეორეში უჩვეულო სიმსუბუქით გადადის; ორივე უზადოდ ფლობს ლექსწყობის ხელოვნებას და თავისი დროის ენას, ორივეს განათლება შეესაბამება ცოცხალ მეტყველებას, ხალხის ხმას; ხალხისა, რომელიც იგონებს, ამახინჯებს, ერთმანეთში ურევს სიტყვებსა და კონსტრუქციებს ისე, როგორც მოეპრიანება. ორივე პოეტმა საკმაოდ კარგად იცის ლათინური და ჩინებულად - ჟარგონული ლექსიკა; ორივე დროს ატარებს, როგორც მოეგუნებება - ეკლესიაში ან ტავერნაში; ორივე, თუმცა სხვადასხვა მიზეზით, პატიმრობის სიმწარესაც გამოსცდის, სადაც, მართალია, ვერ გამოსწორდნენ, სამაგიეროდ, სინდისის ქენჯნის, შიშისა და სინანულის ლექსად გამოსახვის ხელოვნება დახვეწეს. ორივე უკან იხევს, ნანობს, კვლავ უკან იხევს და ფსკერიდან დიდ პოეტად ამოდის, მაღლდება. პარალელი უნებურად იბადება და მისი განვითარებაც არ არის ძნელი.

ოღონდ, რადგან ასე ნათლად და ადვილად ხერხდება მათი ერთმანეთთან შეჯერება-გატოლება, გამიჯვნაც არ ჭირს. არ ღირს ამ მსგავსებას დიდი მნიშვნელობა მიენიჭოს. ვიიონი და ვერლენი, ცხადია, ფრიად იღბლიან შეხამებას წარმოადგენს ფრანგული ლიტერატურის ორიგინალური პანორამისთვის, რომელშიც თავშესაქცევად შეგვიძლია ჩავამწკრივოთ, წყვილ-წყვილად დავაჯგუფოდ ჩვენი დიდი ავტორები, გულმოდგინედ ავარჩიოთ და ერთმანეთს ამოვუყენოთ, თუნდაც, ზოგჯერ წარმოსახვითაც, ვთქვათ, კორნელი-რასინს, ბოსიუ-ფენელონს, ჰიუგო-ლამარტინს. ზოგჯერ, პირიქითაც, მსგავსების გამო, როგორც ამ შემთხვევაში, რომლის შესახებაც ახლა ვლაპარაკობთ. ყველაფერი ეს, თვალს მანამ სიამოვნებს, სანამ აწონ-დაწონის დრო არ დადგება და არ გავარკვევთ - რომ ეს დახვეწილი დაწყვილება არც დამაჯერებელია, არც სასარგებლო და საჭირო. მოკლედ, ამ შენიშვნის სათქმელად თავს იმიტომ მივეცი უფლება, რომ აგაცილოთ დეკორატიულ-რიტორიკული საშუალებების აღრევის სახიფათო ცდუნებას ჭეშმარიტ, კრიტიკულ მეთოდებთან, რომლის მეშვეობითაც რაიმე მნიშვნელოვანი დასკვნის გამოტანა შეიძლება.

დავუმატებ: "ვიიონ-ვერლენის" კომბინაცია, ორი არაჩვეულებრივი პიროვნების აშკარა და მაცდუნებელი შეპირისპირება, რასაც ჩვენი დღევანდელი საუბარი ეძღვნება, ზოგჯერ ბიოგრაფიული ფაქტითაც მტკიცდება. ხოლო, როცა მხოლოდ ავტორებს კი არა, მათ ნაწარმოებებსაც ვადარებთ, შეპირისპირება ნელ-ნელა სუსტდება, თუ მთლად არ ქრება. ზუსტად ამის ცხადყოფას ვაპირებ ახლა.

შეიძლება ვთქვათ, რომ ბიოგრაფიების შედარების იდეა ცალკეული დამთხვევების გამო წარმოიშვა, და მომიწევს იმ მეთოდს მივმართო, ჩვეულებრივ, ჩემში უნდობლობას რომ იწვევს. მივიჩნევ - ეს ჩემი ერთ-ერთი პარადოქსია, რომ პოეტის ბიოგრაფიის ცოდნა უსარგებლო ცოდნაა, შეიძლება ითქვას, სრულიად დამღუპველიც ავტორის ნაწარმოებების აღქმისას, ე.ი. იმ სიხარულის აღქმისთვის, რომელსაც ნაწარმოების წაკითხვის დროს განვიცდით, ან იმ დასკვნებისთვის ხელოვნების არსის შესახებ, რომლებსაც ამ ნაწარმოებების წაკითხვისას ვაკეთებთ. რა მესაქმება რასინის მიჯნურობასთან? მე "ფედრა" მაინტერესებს. რას მოვიგებ საწყისი მასალიდან, რომელიც ყველგან თავზესაყრელადაა? ნიჭი, ე.ი. გარდასახვის უნარი - აი, რა მხვდება გულში და ჩემში შურს იწვევს. სამყაროს ერთად აღებულ ყველა ვნებას, თვით ყოვლისშთანმთქმელ განცდასაც კი თავისთავად არ შეუძლია კარგი ლექსის დაბადება. რა კეთილგანწყობილიც უნდა ვიყოთ ავტორისადმი, მას ხანგრძლივი შემოქმედებითი ცხოვრება, გარემოება და ადგილი იმისთვის კი არ ეძლევა, რომ მასში რაღაც ჩვეულებრივი და ადამიანურია, არამედ იმისთვის, რომ ოდნავ აღემატება ჩვეულებრივ ადამიანს. თუ ვამბობთ, რომ ბიოგრაფიებისადმი ინტერესმა შეიძლება ზიანი მოიტანოს მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ინტერესი ძალიან ხშირად გვიქმნის მიზეზს, პირობასა და საშუალებას, დავშორდეთ თვით ლექსების გულმოდგინე და ბუნებრივ შესწავლას. გვგონია, რომ ლექსებში ყველაფერი ნათელია, თუმცა, სინამდვილეში, მხოლოდ იმას ვაკეთებთ, რომ ამ ლექსებს თავს ვარიდებთ და მათთან ყოველ შეხვედრას გავურბივართ, მათი ავტორების, წინაპრების, მეგობრების, პრობლემებისა და საქმიანობის შესწავლით; ამით მხოლოდ თავს ვიტყუებთ - მეორეხარისხოვნისთვის მთავარს ვივიწყებთ. არაფერი ვიცით ჰომეროსზე. ეს ოდნავადაც არ აკნინებს "ოდისეას" ზღვის სილამაზეს... აბა, რა ვიცით ბიბლიის შემქმნელებზე, ეკლესიასტეს ან "ქებათა-ქების" ავტორებზე? ამ ნაწარმოებების სილამაზეს ამის გამო არაფერი აკლდება. ბოლოს, აბა, რა ვიცით შექსპირზე? ისიც კი არა - "ჰამლეტი" თუ მან დაწერა.

მაგრამ დღევანდელ საუბარში ბიოგრაფიულ საკითხებზე თავის არიდებას ვერ მოვახერხებთ. იგი დასაწყისშივე იჩენს თავს და მომიწევს ხელი მოვკიდო იმას, რასაც ახლახანს ვკიცხავდი.

საქმე ისაა, რომ ორმაგი სიტუაცია - ვერლენი-ვიიო-

ნი - განსაკუთრებული სიტუაციაა. იგი იშვიათი და გამასხვავებელ-დამახასიათებელი თვისებების მატარებელია. თითოეული მათგანის მიერ დაწერილი საკმაოდ საგრძნობი ნაწილი უშუალოდ მათივე ცხოვრებას ეხება. მათ ნაწარმოებებში, უდავოა, ბევრი რამ არის ავტობიოგრაფიული. ორივემ ამის არცთუ ცოტა მტკიცებულებანი დაგვიტოვა. ოღონდ საეჭვოა, რომ მათი აღიარება ყოველთვის გულწრფელია. თუ მათ ნაწარმოებებში, მართლაც სარწმუნო ფაქტებია გადმოცემული, მაშინ არა ყველაფერი და არა ყველა ფაქტია სანდო. ხელოვანი სიტყვას ირჩევს, მაშინაც კი, როცა აღსარებას ამბობს: აქ შეამსუბუქებს ფაქტებს, იქ გაამუქებს ფერებს...

უკვე ვთქვი, რომ ეს სიტუაცია განსაკუთრებულია. პოეტების უმრავლესობა, როცა საკუთარ თავზე წერს, არ სიტყვაძუნწობს. ლირიკოსები, საერთოდაც, მხოლოდ საკუთარ თავზე წერენ. აბა, რაზე ან ვისზე წერონ. ლირიკა - "მე"-ს ხმაა, ჟღერადობის უკიდურეს სიფაქიზემდე აყვანილი და, იქნებ, ყველაზე მაღალ ნოტაზეც. ლირიკოსი პოეტები საკუთარ თავზე იგივე მანერით ლაპარაკობენ, როგორც მუსიკოსები, - თავის შეგრძნებებს საკუთარი ცხოვრების კრიტიკული მოვლენებიდან გამოატარებენ და უნივერსალური ხასიათის იდუმალ ცდებში გადაადნობენ. მათ რომ გავუგოთ, საკმარისია, თუნდაც ერთხელ აღვფრთოვანდეთ დღის სინათლით, შევიგრძნოთ ბედნიერება, განსაკუთრებით კი - უბედურება, სურვილი, გატაცება; თავგზის აბნევა და სინანული, - საკმარისია ყოველი ადამიანისთვის ნაცნობი ეს უბრალო ცხოვრებისეული მდგომარეობა განიცადო, მდგომარეობა, რომელთაგან თითოეულს ქნარზე საკუთარი სიმი შეესაბამება...

ჩვეულებრივ, ეს საკმარისი აღმოჩნდება ხოლმე, მაგრამ ვიიონთან სულ სხვაგვარად არის. ეს დიდი ხნის წინ შეამჩნიეს, ოთხასზე მეტი წლის წინ. ამაოდ როდი დაწერა კლემან მარომ - მსურველს, "ჩასწვდეს და შეაფასოს" ვიიონის ბევრი ტექსტი, "იმ დროის პარიზში ცხოვრება დასჭირდება და იმ ადამიანების,იმ საგნების ცოდნა, რომლებზეც იგი ლაპარაკობს, რადგან, რაც დრო გადის, მით უფრო გვშორდება ეს მოგონებები, და უფრო ნაკლებს ეუბნება ადამიანებს მათი სახელები. ამიტომაც, ვისაც თავისი შრომით ხანგრძლივი სიცოცხლე სურს, საგნებზე ასე მდაბლად, ასე წვრილმანობით არ უნდა წეროს".

მაშ ასე, აუცილებელია, ფრანსუა ვიიონის ცხოვრებასა და თავგადასავლებს მივმართოთ, ვცადოთ იმ დეტალებში აღვადგინოთ, როგორც მოიხსენიებს ან ამოვხსნათ მისი მრავალრიცხოვანი ქარაგმა. ვიიონი იმ ადამიანების სახელებს ჩამოთვლის, რომლებმაც მის ოღროჩოღრო ბედისწერაში კარგი ან ცუდი როლი ითამაშეს; ერთ ნაწილს მადლიერებით მოიხსენიებს, მეორეს დასცინის ანდა წყევლა-კრულვას უთვლის; აღწერს დუქნებს, სადაც ხშირად დადიოდა, რამდენიმე სიტყვით მუდამ ოსტატური სიზუსტით ხატავს ქალაქური ცხოვრების რაკურსებსა და სცენებს. ეს ლექსები მსგავსი წვრილმანებით გადავსებულია, მათგან განუშორებელია, ამიტომაც ზოგიერთი ადგილი გაუგებარია იმათთვის, ვინც იმ ეპოქის პარიზს, მის თვალწარმტაცსა თუ ნაღვლიან კუთხეებს არ იცნობს. ვფიქრობ, "პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის" ზოგიერთი თავი გვარიანი წინასიტყვაობა იქნება ვიიონის ლექსებისთვის. ჰიუგომ, ჩემი აზრით, მშვენივრად დაინახა ან მშვენივრად შეთხზა, მისთვის დამახასიათებელი ხელგაშლილობითა და სიზუსტით გადმოსცა მეთხუთმეტე საუკუნის ასე თუ ისე გამოგონილი დეტალები. უპირველეს ყოვლისა კი პიერ შამპიონის(1) მშვენიერ შრომას გირჩევთ წასაკითხად, სადაც თქვენ იპოვით ყველაფერს, რაც ცნობილია ვიიონისა და მისი დროის პარიზზე.



VERLAINE

სირთულეები, რომლებსაც ჩვენში ვიიონის ლექსების კითხვა იწვევს, მხოლოდ ეპოქათა სხვაობასა და ზოგიერთი მოვლენის გაქრობაზე არ დაიყვანება, იგი მათი ავტორის განსაკუთრებულ ხასიათთანაც არის დაკავშირებული. ეს გონებამახვილი პარიზელი - შიშისმომგვრელი პიროვნებაცაა. ის მარტო სქოლარი ან ბურჟუა არ არის, რომელიც ლექსებს თხზავს და ზომიერად ეშმაკობს. ხიფათი, რომელიც ემუქრება, ისევე როგორც მისთვის ხელმისაწვდომი შთაბეჭდილებები, ისეთივეა, როგორიც მისი დროისა და წოდების ადამიანებისთვის. მეტრი ვიიონი - განსაკუთრებული კაცია, რადგან ჩვენს ამქარში (თუმცა ბევრი თავგადასავლების მოყვარულია - თეორიულად) არცთუ ხშირად ხდება, როცა პოეტს ხელობად ყაჩაღობა აქვს, ხელიდან წასული თაღლითია, ადანაშაულებენ მაწანწალობასა და საზარელ ბანდებთან კავშირში, რომ იგი ძარცვავს, ტეხს ზანდუკებსა და სალაროებს, თუ შემთხვევა მიეცემა, ჰკლავს კიდეც, გამუდმებით ფხიზლობს, გრძნობს, მის თავზე ყულფი ჰკიდია, და ამ დროს, უმშვენიერესი ლექსების წერას არ წყვეტს. სახრჩობელის ეს კანდიდატი (ჩვენ ხომ არ ვიცით, როგორ დაამთავრა მან სიცოცხლე, და საფუძველიც გვაქვს, ზუსტი ცნობისა გვეშინოდეს), ეს დევნით გატანჯული პოეტი თავის ლექსებში უხვად იყენებს იმ დროისთვის დამახასიათებელ სიტყვებსა და გამოთქმებს, იმ ბნელ და საიდუმლო ენისას, რომელზეც მხოლოდ იმ ადგილებში ლაპარაკობდნენ, ცუდი სახელით რომ იყო ცნობილი. ზოგიერთი მისი ლექსი ამ ენაზეა დაწერილი, და ჩვენთვის პრაქტიკულად გაუგებარია. იმ სამყაროს მცხოვრებნი, სადაც ამ ენას იყენებდნენ, დღის ნათელის მაგივრად ბნელ ღამეს ირჩევდნენ და მათი მეტყველებაც ღამის ზღურბლთანაა გაწოლილი, ძაღლსა და მგელს შუა, ე.ი. ჩვეულებრივ ენასა, რომლისგანაც სინტაქსი ისესხა, და სიტყვათა გამოუცნობ ნაკრებს შუა, რომელიც ზეპირად, პირიდან პირზე გადაეცემა და განუწყვეტლად განახლდება. მათ ლექსიკონში ბილწი, საზიზღრად მჟღერი სიტყვებია, დროდადრო შიშისმომგვრელ გამოხატულებას რომ იძენს. მიუხედავად იმისა, რომ აზრი ზოგჯერ გაუგებარია, სიტყვების უხეში ან კარიკატურული გარსით ვხვდებით იმ ცნებებს, აღმოჩენებს თუ სახეებს, მათში რომ იფარება.

ეს გახლავთ პრიმიტიული ტიპის ნამდვილი პოეტური შემოქმედება, პოეტურ ნაწარმოებებში პირველი და უმთავრესი ხომ ადამიანის სიტყვაა. ღატაკთა და ქურდთა ჟარგონი, მართალია, ზრდილი საზოგადოების მეტყველებიდან არის ამოზრდილი, მაინც თვითმყოფადი წარმონაქმნია, რომელიც უსასრულოდ იცვლება, სრულყოფილებას აღწევს - ბუნაგებში, ციხეებში, პარიზის ყველაზე ბნელ, უკეთურ ქუჩა-ბანდებში, საზოგადოების



VILLON.

D'après une gravure en bois en tête de ses œuvres publiées par Marot

ყველაზე გამოუსწორებელი მტრების მეშვეობით, იმათი მეშვეობით, ვინც შიშს თესავს და იმავე დროს, თავადაც მუდმივად იმყოფება შიშში, ბოროტებას სჩადიან და გაჭირვებისგან იტანჯებიან, დანაშაულს ამზადებენ, გარყვნილ ცხოვრებას ეწევიან, ოცნებობენ შურისძიებაზე, თვალწინ კი გამუდმებით წამება და სასჯელი (იმ დროს ხშირად საშინლად მკაცრიც) უდგათ; ამაზე ფიქრიც განუწყვეტლივ თან სდევთ, აძრწუნებთ, გალიაში ჩამწყვდეული მხეცებივით აქეთ-იქით აწყდებიან დანაშაულსა და სასჯელს შორის.

ფრანსუა ვიიონის ბიოგრაფიაში, ისევე როგორც მისსავე პოეზიაში, ბევრი ბნელით მოცული ადგილია; მის ცხოვრებაშიც, ლექსებშიც ბევრი რამ არის წყვდიადით დაფარული, ისევე, როგორც თვით სახე პოეტისა.

იქიდან გამომდინარე, რაც მასზე ვიცით, მისი ჭეშმარიტი სახე ფრიად უბადრუკად წარმოგვიდგება: ცნობები მის შესახებ ან მისივე ლექსებიდანაა ამოკრებილი ან მართლმსაჯულების ჩანაწერებიდან, რომლებიც რაიმე განსაკუთრებულ მისახვედრ ვარიანტს არ იძლევა და უფლებას გვიტოვებს შევქმნათ შურისმაძიებელი, საძაგელი ადამიანის პორტრეტი, რომელსაც ყველაზე მდაბალი ქმედების ჩადენა შეუძლია, ოღონდ, ეგ არის, დროდადრო, მოულოდნელად, მის სახეში ღვთისმოსაობა და სინაზე გამოჟონავს, აკიაფდება, მაგალითად, როგორც იმ ცნობილ და უმშვენიერეს ლექსში ("ბალადა - ლოცვები ღვისმშობელს"), რომელიც ლოცვასავით შექმნა საკუთარი დედისთვის, საცოდავი ქალისთვის, რომელმაც დაახლოებით 1435 წელს თავისი ვაჟი, ფრანსუა დე მონკორბიედ წოდებული, რომელსაც მერე მძიმე ხვედრი, დიდება, საპყრობილეთა ჯაჭვი და პოეზია ერგება წილად, ალსაზრდელად გიიომ დე ვიიონს მიაბარა, წმინდა ბენედიქტეს ეკლესიის წმინდა იოანეს სამლოცველოს კაპელანს.

ეს ბალადა, ერთ-ერთი საუკეთესოა ფრანგულ პოეზიაში.

თუ ყურადღებას არ მიაქცევთ ოდნავ უკვე გაფერმკრთალებულ სიტყვებს, ენა თანამედროვეს ჰგავს; ეს ლექსი თითქმის ხუთი ასეული წლის წინ დაიწერა, მაგრამ დღემდე გვახარებს და გვაღელვებს. აღგვაფრთოვანებს პოეტის ოსტატობა, ფორმათა სრულყოფილება, დახვეწილი სტროფების უზადო მუსიკალური წყობა, რომელშიც სინტაქსის სიმდიდრე და მუხლების ბუნებრივი მრავალფეროვნება, კონსტრუქციების ადვილად შეკავშირების საშუალებას იძლევა - ათი ხაზი, ათი მარცვალი, ოთხი რითმა. აღფრთოვანებული ვარ ამ რითმების უკვდავობით, ლუდოვიკო XI დროს რომ აღმოცენდა. ამაში ვხედავ ჩვენი ლიტერატურული მემკვიდრეობის ნამდვილ საბუთსა და ფრანგული ენის უცვლელ არსს მრავალი საუკუნის განმავლობაში. ევროპაში ასეთი მემკვიდრეობით მხოლოდ საფრანგეთსა და ინგლისს შეუძლია იამაყოს; ამ ორ ქვეყანაში მეთხუთმეტე საუკუნიდან მოყოლებული, თაობების ცვლის ფონზე, პირველხარისხოვანი მთხზველებისა და ლიტერატურული ნაწარმოებების შექმნა არ შეჩერებულა.

საერთოდ კი, იმის მიუხედავად, ვიიონი ჩამოახრჩვეს თუ არა, სიცოცხლეს განაგრძობს იმ ავტორთა თანაბრად, დღეს რომ მოღვაწეობენ. იგი სიცოცხლეს აგრძელებს, რადგან მისი ლექსები ჩვენთვის გასაგებია, გულგრილს არ გვტოვებენ, და რაც მთავარია, - იმიტომ, რომ ისინი უძლებენ ყველაზე ძლიერ და სრულყოფილ ნაწარმოებებთან შეჯიბრს, რომლებიც უდიდესმა ავტორებმა შექმნეს, მას აქეთ მილეულ ოთხი საუკუნის განმავლობაში, მისი ლექსების ფორმა ფასდაუდებელია.

ტექსტების ბედზე ლაპარაკიდან ისევ მათი ავტორების ბედზე საუბარს დავუბრუნდები. უკვე ვთქვი, რომ იგი მხოლოდ ნაწილობრივ არის-მეთქი ჩვენთვის ცნობილი. როგორც რემბრანტთან - დიდი ნაწილი ჩრდილში რჩება, საიდანაც ცალკეული ფრაგმენტები და დეტალები საოცრად ნათლად, გამაოგნებელი მკაფიოობით გამოდის.

გიამბობთ როგორ აღმოჩნდა ეს დეტალები: ისინი სამართალწარმოების მასალებიდან გახდა ცნობილი. ამ მასალებს, რომლებშიც პრაქტიკულად სრულიად სანდო ინფორმაციაა ვიიონის შესახებ, სამ თუ ოთხ მაძიებელს, პირველხარისხოვან ერუდიტს უნდა ვუმადლოდეთ. ახლა ზუსტად ის დროა, საკადრისი პატივი მივაგოთ ლონონს(2), მარსელ შვობს და პიერ შამპიონს, რომლებამდეც მხოლოდ ნაკლებად სანდო ინფორმაციები გვქონდა პოეტზე. მათ მოიძიეს ეროვნული არქივის პარიზის სასამართლოს საქაღალდეებში უმნიშვნელოვანესი საბუთები.

მე არ ვიცნობდი ოგიუსტ ლონონს, სამაგიეროდ, კარგად ვიცნობდი მარსელ შვობს, მღელვარებით ვიხსენებ ჩვენს ხანგრძლივ საუბრებს მწუხრისას, როცა ეს უჩვეულო გონებითა და შორსმჭვრეტელობით დაჯილდოებული ადამიანის თავის ძიებებს, წინათგრძნობებსა და იმ აღმოჩენებზე მიამბობდა, რომლებიც მას მიზანს აახლოვებდა - სანდო ცნობების აღმოჩენას ვიიონის საქმეზე. იგი ფლობდა ედგარ პოს ინდუქციური წარმოსახვის უნარს, ფილოლოგის დაჟინებულ გამჭრიახობას, ტექსტის ანალიზის თავისებურ ნიჭს, გარდა ამისა, მას ჰქონდა ის განსაკუთრებული ინტერესი გამოჩენილი პიროვნებებისადმი და მათი უჩვეულო ბედისადმი, რაც დაეხმარა პირველს ჩაეხედა ბევრ საუცხოო წიგნში, ლიტერატურაში მოვლენებად რომ იქცა.

ლონონის მაგალითით (და პოლიციისა, რომელიც თავის მუშაობაში ამავე მეთოდს იყენებს) გადაწყვიტა გამოთვლის მეთოდით ემუშავა - ვიიონს დასწეოდა, მიემართა "ტოტალური ალყისთვის". ამისთვის საჭირო იყო დამნაშავის ყველა პოტენციური გარემოცვისთვის, რომელთა ხელში ჩაგდებაც უნდოდა, მახე დაეგო, - დაეკავებინა, ე.ი. "გამოეაშკარავებინა" ყველა მისი თანამზრახველი. მას უნ-

დოდა შეემოწმებინა და შეეფასებინა ის გულმოდგინება, რომლითაც მაშინ სისხლის სამართლის საქმეებს იძიებდნენ. ერთხელ იმ დამნაშავეთა ბანდის ავაზაკურ თავგადასავლებზეც მიამბო, რომლებთანაც ჩვენი ვიიონი იყო დაკავშირებული. შვობმა დამნაშავეები დიჟონში აღმოაჩინა, სადაც ბევრი დანაშაული ჩაიდინეს; მძარცველები ის-ის იყო უნდა დაეჭირათ, რომ ქალაქი მოულოდნელად დატოვეს და სხვადასხვა მხარეს გაიფანტნენ. დიჟონის სასამართლოს პროკურორს თვალთაგან არ დაუკარგავს ისინი; ერთ თავის კოლეგას პატაკს უგზავნის და გაქცეულებზე ზუსტ ცნობებს აწვდის. ნაძარცვით დატვირთული სამი მათგანი ტყეში გაუჩინარდა. თურმე ორმა ერთმანეთში მოილაპარაკა, მესამე ხანჯლით მოკლა, მისი წილი გაინაწილა და ერთმანეთს დაშორდა. ერთი იმათგანი, როგორც ეტყობა, ორლეანში ჩამოჰკიდეს, მეორე მონტარჟში ყალბი ფულის მოჭრისთვის ცოცხლად მოხარშეს. ეტყობა, მაშინდელი მართლმსაჯულება, რომელსაც არც ტელეფონი, არც ტელეგრაფი, არც ფოტოგრაფია, არც თითების ანაბეჭდი ან ანთროპომეტრული აღწერები არ გააჩნდა, კარგად მუშაობას მაინც ახერხებდა.

სერიოზული საფუძველი არსებობს ვივარაუდოთ, რომ ვიიონი ამ ბანდის წევრი იყო, რომლის სახელიც “ნიჟარათა ძმობა“ ანუ “ნიჟარქვა“ საკმაოდ სახელგავარდნილი გახლდათ. მისი ცხოვრება, ერთდროულად, უბედურიც იყო და ბედნიერიც, როგორც ჩანს, ხანმოკლეც - ძალზე საეჭვოა, ორმოც წლამდე ეცოცხლა. მოკლედ მოგითხრობთ მის ისტორიას, უფრო სწორად იმას, რაც იმ მკვლევარებმა შეძლეს და გაარკვიეს, უკვე რომ დავასახელე და რომელთა შრომების წაკითხვაც ნამდვილად ღირს, არა იმისათვის, დიდი პოეტის ლექსები გავიგოთ, არამედ იმიტომ, ამ სამეულის მიერ წარსულის აღსადგენად გაწეული შრომის სრულყოფილება რომ შევაფასოთ და გავიგოთ, აღმოჩენის უნარის გვერდით კიდევ არსებობს უნარი ძიებისა, ხოლო მწერლის ტალანტის თანაბრად არის კიდევ ტალანტი მკითხველისა.

ვიიონი 1431 წელს დაიბადა პარიზში, ნამდვილი სახელი და გვარია ფრანსუა დე მონკორბიე. დედამისი ღატაკი ქალი ყოფილა; შვილის აღზრდა ვერ შეძლო თურმე და აღსაზრდელად მიაბარა წმინდა ბენედიქტეს თემის პატივცემულ კანონიკ გიიომ დე ვიიონს, რომელიც იქვე, ეკლესიასთან ცხოვრობდა. მის სახლში აღიზარდა ფრანსუა ვიიონი და დაწყებითი განათლებაც იქ მიუღია. მამობილი, ეტყობა, კარგად ექცეოდა, ერთგვარი სინაზითაც კი. თვრამეტი წლის ჭაბუკმა ბაკალავრის გამოცდაც გაიარა. ოცდაერთი წლისამ, - 1452 წლის ზაფხულში, - ლიცენციატის(3) ხარისხიც მიიღო. რა განათლება ჰქონდა? ალბათ, თითქმის ისეთივე, ხელოვნების ფაკულტეტის სტუდენტმა რომ უნდა მიიღოს: ლათინურის გრამატიკა, ფორმალური ლოგიკა, რიტორიკა (ამ ორ საგანს არისტოტელეს მიხედვით ასწავლიდნენ, მისი შრომების მაშინდელი გაგების თანახმად); პროგრამაში ცოტაოდენი მეტაფიზიკაც შედიოდა, ჰუმანიტარული, საბუნებისმეტყველო და ზუსტი მეცნიერების მიმოხილვაც.

ოღონდ, ფრანგულ სიტყვას, რომელიც ლიცენციატის ხარისხს აღნიშნავს, ორნაირი მნიშვნელობა აქვს! ვიიონმა ხარისხი მიიღო და თავიც აიშვა, სახიფათო გახდა მისი ქცევა, კლირიკთა საზოგადოება მრავალფეროვანი იყო. ღვთისმსახურის წოდება იმ ადამიანთა ყურადღებას იქცევდა, რომლებსაც ეშინოდათ, რომ ერთ მშვენიერ დღეს მართლმსაჯულების წინაშე წარსდგებოდნენ. კლირიკს შეეძლო ჩვეულებრივი სასამართლოსთვის თავის არიდების მიზნით საქმის სასულიერო სასამართლოსთვის გადაცემა მოეთხოვა. ჩვეულებრივ, სასამართლოებში გაცილებით მკაცრი პროცესები იმართებოდა. ეს ღვთისმსახურები ხშირად მორალურ საფუძველს მოკლებული ადამიანები იყვნენ. ბევრ ვიგინდარას შეეძლო კლირიკების წრეს გარეოდა. ისეც მომხდარა, რომ ღვთისმსახურად თავის გასაღების მიზნით დამნაშავეს ლათინურის იმპროვიზირებული გაკვეთილები ჩაუგდია ხელში, რათა ამ გზით შეეცვალა მოსამართლე.

ვიიონმა ამ სხვადასხვა ჯურის ხალხის ყველაზე ცუდ წარმომადგენლებთან გააბა ნაცნობობა. როგორც ჩანს, ამ წრეში ქალებიც ერივნენ და არცთუ მოკლებულნი მომხიბვლელობას. ისინი, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ პოეტის ზრახვებსა და თავგადასავლებში. მაგრამ, ალბათ, არც ერთ ქალს აზრადაც არ მოსვლია, რომ ამ ბიჭის წყალობით, საუკუნეების განმავლობაში იცოცხლებდა. მეწაღე ბლანში, სქელუა მარგო, მშვენიერი მეშლიაპე ჟანეტი, მეკალათე კატრინა; მიაქციეთ ყურადღება ამ ქალების მეტსახელებს... შეიძლება ისიც კი ვიფიქროთ, რომ ყველა ხელობის წარმომადგენელს მოუწიაო პოეტის მუზისთვის ცოლის დათმობა, თითქოსო საშუალო საუკუნეში ხელოსანთა წოდების წევრობა უცილობლად წარმოშობდა ცოლ-ქმრულ პრობლემებს.

და აი, დროსტარებით, გარყვნილებით დაიწყო და ძალადობამდე მიდის. 1455 წელს ვიიონი კლავს ადამიანს. ეს ამბავი “შეწყალების სიგელიდან“ საკმაოდ კარგად არის ცნობილი. “შეწყალების სიგელი“ კი მეფე შარლ VII-სგან მიიღო: “მეტრ ფრანსუა დე ლოჟი, იგივე დე ვიიონი, ოცდაექვსი წლისა ან დაახლოებით ამდენისა, რომელიც უფლის სხეულის გარდამოხსნის დღესასწაულის დროს, წმინდა ბენედიქტის ეკლესიის საათის კოშკის ქვეშ იჯდა ქვაზე, ქალაქ პარიზის სენ-ჟორჟის დიდ ქუჩაზე, და მასთან იყო ერთი მღვდელი, სახელად ჟილი და ვინმე ქალი, სახელად იზაბო. ყველაფერი ცხრა საათზე ან ოდნავ გვიან მოხდა“.

უცბად გამოჩნდება ვინმე ფილიპ სერმუაზი თუ შერმუა, მღვდელი, მეტრ ჟან ლე სარდის თანხლებით. სიგელის თანახმად, რომელიც ვიიონის სიტყვებიდან არის შედგენილი და ამ ვერსიის სიმართლე ეჭვს არ იწვევს, მღვდელი სერმუაზი ჩხუბს იწყებს, პოეტი საქმის მოწესრიგებას ცდილობს, დგება და ადგილს უთმობს... მაგრამ სერმუაზი არ ჩერდება, ანაფორის ქვეშიდან ხანჯალს დააძრობს და ვიიონს სახეში ურტყამს, რის გამოც “სისხლი ბლომად დაღვარა“. ვიიონს ლაბადა ეცვა, საღამოს თუ აცივდებოდა იმ შემთხვევისთვის და ლაბადის ქვეშაც ხანჯალი ეკიდა“; ისიც დააძრობს ხანჯალს და სერმუაზს საზარდულში გაუყრის, “თავადაც ვერ მიხვდა, ეს როგორ მოხდა“. (თავის მართლება მაინცდამაინც სიმართლეს არ ჰგავს). სერმუაზის თანხლები შურისძიების მიზნით, ვიიონს დაედევნება. მას ქვა მოხვდება სახეში. ყველა მოწმე გარბის.

ვიიონი ჭრილობის შესახვევად დალაქთან მიდის. დალაქმა მომხდარის შესახებ მოხსენებითი ბარათი უნდა შეადგინოს და ვიიონს სახელს ეკითხება. ვიიონი გამოგონილ სახელს ეუბნება - მიშელ მუტონიო. სერმუაზი ჯერ მონასტერში მიჰყავთ, მერე ქალაქის საავადმყოფოში, სადაც ორი დღის შემდეგ კვდება “არასწორი მკურნალობის გამო“. მკვლელი წინდახედულად იმალება.

რამდენიმე თვის შემდეგ კი “შეწყალების სიგელს“ იღებს, საიდანაც უკვე მოვიყვანეთ რამდენიმე წინადადება. საინტერესოა, რომ ამ შეწყალების ოპერატიული აქტისთვის თვით მეტრ ვიიონის მტკიცებები და თავის მართლება აღმოჩნდა საკმარისი. არანაირი გამოძიება არ ჩატარებულა. თავდაცვის აუცილებლობის გამო თავის მართლებას ეჭვის ქვეშ არავინ აყენებდა. დაინტერესებული პირის მტკიცება ამ უსიამოვნო შემთხვევის გამო მართებული იყო და მისაღები. თუმცა მისი მონაყოლი მთლად სიმართლეს არ ჰგავს: აუხსნელია მღვდელ

სერმუაზის თავდასხმის მიზეზი, გამოგონილი სახელი, რომელიც ვიიონმა დალაქ ფუკეს უთხრა, შემთხვევის ადგილიდან ვიიონის გაქრობა, მოწმეების არ არსებობა, - მოკლედ, ამ საქმეში ბევრი საეჭვო დეტალია. სახრჩობელაზე ბევრი გაუგზავნიათ ამაზე ნაკლები სამხილით, მაგრამ ვიიონისადმი უფრო მკაცრი ნუ ვიქნებით, ვიდრე თვით მეფე იყო, რომელიც "ლმობიერებას უფრო მეტ უპირატესობას ანიჭებდა, ვიდრე სისასტიკეს", შეიწყალეს, მიუტევეს და "ამ მომენტიდან, - როგორც ტექსტი იუწყება, - პროკურორის ბრძანებით სამუდამოდ დაიხურება ეს საქმე". მაგრამ მალე საქმესთან დაბრუნება მაინც მოუწევთ.

რაც შეეხება ვიიონის შემდეგ დანაშაულს, უკვე ეჭვს აღარ იწვევს, რომ სახეზეა სისხლის სამართლის ბრალეულობის ყველა ნიშანი. არავითარი გაუგებრობა. საქმე ღამით ჩადენილ ქურდობას ეხება, საცხოვრებელი სახლის გატეხვას, თვითნაკეთი გასაღებისა და სხვა საძარცვავი იარაღის გამოყენებას.

ვიიონი გეზის მიმცემია. თანამზრახველებთან ერთად, რომელთა შორისაც პროფესიონალი ქურდებიც იყვნენ, მოიპარეს ხუთასი ოქროს ეკიუ, ნავარის კოლეჯის კუთვნილება, რომელიც კოლეჯის სამლოცველოს სალაროში ინახებოდა. გაქურდვა ორი თვის შემდეგ გაიგეს. ძალზე საინტერესოა შატლეს პროკურატურის სამეფო გამომძიებლების მიერ ჩატარებული ძიების შედეგად აღმოჩენილი დაწვრილებითი გამოძიების დეტალები. მხოლოდ ერთ ფრაგმენტს მოვიყვან.

მომკვლევებმა ნაფიც ექსპერტთა სახით ცხრა ზეინკალი გამოიძახეს, განსაკუთრებული ფიცი დაადებინეს, მათი ვინაობა და მისამართები სისხლის სამართლის საქმეში შეინახეს; ქურდების მიერ გამოყენებული ყველა ხერხი დიდი სიზუსტით აღადგინეს; მაგრამ ქურდებმა მიმალვა მოახერხეს. მათდა საუბედუროდ, გამოძიებამ კვალს მიაგნო, ერთი ქურდის გაუფრთხილებელი ლაყბობის წყალობით: ტავერნაში იგზედა ნავარის კოლეჯის გაქურდვის შესახებ, მის სიტყვებს ვიღაც კიურემ მოჰკრა ყური. ეს სასულიერო პირი, ეტყობა, კულტის მსახურებას პოლიციის პრეფექტურის ინფორმაციის შემკრებ სამსახურთან მუშაობას ამჯობინებდა. მისი დახმარებით გამოძიებამ საგრძნობლად წინ წაიწია და პირდაპირ ფრანსუა ვიიონის კვალს მიადგა. ვიიონი სწრაფად ტოვებს დედაქალაქს.

მხოლოდ ღმერთმა უწყის, როგორ წარიმართა შემდეგ მისი ცხოვრება... ხან ციხეში ზის, ხანაც ჰერცოგსა და პოეტ შარლ ორლეანელის საზოგადოებაში ატარებს დროს, დროდადრო, როგორც ჩანს, "ნიჟარათა ძმობის" თავგადასავლებშიც მონაწილეობს. ეტყობა, მენე-ლუარში საეპისკოპოსო ციხის მკაცრი რეჟიმიც იწვნია, სადაც, სავარაუდოა, რომელიღაც საეკლესიო სალაროს გაძარცვისთვის მოხვდა. ტიბო დ'ოსინი, ორლეანის ეპისკოპოსი, ძალზე მკაცრად მოექცა. ვიიონს მძიმე მოგონებად შემორჩა მიწისქვეშა საპყრობილეში წყლით წამება. ლუდოვიკო XI-ის ნებით ათავისუფლებენ, ისევ პარიზში ბრუნდება, მაგრამ ვაი, რომ მისი ცხოვრება არ მშვიდდება; მოძებნის ძველ, ბნელი წარსულით მოცულ ნაცნობებს, ახლებსაც არანაკლებს შეიძენს და მათთან მეგობრობაც მისი ცხოვრების ყველაზე სამწუხარო ავანტიურებით მთავრდება. ერთი ჩხუბის შემდეგ საეპისკოპოსო ნოტარიუსი დაჭრეს. შატლეს სასამართლომ განაჩენი გამოუტანა: ვიიონს მიესაჯა "სიკვდილი ჩამოხრჩობით, ქალაქ პარიზის სახრჩობელაზე". როგორც ჩანს, საშინელი დღეები დაუდგა, როცა წარმოიდგინა ჩამოხრჩობის შემდეგ როგორ ქანაობდა მისი სხეული სახრჩობელაზე, - ტყუილად არ გახარებია, როცა გაიგო, რომ სასამართლომ მისი აპელაცია განიხილა, ათი წლის პატიმრობით შეუცვალა ის სასჯელი, მუდამ თან რომ სდევდა, აძრწუნებდა და რომელ-






Autre ballade
Car ou soit ly sainctz apostolles
Daubes vestus (et) amys troussez
Qui ne seingt fors saintes estolles
Dont par le col prent ly mauffez
De mal tallant tout eschauffez
Aussi bien meurt filz que servans
De ceste vie sont bouffez
Autant en emporte ly vens

მაც მწარე სტრიქონები დააწერინა. შვებით ამოისუნთქა, როცა გაიგო, რომ გადარჩა; ერთი მოსმით ორი ლექსი დაწერა: ერთში შეწყალებით ხარობს და ციხის ზედამხედველს მიმართავს; მეორეში პარიზის სასამართლოს უხდის მადლობას, ხოტბას ასხამს ადამიანურ ყველა ამაღლებულ გრძნობას და სხეულის ყველა ნაწილს დასახმარებლად უხმობს.

მაშ ასე, იგი პარიზს ტოვებს, ბედნიერია, ასე ადვილად რომ გადარჩა.

მერე... მერე კი აღარაფერი ისმის.

სად და როგორ დაამთავრა თავისი დარჩენილი დღეები ვიიონმა?

ამის შესახებ არაფერი ვიცით.

მისი ცხოვრების დასასრული, რომელშიც უამრავი შავი ფურცელია, უკუნითაა დაფარული. მაგრამ უკვე XVI საუკუნიდან მოყოლებული, მისი ლექსები იბეჭდება. მაწანწალა, ქურდი და სიკვდილმისჯილი, ფრანგ პოეტებს შორის თავის ადგილს იკავებს, რომელსაც ვერავინ წაართმევს. ვიიონის შემდეგ ჩვენი პოეზია კლასიციზმს მიმართავს, რომელიც პოეტებისგან ამაღლებულსა და ნატიფ სტილს მოითხოვს, უპირატესობას სალონებს ანიჭებს და არა შარაგზებსა და ავაზაკთა ბუნაგებს. მიუხედავად ამისა, ვიიონს მაინც კითხულობენ, წარმოიდგინეთ, ბუალოც კი კითხულობდა. დღეს მისი დიდება უფრო მაღალ რეგისტრში ჟღერს, ვიდრე ოდესმე; მისი ლექსებისადმი ინტერესს, პირდაპირ ვთქვათ, უფრო აცხოველებს ის მდგომარეობა, რომ ახლა უფრო ნათლად წარმოგვიდგენია, როგორ ჩაწიხლა ცხოვრებამ და რა თავისმომჭრელი იყო მის მიერ განვლილი ცხოვრების გზა, რადგან უკვე აღმოჩენილია ამის დამადასტურებელი უამრავი დოკუმენტი. ყველა დროის ლიტერატურა და თეატრალური დადგმა ამტკიცებს, რომ დანაშაული - საკმაოდ მიმზიდველია. ბიწიერებაც არანაკლებ ინტერესს იწვევს წესიერ ადამიანებში, ზედმეტად წესიერ ადამიანებშიც კი. ვიიონის პირით, პირველ პირში თვითონ დამნაშავე ლაპარაკობს, თანაც პირველხარისხოვანი პოეტი. და ჩვენს წინ დგება პრობლემა, რომელსაც უფრო ფსიქოლოგიურს დავარქ-

მევდი, ზუსტად რომ გამეგებოდეს, რას ნიშნავს ეს სიტყვა.

როგორ შეიძლება ერთმა და იმავე ტვინმა შეკრიბოს და ჩაიდინოს ასეთი მძიმე დანაშაულობები იმავე სულიერი დახვეწილობით, როგორიც მის ზოგიერთ ლექსში მჟღავნდება, იმ სიმძაფრით, რომელიც თვით პოეზიისგან განუშორებელია თავისი ღრმა თვითშემეცნებით, რასაც არა მარტო ვხვდებით, არამედ ნათლად და ზუსტადაა ფორმულირებული მის ცნობილ "გულისა და სხეულის გაბაასებაში"? ამ არამზადამ, რომელსაც სახრჩობელას ყოველ გახსენებაზე აკანკალებს, როგორ გაბედა და შექმნა უმშვენიერესი ლექსი უბედური მარიონეტების სახელით, თოკზე ჩამოკიდებულებს ქარი რომ უმღერის ნანას. შიში ხელს არ უშლის რითმების ძიებაში, სისხლის გამყინავ საჩახაობას ლექსის სამსახურში აყენებს, რასაც სულ სხვა ნაყოფი მოაქვს, ვიდრე მართლმსაჯულება ითვალისწინებს, როცა იგი თავის სიმკაცრის გასამართლებლად ჭკუის სასწავლებელ სასჯელს მიმართავს. მართლმსაჯულებას, ცხადია, შეუძლია დამნაშავის ჩამოკიდება, ხელ-ფეხისა და თავის მოკვეთა, ცოცხლად დაწვა, მაგრამ ერთხელაც ამოჩნდება ძვალ-რბილში გამჯდარი დამნაშავე, უფრო მეტად კი ძვალ-რბილში გამჯდარი დამნაშავე პოეტი, ერთ ქვაბში ჩაყრის ავკაცობას, ბიწიერებას, შიშს, სინდისის ქენჯნას, სინანულს და ამ საშინელი და მწარე ნაზავიდან შედევრს შექმნის, რომელზე ლაპარაკიც არასოდეს შეწყდება.

ადამიანს პოეტთა წოდებიდან, თუკი პოეტებს შეიძლება წოდება მივუსადაგოთ, შეუძლია საზოგადოებას სარგებელი მოუტანოს. ბევრი პოეტი, დავუმატებ, ყველა დროის ავტორების დიდი უმრავლესობა, საპატივსაცემო მოქალაქენი იყვნენ, ზოგჯერ ფრიად საპატივსაცემონიც. და მაინც...

პოეტის მდგომარეობაზე დაფიქრებისას და მისი ადგილის განსაზღვრისას ხვდები, რომ ამ უცნაურ ადამიანებთან არაფერია უბრალო. წარმოიდგინეთ იდეალურად მოწყობილი საზოგადოება – ე.ი. საზოგადოება, რომლისგანაც თითოეული საერთო საქმეში თავის წვლილის შეტანის თანახმად ღებულობს. ასეთი სრულყოფილი სამართლიანობა გამორიცხავს იმ ადამიანთა არსებობას, რომელთა წვლილის გაზომვა შეუძლებელია. პოეტის ან მხატვრის წვლილის გაზომვა არ შეიძლება – ხელოვანის წვლილი ზოგს უმნიშვნელოდ მიაჩნია, ზოგი უზარმაზარ მნიშვნელობას ანიჭებს. შესაბამისი ეკვივალენტი კი არ არსებობს. გამოდის, რომ ამ კატეგორიის ადამიანებს გადარჩენა მხოლოდ არასრულყოფილ სოციალურ გარემოში შეუძლიათ და მხოლოდ ასეთ გარემოში შეუძლიათ შექმნან ყველაზე მშვენიერი და ამაღლებული ადამიანური ქმნილებები, რომლებიც, კაცმა რომ თქვას, ადამიანს ადამიანად აქცევს. არასრულყოფილი საზოგადოება არათანაბარ ფასეულობათა გაცვლას ყაბულდება, სხვადასხვა ხერხების, მოწყალების ე.ი. რისი მეშვეობითაც მაგალითად, ვერლენმა იმ დივიდენდების გარეშე ცხოვრება შეძლო, რომელსაც ავაზაკთა ბანდა ინაწილებს ღამით, მდიდარი სალაროების გაძარცვის შემდეგ.

ვერლენის ცხოვრებაზე არ ვილაპარაკებ: ყველაფერი ეს სულ ცოტა ხნის წინ მოხდა, არც მისი საქმეების ქექვას დავიწყებ, რომლებიც მონსის ტრიბუნალის კანცელარიიდან ჩასათვლემად (ოღონდ არაერთხელ გამოსაღვიძებლად) ბრიუსელის სამეფო ბიბლიოთეკის თაროებზე დაბინავდა, ისევე, როგორც პარიზის სასამართლოს კარადიდან ვიიონის საქმემ ეროვნულ არქივში გადაინაცვლა. ოღონდ, ვიიონი ძალიან დიდი ხნის წინ ცხოვრობდა და მასზე შეგვიძლია, როგორც გამოგონილ პერსონაჟზე, ისე ვილაპარაკოთ. ვერლენი კი! რამდენჯერ მინახავს, როგორ ჩაუვლია ჩემი კარისთვის, როგორ ბრაზობდა, ქირქილებდა, ენაბილწობდა, ტროტუარს თავის მსხვილ ჯოხს ურტყამდა, ხეიბრები ან მაწანწალები რომ ატარებენ ხოლმე, ისეთს. შეუძლებელია წარმოიდგინო, რომ ეს უხეში, ცხოვრების ფსკერზე დაშვებული ადამიანი, რომლის გარეგნობა და ლაპარაკი ზოგჯერ ზიზღს, შიშს და იმავე დროს თანაგრძნობასაც იწვევდა, ყველაზე მუსიკალური, გულისამაჩუყებელი და უჩვეულო სიტყვიერი მელოდიებით სავსე ლექსების ავტორი იყო, იმ ლექსებს შორის, რომლებიც კი ოდესმე შექმნილა ჩვენს ენაზე. ყველა მის ნაკლოვანებას ხელი არ შეუშლია, იქნებ, პირიქითაც, შექმნა და განავითარა მასში წარმტაცი სიტყვებისკენ სწრაფვის უნარი, უნარი გამომხატველობის სიმსუბუქისა, თრთოლვისა, ნაზი მოწიწებისა, რომლებიც ისე არავის აღუწერია, როგორც მას, რადგან არავის შეეძლო ისე გაეკეთებინა, როგორც მას; დაეფარა, სტრიქონებში განეზავებინა, ასეთი მსუბუქი და ბავშვურად მიამიტური რომ გვეჩვენება – თავისი წინამორბედების მიღწევები, ყველაზე მარჯვე პოეტების სინატიფე.

ზოგჯერ მისი ლექსები მშვიდ ლოცვებს გვაგონებს, დაბალ ხმაზე გამეორებულს კატეხიზმოში ვარჯიშისას; დროდადრო მათში საოცარი დაუდევრობა გამოჩნდება ხოლმე, სადღაც-სადღაც ისმის ჩვეულებრივი ინტონაციები. ზოგჯერ პროსოდიითაც (4) ატარებს ექსპერიმენტს, მაგალითად მოვიყვან უცნაურ თერთმეტმარცვლიან ლექსს "Crimen Amoris". მოკლედ, მან აზრობრივად ყველა დასაშვები ზომა მოსინჯა – ხუთიდან ცამეტმარცვლიანამდე. გამოიყენა უჩვეულო ან დიდი ხნის წინ მივიწყებული ლექსთწყობის კონსტრუქციები, XVI საუკუნის შემდეგ რომ აღარავის მიუმართავს: მას აქვს ლექსები, სადაც მხოლოდ ვაჟური ან მხოლოდ ქალური რითმაა.

და თუ მაინც მიზნად დავისახეთ მისი ვიიონთან შედარება, არა როგორც სამართალდამრღვევთან, რომელიც ასევე სისხლის სამართლის დამნაშავეა, არამედ როგორც პოეტთან, მაშინ აღმოჩნდება, უკიდურეს შემთხვევაში, მე ასე მგონია და მხოლოდ პირადი შთაბეჭდილებაა – განსაცვიფრებელი ფაქტი – ვიიონი ზოგიერთი ადგილებით, როგორც პოეტი, ვერლენის თანამედროვეა (მხედველობაში სიტყვათა მარაგი არა მაქვს). ვიიონი ზუსტი და უაღრესად გამომხატველია. მისი სიტყვა გარკვეულია; მაგალითად, "გულისა და სხეულის გაბაასება" შედგება ნათელი და მკაცრი რეპლიკებისგან, როგორც კორნელთანაა. ამ ბალადაში ბევრი უცბად დასამახსოვრებელი ფორმულირებაა და ყველა ეს ფორმულირება უპირველესი განძია სხვა განძთა შორის და შეიძლება სამართლიანადაც მივაკუთვნოთ კლასიკურს... უპირველეს ყოვლისა კი, ოცდაათი წლის ვიიონს, რომელსაც ცხოვრებაში მეტისმეტად ბევრი აქვს გადატანილი, ყველასთვის ცნობილი ანდერძით ეკუთვნის პატივი ჭეშმარიტად დიდი ნაწარმოების შექმნისა; რომელშიც განხორციელებულია უჩვეულო და სრულყოფილი ჩანაფიქრი, "განკითხვის დღე". ადამიანებზე და სამყაროზე ადამიანის სახით უკანასკნელი სურვილის ფორმით გაცხადებულთ ეს პოეტური კომპოზიცია "სიკვდილის ცეკვას" ანდა "ადამიანურ კომედიას" შეედრება. ეპისკოპოსები, მბრძანებლები, ჯალათები, ავაზაკები და მეძავები – თითოეული ცალ-ცალკე იღებს თავის წილ მემკვიდრეობას. ყველა, ვინც პოეტისადმი კეთილი იყო და ყველა, ვინც მკაცრი – ერთ სტრიქონშია, დახვეწილად, კალმის ერთი მოსმით გამოყვანილი; და ამ კომიკურ კომპოზიციებში, ზუსტ პორტრეტებს, კონკრეტულ სახელებს, მეტსახელებსა და თვით მისამართებს შორის ფიგურირებს – როგორც ყველაზე მნიშვნელოვანი პერსონაჟი – უმშვენიერესი ბალადა ოდესმე დაწერილ ბალადებს შორის. ფამილარული მონოლოგი წყდება და გზას ამ პერსონაჟებს უთმობს. აღსარება გადადის ოდაში და ზე აიჭრება. მიმართვა, ასე ხშირად რომ იყენებს ვიიონი, იქცევა ლირიკულ ხერხად, ხოლო მისი საყვარელი კითხვითი კონსტრუქციები, გამეორებებითა და,

რაც მთავარია, ინტონაციებით იქცევა მძლავრ პათეტიკურ ჟღერადობად.

რაც შეეხება ვერლენს, როცა გითხარით (ჩემი პასუხისმგებლობით), რომ იგი ნაკლებ ლიტერატურულია, ვიდრე ვიიონი, არ მიგულისხმია, რომ იგი უფრო მიამიტია; არც ერთი მათგანი მეორეზე გულუბრყვილო არ არის და ორივე კი გულუბრყვილო, ვთქვათ, ლაფონტენზე; პოეტებს, საერთოდაც შეუძლიათ გულუბრყვილონი იყვნენ, ოღონდ მათ, ვინც ნამდვილი პოეტები არ არიან. ასე მგონია, ვერლენისთვის დამახასიათებელი ლექსები, როგორიცაა კრებული "კეთილი სიმღერა", "სიბრძნე" და უფრო გვიანდელნიც, ერთი შეხედვით ავტორის, როგორც მკითხველის, ნაკლებ გამოცდილებას მიგვანიშნებს, ვიდრე ვიიონის ლექსები, მაგრამ ეს მხოლოდ ზედაპირული შთაბეჭდილებაა; იქნებ, ეს შთაბეჭდილება იმიტომაც ჩნდება, რომ ვიიონი მოესწრო ჩვენს პოეზიაში ახალი ერის დასაწყისსაც და შუა საუკუნეების პოეტური ხელოვნების დასასრულსაც თავისი ალეგორიებით, ჭკუის სასწავლი დარიგებებით, რომანებითა და სულის მაცხოვნებელი ისტორიებით. ვიიონი გარკვეული აზრით შემდეგ ეპოქისკენ არის მიმართული, როცა შემოქმედებამ განვითარება დაიწყო სრული თვითშემეცნებისთვის, საკუთარი თავისთვის. ეს ეპოქა - აღორძინების ეპოქაა, ხელოვნების დაბადება ხელოვნებისთვის. ვერლენთან სულ სხვანაირადაა: ის ამ ეპოქიდან იშვა, მისგან თავისუფლდება, პარნასს ეთხოვება და მისი ეპოქა, ყოველ შემთხვევაში ის ასე მიიჩნევს, დასასრულია ესთეტიკის თაყვანისცემისა. იგი შორდება ჰიუგოს, ლე კონტ დე ლილს, ბანვილს, კარგ ურთიერთობაშია მალარმესთან, მაგრამ ის და მალარმე - ორი უკიდურესობაა, რომელთაც მხოლოდ ის აკავშირებთ, რომ ერთი და იგივე თაყვანისმცემლები ჰყავთ და იქნებ, ერთი და იგივე მოწინააღმდეგენიც.

და აი, რა გამოდის: ჩამოშორების ეს რეაქცია ვერლენს აიძულებს შექმნას ყოველმხრივ გამორჩეული ახალი ფორმა, რომლის სრულყოფილებაც მას კბილს კვეთს... ზოგჯერ იქმნება შთაბეჭდილება, რომ ხელის ცეცებით მიიკვლევს გზას რითმებსა და მარცვლებს შორის მუსიკალური გამოთქმების ძიებაში. მაგრამ, მშვენივრად იცის, რასაც აკეთებს, აცხადებს კიდეც თავის შეხედულებებს პოეზიის ხელოვნებაზე: "მუსიკაზეა მხოლოდღა საქმე". - ზუსტად ამიტომ სჭირდება მას თავისუფლება... ეს მნიშვნელოვანი ფორმულირებაა.

მისი "მიამიტობა" - კარგად მოფიქრებული პრიმიტივიზმია, ისეთი, როგორიც ვერლენამდე არ იცოდნენ, ეს უჩვეულოდ მოხერხებული ხელოვანის პრიმიტივიზმია, რომელმაც კარგად იცის, რასაც აკეთებს. არც ერთი ნამდვილი პრიმიტივისტი ვერლენს არ ჰგავს. იქნებ, ისინი, ვინც 1885 წელს მას პოეზიაში დეკადენტი უწოდეს, არცთუ შორს იყვნენ ჭეშმარიტებისგან. ყველაზე დახვეწილი ხელოვნების ნიმუში ისაა, რაც უკვე არსებულის უარყოფას გულისხმობს, და არა ისინი, რომლებიც თავს ახლის მახარობლად მიიჩნევენ.

ვიიონისა და ვერლენის მაგალითი გვაიძულებს ბოლოს და ბოლოს ვაღიაროთ, რომ უზნეობა, მძიმე, მოუწესრიგებელი ცხოვრება, მერყეობა, ციხეში და საავადმყოფოში გატარებული დრო, ლოთობისკენ მიდრეკილება, საეჭვო დაწესებულებებში წანწალი, თვით მძიმე დანაშაულიც კი შეუთავსებელი არ გახლავთ ყველაზე ნატიფ პოეტურ შემოქმედებასთან. თუკი ამ თემაზე მსჯელობას დავიწყებთ, ქარაგმების გარეშე უნდა ვთქვათ, რომ პოეტი არც ისეთი საზოგადოებრივი არსებაა. მისი არსების პოეტური ნაწილი გამოუსადეგარია ყოველგვარი უტილიტარული მიზნისთვის. კანონის პატივისცემა მისი ბუნაგის ზღურბლთან მთავრდება, იქ, სადაც ლექსები იბადება. უდიდესი პოეტები, ისეთები, როგორიც შექსპირი და ჰიუგოა, ამჯობინებდნენ თავისი ნაწარმოებების გმირებად ექციათ და რაც მთავარია, დადებით პერსონაჟებად, მეამბოხეები - არანაირ ხელისუფლებას რომ არ ცნობდნენ და სიყვარულშიც ორგულები არიან. უფრო ძნელად წავიდა წინ საქმე, როცა სათნოებისთვის ხორცის შესხმა მოინდომეს; ვაი რომ, სათნო გმირებით შორს ვერ წახვალ. ბურჟუაზიულობის ზიზღი, რომლის საწყისიც რომანტიკოსებს ეკუთვნით და რამაც რაღაც-რაღაც პოლიტიკური მოვლენები გამოიწვია, საფუძველშივე დებს პატიოსანი ცხოვრების წესის ზიზღს.

მაშ ასე, პოეტის სინდისი მთლად სუფთა არ არის. მაგრამ ინსტინქტური ზნეობა, თუნდაც რაღაცაში, ყოველთვის მაინც თავს იჩენს. ცნობილია, რომ გამოუსწორებელ არამზადებშიც და ყველაზე საზიზღარ კომპანიებშიც, რაღაცა განსაზღვრული წესი დგინდება - მგლური კანონები წესდება. პოეტებთან კოდექსი ერთ მუხლში ჯამდება, რითაც ვამთავრებ კიდეც.

"პოეტური სიკვდილის შიში რომ არ გქონდეს, - ღაღადებს ჩვენი კანონი, - აუცილებელია ტალანტი და კიდევ... ოდნავ მეტიც".

ფრანგულიდან თარგმნა **დავით ქახაბერმა**

1. პიერ შამპიონი (1880-1942) - სახელგანთქმული ლიტერატურათმცოდნე და ისტორიკოს-მედიევისტი. დაწერილი აქვს ორტომეული "ფრანსუა ვიიონი, მისი ცხოვრება და მისი თანამედროვეობა".

2. ოგიუსტ ლონონი (1844-1911) - ფრანგი ისტორიკოსი და ფილოლოგი.

3. ლიცენციატი (Licence) პირველი მნიშვნელობა ლიცენციატის სამეცნიერო ხარისხია; მეორე მნიშვნელობაა თავგასულობა, აღვირაღახსნილობა, გახრწნილობა.

4. პროსოდია - მარცვალთა შეფარდება ლექსში.

არილი



გოლუეი კინელი

# "პოეზია - უსაზღვრო ხოტბაა"



**გოლუეი კინელის ლექსი "კოშკების დამხობა" ჟურნალ "ნიუ იორკერში" დაიბეჭდა 2002 წლის 9 სექტემბერს. კინელს ჟურნალის პოეტური განყოფილების რედაქტორი - ელის ქუინი ესაუბრება მისი ელეგიური ლექსის წერის პროცესის, სტრუქტურისა და გავლენების შესახებ; ასევე - იმ სირთულეებზე, რაც თან ახლავს გასული სექტემბრის ტრაგიკული მოვლენების გახსენებას.**

*ე.ქ. - როცა ჩვენ პირველად ვისაუბრეთ ამ ინტერვიუს შესახებ, ვაპირებდი თქვენთვის მეკითხა, როგორ მიაგენით ამ ლექსის დაწერის მეთოდიკას. ეს, ჩემი შეფასებით, წლის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწარმოებია. თუმცა თქვენი ადრეული ლექსების გადაკითხვის შემდეგ მივხვდი, რომ მთელი მოღვაწეობის მანძილზე ხშირად მიმართავდით სხვა პოეტთა ხმებს - თქვენს კონკრეტულ საგანთან მისადაგებულ, შემთხვევით გაგონილ სიტყვებს. ეს განსაკუთრებით ითქმის 1971 წელს გამოცემული "კოშმარების წიგნის" იმ ნაწილზე, რომელსაც "მკვდრები უხრწნელად აღსდგებიან" ჰქვია. ამავე კრებულში ჯარისკაცების საუბარი გაქვთ შეტანილი. მოგვიანებით, ლექსშიც "ბუზები", რომელიც 1994 წელს გამოჩნდა "ნიუ იორკერში", ბევრი პოეტის ციტატა გქონდათ ჩართული. ასე რომ, კოლაჟის ტექნიკა იმთავითვე გქონდათ ათვისებული.*

გ.კ. - ასეა, მაგრამ ამ ლექსში კოლაჟის გამოყენება მანამდე არ მიფიქრია, სანამ ერთხელ ვიიონის ცნობილი სიტყვები არ ამომიტივტივდა გონებაში. ეს მაშინ, როცა ვცდილობდი იმ სხვადასხვა ჯურის ადამიანთა აღწერას, რომლებიც თავთავიანთ სამუშაოს ასრულებდნენ იმ დღეს სავაჭრო ცენტრის შენობებში.

"...povres et riches,
Sages et folz, prestres et laiz,
Nobles, villians, larges et chiches,
Petiz et grans et beaulx et laiz".

"...მდიდრები და ღარიბები,
ჭკვიანები თუ შეშლილები, მღვდლები, ერისკაცები,
დიდებულები, მემამულენი, ძუნწები და კეთილშობილნი,
მაღლები - დაბლები, ლამაზები - შეუხედავნი".

იმავე ხანებში ერთ ნაშუადღევს სტენლი კუნიცთან მოვხვდი, რომელიც ცელანის "სიკვდილის ფუგის" თარგმანებს ათვალიერებდა - მათზე უნდა ესაუბრა ვაშინგტონის ჰოლოკოსტის მუზეუმში დაგეგმილი სემინარზე. მასთან საუბარმა კიდევ დამიდასტურა ის აზრი, რომ "სიკვდილის ფუგა" ადამიანური სულის ერთ-ერთი უდიდესი გამოვლინებაა.

მერე ვიღაცამ გამომიგზავნა მილოშის "პოეზიის მოწმის" ერთ-ერთი თავისი ასლი, სადაც ავტორს მოტანილი აქვს ალექსანდერ ვატის ციტატები: ეს ყველაფერი თითქმის წინასწარგანზრახულად მომეცა გარემოებათა შემთხვევითობის წყალობით და მეც მივილე შემოთავაზება.

*- ასე რომ, ცელანი და ვიიონი იმთავითვე გქონდათ გონებაში, აღარაფერს ვამბობ კრეინსა და უიტმენზე, რომელთა სიტყვები გამუდმებით თან გდევთ, თქვენში ცხოვრობს უკვე იმდენი ხანია, რომ ქუჩაში სეირნობის დროსაც გახსენდებათ ხოლმე.*

- ჩემი აზრით, უიტმენს სურდა, ხალხის მესიტყვე გამხდარიყო, მაგრამ როცა კი სცადა ამგვარი ლექსის დაწერა - საშინელება გამოუვიდა. თუმცა ის ლექსები, რომლებიც მან სხვადასხვა თემაზე საკუთარი შეხედულებების გადმოსაცემად შექმნა, ფაქტიურად, სწორედ ხალხის სახელით მეტყველებს. პრობლემა ის იყო, რომ ხალხი არ უსმენდა მათ. ასე რომ, ვიფიქრე, ჩემი ლექსის შესაფერისი იქნებოდა, თუ მასში უიტმენს ვათქმევინებდი ერთ-ერთ ბოლო სიტყვას.

*- მაინტერესებს, ხომ არ ღელავდით, ოდნავ შიშის გრძნობა ხომ არ გეუფლებოდათ, როცა ამდენი ადამიანისთვის ცდილობდით ელეგიის დაწერას?*

- მართლა არ მიგრძვნია არანაირი საშიშროება, ალბათ იმიტომ, რომ მე ის "სახალხო" ლექსად არ მქონდა ჩაფიქრებული - ისიც კი არ ვიცოდი, ჩემი ნაწერი საერთოდ თუ იქცეოდა ლექსად. როცა შევატყვე, რომ რაღაც გამოდიოდა, ერთადერთი, რაც მაშფოთებდა, იყო პასუხისმგებლობა დაღუპულთა ახლობლების წინაშე - მათი შეყვარებულების, მეუღლეების, შვილების, მეგობრების, ნათესავების რეაქცია.

მინდოდა, ჩემი პოეტური ანგარიში ჩემივე გრძნობების ადეკვატური გამოსულიყო, მაგრამ იმასაც ვგრძნობდი, რომ მოვალე ვიყავი, ეს ოჯახები დამეცვა ყოველგვარი შემდგომი ტენდენციისგან, რასაც ჩემდაუნებურად გავუკეთებდი პროვოცირებას ლექსის საგნის უკიდურესი სიმძაფრით გადმოცემისას. შეზღუდულად არ მიგრძვნია თავი, უფრო იმას ვშიშობდი, შორს არ შემეტოპა. თუმცა, დარწმუნებული ვარ, რომ ლექსი, რომელიც შორს შეტოპავს, სწორედ ამ სიღრმის გამო უფრო მისაღები ხდება ხოლმე, ვიდრე ის, რომელიც ზერელე აღწერას ამჯობინებს.

*- მახსენდება ფროსტის განსაზღვრება: "ყოველგვარი ნაწარმოები მხოლოდ იმდენადაა კარგი, რამდენადაც დრამატულია". თქვენს ლექსს გამოკვეთილად დრამატული სტრუქტურა აქვს, მისი ყოველი ნაწილი კრეშჩენდომდე მაღლდება, რაც ერთგვარ შიშნარევ მიხვედრას გულისხმობს, რომელიც რაღაცის დადასტურებით უნდა დაგვირგვინდეს, შემდეგ კი თემის ძიებით და გაშლით; გზების მოსინჯვით გრძელდება.*

- მიხარია, რომ შეამჩნიეთ ეს თავისებურებები,

თუმცა მათ არ ალვიქვამ, როგორც განსაკუთრებული ოსტატობის შედეგს, აქ ჩემი მცდელობა ჩანს - უფრო გასაგები და ვიზუალური გამეხადა სათქმელი. ეს ლექსი შედგება სეგმენტებისგან და ვცდილობდი, ეს სეგმენტები თუ მომენტები ისე დამელაგებინა, რომ გარკვეული ნარატიული წესრიგი მიმელო. ამიტომ არ მივიჩნიე საჭიროდ სეგმენტების დამაკავშირებელი მონაკვეთების გამოკვეთა და გადავწყვიტე, ფიკუსირება მთლიანად ამ ძირითად მომენტებზე მომეხდინა.

*- კრაკოვში ჩ.კ.უილიამსმა გაიხსენა თავისი ადრეული ლექსის - "ანა ფრანკის დღის" წერის პროცესი და განაცხადა, რომ ამ ლექსზე ისწავლა, როგორ უნდა ეწერა. ეს მან იმით ახსნა, რომ "ლექსის ერთდროულად განუსაზღვრელსა და სრულიად გარკვეულ საგანზე" მუშაობისას მოუხდა გამოეცადა რაღაცნაირი სიმტკიცის შეგრძნება. თქვენც ხომ არ გაგჩენიათ ამგვარი გრძნობა, როცა ამ თემაზე მუშაობის დაწყება გადაწყვიტეთ?*

- მე ვიცნობ იმ გრძნობას, რაზეც ჩარლი ლაპარაკობს, მაგრამ ჩემს ლექსში სხვანაირად მოხდა - შინაგანად დიდხანს ვჭოჭმანობდი და სიტყვები სულაც არ მოედინებოდა წყალივით. ეს მანამდე, სანამ მუშაობის დაწყებიდან კარგა ხნის მერე ცხადად გამოიკვეთებოდა ლექსის სვლა-გეზი და მეც შევწყვიტე ბორძიკი. დამეხმარა ერთი რამ - გავაცნობიერე, რომ ეს ლექსი არ იყო მომხდარის პოლიტიკური ასპექტის აწონ-დაწონვისთვის განკუთვნილი ადგილი იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ამას შევძლებდი. ჩემი პირვანდელი მონახაზები სავსე იყო ისეთი კითხვებით, როგორიცაა: "როგორ მოხდა ეს?", "რა მოყვება ამას?", "ვინ ჩაიდინა?", "რატომ მოხდა?", "რა წვლილი მიგვიძღოდა ჩვენ ისეთი სამყაროს შექმნაში, სადაც შეიძლებოდა ასეთი რამ მომხდარიყო?" თუმცა, როცა კი შევეცადე ეს კითხვები ლექსში ჩამესვა, რასაც პირველ ხანებში ხშირად ვაკეთებდი - მთელი ნაწარმოები ერთი ხელის მოსმით მიწასთან გასწორდა. ბოლოსდაბოლოს მივხვდი, რომ ლექსი უნდა შეხებოდა თვითმფრინავების შეჯახებას, სიკვდილიანობას, ადამიანების ტანჯვასა და წუხილს და თუ შესაძლებელი გახდებოდა, იქნებოდა მასში გარკვეულწილად ნუგეშისცემაც, გამოწვეული მომხდართან ახლოს ყოფნისა და თანაგანცდისგან. მას შემდეგ, რაც ამას მივხვდი, ლექსი შეიკრა.

ლექსი იგება წვრილმანებსა და დეტალებზე, სახე-ხატების საშუალებით და მას იშვიათად აქვს საქმე განზოგადებებთან. მისი თვისებაა - უსაზღვრო ხოტბა. შეიძლება იფიქროთ, რომ ის ხოტბის შესხის ხელოვნებაა. ზოგიერთი ლექსი, მართლაც ბრწყინვალე ლექსი, ძირისძირობამდე ერთგულია თავისი კონკრეტული საგნისა, მაგრამ მათ ამავე დროს გააჩნიათ უნივერსალური თვისება, რაც მათ სიცოცხლისუნარიანობას განაპირობებს თვით ყველაზე შეუფერებელ პირობებშიც კი.

*- პოემის იმ ნაწილში, სადაც ლაპარაკია თვითმფრინავის საწვავზე, აფეთქებულ გრანიტსა და შხამიან გამონაბოლქვებზე, ანუ წვის მთელ მატერიალურ გამოვლინებებსა და თვითონ კატასტროფაზე, სტროფის ბოლო ბწკარებში ("Freighted air too foul to take in but we take it in,/ too gruesome... to breathe but they breathe it and you breathe it"), მე შესამჩნევ ცვლილებას ვგრძნობ - ესაა აუცილებელ თანხმიერებაში (თუ კეთილხმოვანებაში) ჩაძირვა, რაც ერთობ მიმეტური ნიშან-თვისებაა. ეს შენაცვლება, ჩემი აზრით, ზომიერად და ოსტატურად გათვლილი სვლაა.*

- ეს ერთ-ერთი იმ ადგილთაგანია, სადაც დაღუპულთა ოჯახების გამო ვღელავდი - ამ ჰაერში არსებობდა ის ყველაფერი, რაც გარდაცვლილთაგან დარჩა. ეს იყო სახიფათო. ვფიქრობ, სწორად შეგინიშნავთ - ამ ადგი-






ლას ლექსი მართლაც ხდება უფრო კონფიდენციალური, რამდენადმე პირადულიც. სწორედ აქ ვცადე ცოტა სიღრმეში შემეღწია და მომხდარის შინაგანი მხარე დამენახა.

*- როცა ცელანმა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ თავისი მშვენიერი და ტკივილიანი ლექსები გამოაქვეყნა, კონკრეტულად "სიკვდილის ფუგა" მაქვს მხედველობაში, ის გააკრიტიკეს. ადორნოს სიტყვებით რომ ვთქვათ, იმის გამო, რომ ოსვენციმის შემდეგ პოეზიის წერა შეეძლო. მოგვიანებით, "სიკვდილის ფუგა" გერმანიაში განიხილეს მსუბუქი ემოციური ლექსის კრიტერიუმით და ეს იყო ყველაზე შეურაცხმყოფელი პოეტისათვის. ღელავთ თუ არა, როგორ მიიღებენ თქვენს ლექსს?*

- როცა ამბობენ, რომ არ შეიძლება პოეზია იწერებოდეს ოსვენციმის შემდეგ (თუმცა ბოლო დროს ეს ფრაზა არსად გამიგონია), ჩემი აზრით, ავიწყდებათ, რომ პოეზია სიცოცხლისა და სიკვდილის - თვით ძალმომრეობითი სიკვდილის - მიმართ ჩვენი ყველაზე გულწრფელი რეაქციების გამოხატვის საუკეთესო საშუალებაა. 11 სექტემბრის მოვლენებისადმი ჩვენი რეაქციის ჩახშობა მხოლოდ ამ მოვლენების დავიწყებამდე მიგვიყვანს. ჩემთვის ცელანის "სიკვდილის ფუგა" ერთ-ერთი ყველაზე ძალისმომცემი ლექსია - ტანჯვის გზის გავლის გარეშე, საერთოდ, როგორ წარმოუდგენიათ გადარჩენა, არ მესმის?! ცელანის ეს ლექსი ძალზე კომპაქტური ფორმით იძლევა უპრეცედენტო საშინელებების შემაძრწუნებელ გამოსახულებას, რაც სხვანაირად სიტყვის უთქმელად ჩაილექებოდა ჩვენში.

*- ჩემი ერთ-ერთი უსაყვარლესი ესე 70-იან წლებში ტედ ჰიუზმა გამოაქვეყნა არაჩვეულებრივი იუგოსლაველი პოეტის, ვასკო პოპას ომისშემდგომი ლექსების კრებულის წინასიტყვაობად. ჰიუზი აღწერს პოპას (ასევე ჰერბერტის, ჰოლუბის და მილოშის) გახსნილობას "ყოველივე იმის მიმართ, რაც გარშემო ხდება", მიუხედავად იმისა, თვითონ მონაწილეობენ თუ არა მომხდარში. ჰიუზი მიუთითებს ასევე მათ "მოზომილ უარზე - არაფრისდიდებით თავი შორს არ დაიჭირონ იმ ძალისგან, რაც მართავს მნიშვნელოვან მოვლენებს".*

- იცით, ერთ-ერთი მიზეზი, რამაც ამ ლექსის შექმნა გადამაწყვეტინა, ანუ მისი მეორე უმნიშვნელოვანესი გარდატეხის მომენტი იყო, როცა კატასტროფის ადგილზე წავედი და "მაკდონალდსის" გარშემო დავბორიალობდი. იქ 24-საათიანი მომსახურება ჰქონდათ და იქვე იყო მეხანძრეთა შეკრებების მუდმივი ადგილი. ჩემი პატარა ბლოკნოტით მივედი და რამდენიმე მეხანძრეს გავესაუბრე, მერე მათ ერთმანეთში ლაპარაკსაც მოვუსმინე. მე მომწონს მათი საუბრის სწორედ ამ "გახსნილობამ", როცა ყვებოდნენ საკუთარ და სხვათა მტკივნეულ თავგადასავალზე. მათი საუბრიდან წარმოიშვა ჩემი ლექსის ზოგიერთი მონაკვეთის ენობრივი პლასტი.

*- როცა ამ ლექსს ვაანალიზებდი, თქვენი მეორე ლექსი გამახსენდა - "მკვდრები და ცოცხლები", რომელიც ორი წლის წინ დაიბეჭდა ჩვენს ჟურნალში. გამახსენდა თქვენეული ხედვა იმისა, თუ როგორ იქცევიან გარდაცვლილები მიწაში არარაობად და რომ "ძველი ცხოვრებიდან სასიცოცხლო ძალის გადასვლა ახალში - საშუალებაა დედამიწაზე მარადისობის შესანარჩუნებლად". ამის მიხედვით, ადამიანებისთვის ჰაერში აფეთქება იმას ნიშნავს, რომ ისინი ვერასოდეს დაუბრუნდებიან დედამიწას.*

- ჰო, ამას გაქრობა ჰქვია. ეს იგივეა, რაც ვიიონმა აღწერა - "ზეცაში გადასახლება, როცა ჯერ კიდევ ცოცხალი ხარ". გაქრობასაც იგივე შედეგი მოსდევს, რაც ცეცხლის დაუჯერებლად მაღალ ტემპერატურას. ხშირად ვფიქრობ იმ ადამიანებზე, რომლებიც შენობებიდან გადმოხტნენ. რამდენად საზარელი უნდა ყოფილიყო გადარჩენის ალტერნატიული გზა, რომ მისი შიშით ამდენმა ადამიანმა არჩია პირდაპირ გადმომხტარიყო მეოთხედი მილის სიმაღლიდან?!

*- ლექსში შემოგაქვთ ორი ადამიანის სახე, რომლებიც ხელიხელჩაკიდებული გადახტებიან, თითქოს იმისათვის, რომ "მათი ვერტიკალური სხეულები ცის თავდაღმართზე უფრო მსუბუქად დაშვებულიყვნენ".*

- აქ დანტეზეა მინიშნება. ჯოჯოხეთის მეორე კარიბჭეში დანტე ხედავს, როგორ მიაცურებს ქარი პაოლოსა და ფრანჩესკას "სხეულით შემცოდეთა სამყოფელისკენ". ის ვირგილიუსს ეუბნება: "პოეტო, სიამოვნებით გავესაუბრებოდი იმ წყვილს, რომელიც, ჩანს, რა მსუბუქად მიაბიჯებს ქარის ტალღებზე". რა თქმა უნდა, ის ორი, რომელიც კოშკიდან ხელიხელჩაჭიდებული გადმოხტა, ალბათ უფრო ამხანაგები იყვნენ ერთმანეთისთვის, ვიდრე შეყვარებულები, თუმცა შესაძლოა, საერთოდაც არ იცნობდნენ ერთმანეთს და მიუხედავად ამისა, მათი ხელის ჩაკიდება ჩემთვის სიმბოლოა ერთგვარი ხანმოკლე ნიშნობისა, რამაც ორივე სიკვდილის წინ სიმხნევით აღავსო.

*- როგორი იყო აუდიტორიის რეაქცია ამ ლექსის მოსმენისას?*

- წერის პროცესში ამ ლექსს ხშირად ვკითხულობდი ხმამაღლა. პირველად აუდიტორიის წინაშე კი სტუდენტურ სატელევიზიო გადაცემაში წარვდექი. რა თქმა უნდა, ლექსმა საშინლად ააღელვა სტუდენტები. ზოგი ამ ახალგაზრდა მწერლებიდან შორს, კანზასსა და ვაშინგტონში ცხოვრობს და ისე დაემთხვა, რომ კატასტროფის დღეს მათ პირველი ვორქშოფი უწევდათ. მერე მათი ერთ-ერთი სუდენტური საცხოვრებლის ევაკუაციაც გახდა საჭირო. ვაპირებდი შემეთავაზებინა, თითოეულს თავისი იმდღევანდელი თავგადასავალი დაეწერა და იმის საჩვენებლად, რომ ჩემთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა, რამდენად სრულყოფილი ან უხარისხო გამოვიდოდა მათი პირველი მონახაზები, მე თვითონ თავი მოვუყარე ნაჩქარევად ლექსისმაგვარ სვეტებად შეკოწიწებულ ჩემი ლექსის პირველ სტრიქონებს, რომელთაგან ზოგი სულ არ უკავშირდებოდა ერთმანეთს და სტუდენტებს ასე გავაცანი ლექსის პირველი ელემენტარული ვერსია.

ყოველი მომდევნო წაკითხვისთვის ლექსის ის ვარიანტი მიმქონდა, რაზეც იმ ეტაპზე ვმუშაობდი. როცა საჯაროდ კითხულობ, მსმენელი ლექსის სრულყოფილ ვარიანტს ითხოვს, ამიტომ თვალში ეჩხირებათ და ძალაუნებურად აფიქსირებენ იმ მომენტებს, რაც გაუმართავად ჟღერდა. ამ წაკითხვების შემდეგ, სასტუმროში, ჩემს ოთახში, სწორედ ამ გაუმართავ მონაკვეთებს ვამუშავებდი. ხშირად, რამდენიმე დღის ან კვირის შემ-

დეგ, ყოველ წაკითხვას ისევ ხელახალი შესწორება მოსდევდა. ასე გრძელდებოდა ათი თვის მანძილზე. ლექსის სრულყოფის ამ ხანგრძლივი დროის თითოეულ ეტაპზე ვკითხულობდი ნამუშევრის ახალ ვარიანტს და ეს ძალიან დამეხმარა ნაწარმოების საბოლოო სახის გამოკვეთაში.

*– ჩემი აზრით, თქვენ იმ პოეტთა კატეგორიას მიეკუთვნებით, რომლებიც ეთაყვანებიან და ამაყობენ თავისი ფესვებით. ტყუპები თქვენი მხედველობის არეში იმყოფებოდა თითქმის ორ ათეულ წელზე მეტი ხნის განმავლობაში, ხომ ასეა?*

– დიახ, მე ოცდამერვე სართულზე ვცხოვრობ და ჩემი ფანჯრები სამხრეთისკენ იყურება. კოშკები ჩემი სახლის შორიახლოს იდგა და მართლაც ყოველდღე ვხედავდი. ყველაზე კარგად ნიუ-იორკის ამ ნაწილს ვიცნობდი. რა თქმა უნდა, კატასტროფა ლოს-ანჯელესში რომ მომხდარიყო, ამ ლექსს ვერ დავწერდი.

ნიუ-იორკელებთან საუბრისას მე ძალიან ბერი რამ შევიტყვე მომხდარზე. ჩემი კარის მეზობლები სახლში იყვნენ სწორედ იმ მომენტში, როცა შეტაკება მოხდა; მათ გაიგეს თვითმფრინავის ხმა, რომელმაც თურმე ჩვენს შენობას ჩაუფრინა და ფანჯრებს მიაწყდნენ, რომ გაეგოთ, რა ხდებოდა. ამ დროს დაინახეს, რომ თვითმფრინავი კოშკს შეეჯახა. მეზობლებმა დეტალურად მიამბეს მთელი ეს ამბავი. უამრავმა ადამიანმა მომიყვა თავისი იმდღევანდელი თავგადასავალი და შთაბეჭდილება. მე თითქოს ყველა შემხვედრი გამოვკითხე და თითოეულს რაღაც თავისი ჰქონდა სათქმელი.

*– არსებობენ თუ არა ისეთი პოეტები, რომლებიც ლექსში არ ჩანან უშუალოდ, მაგრამ გარკვეული გავლენა და შთაგონება მოახდინეს თქვენზე ამ ლექსზე მუშაობის პროცესში?*

– ჩემს ნამუშევრებზე ყოველთვის დიდი გავლენა ჰქონდა ჰარტ კრეინს. ერთი შეხედვით არ ჩანს, მაგრამ ეს ასეა. კონკრეტულად ამ ლექსზე მუშაობისას კი დამეხმარა კრეინის ღრმა სიმბოლური დატვირთვის მქონე ნაწარმოები ნიუ-იორკის თემაზე.

მეორე პოეტი, ვინც ამ ლექსზე მოახდინა ფარული გავლენა, იყო ემილი დიკინსონი. კერძოდ, მისი უნარი - წარმოსახვაში დაინახოს თავისი გზა, თვითონვე განიცადოს ის, რაზეც წერს და შეეძლოს, სამყაროს სხვისი თვალით უყუროს. მისი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ლექსი - "მესმოდა ბუზის ბზუილი, როცა ვკვდებოდი", მომაკვდავი ადამიანის შესახებ არის დაწერილი. ამ ადამიანს, შეიძლება, პოეტი იცნობდა კიდეც და უნახავს მომაკვდავი. ყოველ შემთხვევაში, აქ ის თავის პერსონაჟში შედის და მერე წარმოსახვით მასთან ერთად კვდება და, რადგან კვდება, ხედავს იმას, რასაც ეს ადამიანი ხედავდა, ალბათ, სიცოცხლის ბოლო წუთებში - ოთახის ბუზს. ჩემთვის ამაღელვებელია ის, რაც დიკინსონს შეუძლია - სხვა ადამიანად იქცეს და მისი თვალით უყუროს სამყაროს, არა მარტო უყუროს, არამედ წარმავალი რეალობიდან უმნიშვნელო ცოცხალი არსების სახით ერთი დეტალი გამოარჩიოს და პოეტური ენით ჰიმნი უძღვნას ამ ჩვეულებრივ, არაფრით გამორჩეულ არსებას - ოთახის ბუზს. თანაც, ჰიმნი მისთვის გასაგებ ენაზე უმღეროს - "მოლურჯო, ნაწყვეტ-ნაწყვეტი ზუზუნით".

ინგლისურიდან თარგმნა **მანანა მათიაშვილმა**

**გოლვეი კინელი**

# კოშკების დამხობა

როცა მუქლურჯად წვებოდა ბინდი
ჩვენი მაღალი ფანჯრებიდან ვუმზერდით
კოშკებს,
უფრო გვიანაც
კოშკები ნათელს ასხივებდნენ. გაბრწყინებულებს
ვუყურებდით, ასე ვფიქრობდით
ამ კოშკებში არვის სძინავსო.
მონაგების და დანახარჯის თვლაში გართულებს
თვალზე რული არ ეკიდებათო.
ვხედავდით კოშკებს ზეაზიდულებს,
და განთიადის შუქში დანთქმულებს,
და ბოლოს ისე შევეჩვიეთ კოკშკების ცქერას,
რომ ვუმზერდით და ვეღარ ვამჩნევდით.
აშკარად როცა აღარსად ჩანან,
ჩვენ კვლავაც ვხედავთ მათ ელვარებას.

ბანკირი ლონდონს ესაუბრება,
უმბერტო სენდვიჩს უსინჯავს გემოს.
კომერსანტი ტელეფონს უზის.
ფოსტაში კი უკვე შეუდგნენ
წერილების დახარისხებას
გაქსუებულნი და უპოვარნი,
ჭკვიანები და შეშლილები,
მღვდელმთავარნი, ერისკაცები,L
დიდებულები, ძუნწები და კეთილშობილნი,
დაგვალულნი და ტანაშოლტილნი
მომხიბლავნი და შეუხედავნი...

ქვედა მეხუთე ავენიუზე
თვითმფრინავის გუგუნი აღწევს,
მოგვიანებით თვითმხილველმა დასძინა თურმე,
თვითმფრინავმა გადაიქროლა
და რაღც წამის მეასედში
პარკში ძაღლებიანი მოსეირნენი მიწას გააკრა.
მერე კი ჩრდილო კოშკს შეეჯახა
და გაჩნდა გროვა უშველებელ, რუხი
ღრუბლების,
მერე საერთოდ გაუჩინარდა
დატოვა დიდი, მოშავო ლაქა...
ვეებერთელა ღრმულის გაჩენას
მხოლოდ და მხოლოდ მულტფილმებში თუ
ნახავს კაცი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქუჩებს აწყდება მილეთის ხალხი, -
სისხლში მოთხვრილი და დაკონკილი
როგორც ბავშვები სამრაუნდიან დისტანციაზე,
ისე გარბიან.
ზოგი ფეხებს ძლივსღა მიათრევს,
ზოგი მტვერშია ერთიანად ამოგანგლული
თვალები ისე ჩასწითლებიათ, როგორც ზაჰორისს,
რომელიც მკვდრებთან საუბრობდა მიწისქვეშეთში.

იქ კი, კოშკში, ზოგი იმ დროს დაიღუპა,
როცა რეკავდა შინ და ამბობდა, მე კარგად ვარო.
ზოგი უკვე მკვდარი იყო, ვიდრე სიკვდილი ეს
ტუმრებოდა.
ზოგი ფანჯრიდან გავიდა გარეთ.
ზოგს ასფიქსია დაემართა,
ზოგი ცეცხლის ალში ჩაინქლა,
ზოგი მინებდა დედამიწის მიზიდულობას -
ფეხი იშვირა და გადაეშვა;
სხვები ხელიხელჩაკიდებულნი,
ვერტიკალზე ეშვებოდნენ ძალზე მსუბუქად.

რამდენჯერ ვმდგარვარ მე ამ ფანჯრებთან
კოშმარებიდან თავდასაღწევად
რამდენჯერ ვმდგარვარ - ტანჯვის და ძრწოლის,
დაფლეთილი სხეულების უბრალო მოწმე,
თვალი შევასწარ მე იმ ყველაფერს,
რომელიც მერე არაფრად იქცა,
და ახლაც თვალით ვსინჯავ ნაკვალევს,
ნიუ-იორკიდან ქაბულამდე სივრცეს რომ გასდევს.
რა საცოდავად მიყუჟულა კუთხეში ქალი.
ქმრის სურათი უჭირავს ხელში.
სურათზე კაცი იღიმება.
სამწუხაროა, სამწუხარო.
ერთი წუთით წარმოიდგინე მაინც ის ქუჩა
და განწირული ნახტომი სწრაფი,
ან იქ, ზემოთ,
მეწამულისფრად მოელვარე გაშლილი თმები...

" წარმოვიდგინოთ, რომ ერთ საღამოს
დამავიწყდა ყველა სამგზავრო ხარჯის გაღება,
ტრანსპორტიც ვერ გამოვიცვალე
და იმ გზას მაინც მოვაგენი თვალდახუჭულმა,
შინ რომ მაბრუნებს
თუმც დავიკარგე მერე მაინც გზის შუაგულში,
იქნებ მეპოვა შენი თვალები.."
შეიძლებოდა. ძლიერ ვწუხვარ.
აბა, კარგად. დიდი მადლობა.
ამას რა ჰქვია?
ამნეზია - სახლისაკენ გზის დავიწყება.

ანდა კიდევ "უჩინარობა" -
მდგომარეობა საკუთარი სხეულიდან გაქცევის შემდეგ.
ამ უსაშველო ფოლადის ნისლში
ანდა ამ ყალბი რეალობის საბურველს მიღმა,
ჩვენს სამყაროს რომ მყისიერად გადაეფარა,
ვინ გამოძებნის ბილიკს და სავალს,
უკან მომყვანს და დასაბრუნებელს?

კოშკები იწვის მერე უკვე ქვედამხობილი
ყრუ ხმაურით და ადენილი კორიანტელით
ნავთობადქცეულ ღრუბლებს აგროვებს.
" საღამოობით განთიადის შავ რძეს რომ ვსვამთ და
ამავე რძეს ვსვამთ შუადღესაც, დილით, ღამითაც,
შავი რძე ჩვენი სასმელია განუწყვეტელი"
ეს არ არის შედარება,
ეს ჯაჭვური რეაქციაა,
ანუ XX საუკუნის,
ძალადობრივი სიკვდილის ხანის მემკვიდრეობა.

როცა სამხრეთში კასტრირებულ შავკანიანებს
კატებივით ჰკიდებდნენ ხეზე,
წინ მიიწევდნენ შეუპოვრად ჯარისკაცები,
და თან გზაში, თითო მილზე
ოთხმოცდაათ ათასს ჰკარგავდნენ.
მატარებელი მატარებელზე იგზავნებოდა
აღმოსავლეთში,
ვაგონები გაძეძგილიყო ბოშებით და ებრაელებით,
რომელთაც მწარე ხვედრი ელოდათ:
გაზით გაგუდვა და მონადქცევა.
ატომურმა აფეთქებამ ქალაქები გაანადგურა,
მიწისპირისგან აღგავა და ცაში ატყორცნა
იყო სიკვდილის მძლავრი თარეში,
შიმშილობა და მკვლელობები,
ქვაღორღად ქცეულ ქვეყნების რიცხვი
და მასობრივი სასაკლაონი.

და აი ახლა, ჩვენმა კოშკებმა ყოველივე ეს ამოანთხია,
ამოაფრქვია ავბედითი ნიშნების გროვა,
წინამორბედი საუკუნის გადმონალოცი.
ჩვენ, ვისაც გვსურდა
გავქცეოდით უკეთურებას
და თან ვიცოდით მომავალი არ დაგვინდობდა.
ჩვენ შავ რძეს ვსვამდით
ავი ბედის მომასწავებელს,
შავი რძე იყო გადასხმული ცის კაბადონზე.

"სასაფლაო გვაქვს კამკამა ცაში
მოსასვენებლად - დრო და სივრცე შეუზღუდველი".

წარსულის დამწვარ ნარჩენთაგან ჩვენამდე აღწევს
თვითმფრინავში აალებული საწვავის სუნი,
გამომწვარი ალუმინის და ფოლადის წიდა,
აფეთქებული გრანიტის მტვერი,
მარმარილოს ნაფშვენები, ვერცხლისწყლის გაზი,
ქიმიკატების მხუთავი ორთქლი,
ახლაც ამ ორთქლში გახვეულა ჩვენი კუნძული,
რიცხვებითა და ასოებით დანომრილი ქუჩების რიგი.
სუნი სწვდება ბრუკლინის ხიდებს ·
და მოლოდინით აღსავსე ზღვასაც -
წაბილწულსა და ჩაწყნარებულს,
გადავსებულს შხამიანი ანაორთქლებით.
ეს ბინძური ჰაერი ხომ მომწამლავია.
მაგრამ ყველა ამ ჰაერს სუნთქავს,
და შენც მათ შორის რაღა თქმა უნდა.
ეს ის კაცია, რომელიც ცისკენ არ იხედება,
გულზე სურათი დაუბნევია, ქალის სურათი,
და დაჟინებით აცქერდება ფილაქანს ქვისას,
ეს ფილაქანი უიტმენის ხანაში გაჩნდა.
საწვიმარ ღარებს
რკინის ბორბლების ხახუნისგან
კიდეები შემოსცვეთია,
შესაშურია გლუვი ქვების გონიერება.

"ქვები არასდროს იბადებიან, მუდამ არიან
მხოლოდ ისინი ეურჩებიან გამუდმებით
ჩემში ყველაფერს, რაც უნდა მოხდეს."

ჰუძონის წყალთა ზედა ვიჯექი,
იახტ ჰარბორის კონცხის მახლობლად
და მაწვალებდა იმათი ხვედრი,
ვინც შერჩა მაშინ მაღალ სართულებს
ვისაც სტანჯავდა მარტო იმისი გაფიქრება,
რომ ცოცხლად დაწვა არგუნა ბედმა,
და ასეც მოხდა - ცოცხლად დაიწვნენ.
ალბათ არსებობს სიკვდილის ის მექანიზმები,
სიცოცხლის სახეს სასტიკად რომ ამახინჯებენ.
მათ წინ ვერავინ ვერ აღუდგება,
თვითონ სიკვდილის მსხვერპლიც კი ვერ იღონებს რამეს.
ამას ვფიქრობდი, უცაბედად როცა შევნიშნე
ფოლადის ჯებირს შედუღებული უიტმენის ლექსის
სიტყვები,
რომელიც მაშინ დაიწერა,
როცა ებრძოდა ამერიკა საკუთარ თავს გაafთრებული:
"მსოფლიო ქალაქი, ამაყი, მგზნებარე, ქალაქი-შეშლილი
და შეუპოვარი! "
ეს სტრიქონი ილუზიების ეპოქას შერჩა,
მაგრამ იყო სხვა სტრიქონებიც ასეთნაირი:
"მე ვიხილე ნაფლეთები ჯარისკაცების,
და არ მეგონა რაც ვიაზრე დაუყოვნებლივ -
ისინი მშვიდად, უტანჯველად განისვენებდნენ! "

ორი შენობა - უზარმაზარი მინის მასივი
ერთმანეთში შეჭრის შემდეგ სართულებად ჩამოიშალა -
და სწრაფი რღვევა შთაებეჭდა ჩვენს მახსოვრობას.

ამ კოშკებს თითქოს არავინაც არ შეხებია,
თვითონ იფეთქეს და შიგანი ამოანთხიეს,
და ქროლვის ყველა შეგრძნება გაქრა.
საკუთარ თავში ჩაიკარგნენ ეს შენობები
და მერე იქცნენ პატარა ღრმულად.
შავ, უმცირეს, უსივრცო მასად,
რომელშიც ყველა ჩამქრალი შუქი
და ჩამქრალი ყველა სიცოცხლე
სამარადისოდ შეენივთა ჩვენს მახსოვრობას.

ინგლისურიდან თარგმნეს
მანანა მათიაშვილმა და ანდრო ბუაჩიძემ

არილი



ორჰან პამუკი

# დამცირებულთა რისხვა



სახელგანთქმული თურქი მწერლის, ორჰან პამუკის (დ.1952) ეს წერილი 2001 წლის 15 ნოემბერს დაიბეჭდა The New York Book Review-ში.

ხშირად მიფიქრია, რომ უბედურება აახლოებს ადამიანებს. ბავშვობისას, როდესაც ცეცხლმოკიდებული სტამბული ვნახე და ორი წლის წინანდელი მიწისძვრის დროსაც, ინსტინქტურად ვუზიარებდი ჩემს გრძნობებს თავზარდაცემულ ადამიანებს. მაგრამ როდესაც სტამბულის პატარა ყავახანაში, მეეტლეებთან და მეკურტნეებთან ერთად, ტელეეკრანზე ვიხილე ნიუ-იორკის ორი ცათამბჯენის აფეთქება, უკიდურესი მარტოობის შეგრძნება დამეუფლა.

როგორც კი მსოფლიო სავაჭრო ცენტრის შენობას მეორე თვითმფრინავი დაეჯახა, თურქეთის სატელევიზიო არხებმა დაიწყეს რეპორტაჟი მოვლენათა ადგილიდან. ყავახანაში შეკრებილ ხალხს გადავხედე და დავრწმუნდი, რომ ისინი განცვიფრებულნი იყვნენ, მაგრამ არ აღშფოთებულან. რაღაც მომენტში მინდოდა მათთვის მეთქვა, რომ სამი წელი გავატარე მანჰეტენზე და არაერთხელ ვყოფილვარ ამ ცათამბჯენებში, მაგრამ ხმა არ ამომიღია - მარტოობის მძაფრმა შეგრძნებამ დამადუმა. აღარ ძალმიძდა შემზარავი რეპორტაჟის ყურება და ქუჩაში გავედი, თანაც მწადდა, საკუთარი განცდები სხვებისთვის გამეზიარებინა. სანაპიროზე, ბორანის მომლოდინე ხალხში, შევნიშნე აქვითინებული ქალი, მაგრამ მისი გამომეტყველების მიხედვით ვიაზრე, რომ ის მანჰეტენში დაღუპულ ადამიანებს კი არ დასტიროდა, არამედ ფიქრობდა, ქვეყნის აღსასრული დადგაო. მახსოვს, ჩემი ბავშვობისას, შიშობდნენ, რომ კუბის კრიზისი მესამე მსოფლიო ომში გადაიზრდებოდა. მაშინ ვნახე ასეთივე თავზარდაცემული ქალები, ხოლო საშუალო შეძლების სტამბოლელები ოსპსა და მაკარონს იმარაგებდნენ.

ყავახანაში დავბრუნდი და გაფაციცებით ჩავაშტერდი ტელეეკრანს. მოგვიანებით, როდესაც ქუჩაში გავედი, ჩემს ერთ-ერთ მეზობელს შევხვდი. მან მკითხა: "ხომ ნახეთ, როგორ დაბომბეს ამერიკა?" და ღვარძლიანად დასძინა: "სწორადაც მოიქცნენ".

ეს გულმოსული ბერიკაცი თავგადადებული რელიგიური ფანატიკოსი როდი გახლდათ. ის თავს ირჩენდა წვრილმანი სარემონტო სამუშაოთი და მებაღეობით, ყოველ საღამოს თვრებოდა და ცოლს ეკინკლავებოდა. მას ჯერ არ ენახა შემაძრწუნებელი ტელერეპორტაჟი. უბრალოდ, ყური მოეკრა, რომ ამერიკაში საშინელი რამ მოხდა. იმ პერიოდში თურქეთში საუბრობდნენ "მხეცური" ტერორისა და "აღმაშფოთებელი" თავდასხმის შესახებ. ამასთან, უდანაშაულო ადამიანთა მკვლელობის შესახებ მსჯელობა მთავრდებოდა "მაგრამ"-ით, რასაც მოსდევდა ამერიკის პოლიტიკური და ეკონომიკური კურსის კრიტიკა.

მსოფლიოში, ამერიკის როლის განხილვისას, ტერორისტთა თვალსაზრისის (რომელიც ემყარება "დასავლეთისადმი" სიძულვილს) გათვალისწინება, ალბათ, მორალურად გამართლებული არაა, მაგრამ ტერორის საზარელი აქტებით სამართლიანი აღშფოთებისა და ნაციონალისტური განწყობილებების გაღვივების დროს შეიძლება გაისმას ისეთი სიტყვები, რომლებიც მიგვიყვანს სხვა უდანაშაულო ადამიანთა მკვლელობამდე.

ყველა ჩვენგანმა უნდა გააცნობიეროს, რომ ბოლოდროინდელი დაბომბვები, აგრეთვე - ავღანეთსა და მსოფლიოს სხვა კუთხეებში მშვიდობიანი მოქალაქეების დახოცვა (რასაც ამერიკელები სჩადიან შურისძიების მიზნით) გააძლიერებს დაძაბულობას აღმოსავლეთსა და დასავლეთს, ანუ ისლამსა" და "ქრისტიანულ სამყაროს" შორის. ეს ხელს შეუწყობს ტერორიზმის მასშტაბების გაფართოებას, რის აღკვეთასაც მიზნად ისახავს ამერიკელთა საომარი ქმედებები. ამჟამად მორალურად შეუძლებელია მსჯელობა მსოფლიოში ამერიკის ბატონობის საკითხზე, რადგან დღის წესრიგში დადგა გაცილებით უფრო აქტუალური რამ: ტერორისტების უმაგალითო სისასტიკე. ამავდროულად, გასათვალისწინებელია იმ სიძულვილის მიზეზები, რომელსაც განვითარებად ქვეყნებში მცხოვრები მილიონობით ადამიანი განიცდის ამერიკის მიმართ.

ამასთან, მსგავსი განწყობილებები ყოველთვის როდი იმსახურებს თანაგრძნობას. საყურადღებოა ისიც, რომ მესამე სამყაროს ქვეყნებსა და ისლამურ სახელმწიფოებში, ანტიამერიკული განწყობილებები ხშირად გამოიყენება დემოკრატიის დეფიციტის შენიღბვისა და ადგილობრივ დიქტატორთა ძალაუფლების განმტკიცების მიზნით. ზოგიერთი სახელმწიფო, მაგალითად, საუდის არაბეთი, თითქოს ცდილობს, დაუმტკიცოს მსოფლიოს, რომ ისლამი და

დემოკრატია ურთიერთშეუთავსებელია, ეს კი ხელს უშლის სამოქალაქო დემოკრატიის დამკვიდრება-განვითარებას ასეთ ქვეყნებში. ანალოგიურად, მტრული დამოკიდებულება ამერიკის მიმართ (მაგალითად, თურქეთში) საშუალებას აძლევს ქვეყნის მმართველ წრეებს, გაფლანგონ (კორუფციისა და არაკომპეტენტურობის მიზეზით) საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისგან მიღებული თანხები და ასეთი გზით შენიღბონ ღრმა უფსკრული ღატაკებსა და მდიდრებს შორის.

აშშ-ში ამჟამად ბევრი ადამიანი უჭერს მხარს საბრძოლო იერიშებს, რომელთა ამოცანას შეადგენს ქვეყნის სამხედრო ძალმოსილების დემონსტრაცია და ტერორისტების "მორჯულება". ზოგიერთი ტელეკომენტატორი ხალისით მსჯელობს ამერიკული თვითმფრინავების მიერ მშვიდობიანი მოქალაქეების დაბომბვის შესახებ. ისინი მხოლოდ ამძაფრებენ მტრულ გრძნობებს ამერიკის მიმართ, რომელთაც განიცდიან ისლამურ ქვეყნებსა და მსოფლიოს ღარიბ რეგიონებში მცხოვრები დამცირებული და ღირსებაშელახული ადამიანები.

არც ისლამი და არც სიღარიბე, თავისთავად, არ უქმნის ხელსაყრელ პირობებს კაცობრიობის ისტორიაში უპრეცედენტო ტერორიზმს. მისი საფუძველია დამცირებული მდგომარეობა, რომელშიც იმყოფებიან მესამე სამყაროს ქვეყნები.

ღარიბებსა და მდიდრებს შორის არსებული უფსკრული ამჟამად უკიდურესად ფართოა. შეიძლება ვამტკიცოთ, რომ მდიდარი სახელმწიფოების დოვლათი მათ საკუთარ მონაპოვარს წარმოადგენს, რაც არ უნდა აღელვებდეს ღარიბ ქვეყნებს. მაგრამ ამ უკანასკნელთ არასოდეს უნახავთ ეგზომ თვალსაჩინოდ, როგორია ფუფუნებაში ცხოვრება, რასაც აკვირდებიან ტელევიზიისა და ჰოლივუდის ფილმების მეშვეობით. შეიძლება აგრეთვე ითქვას, რომ ზღაპრები "მეფეთა ცხოვრების" შესახებ ანუგეშებს ღატაკებს. ამასთან, გაცილებით უარესია, რომ მსოფლიოს მდიდარი და ძლიერი სახელმწიფოების "სიმართლე" და "კეთილგონიერება" ესოდენ ხაზგასმულია.

სადღეისოდ მაჰმადიანური ღარიბი, არადემოკრატიული ქვეყნის (ისევე, როგორც - ყოფილი სოციალისტური რესპუბლიკის ან მესამე სამყაროს რომელიმე სახელმწიფოს) რიგითი მოქალაქე ხვდება, რაოდენ უმნიშვნელოა მისი წილი მსოფლიო დოვლათში, მან იცის, რომ მისი ცხოვრების დონე გაცილებით დაბალია "დასავლურთან" შედარებით. იმავდროულად, ასეთი ადამიანი აცნობიერებს, რომ მისი სიღატაკის მიზეზს წარმოადგენს საკუთარი (ან წინაპრების) უნიათობა და არასრულფასოვნება. დასავლეთის სამყაროსთვის, ალბათ, გაუგებარია დამცირების დამთრგუნველი შეგრძნება, რომელსაც განიცდის დედამიწის მოსახლეობის უმრავლესობა. საჭიროა ამ განცდის დაძლევა, იმგვარად, რომ მათ არ დაკარგონ საღი განსჯის უნარი და თავი აარიდონ ტერორიზმის, ნაციონალიზმისა და ფუნდამენტალიზმის საფრთხეს. ამ მტანჯველ განცდებს ვერ სწვდებიან ვერც რეალისტური რომანები, რომელთა მიხედვით, სიღარიბესა და უმეცრებას გარკვეული ხიბლი გააჩნიათ, ვერც - ეგზოტიკური სათავგადასავლო ნაწარმოებები, თუმცა ადამიანთა უმეტესი ნაწილი სულიერ სიღატაკეს განიცდის. დასავლეთმა ის კი არ უნდა იკვლიოს, რომელი ტერორისტი ამზადებს ბომბს ამა თუ იმ კარავში ან გამოქვაბულში, არამედ - უნდა გაუგოს ღარიბებსა და დამცირებულებს, რომლებიც არ წარმოადგენენ დასავლური სამყაროს წევრებს.

სამხედრო მოწოდებებს, ნაციონალისტურ გამოსვლებსა და სამხედრო ოპერაციებს საპირისპირო შედეგი მოსდევს ხოლმე. დასავლეთის სახელმწიფოთა მრავალი აქცია და პოლიტიკური ნაბიჯი არღვევს მშვიდობას მსოფლიოში. ასეთია, მაგალითად, ახალი სავიზო შეზღუდვები, აგრეთვე - იძულებითი ღონისძიებები, რომლებიც ხელს უშლის მაჰმადიანებისა და ღარიბი ქვეყნების მცხოვრებთა ემიგრაციას; დამახასიათებელია სიძულვილი მაჰმადიანობისა და, საერთოდ, არადასავლური რელიგიების მიმართ, აგრეთვე - აგრესიული გამოთქმები, რომელთა მიხედვით, მთელი ისლამური ცივილიზაცია ტერორისა და ფანატიზმის საუფლოს წარმოადგენს. რამ აიძულა უპოვარი სტამბოლელი ბერიკაცი, არაფრად ჩააგდო ტერორისტთა გამოხდომები ნიუ-იორკში? რატომ სცემენ თაყვანს პალესტინელი ჭაბუკები თალიბებს, რომლებიც აზოტმჟავას ასხამენ ჩადრმოხდილ ქალებს? ამის მიზეზი არ გახლავთ არც ისლამი, არც (იდიოტური გამოთქმის თანახმად) "დაპირისპირება დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის". მისი საფუძველია ადამიანთა ურთიერთგაგების დეფიციტი.

წარჩინებული საზოგადოებრივი ფენის განათლებულ წარმომადგენელთა აღიარებით, თურქეთის რესპუბლიკა არ ცდილობს, გაუგოს საზოგადოების ღარიბ წევრებს, არამედ - მიმართავს იძულებით იურიდიულ ღონისძიებებს, აკრძალვებსა და სამხედრო რეპრესიებს. მოდერნიზაცია ბოლომდე ვერ განხორციელდა, ამიტომ, თურქეთი იქცა მხოლოდ შეზღუდული დემოკრატიის სახელმწიფოდ. ამჟამად, როდესაც გვესმის მოწოდებები დასავლეთისა და აღმოსავლეთის სამხედრო დაპირისპირების შესახებ, ალბათ, ბევრი ქვეყანა აღმოჩნდება თურქეთის მდგომარეობაში, რომელსაც თითქმის პერმანენტულად მართავს სამხედრო კანონი. ვშიშობ, რომ თვითკმაყოფილი და ფარისევლური დასავლური ნაციონალიზმი, საბოლოოდ იმის მტკიცებას დაიწყებს, რომ ორს პლუს ორი უდრის ხუთს (დოსტოევსკის რომანის - "ძმები კარამაზოვები"? no)

*სტამბული, 2001 წ. 8 ოქტომბერი*

იან მაკიუენი

# მხოლოდ სიყვარული, შემდეგ კი - სიკვდილი



იან მაკიუენი - ცნობილი ინგლისელი
მწერალი, ბუკერის პრემიის ლაურეატი

ემოციებს გარკვეული თანმიმდევრობით განვიცდით
ხოლმე. ელდას, ჩვეულებრივ, მწუხარება მოსდევს
და ეს გრძნობა უფრო ადვილად ასატანია, თუ მას
სხვებიც იზიარებენ.

თავდაპირველმა ვიზუალურმა შთაბეჭდილებამ -
დიდებული ცათამბჯენების ავბედითმა ჩამონგრევამ -
ყველანი გაგვაოგნა. ოთხშაბათს კი კიდევ უფრო
შეგვზარა ახალმა ვიდეოკადრებმა: პირველი თვითმ-
ფრინავის მიერ ცათამბჯენის კედლის გაპობამ, ხელი-
ხელჩაკიდებული ორი ადამიანის გადმოხტომამ ზედა
სართულიდან, კიდევ ერთმა უცნაურმა ფიგურამ, რო-
მელიც ხელგაწვდილი მიექანებოდა მიწისკენ (ქოლგის
გამოყენება ხომ არ სურდა პარაშუტის სახით?), მაშ-
ველებმა, ჩამოცვენილი ლოდების გიგანტურ გროვაზე
რომ დაცოცავდნენ.

აფორიაქებულნი, გულს ლაპარაკით ვიოხებდით.
განუწყვეტლივ ვქაქანებდით ტელეფონით, იმეილით
ან პირისპირ. ვიცოდით, რომ წინ უფრო დიდი გან-
საცდელი გველოდა, მაგრამ ამას სრულად ვერ ვაც-
ნობიერებდით.

ეს განსაცდელი, რა თქმა უნდა, პირადული ხასი-
ათისა გახლდათ. ხუთშაბათს ჩემს ნაცნობ-მეგობრებს
უილაჯობა და სასოწარკვეთა დაეტყოთ. იგივე გან-
წყობილება შეინიშნებოდა ტელე და რადიოკომენტა-
ტორთა ხმაში. ადამიანები დეპრესიამ მოიცვა.

სანახაობა დამთავრდა. ახლა უკვე დაღუპულთა
ხმებს ვუსმენდით და ვხვდებოდით, რომ ყოველი
ცალკეული სიკვდილი, თავისთავად, აფეთქებაა, რო-
მელიც ანადგურებს დაღუპულის ახლობლებს. სწო-
რედ იმ დღეებში გავიგენით ადამიანის სიცოცხლის
ფასი.

შემზარავი იყო დაღუპულთა ნათესავების ხილვა.
ისინი საავადმყოფოებთან იყრიდნენ თავს ან, ფოტო-
სურათებით ხელში, ქუჩებში დაეხეტებოდნენ. ეს გვახ-
სენებდა ომებისა და ბუნებრივი კატასტროფების
თანმდევ ტრაგედიებს. ამასთან, მანჰეტენი, მსოფლიოს
ეს ერთ-ერთი ყველაზე მშვენიერი ქალაქი, ჩვენთვის
ძალიან ძვირფასი იყო.

ადამიანთა ყოველდღიური ყოფის განუყოფელ ნა-
წილად იქცა მობილური ტელეფონი და, თუ ძალგ-
ვიძს, მას სიცოცხლის უკანასკნელ მომენტებშიც ვიყე-
ნებთ. ხუთშაბათს ვუსმენდით, რას ეუბნებოდნენ ცა-
თამბჯენებში მყოფნი თავიანთ ახლობლებს და გაგ-
ვაოცა იმან, რომ ისინი ჩვეულებრივად იქცეოდნენ.
ახალმა ტექნოლოგიამ კიდევ ერთხელ გამოააშკარავა
ადამიანის მარადიული, უცვლელი არსი.

სან-ფრანცისკოში მყოფ მამაკაცს ეძინა და ვერ
გაიგონა ტელეფონის ზარი, ამ დროს კი მას ცოლი
ურეკავდა მსოფლიო სავაჭრო ცენტრიდან. ქალმა თა-
ვის მეუღლეს ბოლო შეტყობინება დაუტოვა ავტომო-
პასუხეზე. ტელეეკრანზე ვიხილეთ, როგორ ისმენდა
ეს მამაკაცი ცოლის უკანასკნელ სიტყვებს. ქალი ტი-
რილით ამბობდა, საშველი არსად ჩანს, ხანძარი
მძვინვარებს და კიბით ჩასვლა შეუძლებელიაო. მან
წარმოთქვა სამი სიტყვა, რომლებიც ვერ გააუფასუ-
რა ვერც მდარე ლიტერატურამ და ვერც უხამსმა
სიმღერებმა თუ ფილმებმა. ეს სიტყვები იყო: მე შენ
მიყვარხარ.

ქალმა ეს მანამ იმეორა, სანამ სატელეფონო კავ-
შირი შეწყდებოდა. ამავეს ეუბნებოდნენ თავიანთ ახ-
ლობლებს გატაცებულ თვითმფრინავებსა და ცეცხლ-
მოდებულ შენობებში მყოფი ადამიანები. მხოლოდ
სიყვარული, შემდეგ კი - სიკვდილი. მკვლელებს მათ
სიყვარული დაუპირისპირეს.

კაცობრიობის მეხსიერებას შემორჩა გამოჩენილი
პიროვნებების - ჰენრი ჯეიმსის, ნელსონის, გოეთეს -
უკანასკნელი სიტყვები, რომლებიც მათ წარმოთქვეს
სიკვდილის წინ. მათში იგრძნობა შერიგება სიკვ-
დილთან, ზოგჯერ კი - არაჩვეულებრივი მხნეობა და
შეუპოვრობა. ამასთან, ცათამბჯენებსა და თვითმფრი-
ნავებში მყოფი ადამიანების მიერ ახლობლებისთვის
ტელეფონით ნათქვამი უკანასკნელი სიტყვები გაცი-
ლებით უფრო შთამბეჭდავი და დამაჯერებელია.

ისინი გვაიძულებენ, წარმოვიდგინოთ, როგორ მო-
ვიქცეოდით, კატასტროფის ადგილას რომ აღმოვჩენი-
ლიყავით და ახლა ვიცით, რას ვიტყოდით იმ მომენ-
ტში.

ჩვენი უმრავლესობა არ მონაწილეობდა იმ საში-
ნელ მოვლენებში. უბრალოდ, ვუყურებდით ტე-
ლევიზორს, ვკითხულობდით გაზეთებს, ვუსმენ-

დით რადიოს. გარკვეულად, ნუგეშს გვგვრიდა გამოცდილი ანალიტიკოსებისა და მეცნიერების გამოსვლები, ხოლო ჟურნალისტების ყბადაღებულმა პროფესიამ კვლავ დაიბრუნა თავისი კეთილშობილური დანიშნულება ამ ეროვნული ტრაგედიის მომენტში.

ჩემი აზრით, იმ დღეებში არავინ ფიქრობდა წარუმატებელი საგარეო პოლიტიკის, გეოპოლიტიკური სტრატეგიის ან საბრძოლო ვერტმფრენების ოპერატიული შესაძლებლობების შესახებ. ამის ნაცვლად, მხოლოდ ნანახის გამო ვდარდობდით და უიმედო ფანტაზიებს ვეძლეოდით. ამერიკელთა უმეტესმა ნაწილმა შემდგომშიც ვერ დააღწია თავი შემზარავი მოვლენების შესახებ ფიქრებს. გამუდმებით ვფიქრობდით მომხდარ კატასტროფაზე.

სწორედ ესაა სიბრალულისა და თანაგრძნობის არსი: ღამით, როცა ძილი არ გეკარება, ხედავ, შიშისგან როგორ ეკვრი თვითმფრინავის ტუალეტის იატაკს და ჩურჩულით გადასცემ უკანასკნელ შეტყობინებას საყვარელ არსებას. და ესაა თქვენი ყველაზე არსებითი სათქმელი. უნდა იჩქაროთ, სანამ მავანი ბრიყვი (რომელიც სამოთხეში თავისი ადგილის მოპოვებას ესწრაფვის), კარს შემოანგრევს, ხელს ჩაგავლებთ და გიბრძანებთ, სავარძელში ჩაჯდეთ. აი, სავარძლის ღვედები. აი, ჟურნალი, რომელსაც კითხულობდით, სანამ ეს ყველაფერი დაიწყებოდა.

ამ დეტალების ბანალურობამ შეიძლება გაგაოცოთ. თუ პანიკისგან თავგზა არა გაქვთ აბნეული, ჩაეჭიდებით იმედის ნაპერწკალს და ივარაუდებთ, რომ თვითმფრინავის მარჯვე კაპიტანი იატაკიდან ადგება, ხმას ამოიღებს და ყოველივე მოგვარდება...

ბანდიტებს მგზავრების აზრებისა და განცდების წვდომა რომ შეეძლოთ, თავიანთ საქმიანობას შეწყვეტდნენ. ძნელია სისასტიკის გამოჩენა, თუ ხვდები, რა ხდება შენი მსხვერპლის სულში. ჰუმანურობის საფუძველს წარმოადგენს საკუთარი თავის წარმოდგენა სხვა ადამიანის ადგილას. ეს თანაგრძნობისა და ზნეობრიობის ქვაკუთხედია.

ბანდიტებს სჩვევიათ ფანატიკური, ურყევი რელიგიური რწმენა და სიძულვილი სხვა სარწმუნოების ადამიანთა მიმართ, რაც თრგუნავს თანაგრძნობის ინსტინქტს. მათ ერთ-ერთ დანაშაულად შეიძლება ჩაითვალოს წარმოსახვის უქონლობა. რაც შეეხება მსხვერპლთ, ისინი, ალბათ, ვერც კი ხვდებოდნენ, რომ სიყვარულის გამომხატველი აღიარებები მათი სიმამაცის შესანიშნავი გამოხატულება იყო!

*2001, 15 სექტემბერი*

არილი

სიუზენ სონტაგი



# ნუ გაბრიყვდებით!

განსაცვიფრებელია შეუსაბამობა, რომელიც შეიმჩნევა გასული სამშაბათის შემზარავ მოვლენებსა და, მეორე მხრივ, სახელმწიფო მოღვაწეთა და ტელეკომენტატორთა თვითკმაყოფილ ლაყბობას შორის. ისინი ერთობლივად ცდილობენ ხალხის გაბრიყვებას. რატომ არავინ აღიარებს, რომ ეს არ გახლდათ "ლაჩრული" თავდასხმა "ცივილიზაციაზე", "თავისუფლებაზე" ან "თავისუფალ სამყაროზე", არამედ - შეტევა მსოფლიოს ზეძლიერ სახელმწიფოზე, რაც გამოიწვია ამერიკის საგანგებო ალიანსებმა და პოლიტიკურმა კურსმა? რამდენმა რიგითმა მოქალაქემ იცის ამერიკის მიერ ერაყის დაბომბვის შესახებ? და თუმცა სიტყვა "ლაჩრული" საკმაოდ გაცვეთილია, ის სავსებით გამოდგება იმათ დასახასიათებლად, ვინც შორიდან ანადგურებს უდანაშაულო ადამიანებს, ვიდრე - იმათთვის, ვინც თავს იკლავს, რათა სხვებს სიცოცხლე მოუსწრაფოს. რაც შეეხება სიმამაცეს (მორალური თვალსაზრისით, ნეიტრალურ თვისებას), სამშაბათს მომხდარ ტრაგედიაში დამნაშავე პირნი ლაჩრები სულაც არ გახლავან.

ჩვენს ლიდერებს სურთ, დაგვარწმუნონ, რომ ყველაფერი რიგზეა. ამერიკას არავისი არ ეშინია. ქედი როდი მოგვიხრია ვინმეს წინაშე, მაგრამ 11 სექტემბერი ჩვენთვის სამარცხვინო თარიღად დარჩება, ამერიკა კი ახლა ომის მდგომარეობაშია. ამგვარად, ყველაფერი რიგზე როდია. მანჰეტენი არ გახლდათ პერლ-ჰარბორი. ჩვენი უნიათო რობოტი-პრეზიდენტი გვარწმუნებს, რომ ამერიკა ინარჩუნებს თავის ღირსებას. რაც შეეხება სახელმწიფო მოღვაწეებს, მათი უმეტესი ნაწილი თითქოს ეწინააღმდეგება ქვეყნის პოლიტიკურ კურსს, მაგრამ, საბოლოო ანგარიშში, მხარს უჭერს პრეზიდენტ ბუშს. აღსანიშნავია, რომ ბოლოდროინდელი მოვლენების გათვალისწინებით, სათანადოდ უნდა იქნას შეფასებული ამერიკის დაზვერვისა და კონტრდაზვერვის მუშაობის ხარვეზები, აგრეთვე -

ქვეყნის საგარეო პოლიტიკა და ბოლოს, ჩვენი სამხედრო თავდაცვის პროგრამა.

ხალხმა არაფერი იცოდა მოსალოდნელი ტრაგედიის შესახებ და თუმცა ამერიკაში დასცინოდნენ კომუნისტური პარტიის ყრილობათა დელეგატების ერთსულოვნებას, მაგრამ რეალობაზე თვალის დახუჭვა და ფარისევლური ყბედობა, რასაც ამერიკელი სახელმწიფო მოღვაწეები და კომენტატორები მიმართავენ, სულაც არ ეკადრება განვითარებული დემოკრატიის სახელმწიფოს.

მთავრობის წარმომადგენლები გვეუბნებიან, რომ მათი ამოცანაა ნდობის განმტკიცება და მცდარი ნაბიჯების თავიდან აცილება. როგორც ჩანს, პოლიტიკას შეენაცვლა ფსიქოთერაპია. მოდით, ერთად ვიმოქმედოთ, მაგრამ ერთად ნუ გავბრიყვდებით. "ჩვენი ქვეყანა ძლიერია" - ვიმეორებთ განუწყვეტლივ. და განა ვინმეს ეჭვი ეპარება ამერიკის ძლიერებაში? მაგრამ ეს არაა ყველაფერი, რაც ამერიკას სჭირდება.

*2001, სექტემბერი*

## ჯონ აპდაიკი



# სიცოცხლე გრძელდება

დიადი და შემზარავი სანახაობის უეცარი ხილვისას, ჩვეულებრივ, ვცდილობთ ხოლმე, არ დავიყვანოთ ის საკუთარ უმნიშვნელო მასშტაბებამდე. ბრუკლინში მცხოვრებ ერთ-ერთ ოჯახში სტუმრად მისულმა, მეათე სართულის გადასახედიდან დავინახე, როგორ ჩამოინგრა მსოფლიო სავაჭრო ცენტრის შენობები და ამ სანახაობის მოჩვენებითი მინიატურულობის შეგრძნება გამიჩნდა, თითქოს ტელეკადრებს ვუყურებდი. საბიბლიოთეკო ოთახიდან ოთხი წლის გოგონამ და მისმა ძიძამ დაგვიძახეს და ფანჯრიდან გვაჩვენეს ერთ-ერთი ცათამბჯენის სახურავიდან ამოსული კვამლი. თავდაპირველად კი არ შეგვეშინდა, არამედ, უბრალოდ, დავინტერესდით. უღრუბლო ცაზე კვამლი ზემოთ მიიკლაკნებოდა, ხოლო შენობის გოფრირებულ ფასადზე უცნაური, მელნისფერი ჩქერები ჩამოედინებოდა. მსოფლიო სავაჭრო ცენტრი მკრთალად მოჩანდა ქვედა მანჰეტენის ფონზე, რომლის ოცდაათიან წლებში აშენებულ ცათამბჯენებში შერწყმული იყო პოსტმოდერნის წინამორბედი პერიოდისთვის დამახასიათებელი თვალისმომჭრელი სიდიადე და არქიტექტურული სამშვენისების ზომიერება. როდესაც მეორე ცათამბჯენსაც ცეცხლი მოედო, თვალებს არ დავუჯერეთ. რა თქმა უნდა, ტექნოკრატიას, რომლის სიმბოლოებსაც ეს ცათამბჯენები წარმოადგენდნენ, უნდა ეპოვა საშუალებები ცეცხლის ჩასაქრობად და ტრაგედიის თავიდან ასაცილებლად.

სწორედ მაშინ, როდესაც ცოლთან ერთად ბრუკლინის შენობის სახურავიდან მანჰეტენს ვაკვირდებოდი, სამხრეთით განლაგებული ცათამბჯენი უეცრად მთლიანად ჩამოინგრა. ის ლიფტივით, ვერტიკალურად ჩამოიქცა, ზრიალითა და გუგუნით. მივხვდით, რომ შევესწარით ათასობით ადამიანის სიკვდილს და ერთმანეთს ჩავეკარით, თითქოს ჩვენც იგივე ბედი გველოდა. ისტ-რივერის გასწვრივ აღმართულ კრიალა შენობათა შორის ცარიელი სივრცე გაჩნდა. ქარს ოკეანისკენ მიჰქონდა მოყვითალო კვამლი, ლურჯ ცაზე კი არც ერთი რეაქტიული თვითმფრინავის ნაკვალევი არ შეიმჩნეოდა. ქვედა მანჰეტენი მტვერმა დაფარა. მეორე ცათამბჯენის ჩამონგრევა ტელევიზიით ვნახეთ და არაერთხელ ვიხილეთ, როგორ ირყეოდა და ძირს ეცემოდა აფეთქებული შენობა, კოშმარული ბალეტის მსგავსად.

კოშმარი დამთავრდა. დაღუპულნი ნანგრევებქვეშ დარჩნენ. უკანასკნელ სატელეფონო შეტყობინებებში სიმშვიდე და სიყვარული გამოსჭვიოდა (ბევრი მათგანი განმეორებით მოვისმინეთ). თვითმფრინავის ხმაური შიშს გვგვრის - იმ ფანატიკოსთა თანამოაზრეებმა, რომლებმაც სიცოცხლე გასწირეს იმქვეყნიური სასუფევლის მოსაპოვებლად, შეიძლება, კვლავ ცოდვა დაატრიალონ. ჩვენ კი უნდა აღვასრულოთ ამქვეყნიური ვალდებულებები: აღვადგინოთ შენობები, დავმარხოთ მიცვალებულები და მეტი სიფრთხილე გამოვიჩინოთ. ერთი სიტყვით, სიცოცხლე გრძელდება.

შეილახა თავისუფლად გადაადგილების უფლება, ანუ ჩვენი სიამაყის ერთ-ერთი საგანი. განა შეგვიძლია, გულწრფელად ვამტკიცოთ, რომ ვერც ერთი მომავალი კამიკაძე ვერ შეძლებს ფლორიდის საფრენოსნო სკოლაში ჩაწერას? ერთ-ერთი ეჭვმიტანილი პირის ფლორიდელი მეზობელი იხსენებს: "მან თქვა, რომ ესაა ძალზე დაუცველი ქვეყანა, და რომ შეუძლია, წავიდეს ყველგან - ხელს ვერავინ შეუშლის". ამ პირის უცნაურ აღიარებაში, შესაძლოა, იგრძნობა თხოვნა მის ქმედებათა შეჩერების შესახებ. უცნაურია აგრეთვე ცაში გამეფებული სიჩუმე, მაგრამ ამერიკის ცა კვლავ უნდა დასერონ თვითმფრინავებმა. რისკი თავისუფლების საფასურია და ახლა, შუადღისას, როდესაც ბრუკლინში დავდივარ, როდესაც ჰაერში ფერფლი დაფრინავს, ხოლო მონტეგიუ-სტრიტის ქუჩის კაფეებში ადამიანები ჩვეულებისამებრ საუზმობენ, ვფიქრობ, რომ მართლაც ღირს ბრძოლა თავისუფლებისათვის. აქ, ადამიანებს შორის, მისი ღირებულება ძალზე მძაფრად შეიგრძნობა.

მეორე დილას დავბრუნდი იმ სახლში, საიდანაც ცათამბჯენის ჩამონგრევა ვიხილე. დილის მზის სხივები ირეკლებოდა შენობათა ფასადებზე. რამდენიმე გემი დინჯად მიცურავდა მდინარეზე, ნანგრევებს ჯერ კიდევ კვამლი ასდიოდა, მაგრამ ნიუ-იორკი დიდებულად გამოიყურებოდა.

*2001, სექტემბერი*

სალმან რუშდი

# მაღლა ცისკენ



გასული ნოემბრის ერთ დღეს დიდხანს დავეხეტებოდი მსოფლიო სავაჭრო ცენტრის მხრჩოლავი ნანგრევების ირგვლივ. ვაკვირდებოდი ამ შემზარავ სანახაობას და ვესაუბრებოდი ჩემსავით გაოგნებულ უცნობებს. ვამჩნევდი, როგორ ირეკლებოდა ჩემი დაბნეულობა იმ ადამიანების თვალებში, რომლებსაც თავდაპირველად, ალბათ, მხოლოდ აქაურობის დათვალიერების სურვილი ამოძრავებდათ და არა უფრო სერიოზული და საპატიო განზრახვა - ქცეულიყვნენ მომხდარი ტრაგედიის მოწმეებად. დავინახე აგრეთვე მაშველები და მახლობელი მაღაზიებისა და ოფისების თანამშრომლები, რომლებიც ყოველდღე მოდიოდნენ ნანგრევებთან. ზოგიერთი მაშველი თვალს არიდებდა აუტანელ სურათს, რათა მუშაობის გაგრძელების უნარი შეენარჩუნებინა. საათების განმავლობაში დავდიოდი და ადამიანების თვალებში ვეძებდი პასუხს იმ შეკითხვებზე, რომლებიც ყოველ ჩვენგანს აღელვებდა. ჩემი დაკვირვებული მზერა არავის აღიზიანებდა. იმ დროს მხედველობითი კონტაქტი, უბრალოდ, აუცილებელი იყო და შვებასაც კი გვგვრიდა.

მაღლა, ცისკენ ავიხედე. ბევრი რამ დაიწერა და ითქვა იმის შესახებ, რაოდენ შემაძრწუნებელი იყო ცათამბჯენების გაუჩინარება ლანდშაფტიდან. ადამიანები თვალებს აცეცებდნენ და ეძებდნენ იმას, რაც ერთხელ იხილეს. არ სჯეროდათ, რასაც ხედავდნენ. არარსებობა არსებობად იქცა. ნოემბრის ამ დღეს ცარიელი სივრცე თითქოს გამკვრივდა და მაღლა აიზიდა გამქრალ ნაგებობათა შესანაცვლებლად. "აი, აქ მოხდა ეს", შევახსენე საკუთარ თავს, "ქვემოთ კი არა, იქ, ზემოთ". ანაზდად თვითმფრინავის ხმაური მომესმა და შევკრთი.

ახლა, როცა ქალაქში მსჯელობენ შენობათა რეკონსტრუქციის შესახებ, სულ უფრო ხშირად მახსენდება ის ილუზია. მახსოვს, აგრეთვე, სენატორ ჩარლზ შუმერის გულისტკივილით აღსავსე კილო, რომლითაც ის საუბრობდა ქალაქის აღდგენის შესახებ. მაგონდება პოლონეთისა და ინგლისის მიერ ომის შემდგომ მიღებული გადაწყვეტილებები, აღდგენილიყო ლონდონის პარლამენტის დაბომბილი შენობა და ვარშავის მიწიდან აღგვილი ცენტრი. ამ ქალაქების მკვიდრნიც ესწრაფოდნენ ვარშავისა და ლონდონის რეკონსტრუქციას უწინდებური სახით.

ნიუ-იორკის მცხოვრებთა უმრავლესობა ერთსა და იმავე თვალსაზრისს იზიარებს. მათი შეხედულებით, ორი ცათამბჯენის ზუსტი აღდგენა გაამთლიანებს ქალაქს. ჩვენ არ შეგვიძლია წარსულის წაშლა, მაგრამ ძალგვიძს მისი ნაკვალევის აღმოფხვრა.

არსებობს საპირისპირო არგუმენტებიც. "მემორიალისტთა" ჯგუფს, დაღუპულთა ნათესავების მეთაურობით, სურს, ეს ადგილი წმინდა მიწად გამოაცხადოს. "ანტიკაპიტალისტურად" განწყობილი ადამიანები, რომლებიც დაუკავშირდნენ "მემორიალისტებს", ეწინააღმდეგებიან ექვსი ახალშემუშავებული პროექტის მიღებას. ისინი არ ეთანხმებიან, აგრეთვე ხელისუფლების მოთხოვნას, რომ შენობებში განთავსდეს იმდენივე ოფისი და სასტუმრო, რამდენიც დანგრეულ ცათამბჯენებში ჰქონდა არენდატორს, ლარი სილვერსტაინს. "არქიტექტორთა" ჯგუფი ამტკიცებს, რომ უნდა აშენდეს ახალი ტიპის (და არა ძველი ცათამბჯენების იდენტური) ნაგებობები. ბოლოს, იმ ჯგუფს, რომელიც უფრთხის მომავალ საშიშროებებს, სჯერა, რომ ცათამბჯენების აშენება გამოიწვევს ტერორისტთა ახალ იერიშებს, და რომ აქ არავინ მოინდომებს მუშაობას.

მალე განიხილება ცათამბჯენთა ექვსი პროექტი, რაშიც მონაწილეობას მიიღებენ ზემოჩამოთვლილი (და, აგრეთვე, სხვა) ჯგუფები? არ უნდა დავივიწყოთ გუბერნატორ ჯორჯ პატაკის წინადადებაც, იმის შესახებ, რომ აქ საერთოდ არაფერი არ უნდა აშენდეს. ვფიქრობ, აზრთა მთელი ამ სხვადასხვაობის შედეგად მივიღებთ ახალ ქვემო მანჰეტენს, ის კი (თუ ინგლისურ ანდაზას გავიხსენებთ), იქნება ერთგვარი მრავალკუზიანი აქლემი, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა საერთო ძალისხმევით დახატული ცხენი.

თუ ეს მოხდება, მაშინ ჩემი საკუთარი წარმოდგენა რეკონსტრუქციის შესახებ ხორცშესხმას ჰპოვებს, სულ ცოტა, ერთზე მეტ პროექტში. სწორედ ნოემბრის იმ დღეს გავიფიქრე, რომ იქ უნდა აშენებულიყო რაღაც გრანდიოზული (სასურველია, ახალი ნაგებობები

ძველ ცათამბჯენებს ჰგავდნენ, გარეგნულად მაინც). მსოფლიო სავაჭრო ცენტრის აფეთქება სიმბოლური ქმედება გახლდათ, რასაც ჩვენი სიმბოლური რეაგირება უნდა მოჰყვეს. კარგი იქნება, აიგოს ახალი 110 სართულიანი ცათამბჯენი (ან ორი ცათამბჯენი), რომლის ზედა 30 ან 40 სართულს ცარიელი სივრცე დაიკავებს, გიგანტური ატრიუმის მსგავსად. ამ მემორიალის კედლებზე უნდა აღინიშნოს დაღუპულთა გვარები, როგორც ეს გაკეთდა ვაშინგტონში, ვიეტნამის ომის მემორიალში. შესაძლოა, ჩემი წინადადება მისაღები იყოს ყველა ჯგუფისთვის.

შემთხვევით გავიგე, რომ ჩემი მეგობარი, ინგლისელი მხატვარი ბრაიან კლარკი კონსულტაციას უწევდა ლარი სილვერსტაინსა და არქიტექტორთა მის ჯგუფს. კლარკს ჩემი იდეა ძალზე მოეწონა და დამპირდა, რომ შეეცდებოდა მის ხორცშესხმას.

პირადად მე არაფერი შემატყობინეს, მაგრამ ახლა ვიცი, რომ, ერთ-ერთი საგაზეთო ცნობის თანახმად, "მემორიალური ცათამბჯენის პროექტი წარმოადგინა მსოფლიო სავაჭრო ცენტრის არენდატორმა ლარი სილვერსტაინმა. 110-სართულიანი შენობის ზედა 40 სართულს დაიკავებს ცარიელი სივრცე". გავვოცდი. ვცადე, გამერკვია, იყო თუ არა ეს ჩემი იდეის ვარიანტი, მაგრამ ვერაფერი გავიგე. თუმცა, ბოლოს და ბოლოს, სულ ერთია, ვის ეკუთვნის ზემოაღნიშნული ჩანაფიქრი. ჩემი აზრით, ის მართლაც მოსაწონია.

უფრო არსებითია, დროულად გავიაზროთ, რას ვაგებთ - ნეკროპოლს თუ ფენიქსს. ვფიქრობ, შრომისმოყვარე ადამიანები, რომლებიც აქ ბეჯითად მუშაობდნენ, იმსახურებენ, რომ აღდგენილ იქნას ეფექტური სამუშაო გარემო და გამთლიანდეს ის ქალაქი, რომელიც მათ ესოდენ უყვარდათ.

ეს, ალბათ, გაცილებით უკეთესი მემორიალი იქნება, ვიდრე - ნებისმიერი ქანდაკება, სკვერი ან ატრიუმი და უწინდებურად მომხიბვლელი ქვემო მანჰეტენი კვლავ გახედავს ნიუ-იორკს - ის ხომ ყოველთვის მომავლისკენ იყურებოდა და არა - წარსულისკენ.

*27 ივლისი, 2002 წელი*

არილი



## ვ.ს. ნაიპოლი



# მოქცეულთა ნევროზი

**ეს ინტერვიუ, ნობელის პრემიით ახლახან დაჯილდოებულ მწერალთან, უშუალოდ 2001 წლის 11 სექტემბრის ტრაგიკული მოვლენების შემდეგ გამოქვეყნდა.**

*- თქვენმა პროზამ საყოველთაო აღიარება მოიპოვა, მაგრამ არ ცხრება სერიოზული დისკუსიები მის გარშემო. კერძოდ, ამბობენ, რომ ძალზე ზედაპირულად, დასავლური სამყაროსთვის ჩვეული თვალსაზრისით იხილავთ ისლამის არსს.*

- მაჰმადიანური სამყაროს შესახებ მსჯელობა ყოველთვის რთულ მდგომარეობაში აქცევს ადამიანს. ზოგიერთი ინტელექტუალი აუცილებლად შეეცდება, სახელი გაგიტეხოთ - ამისთვის საგანგებო გასამრჯელოა დაწესებული - და არავის აინტერესებს თქვენ მიერ გამოთქმული შეხედულებების ჭეშმარიტი დედააზრი.

*- თქვენ თალიბანი მტაცებელთა ხროვას შეადარეთ...*

- ეს შედარება მე კი არა, ჩემს ცოლს ეკუთვნის. ის პაკისტანელი ჟურნალისტია და მრავალი წლის განმავლობაში, მისთვის გამოყოფილ სპეციალურ საგაზეთო სვეტში სწორედ პაკისტანელი ჟურნალისტივით წერდა.

*- ხომ არ გაოცებთ, რომ პაკისტანში, ინდონეზიაში, მალაიზიაში ოსამა ბენ ლადენს უამრავი მხარდამჭერი ჰყავს?*

- არა, არ მაოცებს. ამ ქვეყნების მოსახლეობის ძირითად ნაწილს შეადგენენ ადამიანები, რომელთაც მიაღებინეს მაჰმადიანობა და ისინი, არაბებთან შედარებით, ყოველთვის გრძნობენ თავიანთ არასრულფასოვნებას.

მოქცეულთა ნევროზი ნაწილობრივ იმითაც აიხსნება, რომ მათ გამუდმებით უნდა ამტკიცონ თავიანთი გათვითცნობიერებულობა ახლად მიღებული სარწმუნოების საკითხებში; ერთი ფრანგული ანდაზისა არ იყოს, უფრო თავგამოდებული როიალისტები უნდა იყვნენ, ვიდრე - თვით მეფე.

*- ალბათ, სწორედ ამ ფაქტორს გულისხმობდით, როდესაც წერდით ისლამის იმპერიული ამბიციების შესახებ და აღნიშნავდით, რომ ის მიისწრაფის, სულ უფრო მეტად გააფართოოს საკუთარი საზღვრები არამაჰმადიანთა განადგურების მეშვეობით?*

- დიახ. ოღონდ ვსაუბრობდი, საერთოდ, ყველა იმ ადამიანის შესახებ, რომელთა წეს-ჩვეულებები და აზროვნების წესი უცხოა მაჰმადიანთათვის. გაბატონდა წარსულისა და სულიერების წინააღმდეგ მიმართული ტენდენცია. აი, რაში მდგომარეობს მოქცეულთა შემზარავი ნევროზი.

*- რა თვისებები ანიჭებს ისლამს ასეთ მიმზიდველობას?*

- მოგითხრობთ ერთ ამბავს, რომელიც მერვე საუკუნეში მოხდა. ინდოეთის პირველი პროვინცია, რომელიც მაჰმადიანებმა დაიპყრეს, სინდი გახლდათ (ახლა ის პაკისტანის ნაწილია). სინდის მმართველი მამაცურად ებრძოდა დამპყრობლებს, მაგრამ მას ერთხელ აცნობეს, რომ მაჰმადიანები ერთ გუნდად შეკრულნი ლოცულობდნენ - რის შემდეგაც მმართველი შიშმა აიტანა. ის მიხვდა, რომ სამყაროში გაჩნდა სწორედ ის ახალი ძალა, რომლითაც ეგზომ ამაყობენ მაჰმადიანები: ხალხის ერთობა. ეს იდეა უდიდეს ზეგავლენას ახდენს ადამიანებზე.

*- რას იტყოდით ისლამის ისეთ ნაირსახეობაზე, რომელიც არ აღიარებს ფუნდამენტალიზმის იდეებს?*

- ვფიქრობ, რომ ტერმინი "არაფუნდამენტალისტური ისლამი" ლოგიკურად არაკორექტულ ცნებას წარმოადგენს; ისლამი იმგვარი დოქტრინაა, რომელიც ყოველთვის ამართლებს ახალი ტენდენციების დათრგუნვას. სამოთხის მოპოვებისკენ სწრაფვისას ზომიერებას ვერავინ დაიცავს. საუბრები ზომიერების შესახებ მხოლოდ იმ პოლიტიკოსების მიერ გამოყენებული ფანდია, რომლითაც სურთ ახალი ფინანსური სახსრების მოზიდვა.

*- რას ფიქრობთ 11 სექტემბრის გამომწვევ მიზეზებზე?*

- მიზეზები არ არსებობდა. მთავარ ფაქტორს წარმოადგენდა რელიგიური სიძულვილი, რელიგიური მოტივაცია. არა მგონია, რომ მოვლენების პროვოცირება განახორციელა ამერიკის საგარეო პოლიტიკამ. კონრადის ერთ-ერთ მოთხრობაში (სადაც მოქმედება ოსტ-ინდოეთში ვითარდება) აღწერილია ველური, რომელიც ხვდება, რომ სამყაროს წინაშე უიარაღონი აღმოჩნდნენ და მრისხანედ შეჰყვირებს. ალბათ, სწორედ ეს ხდება ამჟამად. დასავლეთის სამყარო სულ უფრო მეტად შეუვალია იმათთვის, ვისაც არაფერი გააჩნია რელიგიის გარდა. რელიგია კი სულ უფრო იმორჩილებს ასეთ ადამიანებს, თუმცა, რა თქმა უნდა, მას არ ძალუძს პრობლემის გადაწყვეტა. მახსოვს, 70-იან წლებში, ნავთობის ბუმის დროს, მაჰმადიან ხალხებს გაუჩნდათ საკუთარი ძლევამოსილების ილუზია და ისეთი შეგრძნება, თითქოს ღმერთმა მაჰმადიანთათვის საგანგებო სუპერმარკეტი გახსნა. მაგრამ ამ ადამიანებს არ ესმოდათ, რომ ყველაფერი, რაც მათ ძლევამოსილების შეგრძნების საფუძველს უქმნიდა, სხვა ცივილიზაციის პროდუქტი გახლდათ. ამის აღიარება მაშინაც და ახლაც აუტანელია ამ ხალხისთვის.

*- ხომ არ ფიქრობთ, რომ ნობელის პრემიათა მიმნიჭებელი კომიტეტის გადაწყვეტილებაზე იმოქმედა 11 სექტემბრის მოვლენებმა?*

- არ ვიცი. ჯერ კიდევ 1973 წლიდან ვვარაუდობდი, რომ ჩემს კანდიდატურას განიხილავდნენ. შემდეგ კი ვიგრძენი, რომ ჩემ წინააღმდეგ დაიწყო ინტენსიური და ფრიად წარმატებული კამპანია.

*- ვისი თაოსნობით?*

- მათი, ვისაც სურდა, სამარცხვინო ბოძზე მივეჯაჭვე, როგორც რასისტი და "მესამე სამყაროს" მტერი.

*- ნუთუ არ დაგღალათ დისკუსიებმა თქვენს ნაწარმოებებთან დაკავშირებით?*

- არა, ისინი სრულიად არ მაღლევებს. საერთოდ კი, მწერლისთვის ძალზე არსებითია, რომ მისმა შემოქმედებამ მტრული გრძნობები გაუღვივოს ვიღაცვიღაცებს. ამის გარეშე შემოქმედი მკვდარია.

*- თქვენ წერდით, რომ ისლამის ისტორიკოსი არ ბრძანდებით. მაშასადამე, ისლამის შემსწავლელ მეცნიერთა ნაშრომებს ემყარებოდით?*

- სულაც არა. მე ვმოგზაურობ, ვხვდები ადამიანებს. ისინი მიყვებიან მათთვის მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული მოვლენების შესახებ. ინდოეთსა ან აფრიკაში გასამგზავრებლად არ მჭირდება მეცნიერული ნაშრომების კითხვა - უბრალოდ, იქ ისე უნდა გავემგზავრო, რომ წინასწარ არაფერი შევისწავლო და უშუალოდ დავაკვირდე მიმდინარე ამბებს. მეცნიერი ჯერ იკვლევს და, შემდგომ, დასკვნები გამოაქვს. მე კი ამის გარეშეც იოლად გავდივარ. დაე, მკითხველი დააკვირდეს იმ ადამიანებს, რომელთა შესახებაც ვწერ და თვითონვე გამოიტანოს დასკვნები.

ინგლისურიდან თარგმნა თამარ ლომიძემ



არილი

# „რაღაც უნდა დავუპირისპიროთ გლობალურ ნეოლიბერალიზმს“

გიუნთერ გრასი, პიერ ბურდიე

წინამდებარე დიალოგი თითქმის ერთდროულად დაბეჭდა ფრანგულმა ყოველდღიურმა Le Mond-მა და გერმანულმა ყოველკვირეულმა Die Zeit-მა. საუბრობს ევროპის ორი უთვალსაჩინოესი ინტელექტუალი - მეცნიერი და ხელოვანი.

პიერ ბურდიე ფილოსოფიის პროფესორია Colleg de France-ში. 1975 წელს დააარსა ჟურნალი "Actes de la resherche en sciences sociales". არის ავტორი წიგნებისა "სახელმწიფოს კეთილშობილება" (1996), "ხელოვნების პრინციპები" (1996), "ტელევიზიის შესახებ" (1998), "სამყაროს სიმძიმე" (1999), "ფიქრები პასკალზე" (2000).

გიუნთერ გრასი სახელგანთქმული გერმანელი მწერალია, ნობელის პრემიის ლაურეატი (1999). დაწერილი აქვს წიგნები "თუნუქის დოლი" (1959), "ლოკოკინას დღიურიდან" (1972), "ქამბალა" (1979), "დედალი ვირთაგვა" (1986), "ფართო მინდორი" (1995, ეს ნაწარმოები გერმანიის გაერთიანებას ეძღვნება), "ჩემი საუკუნე" (1999).

ამ დიალოგში, მიუხედავად მოჩვენებითი თემატური მრავალფეროვნებისა (ნეოლიბერალისტური მსოფლმხედველობის გაბატონება ევროპა-ამერიკაში, საზარელი სოციალური წყლულები დასავლეთის დღევანდელი საზოგადოების კეთილდღეობის სამოსელქვეშ, სოლიდარობის საერთაშორისო ფორმების შესაძლებლობა და აუცილებლობა და ა.შ.), საუბარი, არსებითად, ერთადერთ საკითხს უტრიალებს: როგორია ინტელექტუალების საზოგადოებრივი მდგომარეობა და როლი ძირეულად შეცვლილ პოლიტიკურ, სოციალურ და მენტალურ რეალობაში (ცვლილებების მასშტაბის წარმოსადგენად საჭიროა გავითვალისწინოთ, რომ გაქრობა ემუქრება განმანათლებლობის ეპოქიდან ლამის უცვლელად მოღწეულ ჰუმანისტურ წარმოდგენებს - სააზროვნო სტერეოტიპებს - ინტელექტუალთა მოვალეობასა და დანიშნულებაზე).

ინტელექტუალების (პოსტსაბჭოური სივრცის ტერმინოლოგიით - ინტელიგენციის) პრობლემა რომ საქართველოსთვისაც უაღრესად აქტუალურია, ამაში პრესისთვის თვალის გადავლებაც დაგვარწმუნებს: ინტელიგენციას საშველად უხმობენ და უმოქმედობას უკიჟინებენ, გუნდრუკს უკმევენ და თავზე ლაფს ასხამენ.

ახლახან გამოიცა ალმანახ "საზოგადოება და პოლიტიკის" მეოთხე ნომერი, რომელსაც საფუძვლად დაედო კავკასიურ ინსტიტუტში გამართული დისკუსია ინტელიგენციის ადგილზე საზოგადოებაში. ნებისმიერი მკითხველი, ვისაც თვალზე არასრულფასოვნების პროვინციული ლიბრი არა აქვს გადაკრული, სიამოვნებით აღნიშნავს, რომ სხვადასხვა თაობის ჩვენი ინტელექტუალების (გია ნოდია, რისმაგ გორდეზიანი, ზურაბ ჭიაბერაშვილი, ზაზა შათირიშვილი, დათო ზურაბიშვილი) მსჯელობა აზროვნების დონითა და კულტურით არ ჩამოუვარდება თუნდაც საეტალონო ევროპულ ნიმუშებს. წიგნის მასალების შეჯერება ჩვენი დიალოგის თვალსაზრისებთან საშუალებას იძლევა აღინიშნოს ზოგი გლობალური ტენდენცია:

1. ყველგან ეჭვქვეშ დგება ინტელიგენციის მოვალეობა და უფლება - იტვირთოს ზედროული და ზეპოლიტიკური "ეროვნული გონებისა და სინდისის" როლი და ამის შესაბამისი პატივი მოითხოვოს საზოგადოებისგან თუ ხელისუფლებისგან.

ცოდნის სულ უფრო გართულებულმა ხასიათმა და კომუნისტურ-ფაშისტური ინტელექტუალური უტოპიების პრაქტიკულად ხორცშესხმისას სხვადასხვა სახელმწიფოში განცდილმა საზარელმა კრახმა, თანდათან გაახუნა განმანათლებლობის ეპოქაში შექმნილი მითოლოგიური კლიშე ინტელექტუალისა, როგორც "პროგრესისთვის თავგანწირვით და ქედუხრელად მებრძოლი ბრძენისა და ნათელმხილველისა".

ცხოვრებამ ინტელექტუალთა წინაშე დასვა ზნეობრივი ამოცანა: ახალი საუკუნის ნააზრევ-ნაოცნებარში მაინცდამაინც შორს აღარ გასცდნენ საკუთარი კომპეტენტურობის სფეროს და პრივილეგიებზე დაგეშილი მადაც შესაბამისად შეკვეცონ.

2. საერთოდ ადამიანი და განსაკუთრებით კი ინტელიგენცია მიდრეკილია რადიკალურობისკენ და ყველაფერს, რაც მის აზრს არ ეთანხმება, ან თავისუფლების, ან სამართლიანობის, ან ერის და ა.შ. ღალატად მიიჩნევს.

არადა, როგორც ჩანს, საპირისპირო საწყისთა ერთობლიობა (სულ ერთია, კლასიკური ტერმინი "დიალექტიკური" არის გამოყენებული მის აღსანიშნად, თუ მოდერნისტული - "ბინარული"), ცხოვრების ფუნდამენტურ პრინციპს წარმოადგენს. კომუნიზმი და ლიბერალიზმი, ნაციონალიზმი და გლობალიზმი ერთმანეთს საჭიროებენ და სიცოცხლისა და სიჯანსაღის ძალას ერთმანეთის არსებობაში იძენენ (ცხადია, იმ დრომდე, ვიდრე მსოფლმხედველობრივ მიმდინარეობებად რჩებიან და არ გადაქცეულან ექსტრემისტულ-პოლიტიკურ ორგანიზაციებად, თავიანთი გავლენის სივრცეზე ყველა განსხვავებულ თვალსაზრისს რომ სპობენ და საპირისპირო პოლუსის განადგურებით იმასაც კლავენ, რასაც ნომინალურად განასახიერებენ).

3. ადამიანურ საზოგადოებებს მომავალშიც დასჭირდებათ უტოპიები (შესაძლოა, მათი მნიშვნელობა განუზომლადაც კი გაიზარდოს). ოღონდ, ცხადია, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კარგად იქნება გაცნობიერებული მათი სწორედ უტოპიური - არამიწიერი, არარეალიზებადი - ხასიათი.

უტოპია ვარსკვლავიერ ზეცას უნდა ჰგავდეს, რომელსაც, თითქოს, დიდი პრაქტიკული ღირებულება არა აქვს - არც ვინმეს აპურებს და ათბობს - ყოველ შემთხვევაში, მიწაზე მისი დუბლიკატის შექმნას არავინ ცდილობს.

სამაგიეროდ, ვარსკვლავებს სამოძრაო მიმართულების ჩვენება შეუძლიათ...

და რაც უმთავრესია: საკმარისია, უბრალოდ, გაიაზრო ვარსკვლავიერი ცის უსაზღვროება (მშვენიერების უსაზღვროება ან უსაზღვრო მშვენიერება), რათა გაჩნდეს იდეალიზმის თუნდაც მინიმალური დოზა, სრულიად აუცილებელი საიმისოდ, რომ არც ადამიანურ არსებათა არასახარბიელო ცხოველური სათავისკენ დაიწყო მიბრუნება (სადაც ყველაფერი სხეულის მოთხოვნებით არის დასაზღვრული) და არც თვისებრივად ამისივე მსგავსი მექანიკურ-რობოტული მომავლისკენ.

უტოპიებსაც ამგვარი უმნიშვნელოვანესი მისია აკისრიათ. და სავარაუდოა, რომ ინტელექტუალების როლი მომავალში (თითოეული მათგანის სპეციალიზაციისა და კომპეტენტურობის პრაქტიკული ხასიათის ამოცანებით შემოფარგლული ვიწრო წრის გარეთ) სულ უფრო მეტად დაუკავშირდება სწორედ უტოპიებს.

*მთარგმნელი*



პიერ ბურდიე: ერთხელ, თქვენ "ენის რაც შეიძლება მეტად წაგდების ჩვეულება" ახსენეთ და თქვით, "არ ვიცი საერთოევროპულია იგი თუ პირწმინდად გერმანულიო"... ჩემი მხრივ დავძენ, რომ ეს ჩვეულება ზუსტად იმდენადვეა პირწმინდად ფრანგულიც. ძალიან მიხარია, რომ თქვენ ნობელის პრემიის ლაურეატი გახდით. ისიც მახარებს, რომ პრემიამ არ შეგცვალათ და უწინდებურად გიყვართ "ენის წაგდება". იმედი მაქვს, ამას ახლა ერთად გავაკეთებთ და "ენაწაგდებულთა დუეტს" შევქმნით.

გიუნთერ გრასი: გერმანულ ნიადაგზე სოციოლოგსა და მწერალს შეხვედრის შესაძლებლობა იშვიათად თუ მიეცემათ. ჩემს სამშობლოში, როგორც წესი, ფილოსოფოსები ერთ კუთხეში იკრიბებიან, სოციოლოგები - მეორეში, მწერლები კი ისე შეჯგუფდებიან ხოლმე შუა ოთახში, რომ ერთმანეთს ლამის ფეხის თითები წაამტვრიონ. იქ ასეთი საუბრები, ახლა ჩვენ რომ გავმართეთ, უფრო გამონაკლისია, ვიდრე ჩვეულებრივ ამბავი.

როდესაც ვფიქრობ თქვენს წიგნზე - "სამყაროს სიმძიმე" და ჩემს ბოლო რომანზე - "ჩემი საუკუნე", მათ შორის რალაც საერთოს ვხედავ: ჩვენ ორივე თითქოს ისტორიის ხელახლა, თანაც ისე თხრობას ვცდილობთ, როგორც იგი, გარეშე დამკვირვებლის თვალით კი არა, შიგნიდან მოჩანს. ჩვენ არ ვსაუბრობთ საზოგადოებისგან განზე მდგომი კაცის პოზიციიდან და არც ისტორიის დამპყრობლებად წარმოგვიდგენია თავი. და როგორც ჩვენი პროფესიის ადამიანებისგან მოელიან კიდეც, ორივე ხელმოცარულთა, ცხოვრებიდან გარიყულთა, დამარცხებულთა მხარეს ვდგებით.

"სამყაროს სიმძიმეში" თქვენ და თქვენმა თანაავტორებმა შეძელით საკუთარი ინდივიდუალობის დავიწყება და თქვენი შრომა ისე ააგეთ, რომ უბრალოდ უსმენდით სხვებს, ცდილობდით გაგეგოთ მათთვის და სულაც არ გქონდათ ილუზია, არც პრეტენზია, თითქოს ყველაფერში მათზე უკეთესად ერკვეოდით. შედეგად კი მიიღეთ ფრანგული საზოგადოების ამჟამინდელი სოციალური მდგომარეობის ფოტოდოკუმენტური ანაბეჭდი, რომელიც სხვა ქვეყნებსაც ადვილად შეიძლება მიესადაგოს.

მე მწერალი ვარ და, ნებსით თუ უნებლიეთ, თქვენს წიგნს ვუყურებ, როგორც წყაროს მასალისათვის. რად ღირს თუნდაც მოთხრობა პროვინციიდან პარიზში ჩამოსულ გოგოზე, ღამ-ღამობით ფოსტას რომ ახარისხებს. მისი საქმიანობის აღწერა სავსებით ძალდაუტანებლად და ბუნებრივად წარმოაჩენს მნიშვნელოვან სოციალურ პრობლემებს, რაც ძალიან მომეწონა. კარგი იქნებოდა, საზოგადოების მდგომარეობის ამსახველი მსგავსი წიგნები თითოეულ ქვეყანას რომ ჰქონოდა.

ერთადერთი, რამაც შემაცბუნა და რაც, როგორც ჩანს, სოციოლოგიის სპეციფიკიდან მომდინარეობს, წიგნში იუმორის არარსებობაა. ასეთ შრომებში იუმორს ვერსად წააწყდები. მათში მიჩუმათებულია ბევრი ყოფითი კონფლიქტის არსისმიერი აბსურდულობა, აგრეთვე - ხელმოცარვის კომიკური ასპექტი, რაც ესოდენ მნიშვნელოვან როლს თამაშობს ჩემს წიგნებში.

პ.ბ. თქვენ შესანიშნავად აღწერეთ სასაცილო მდგომარეობები, მაგრამ როდესაც კაცი მსგავს ამბებს უშუალოდ მოქმედი პირებისგან ისმენ, მეტწილად იუმორით კი არა, თანაგრძნობით, სიბრალულით იმსჭვალები და ვერ ახერხებ შეინარჩუნო მიუკერძოებელი დამკვირვებლის გულგრილი მზერა. მაგალითად, ჩვენ იძულებული გავხდით ამოგველო წიგნიდან ზოგიერთი მონოლოგი, რადგან ისინი მეტისმეტად პირქუში, თავშეუკავებელი, მეტისმეტად ტრაგიკული ან მეტისმეტად ავადმყოფური იყო.

გ.გ. ჰო, მაგრამ, კომიზმი რომ ვახსენე, მე სულაც არ მიგულისხმია, თითქოს ტრაგედია და კომედია ერთმანეთს გამორიცხავენ და არც ის - თითქოს მათ ერთმანეთისგან რალაც მკაფიო მიჯნა აშორებს.

პ.ბ. მართალია... ნამდვილად ასეა... არსებითად, ჩვენი მიზანიც ის იყო, რომ ყოველგვარი სპეციალური საშუალებების გამოყენების გარეშე გადაგვეშალა მკითხველის თვალწინ ეს წმინდა წყლის აბსურდი. ჩვენ წესად დავიდეთ, არავითარ შემთხვევაში ლიტერატურულად არ დაგვემუშავებინა მონოლოგები. ალბათ გაოცდებით, თუ ვაღიარებ, რომ როდესაც ასეთ ცხოვრებისეულ დრამებთან გაქვს საქმე, არ გშორდება მათი შელამაზების ცდუნება. ჩვენ გადავწყვიტეთ, რადაც არ უნდა დაგვჯდომოდა, მაქსიმალურად გვეერთგულა ფაქტებისთვის, შეგვენარჩუნებინა სისასტიკის ის თითქმის გაუსაძლისი ატმოსფერო, რომელიც ამ მონოლოგებს ავსებს. ამას ორი მიზეზის გამო ვაკეთებდით: ჯერ ერთი, სამეცნიერო თვალსაზრისით ამგვარი მიდგომა უფრო კორექტულია; და კიდევ იმიტომ, რომ გადავწყვიტეთ ლიტერატურული ფორმა არ მიგვეცა ტექსტებისთვის, რათა სხვა ტიპის ლიტერატურულობისთვის მიგველწია. გარდა ამისა, პოლიტიკური მოსაზრებებიც გვამოძრავებდა: ვფიქრობდით, რომ ევროპაში, ლათინურ ამერიკასა და ბევრ სხვა რეგიონში გაბატონებული ნეოლიბერალური რეჟიმების სისასტიკეს - სისტემის სისასტიკეს - იმდენად შემზარავი, იმდენად ჯოჯოხეთური ბუნება აქვს, რომ მხოლოდ გონებაჭვრეტითი ანალიზის ხერხებით ამას ვერ ახსნი. ვერანაირი კრიტიკა ასეთი პოლიტიკური სისტემის ზემოქმედების მასშტაბებს ვერ გააწონასწორებს.

გ.გ. ჩვენ ორივე, სოციოლოგიცა და მწერალიც, გვშვა ევროპულმა განმანათლებლობამ, რომლის ტრადიციებს ახლა ეჭვით უყურებენ პრაქტიკულად ყველგან, ყოველ შემთხვევაში - გერმანიასა და საფრანგეთში მაინც. უკვალოდ არის გამქრალი ბევრი ღირსება, რომელიც, მაგალითად, მონტენს ახასიათებდა. ვფიქრობ, იუმორის გრძნობაც ამ დანაკარგთა რიცხვში აღმოჩნდა. გავიხსენოთ, თუნდაც, "კანდიდი" ან "ჟაკ ფატალისტი" - მათში დახატულია შემაძრწუნებელი საზოგადოებრივი რეალობა, მაგრამ ვოლტერისა და დიდროს გმირები ტანჯვაშიც კი არ კარგავენ უნარს, დაინახონ

ყველაფრის სასაცილო მხარე და, მაშასადამე, გაიმარჯვონ კიდეც.

პ.ბ. განმანათლებლობის ტრადიციების დაკარგვის შეგრძნება დაკავშირებულია ჩვენი მსოფლმხედველობის სრულ რევიზიასთან, რაც ნეოლიბერალური იდეოლოგიის გაბატონებამ გამოიწვია. ჩემი აზრით (და აქ, გერმანიაში, ეს შედარება თავისთავად ჩნდება), დღევანდელი ნეოლიბერალური რევოლუცია კონსერვატულ რევოლუციას წარმოადგენს (ზუსტად იმავე აზრით, რომლითაც ლაპარაკობდნენ კონსერვატულ რევოლუციაზე ოცდაათიანი წლების გერმანიაში); ხოლო კონსერვატული რევოლუცია, როგორც მოგეხსენებათ, მეტად უცნაური მოვლენაა: იგი წარსულის რესტავრირებას ახდენს და ამას პროგრესის სახელით ნათლავს; ის რეგრესს პროგრესად ასაღებს და ამას ისეთი წარმატებით აკეთებს, რომ რეგრესის მოწინააღმდეგეები მის მომხრეებად აღიქმებიან, ხოლო ტერორის წინააღმდეგ მებრძოლები, საბოლოო ჯამში, ტერორისტის იარლიყს იძენენ. მე და თქვენ ყველაფერი ეს საკუთარ ტყავზე გვაქვს გამოცდილი: ჩვენ ხომ ჩვენივე ნებით მივაკუთვნეთ თავი არქაისტებს. საფრანგეთში ასეთ ადამიანებს ringards (ძველმოდურებს) ან კიდევ arriers (არათანამედროვეებს) უწოდებენ.

გ.გ. Dinosauria...

პ.ბ. მართალია - დინოზავრებსაც. ასეთია კონსერვატული რევოლუციის, ან სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, "პროგრესული" რესტავრაციის ძალა. დამეთანხმებით, რომ თქვენი ამასწინანდელი სიტყვებიც ჩემს აზრს ადასტურებს. ჩვენ დარდიანობას, ცხვირჩამოშვებულობას გვსაყვედურობენ, მაგრამ განა ეპოქა სახალისოდ განგვაწყობს?! მასში ხომ სრულიად არაფერია სასაცილო.

გ.გ. არც მიფიქრია იმის მტკიცება, თითქოს ჩვენს ეპოქას რაღაც სახალისო თვისებები ჰქონდეს, მაგრამ განა ჩვენი სოციალური რეალობის წინააღმდეგ პროტესტის გამოხატვის ერთ-ერთი ფორმა არ არის ის ინფერნალური ხარხარი, რომელიც ლიტერატურული ხერხებით შეიძლება იქნას გამოწვეული?!

ის, რასაც დღეს ნეოლიბერალიზმად შეფუთულს გვთავაზობენ, სინამდვილეში XIX საუკუნის მანჩესტერული ლიბერალიზმის მეთოდების რეანიმაციაა. სამოცდაათიან წლებში ევროპის უმეტეს ნაწილში ცდილობდნენ გაეკეთილშობილებინათ კაპიტალიზმის ბუნება და ამ საქმეში გარკვეულ წარმატებასაც მიაღწიეს. თუ გავიზიარებთ თვალსაზრისს, რომ კაპიტალიზმი და სოციალიზმი განმანათლებლობის მშვენიერი და განებივრებული ყრმები არიან, ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ამ ორმა ჩვილმა ერთმანეთის მუდმივი კონტროლირების მექანიზმი გამონახა. ისე რომ, თვით კაპიტალიზმიც კი იძულებული გახდა, რაღაც მოვალეობები ეკისრა. გერმანიაში ამას სოციალურ საბაზრო ეკონომიკას უწოდებდნენ და საყოველთაოდ დამკვიდრდა აზრი (რომელსაც კონსერვატორთა პარტიაც შეუერთდა), რომ ვაიმარის რესპუბლიკის ვითარება აღარასოდეს აღარ უნდა განმეორებულიყო.

ინტერესთა ეს ერთიანობა ოთხმოციანი წლების დასაწყისში დაირღვა და დაიქსაქსა. როდესაც კომუნისტური იერარქია დაინგრა, კაპიტალიზმმა დაასკვნა, რომ ამიერიდან შეუძლია რაც მოუნდება, ის აკეთოს: მის გაკონტროლებას ხომ უკვე ვერავინ შეძლებს, რაკიღა მთავარი მოწინააღმდეგე - კაპიტალიზმის საპირისპირო პოლუსი - აღარ არსებობს. ცალკეული კაპიტალისტები, რომლებსაც პასუხისმგებლობის გრძნობა ჯერ კიდევ არა აქვთ ბოლომდე დაკარგული, კეთილგონიერებისკენ მოგვიწოდებენ, რადგან ხედავენ, რომ მოძრაობის მიმართულება აღარ გაგვაჩნია და დღეს ნეოლიბერალიზმი კომუნიზმის შეცდომებს იმეორებს - ქმნის საკუთარი უცოდველობის დოგმატს.

პ.ბ. ასეა, მაგრამ ნეოლიბერალიზმს ძალას ისიც მატებს, რომ ყოველ შემთხვევაში, ევროპაში მაინც, მის დამკვიდრებას ხელს უწყობდნენ ადამიანები, რომლებიც თავს სოციალისტებად მიიჩნევდნენ: გერჰარდ შროდერი, ტონი ბლერი, ლიონელ ჟოსპენი - თითოეულმა მათგანმა სოციალისტური იდეები ნეოლიბერალიზმის გასაძლიერებლად გამოიყენა.

გ.გ. ეს ეკონომიკური მოთხოვნებისთვის ანგარიშის გაწევის გამო მოხდა.

პ.ბ. ამავე დროს, საშინლად გართულდა მემარცხენე სოციალ-დემოკრატიული მთავრობების წინააღმდეგ კრიტიკული ოპოზიციის შექმნა. 1995 წლის ძლიერმა გაფიცვამ საფრანგეთში საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის - მუშების, მოსამსახურეების, ზოგი სხვა ფენის - მობილიზება გამოიწვია. ინტელექტუალებიც მათ რიცხვში იყვნენ. ამას მოჰყვა საპროტესტო აქციების მთელი სერია: უმუშევართა დემონსტრაცია, ევროპული მარში უმუშევრობის წინააღმდეგ, არალეგალურ ემიგრანტთა გამოსვლა და ასე შემდეგ. საზოგადოებრივი მღელვარება არ ცხრებოდა და ამან სოციალ-დემოკრატები აიძულა, თუნდაც ფარისევლური თანხმობა განეცხადებინათ სოციალიზმის თემაზე დაწყებულ თავისებურ დისკუსიაში მონაწილეობაზე.

სიმართლეს რომ თვალი გავუსწოროთ, საპროტესტო მოძრაობა ჯერაც მეტისმეტად უსუსურია და უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ ერთი სახელმწიფოს საზღვრებით არის შემოფარგლული. ვფიქრობ, პოლიტიკურ ასპარეზზე ჩვენი ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა იმ მეთოდების შემუშავებაა, რომელთა გამოყენებით სოციალ-დემოკრატიული მთავრობებისთვის საერთაშორისო მასშტაბების მქონე ოპოზიციის შექმნას და ამ გზით მათზე რეალური ზემოქმედების მოხდენას შევძლებთ. ვფიქრობ, დღევანდელ ვითარებაში საერთოევროპული საზოგადოებრივი მოძრაობის ფორმირების ცდებს წარმატების ძალზე მცირე შანსი აქვს. ამასთან დაკავშირებით ჩნდება კითხვა: რა წვლილი შეიძლება შევიტანოთ ჩვენ, ინტელექტუალებმა, ამ მოძრაობაში, რომლის გარეშე ვერაფერს გავხდებით, რადგან, რასაც უნდა ამბობდნენ ნეოლიბერალები, ისტორია გვასწავლის, რომ ყოველი სოციალური მონაპოვარი საზოგადოებამ ბრძოლით დაიმკვიდრა. თუკი გვსურს, შეიქმნას ის, რასაც "ევროპულ თანამეგობრობად" მოიხსენიებენ ხოლმე, უნდა ჩამოვაყალიბოთ საერთოევროპული საზოგადოებრივი მოძრაობა და, ასე მგონია, ინტელექტუალებს პასუხისმგებლობის დიდი ტვირთი ეკისრებათ ასეთი მოძრაობის ორგანიზების საქმეში, რადგან პოლიტიკურ ბატონობას, გარდა ეკონომიკურისა, ინტელექტუალური ბუნებაც აქვს. აქედან მომდინარეობს ჩემი რწმენა, რომ ინტელექტუალთა მოვალეობაა "რაც შეიძლება მეტად წავიგდოთ ენა" და ჩვენი უტოპიის აღორძინება ვცადოთ. ნეოლიბერალურ მთავრობათა ერთ-ერთი თავისებურება ხომ იმაში მდგომარეობს, რომ ისინი ცდილობენ უტოპიებს ბოლო მოუღონ.

გ.გ. სოციალისტურმა და სოციალ-დემოკრატიულმა პარტიებმა გარკვეული აზრით მხარი დაუჭირეს ამ წინადადებას, როცა განაცხადეს, რომ კომუნიზმის კრახი სოციალიზმსაც დაღუპვას უქადის. მათ აღარა აქვთ მუშათა საერთოევროპული მოძრაობის იმედი, რომელიც, ნუ დაივიწყებთ, კომუნიზმზე დიდი ხნით

ადრე გაჩნდა. საკუთარ ტრადიციებზე უარის თქმა კი საკუთარ თავზე უარის თქმის ტოლფასია.

გერმანიაში უმუშევართა ორგანიზაციების ჩამოყალიბების სულ რამდენიმე უნიათო მცდელობა იყო. წლების განმავლობაში ვცდილობდი დამერწმუნებინა პროფკავშირული მოღვაწეები, რომ საკმარისი არ არის მხოლოდ იმ ხალხის გაერთიანება, ვისაც დღეს სამუშაო აქვს, მაგრამ ხვალ, ამ სამუშაოს დაკარგვისთანავე, უძირო უფსკრულში გადაეშვება. უნდა შეიქმნას ევროპის უმუშევარ მოქალაქეთა პროფკავშირი. ჩვენ ვწუხვართ, რომ ევროპის გაერთიანება მხოლოდ ეკონომიკურ დონეზე მიმდინარეობს, მაგრამ თვით პროფკავშირებს თითის განძრევა არ სურთ ისეთი ორგანიზაციის ჩამოსაყალიბებლად, რომლის გავლენა ერთი სახელმწიფოს საზღვრებს გასცდებოდა და საერთაშორისო მასშტაბებს შეიძენდა. ჩვენ რაღაც უნდა დავუპირისპიროთ გლობალურ ნეოლიბერალიზმს.

სიმართლე რომ ითქვას, დღევანდელი ინტელექტუალების უმეტესობას პირი დაუფჩენია და ყველაფერს განურჩევლად ყლაპავს, სანაცვლოდ კი, კუჭის წყლულის გარდა, ვერაფერს იღებს. ამიტომ, არა მგონია, მხოლოდ ინტელექტუალების იმედად ყოფნით რამე ეშველოს საქმეს. როგორც ვხედავ, ფრანგები უყოყმანოდ ენდობით თქვენს ინტელექტუალებს. რაც შეეხება გერმანიას, საკუთარი გამოცდილებით ვიცი, რომ ყველა ინტელექტუალს მემარცხენეთა რიცხვს ვერ მიათვლი. ამასვე ამტკიცებს XX საუკუნის მთელი ისტორია და მათ შორის ნაციზმის ეპოქაც: მაგალითად, ჰებელსი ინტელექტუალი იყო. ასე რომ, ინტელექტუალური ელიტისადმი კუთვნილებას "ხარისხის" გარანტიად ვერ მივიჩნევ. თქვენი "სამყაროს სიმძიმიდან" აშკარად ჩანს, რომ ყოფილ მუშას, პროფკავშირის წევრს, სოციალურ სფეროში ხშირად ინტელექტუალებზე ბევრად მეტი გამოცდილება აქვს. ზოგი ამ მუშათაგანი ახლა უმუშევარია, ზოგი პენსიაზე გავიდა და, როგორც ჩანს, უკვე აღარავის სჭირდება. ამ ხალხის პოტენციალი გამოუყენებელი რჩება.

პ.ბ. თქვენი ნებართვით, სულ მცირე ხნით კვლავ მივუბრუნდები ამ წიგნს. "სამყაროს სიმძიმე" ეს არის ცდა, მოუპოვოს ინტელექტუალებს კიდევ ერთი როლი - მართალია, იმასთან შედარებით მოკრძალებული, რასაც მათ ჩვეულებრივ მიაწერენ ხოლმე, მაგრამ, ჩემი ღრმა რწმენით, ბევრად უფრო მნიშვნელოვანი ფუნქციის მქონე: "საზოგადოების სახელით მწერლის" როლი. ასეთი ხელობის ხალხს ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნებში შევხვედრივარ. ისინი წერის უნარ-ხერხებს ფლობენ და ამ ცოდნას იმაში იყენებენ, რომ რაღაც ისეთზე საუბრის საშუალებას აძლევენ სხვებს, რის შესახებ მთხრობელმა გაცილებით მეტი იცის, ვიდრე თვით მწერალმა. ამ მხრივ სოციოლოგები უნიკალურ მდგომარეობაში იმყოფებიან. დანარჩენი ინტელექტუალებისგან განსხვავებით, ისინი მეტწილად (თუმცა, არა ყოველთვის) მზად არიან უსმინონ სხვა ადამიანებს, იციან, როგორ გაშიფრონ ეს მონათხრობი, რა სახით ჩაწერონ იგი და შემდეგ როგორ მიიტანონ საზოგადოებამდე.

გ.გ. თქვენი სიტყვებიდან გამომდინარეობს, რომ მოგვიხდება მივმართოთ ნეოლიბერალიზმთან უშუალო კონტაქტში მცხოვრებ ინტელექტუალებს. მათ შორის არიან ისეთებიც, ვისაც მიაჩნია, რომ დადგა დრო, რაღაც დავუპირისპიროთ კაპიტალის გლობალურ მიმოქცევას - სიგიჟის ამ სპეციფიკურ ფორმას, რომელიც თან სდევს კაპიტალიზმს და არანაირ კონტროლს არ ექვემდებარება. გავიხსენოთ თუნდაც, საწარმოთა ყველა ეს უმიზნო და უმიზეზო შერწყმა, რომელთა წყალობით "შემცირების" მსხვერპლი ხდება ორი, ხუთი, ათი ათასი ადამიანი. ყველაფერი, რაც საფონდო ბაზარზე შეფასებით ოპერაციებთან არის დაკავშირებული, მაქსიმალური მოგების მისაღებად კეთდება.

პ.ბ. მართალია, მაგრამ საქმე არ ამოიწურება იმით, რომ შენი შეხედულებები დაუპირისპირო გაბატონებულ თვალსაზრისს, რომელიც ცდილობს უმრავლესობის აზრის სტატუსი დაიმკვიდროს. თუ გვსურს, რამეს მივაღწიოთ, ჩვენი კრიტიკის ფართო საზოგადოებამდე მიტანაც უნდა შევძლოთ. გაბატონებული თვალსაზრისი ემუქრება ჩვენს უფლებას, ვიქონიოთ საკუთარი შეხედულებები. ჟურნალისტთა უდიდესი უმრავლესობა, ხშირად გაუცნობიერებლად, ამ პროცესშია ჩართული და ჯოჯოხეთურად ძნელია ერთსულოვნების ილუზიის დარღვევა. უწინარეს ყოვლისა იმ მიზეზით, რომ, ვთქვათ, საფრანგეთში ისეთ კაცს, ვისაც საზოგადოებრივი აღიარება და სახელი არა აქვს მოხვეჭილი, ძალიან გაუჭირდება თავისი სათქმელის მიტანა მასებამდე. ჩვენი საუბრის დასაწყისში სწორედ იმიტომ გამოვხატე "ენის წაგდებასთან" დაკავშირებული სამომავლო იმედები, რომ, ჩემი აზრით, მხოლოდ ცნობილ მოღვაწეებს შეუძლიათ ამ მანკიერი წრის გარღვევა. ოღონდ, საუბედუროდ, ხშირად საზოგადო მოღვაწე სწორედ იმის გამოა ცნობილი, რომ ზედმეტი კითხვების დასმა და ხმის ამაღლება არ უყვარს - თანაც, ასეთი ქცევა ჩვენს მოლოდინსაც შეესაბამება. და მათ შორის ძალიან ცოტაა ისეთი ადამიანი, ვინც საზოგადოებრივი მდგომარეობით მოხვეჭილ სიმბოლურ კაპიტალს იმისთვის გამოიყენებდა, რომ ხმამაღლა და გადაჭრით გამოეხატა იმ ხალხის სატკივარი, ვინც ამის გაკეთებას თვითონ ვერ ახერხებს.

"ჩემს საუკუნეში" თქვენ ბევრ ისტორიულ მოვლენას ეხებით. ზოგი ეპიზოდი ძალიან შთამბეჭდავად არის დაწერილი. ასეთია, მაგალითად, პატარა ბიჭის ამბავი, რომელიც ლიბკნეხტის მხარდასაჭერად გამართულ დემონსტრაციაზე წაიყვანეს, მან კი მამას კისერში ჩააფსა. არ ვიცი, რაღაც პირად მოგონებებს ეფუძნება თუ არა ეს ეპიზოდი, მაგრამ თქვენ შეძელით მეტად ორიგინალურად მოგეთხროთ იმაზე, თუ რა არის სოციალიზმი. ძალიან მომეწონა ისიც, რაც იუნგერისა და რემარკის შესახებ წავიკითხე, რადგან აქ, სტრიქონებშუა, ბევრი ყურადსაღები რამაა ნათქვამი ინტელექტუალების როლსა და მონაწილეობაზე ზოგიერთ ტრაგიკულ მოვლენაში - ისეთებშიც კი, რომელთა წინააღმდეგ ეს ადამიანები კრიტიკულად იყვნენ განწყობილნი. მომეწონა ჰაიდეგერისადმი მიძღვნილი გვერდებიც. მივხვდი, რომ ერთმანეთს ამ საკითხშიც ვეთანხმებით. მე ჩატარებული მაქვს სრული ანალიზი ჰაიდეგერის გამოსვლებისა, რომელთა საშინელ შედეგებს საფრანგეთი დღემდე იმკის.

გ.გ. დემონსტრაციის ეპიზოდი იმითაა ჩემთვის მნიშვნელოვანი, რომ აქ არის, ერთი მხრივ, ლიბკნეხტი, ახალგაზრდობის აზრთამპყრობელი - პროგრესული მოძრაობა სოციალიზმისთვის ეს-ესაა ძალას იკრებს... ხოლო მეორე მხრივ - მამა, რომელიც იმდენად გაიტაცა მოვლენებმა, რომ ვერ შენიშნა როდის დასჭირდა ქვემოთ ჩამოსვლა მის მხრებზე შემოსკუპებულ ბიჭს. ბავშვი ჩაიფსამს და კარგადაც გაიტყიპება. მამის ავტორიტარული ქცევის შედეგები მოგვიანებით იჩენს თავს, როცა შვილი, პირველი მსოფლიო ომის დაწყებისას, თავისი ნებით ჩაეწერება მოხალისედ არმიაში, ესე იგი ჩაიდენს იმის სრულიად საპირისპირო ქმედებას, რისკენაც ლიბკნეხტი ახალგაზრდებს მოუწოდებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

"ჩემს საუკუნეში" მოთხრობილია ერთი პროფესორის ამბავი, რომელიც იხსენებს საკუთარ რეაქციას 1966, 67 და 68 წლების მოვლენებზე. თავდაპირველად მისი ქმედებები მაღალ ფილოსოფიურ იდეალებს ეფუძნებოდა და ბოლოსაც ამასვე მიუბრუნდა. შუა პერიოდში კი მას დაემართა რადიკალიზმის რამდენიმე შეტევა და ერთ-ერთი იმათგანი იყო, ვინც სახალხოდ ჩამოათრია სცენიდან და ლამის შუაზე გაგლიჯა ადორნო. ეს არის ჩვენი ეპოქის უტიპიურესი ბიოგრაფია.

მე ჩამითრია სამოციანი წლების მოვლენებმა. სტუდენტურმა დემონსტრაციებმა, რომლებიც ჩვენი ცხოვრების ნაწილად იქცა, საფუძველი ჩაუყარა მრავალ პროცესს და, საბოლოო ჯამში, შეცვალა მთელი საზოგადოება, მიუხედავად იმისა, რომ 1968 წლის ფსევდორევოლუციის ორატორებს არ სურთ აღიარონ მათი ზოგიერთი დამსახურება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რევოლუცია არ მომხდარა, რადგან საამისო პირობები არ არსებობდა, მაგრამ მოხდა საზოგადოების სახეცვლილება.

წიგნში, "ლოკოკინას დღიურიდან", აღწერილი მაქვს, როგორ აყვირდნენ ჩემი სტუდენტები, როცა ვუთხარი - პროგრესი ლოკოკინას ჰგავს-მეთქი. მხოლოდ რამდენიმე მათგანმა შეძლო ამის დაჯერება.

სავსებით გეთანხმებით: მე და თქვენ იმ ასაკს მივაღწიეთ, როცა თამამად შეგვიძლია "წავიგდოთ ენა", ვიდრე ამის საშუალებას ჯანმრთელობა გვაძლევს. მაგრამ ჩვენ ხომ ცას ვერ გამოვეკერებით. არ ვიცი, რა ვითარებაა ამ მხრივ საფრანგეთში (თუმცა, არა მგონია, ჩვენზე ბევრად უკეთესად გქონდეთ საქმე), აი, გერმანიაში კი, როგორც ვხედავ, მწერალთა ახალგაზრდა თაობა არც ინტერესს ამჟღავნებს და არც სურვილს, შეინარჩუნოს განმანათლებლობის ეპოქის კიდევ ერთი ტრადიცია, სახელდობრ - "ენის წაგდების" და მოვლენებში პირადი ჩარევის ტრადიცია. და თუ ამ სფეროში ვითარება არ შეიცვალა, ევროპული ტრადიციის ეს თვისებაც უკვალოდ გაქრება.

გერმანულიდან თარგმნა
მიქელ ირემაძემ

არილი



ზაზა კვერცხიშვილი

# ქარიზმატულობის შინაარსი და რაობა

"ქარიზმატული" მეტისმეტად საჭირო, შეიძლება ითქვას, შეუცვლელი სიტყვაა პოლიტიკური ანალიზისთვის, ყოველ შემთხვევაში - საქართველოში მაინც: ჩვენი ისტორიის ბოლო ათწლეული და ქვეყნის ამჟამინდელი მდგომარეობა, მნიშვნელოვანწილად, სწორედ ქარიზმატულმა ურთიერთობებმა განსაზღვრა. ამავე დროს, ეს არის ერთ-ერთი ყველაზე ბუნდოვანი და დაუდგენელი სიტყვა, რომლის მნიშვნელობაზე რაღაც ერთი, ყველას მიერ გაზიარებული აზრი თუ შეთანხმება არ არსებობს და ამის გამო ტერმინს იყენებენ ისე, "ვისაც როგორ ესმის", ეს კი მას პოლიტიკური ანალიზის ინსტრუმენტად თითქმის გამოუსადეგარს ხდის.

ამასთან, სიტყვა "ქარიზმატულს" მიმდინარე პროცესებზე მსჯელობის დროს ხშირად მოიხმობენ ხოლმე, რაკილა, ინსტინქტურად მაინც, ყველა ხვდება - ტერმინი რაღაც უაღრესად აქტუალური შინაარსის შემცველია. იგი მეტწილად განუმარტავად მოჰყავთ (ვფიქრობ, ძალიან ხშირად - გაუაზრებლადაც). კონტექსტით მიხვდები, რომ "ქარიზმა", აშკარად, პოლიტიკოსის პიროვნულ თვისებად თუ უნარად მიაჩნიათ, რომელიც დაახლოებით ასე შეიძლება განისაზღვროს: "საჯარო მომხიბვლელობა" ან "მასებზე ზემოქმედების ნიჭი". თუ იმითაც დავინტერესდებით, რა განაპირობებს პოლიტიკოსის "ქარიზმატულობას", შეიძლება გარკვეული ჩამონათვალი გაკეთდეს: "სამშობლოს მტრებთან" მწვავე დაპირისპირებით შეძენილი ავტორიტეტი და "ხალხის ინტერესების მსახურის" იმიჯი, პოპულიზმი, ორატორულ-დემაგოგიური დახელოვნება ("ცეცხლოვანი გამოსვლები"), გარეგნული ხიბლი და ა.შ. მოკლედ, ამგვარად განსაზღვრისას ტერმინ "ქარიზმატულით" აღინიშნება ან პოლიტიკოსის პოპულარობის გამომწვევ უნარ-ჩვევათა ერთობლიობა, ან კიდევ - მაღალი ხარისხი თვით ამ პოპულარობისა, რომელსაც ლიდერის ერთგული მასის ჩამოყალიბებამდე მივყავართ.

ყველა ასეთ შემთხვევაში, "ქარიზმატულობის" ნაცვლად, უმჯობესია, გამოყენებულ იქნას რომელიმე სხვა გამოთქმა: "პოპულარობა", თუ საჭიროა, დაზუსტებით: "დიდი -" ან "უზომო პოპულარობა"; "საყოველ-

თაო -", "უპირობო -", ან "ისტერიულ-ფანატიკური მხარდაჭერა და ა.შ., რადგან ისინი შეუდარებლად უფრო კარგად და ადეკვატურად აღწერენ ვითარებას. ტერმინი "ქარიზმატულობა" - ე.ი. ქარიზმის ქონა - კი არაფერს გვეუბნება იმაზე, თუ სახელდობრ რა აქვს ამ პოლიტიკოსს, ხოლო რაც აქვს, რით არის განპირობებული ან რა მოვლენათა გამომწვევია: ყოველთვის უფრო ადვილია გაერკვე პოპულარობის ყოფითი ვითარებიდან თუ მენტალიტეტიდან მომდინარე მიზეზებში, ვიდრე იკვლიო გაურკვეველი წარმომავლობის ქარიზმის" შედგენილობა.

კარგი ანალიტიკოსები, როდესაც ცდილობენ ქარიზმატულობის, როგორც მოვლენის არსში გაერკვნენ, სიტყვა "ქარიზმის" ეტიმოლოგიიდან ამოდიან. აი, ნიმუში ერთ-ერთი საუკეთესოს სტატიიდან: "ქარიზმა" ბერძნული წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს "ღვთაებრივ უნარს", "ღვთაებრივ მადლს"; ქარიზმატული ლიდერი კი ის ადამიანია, რომელიც, ღვთის ნებით, საფუძველს უყრის საზოგადოებრივი ცხოვრების არსებით, თვისებრივ განახლებას" (ია ანთაძე, "ქართული პოლიტიკის ჭორი და სიმართლე", "არილი", 2001, N2).

ამგვარი ეტიმოლოგიზებისას ტერმინი "ქარიზმატული" უკვე ყოველგვარ შინაარსს კარგავს, რადგან ღვთიური მადლის გამოყენება პოლიტიკური ანალიზის ინსტრუმენტად დღეს თანაბრად მიუღებელი და შეუძლებელია როგორც ათეისტი, ისე მორწმუნე ანალიტიკოსისთვის - ვინ შეიძლება აცხადებდეს პრეტენზიას, რომ ღვთიურ განგებას წვდება და რომ უცთომლად შეუძლია თქვას, რომელი პოლიტიკოსი მოქმედებს ღვთის ნებით და რომელი არა? ან იქნებ, შესაძლებელია, ჩვენს ეპოქაში ღვთის ნება (რომლის არსებობა პირადად ჩემთვის სრულიად უეჭველ ფაქტს წარმოადგენს) პოლიტიკური ანალიზის ელემენტად გადავაქციოთ? თანაც, რა შუაშია "საზოგადოებრივი ცხოვრების თვისებრივი განახლება?" რატომ უნდა მივიჩნიოთ ნოვატორობა მადლმოსილების უცილობელ ნიშნად? თუ მაინცდამაინც საზოგადოებრივი ცხოვრების, არა უბრალოდ გარდამქმნელი, არამედ თვისებრივად განმაახლებელი პოლიტიკოსის აღნიშვნა გვსურს (რაც, ვფიქრობ, არც ისე ხშირი მოვლენაა, რომ საგანგებო სახელს იმსახურებდეს), "პიონერიც" კი უფრო შესაფერისი ტერმინი იქნებოდა, მიუხედავად იმისა, რომ საბჭოურ სივრცეში აბსურდული გამოყენებით მას უკვე გვარიანად შეელანძღა "სისუფთავე".

(ეტიმოლოგიისგან შინაარსის აბსტრაჰირება მეტწილად აუცილებელი პირობაა, რათა ძველი ტერმინი ახალი რეალობის ასასახავად იქნას გამოყენებული. უფრო მეტყველი მაგალითების მოყვანაც შეიძლებოდა, მაგრამ რადგან პოლიტიკური ტერმინის შესახებ ვმსჯელობთ, წარმოიდგინეთ, რამდენად დავიწროვდებოდა თვით ანტიკურ ეპოქაში შობილი სიტყვა "პოლიტიკის" არეალი, თუ მის არა მხოლოდ ფონეტიკაში, არამედ სემანტიკაშიც, მეტისმეტად მკაფიოდ გადმოინაცვლებდა წინა პლანზე სახელმწიფოებრივი მოწყობის იმჟამინდელი და ანტიკურობაშივე ჩარჩენილი ფორმა - პოლისები).

არსებითად, ტერმინ "ქარიზმატულის" შინაარსი უკვე პოლიტოლოგიაში მისმა დამამკვიდრებელმა გენიალურმა მაქს ვებერმა გააბუნდოვანა, როცა პოლიტიკური **ხელისუფლების ერთ-ერთი სახეობის** აღწერისას, მის დამახასიათებელ ნიშნებში, მოულოდნელად არა, მაგრამ სრულიად გაუმართლებლად, შეიტანა **ხელისუფლის პიროვნული თვისებები(!)**.

1918 წელს წაკითხულ მოხსენებაში "Politik als Beruf" ("პოლიტიკა, როგორც მოწოდება-პროფესია") ვებერმა გამჭრიახად და სავსებით დამაჯერებლად გამოყო ხელისუფლების სამი ძირითადი სახეობა, რომლებიც, მისივე დაზუსტებით, რეალობაში "წმინდა სახით" კი არ არსებობს, არამედ ერთმანეთთან სხვადასხვაგვარადაა კომბინირებული. მიუხედავად ამისა, ხელისუფლების ბუნებაში გასარკვევად ამ სახეობათა გათვალისწინება აუცილებელია. აი, ისინიც: 1. **ტრადიციული,** როცა პიროვნების ლიდერობა ნაკურთხია ტრადიციის ავტორიტეტით (ასეთია ტომის ბელადის, მემკვიდრეობითი თავადის, სრულუფლებიანი მონარქის ხელისუფლება); 2. **დემოკრატიული,** როცა ლიდერობა საზოგადოების მიერ რაციონალურობის თვალსაზრისით შემუშავებული წესებით არის განპირობებული (ასეთია სახელმწიფოს და სხვა უფრო მცირე პოლიტიკური ერთეულების არჩეულ მმართველთა, აგრეთვე მათ მიერ დანიშნული მოხელეების ხელისუფლება); 3. **ქარიზმატული,** როცა ლიდერობის საფუძველია მომხრეთა მასის ნებაყოფლობითი მორჩილება პიროვნულად ლიდერისადმი (სულ ერთია, რით არის გამოწვეული ან რამდენად უანგაროა ეს მორჩილება-ერთგულება) - და ამ აზრით, ერთ სიბრტყეზე შეიძლება აღმოჩნდნენ პარტიული ბელადი, რელიგიური სექტის გაკერპებული ხელმძღვანელი და ბანდის ატამანი (აქ მოყვანილია დაყოფის არსი, მაგრამ არა-ვებერისეული ტექსტი, ხელისუფლების ტიპთა რიგითობა და სახელები, "გარდა "ქარიზმატულისა").

საგულისხმოა, რომ მ.ვებერმა სწორედ ხელისუფლების (ძალაუფლების) ქარიზმატული ტიპის განსაზღვრაში შეიტანა ხელისუფლის პიროვნული თვისებები (თუმცაღა ერთობ ბუნდოვნად და არათანმიმდევრულად: გაკვრით ახსენა გმირული ან ბრწყინვალე დემაგოგიური მონაცემები). ამის მიზეზი, ფსიქოლოგიურად, ადვილი ასახსნელია: ხელისუფლების ტიპებს შორის, ქარიზმატული მმართველობა ყველაზე მეტად ჩანს დამოკიდებული ლიდერის პიროვნებისგან. უფრო მეტიც, ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ იგი მთლიანად ბელადის პიროვნულ თვისებებზე არის დამყარებული. თუმცა, უფრო გულმოდგინე ანალიზი ცხადყოფს, რომ პიროვნულ თვისებათა როლის ასეთი აბსოლუტიზება გაუმართლებელია.

დავაკვირდეთ ამ თვალსაზრისით ხელისუფლების ჩამოთვლილ სამ სახეობას:

ტრადიციული მმართველობა სრულიად ნეიტრალურია პიროვნული თვისებებისადმი, იგი მთლიანად

მემკვიდრეობითობის პრინციპზეა დაფუძნებული - ადამიანი ხელისუფალი ხდება იმისდა მიუხედავად, რამდენად შესაფერისია (გონებრივი ან ზნეობრივი თვისებებით, ნებისყოფით, სიმამაცით და ა.შ.) სამეფოს მართვისთვის. ცხადია, ეს აბსტრაქტული სქემა ყველა კონკრეტულ ვითარებაში ასე უნაკლოდ არ მუშაობს (ეს რომ არა, არ იქნებოდა სასახლის შეთქმულებები, სამეფო ტახტის მიტაცება), მაგრამ ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ტრადიციული მმართველობა მით უფრო უზადოა, რაც უფრო სუფთა სახით არის ხორცშესხმული ეს იდეალი. ამ თვალსაზრისით, მონარქის მიერ პიროვნულ თავისებურებათა თუნდაც საუკეთესო მხრივ წარმოჩენა საზიანოც კია ტრადიციული მმართველობისთვის: იგულისხმება, რომ ყველა ხელისუფალი თანაბრად კარგად უნდა მართავდეს სამეფოს და ყოველი მათგანი წინამორბედთა საქმეებს - საკრალურ ჟამში შემუშავებულ ქცევის მოდელებს - იმეორებდეს (დაახლოებით, ეგვიპტის განღმრთობილ, თითქოსდა უპიროვნებო ფარაონთა მსგავსად - აქვე შევნიშნავ, თუ ტერმინ "ქარიზმატულში" "ღვთის ნების" სემანტიკას დავტოვებთ, მაშინ სწორედ ტრადიციული მმართველობა უნდა მივიჩნიოთ ქარიზმატულობის ყველაზე სრულყოფილ ფორმად). ასე რომ, ტრადიციული სამეფო იდეალური სახით არის მარადიული განმეორებადობის "უისტორიო" ქვეყანა. ხელისუფლის პიროვნული თვისებების - ხალხის ცნობიერებაში კარგი და ცუდი, ნიჭიერი და უნიჭო, მამაცი და ლაჩარი მეფეების (ან ბატონების, მემკვიდრეობითი ტომის ბელადების) - გაჩენა (რაც ისტორიის გაჩენას იწვევს), იმის ნიშანია, რომ ტრადიციული მმართველობის შენობას პირველი ბზარი გაუჩნდა.

რაც შეეხება ხელისუფლების დანარჩენ ორ სახეობას - დემოკრატიულსა და ქარიზმატულს - საჭირო არც კია გამოწვლილვით ვიმსჯელოთ იმაზე, რომ ლიდერობას ორსავე შემთხვევაში განაპირობებს პიროვნულ თვისებათა ზუსტად ერთი და იგივე თუ არა, ყოველ შემთხვევაში, თითქმის ერთი და იგივე) ნაკრები; და რომ შეუძლებელია დემოკრატიული და ქარიზმატული მმართველობა იმის მიხედვით გავარჩიოთ ერთმანეთისგან, თუ რა ადამიანური თვისებების მქონე ხელისუფალია ქვეყნის სათავეში (იმ დრომდე მაინც, ვიდრე "ღვთაებრივი მადლის" აღმომჩენ-დამადასტურებელი ექსპერტი გვეყოლებოდეს). საკმარისია მოკლედ აღინიშნოს, რომ ლიდერი-მასის ურთიერთობის არც ერთი ტიპი არ გამომდინარეობს უშუალოდ პიროვნული თვისებებიდან.

საკუთრივ ქარიზმატულ მმართველობაში უმთავრესია საზოგადოებრივი ჯგუფების მზაობა, რაღაცის გამო დაემორჩილონ ამა თუ იმ პიროვნებას, ხოლო ეს "რაღაც" მისი ინდივიდუალური თვისებებიც შეიძლება იყოს (სიმამაცე, ორატორული ნიჭი და ა.შ.) და, ამავე ზომით, რომელიმე სხვა ფაქტორიც: ვთქვათ, წაროშობა (ეთნიკური, საგვარეულო-კლანური), ავტორიტეტი (ფინანსური, დისიდენტური, სამხედრო, ქურდული) ან პოზიცია (ექსტრემისტული, რევანშისტული) და ა.შ.

უმთავრეს განსხვავებას ხელისუფლების დემოკრატიულ და ქარიზმატულ სახეობებს შორის ქმნის **არა ის, თუ რა პიროვნული თვისებების მქონე ლიდერს ემორჩილება ხალხი** (კვლავ ეტიმოლოგიას რომ მივუბრუნდეთ, აქვს თუ არა მას "ღვთიური მადლი"), **არამედ ის, თუ რის ძალაუფლებას ემორჩილება იგი** - კანონისა თუ პიროვნებისა, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, კანონმორჩილია საზოგადოება თუ ბელადმორჩილი. ცხადია, განსაზღვრებები "სამოქალაქო", "ლიბერალური" ან "თანამედროვე" (უფრო ზუსტად, "განვითარების პერსპექტივის მქონე") შეიძლება მიესადაგოს მხოლოდ პირველი ტიპის - ე.ი. კანონმორჩილ - საზოგადოებას (და აქაც, მიუხედავად ხელისუფლის პიროვნული თვისებებისა, სამოქალაქო თავისუფლებებზე მისი ორიენტირებულობის ხარისხი და ა.შ.).

* * *

ახლა, თუ საქართველოს ცხოვრების ბოლო პერიოდს - დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება-არსებობის წლებს მივუბრუნდებით, ვნახავთ, რომ ქვეყნის მთელი პოლიტიკური სივრცე სხვადასხვა დონის ქარიზმატული ურთიერთობებით არის დაქსელილი და ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენათა უმეტესობაც სწორედ მათი განპირობებულია.

ქართველ ქარიზმატულ ლიდერებზე მსჯელობისას, როგორც წესი, უწინარეს ყოვლისა, ზ.გამსახურდიასა და ე.შევარდნაძეს ასახელებენ ხოლმე.

ვფიქრობ, ზვიად გამსახურდია ნამდვილად იყო ყველაზე უფრო მეტყველი ნიმუში ქარიზმატული ლიდერისა, და არა იმდენად უშუალოდ მისი პიროვნების თაყვანისმცემელ ადამიანთა მრავალრიცხოვანი და ფანატიკურად ერთგული მასის არსებობის გამო. მთავარი სხვა რამ არის: მოსახლეობის უდიდესი ნაწილის მხარდაჭერით და უეჭველი ლეგიტიმურობის დიდი მარაგით არჩეული კონსტიტუციური ხელისუფალი ცდილობდა, სრულიად წარმოუდგენელი მასშტაბებით განევრცო ქარიზმატული ურთიერთობების სამოქმედო არეალი და კრიზისულ ვითარებაში ქვეყანა ქარიზმატული ხერხებით ემართა: არც ენდობოდა და არც ეყრდნობოდა სახელმწიფო სტრუქტურებს და ქალაქში წესრიგის დამყარებასაც კი (გავიხსენოთ, ბარიკადების აღება რუსთაველის პროსპექტზე, "იმელის" შენობის წინ) ან მორჩილებიდან გასული სამხედრო ფორმირების განიარაღებას თავისი ერთგული მომხრეებისგან მოითხოვდა (მახსოვს მცდელობა, უშუალოდ მიტინგზე შექმნა ამ მიზნით მხარდამჭერთა რაზმი - მოწოდება, ჩაწერილიყვნენ მოხალისეებად). ქარიზმატულობის გარეგნული გამოხატულებები არასოდეს ყოფილა და ვეჭვობ, კიდევ როდესმე და სადმე იყოს ასე თვალსაჩინო (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით): ვგულისხმობ, პარლამენტის შენობაზე თვეობით გაკრულ მხარდამჭერთა პლაკატებს(!) და შენობის წინ, უშუალოდ პროსპექტზე დადგმულ კარვებს, სადაც ლეგიტიმური პრეზიდენტის ერთგულნი ბინადრობდნენ (!!). ცხადია, სახელმწიფოს

ასეთი პირწმინდად ქარიზმატული (მხოლოდ მომხრეთა მხარდაჭერაზე დაფუძნებული) მეთოდებით თუ ინსტრუმენტებით მართვის ექსპერიმენტი თავიდანვე კრახისთვის იყო განწირული.

ედუარდ შევარდნაძის ერთგულ მომხრეთა მასაზე შეიძლება ითქვას, რომ იგი გაცილებით უფრო მცირერიცხოვანია და შეუდარებლად უფრო ნაკლებად ეგზალტირებული. აქ ქარიზმატულ დამოკიდებულებას, ლიდერის პიროვნების "სიყვარულზე" მეტად, ასაზრდოებს ქვეყნისთვის (ან მხარდამჭერის ჯიბისთვის) მისი სასარგებლოობის მეტ-ნაკლებად უანგარო (მეტწილად კი უკიდურესად ანგარებიანი) იმედი.

გარდა ამისა, შეიძლება გავიხსენოთ რამდენიმე სხვადასხვა ტიპის აშკარად ქარიზმატული გაერთიანება:

1. **სამხედრო:** თენგიზ კიტოვანის გვარდია, რომელიც ქარიზმატული გახდა მას შემდეგ, რაც ეს მანამდე სავსებით კანონიერი, კონსტიტუციური ფორმირება ხელისუფლების მორჩილებიდან გავიდა და საქმით დაადასტურა, რომ ემორჩილება მხოლოდ თავისი ლიდერის ნებას და შეასრულებს მის ნებისმიერ ბრძანებას, დედაქალაქის ცენტრის დანგრევის ჩათვლით.

2. **კრიმინალურ-გასამხედროებული:** ჯაბა იოსელიანის "მხედრიონი".

3. **რელიგიური:** ბასილ მკალავიშვილის "ჭეშმარიტ მართლმადიდებელთა" სექტა (ისევ ქარიზმატულობის ეტიმოლოგიურ გაგებასთან დაკავშირებით: საინტერესოა, უნდა მივიჩნიოთ თუ არა კონფესიური ცხოვრების "არსებით, თვისებრივ განახლებად" ის გარემოება, რომ ქართველი ერის სარწმუნოებრივი უბიწოების საგუშაგოზე მდგარი "ბასილისტები" ხელკეტებად ჯვრებს იყენებენ და რამდენად შეიძლება ეს მოვლენა დავუკავშიროთ "ღვთაებრივ მადლს"?).

4. **პარტიული:** ქარიზმატულია საქართველოში არსებული თითქმის ყველა პარტია და შიდაპარტიული დაჯგუფება (ბოლოდროინდელმა მოვლენებმა გვაჩვენა - ვინ წარმოიდგენდა? - რომ ლევან მამალაძესაც კი ჰყოლია უშუალოდ მისი პიროვნების მომხრეთა ჯგუფი, ოღონდ იმდენად მცირერიცხოვანი და უხარისხო, რომ ხელისუფლებისთვის ბრძოლაში მისი გამოყენება მხოლოდ უკუშედეგის მომტანი იქნება. რაც შეეხება, ჩემი აზრით, მეტად პერსპექტიულ "ნაციონალურ მოძრაობას", მისი ყველაზე საშიში მტერი მომავალში შეიძლება აღმოჩნდეს არა სრულიად დისკრედიტებული აღმასრულებელი ხელისუფლება, არამედ საკუთარი ლიდერის ქარიზმატული ამბიციები. ძნელი დასანახი არაა, რომ მიხეილ სააკაშვილი სიამოვნებით სესხულობს ზოგ ელემენტს ზვიად გამსახურდიას არსენალიდან. ოღონდ არა პოლიტიკური მსოფლმხედველობიდან, - რომლის საპირისპირო პოლუსზეც დგას, - არამედ სწორედ ქარიზმატული მასის ფორმირების ხერხებიდან).

განმარტებისთვის: ქარიზმატულობა პოლიტიკური მოვლენაა. სპორტსმენს, მსახიობს ან მწერალსაც შეიძლება ჰყავდეს ერთგული თაყვანისმცემლები, რომლებიც მის სიტყვას ენდობიან არა მხოლოდ სპორტთან და ხელოვნებასთან დაკავშირებით, არამედ ამ სფეროს გარეთაც და, გამორიცხული არ არის, მის მოწოდებას დაემორჩილონ კიდეც. როდის შეიძლება ამგვარ ურთიერთობას ეწოდოს ქარიზმატული და როგორია მომხრეთა ამისთვის აუცილებელი მინიმუმი? - ქარიზმატული ურთიერთობებს შეიძლება ეწოდოს იმ შემთხვევაში, როცა ისინი პოლიტიკასთან, ე.ი. ძალაუფლების მოპოვების ან მისი განაწილების ამოცანებთან არის დაკავშირებული, ხოლო მომხრეთა მინიმუმი სხვადასხვა ვითარებაში ძალზე განსხვავებულ ციფრს შეიძლება შეადგენდეს, მთავარია, მის პოლიტიკურ პროცესებზე ზეგავლენის მოხდენა შეეძლოს (თ.კიტოვანის გვარდიას თუ გავიხსენებთ, 120-მდე ცუდად შეიარაღებული და ცუდად გაწვრთნილი ჯარისკაციც კი საკმარისი აღმოჩნდა საიმისოდ, რათა, ძლიერი ხელისუფლების არარსებობის პირობებში, არა უბრალოდ პოლიტიკური, ისტორიული მასშტაბის ცვლილებები გამოეწვია).

* * *

ქარიზმატულ ურთიერთობებს დროის გარკვეულ, მეტ-ნაკლებად ხანგრძლივ მონაკვეთში შეუძლიათ პოზიტიური როლი შეასრულონ მხოლოდ ავტორიტარულ სახელმწიფოში (ისევე, როგორც მცირე ხნით, უაღრესად პოზიტიური როლის შესრულება შეუძლია დიქტატურასაც. - იხ.პოლ ვალერის სტატია "დიქტატურისათვის"), ისინი უზრუნველყოფენ მოსახლეობის ერთსულოვნებას კრიზისულ ვითარებაში ქვეყნისთვის სასიცოცხლო ამოცანების გადასაწყვეტად.

ხოლო ფორმალურად (კანონმდებლობით) დემოკრატიულ, მაგრამ მენტალიტეტით ქარიზმატულ საზოგადოებაში ლიდერები საერთაშორისო სტრუქტურების თვალასახვევად მიღებულ დემოკრატიულ პროცედურებს (ვთქვათ, არჩევნებსა და მათი შედეგების გაპროტესტებას) თავიანთი "ქარიზმის" შესანიღბავ ძონძებად იყენებენ და ერთმანეთს ასე შენიღბულ-შეფუთული "ქარიზმებით" ეჯახებიან; გამარჯვებულის გამოვლენა კი იმის მიხედვით ხდება, ვის უფრო "დიდი და მაგარი" ქარიზმა აღმოაჩნდება. ცხადია, ასეთ ვითარებაში ქარიზმატული ურთიერთობები მხოლოდ საზოგადოების დახლეჩა-დაპირისპირების, ქაოსისა და უკანონობის გაბატონების სათავე იქნება.

არილი

ეროვნული ბიბლიოთეკა










**http://www.opentext.org.ge/arili**

წკაპ HERE

ეროვნული ბიბლიოთეკა

-80

არილი